საქართველოს კანონი

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ

კარი I. ზოგადი დებულებები

თავი I. კანონის მოქმედების სფერო, მიზანი და ამოცანები

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო და მიზანი

1. ეს კანონი ადგენს ელექტროენერგეტიკის სექტორში წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდებისა და ვაჭრობის და ბუნებრივი გაზის სექტორში გადაცემის, განაწილების, მიწოდების, შენახვისა და ვაჭრობის ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს გამართული, გამჭვირვალე და კონკურენტული ელექტროენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის ბაზრების შექმნის, გახსნის, განვითარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით.

2. ეს კანონი აწესრიგებს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორების მართვასა და ორგანიზებასთან, რეგულირებასთან, მონიტორინგსა და ზედამხედველობასთან, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებზე თავისუფალ დაშვებასა და ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე ადგენს ტენდერის გამოცხადებასა და ენერგეტიკული საქმიანობის ავტორიზაციასთან, ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის სისტემების ოპერირებასა და მათზე დაშვებასთან, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში საჯარო მომსახურებასთან, მომხმარებელთა უფლებებთან და მათ დაცვასთან დაკავშირებულ კრიტერიუმებსა და პროცედურებს.

3. ეს კანონი ადგენს ზომებს მიწოდების უსაფრთხოების ისეთი დონის დაცვის მიზნით, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორების გამართულად ფუნქციონირებას. ეს კანონი ასევე ადგენს სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრება მიწოდების უსაფრთხოების პოლიტიკა, ბაზრის მონაწილეთა ვალდებულებები და მიწოდების უსაფრთხოების დაცვის პროცედურები, კონკურენტული ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის ბაზრების მოთხოვნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით.

4. ეს კანონი ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს საქართველოს კანონმდებლობაში ევროპის კავშირის შემდეგი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გასათვალისწინებლად და ასამოქმედებლად:

ა) 2009 წლის 13 ივლისის N2009/72/EC დირექტივა ელექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ, რომლითაც გაუქმდა დირექტივა N2003/54/EC;

ბ) 2009 წლის 13 ივლისის N714/2009(EC) რეგულაცია ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დაშვების პირობების შესახებ, რომლითაც გაუქმდა რეგულაცია (EC)N1228/2003;

გ) 2006 წლის 18 იანვრის N2005/89/EC დირექტივა ელექტროენერგიის მიწოდებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ;

დ) 2009 წლის 13 ივლისის N2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების დაწესების შესახებ, რომლითაც გაუქმდა დირექტივა N2003/55/EC;

ე) 2009 წლის 13 ივლისის (EC)N715/2009 რეგულაცია ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელებზე დაშვების პირობების შესახებ, რომლითაც გაუქმდა რეგულაცია (EC)N1775/2005;

ვ) 2004 წლის 26 აპრილის N2004/67/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა საქართველოს კანონმდებლობაში გათვალისწინება და ამოქმედება ხორციელდება ენერგეტიკული გაერთიანებისთვის დადგენილი ადაპტირებული სახით, ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრთა საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიხედვით და ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმის შესაბამისად.

6. ბუნებრივი გაზისთვის, მათ შორის, გათხევადებული ბუნებრივი გაზისთვის, ამ კანონით დადგენილი ნორმები ვრცელდება აგრეთვე ბიოგაზსა და ბიომასიდან მიღებულ გაზზე, ან სხვა სახეობის გაზზე, თუ ტექნიკურად შესაძლებელია ასეთი გაზის ბუნებრივი გაზის სისტემაში უსაფრთხოდ შეშვება და ტრანსპორტირება.

7. ეს კანონი ასევე ადგენს ბუნებრივი გაზის მწარმოებლებისთვის საქართველოს ბუნებრივი გაზის ბაზარზე მონაწილეობის პირობებს, რომლებიც მოიცავს აგრეთვე იმ მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება ბუნებრივი გაზის წარმოებისმოწყობილობების გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელებთან მიერთებას, ბუნებრივი გაზის სისტემაზე დაშვებასა და ბუნებრივი გაზის ბაზარზე გაყიდვას.

8. ეს კანონი არ ვრცელდება ბუნებრივი გაზისა და სხვა ნახშირწყალბადების ძებნა-ძიებაზე, მოპოვებასა და დამუშავებაზე, ავტოგაზგასამართი სადგურების მეშვეობით ბუნებრივი გაზის რეალიზაციაზე, ელექტროტრანსპორტის დამტენი პუნქტების/სადგურების მეშვეობით ელექტროტრანსპორტის დატენის მიზნით ელექტროენერგიის რეალიზაციაზე, აგრეთვე გაზის პროდუქტების წარმოებასა და მათთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, გარდა იმ საქმიანობისა, რომელიც გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობებში ბუნებრივი გაზის გადამუშავებას უკავშირდება.

9. ეს კანონი ასევე არეგულირებს წყალმომარაგებას და ადგენს მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების ზოგად ჩარჩოს.

10. ამ კანონის დებულებები არ ვრცელდება წყლის ზედაპირული ან მიწისქვეშა ობიექტიდან წყლის ამოღებაზე ან/და მოპოვებაზე.

11. ეს კანონი არ ვრცელდება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული სამთავრობათაშორისო შეთანხმებიდან წარმოშობილ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც ეხება სამხრეთ კავკასიის მილსადენის სისტემის მეშვეობით ბუნებრივი გაზის ტრანზიტს, ტრანსპორტირებასა და გაყიდვას, როგორც საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე, ისე ამ ტერიტორიების მიღმა.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 2. კანონის ამოცანები

ამ კანონის ამოცანებია:

ა) სამართლებრივი საფუძვლის შექმნა მომხმარებლისთვის დადგენილი ხარისხის სტანდარტების შესაბამისად, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის უწყვეტი მიწოდებისა და სასმელი წყლით საიმედო მომარაგების უზრუნველსაყოფად;

ბ) ელექტროენერგეტიკული, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სისტემების უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი ოპერირებისა და დაკავშირებული მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა სისტემებით მოსარგებლე ყველა პირისთვის;

გ) რეგულირებული საწარმოების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა ამ კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად და კომისიის უფლება-მოვალეობების დადგენა, აგრეთვე რეგულირებული საწარმოების ერთმანეთთან, კომისიასთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ორმხრივი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა;

დ) ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანობის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებზე დაყრდნობით ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის ბაზრების სრულად გახსნას ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით თავისუფლად ვაჭრობის მიზნით;

ე) ერთიანი წესების დადგენა საქართველოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის ბაზრების ორგანიზებისა და ფუნქციონირებისთვის, მათი შემდგომი განვითარების ჩათვლით, მომავალში ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნებთან ურთიერთდაკავშირების შემთხვევაში, ევროპის მასშტაბით ინტეგრაციის გათვალისწინებით;

ვ) ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში საჯარო მომსახურების ვალდებულებების განხორციელების პირობების განსაზღვრა და საბოლოო მომხმარებლების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა;

ზ) გადამცემი სისტემის ოპერატორებისა და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების განცალკევების რეგულირება და მონიტორინგი, მათი სხვა ენერგეტიკული საქმიანობისგან და მათთან დაკავშირებული კომერციული ინტერესებისგან დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ამ კანონით დადგენილი წესით;

თ) ელექტროენერგეტიკულ და ბუნებრივი გაზის სისტემებში, მათ შორის, მეზობელ სისტემებთან ურთიერთდამაკავშირებლებში, მიწოდების უსაფრთხოების გაზრდის საშუალებებში, აგრეთვე წყალმომარაგების სისტემებში ინვესტიციების განსახორციელებლად სათანადო პირობების შექმნა;

ი) სამართლებრივი საფუძვლის შექმნა სისტემისა და ბაზრის ოპერატორების, კომისიისა და სხვა სახელმწიფო უწყებების რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობისა და კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოებს, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებს შორის ორმხრივი თანამშრომლობისთვის.

თავი II. ტერმინთა განმარტება და გამოყენება

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დამხმარე მომსახურება:

ა.ა) ელექტროენერგეტიკის სექტორში – ელექტროენერგეტიკულ სისტემაზე დაშვებისა და ელექტროენერგიის გადამცემი ან/და გამანაწილებელი ქსელების ოპერირებისთვის აუცილებელი მომსახურება, მათ შორის, სიხშირის რეგულირება, ძაბვის კონტროლი და მიწოდების აღდგენა;

ა.ბ) ბუნებრივი გაზის სექტორში – ბუნებრივი გაზის სისტემებზე დაშვებისა და ბუნებრივი გაზისგადამცემი და გამანაწილებელი ქსელების, ბუნებრივი გაზის საცავის ან/და გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობების (ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის თავისი ფუნქციების განსახორციელებლად დარეზერვებული მოწყობილობების გარდა) ოპერირებისთვის აუცილებელი მომსახურება, მათ შორის, დატვირთვის დაბალანსება, ინერტული აირების შერევა და სისტემაში შეშვება;

ბ) ავტორიზაცია – ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში საქმიანობის ლიცენზირება, სერტიფიცირება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებამოსილებების მინიჭება;

გ) ხელმისაწვდომი სიმძლავრე – დროის კონკრეტულ მონაკვეთში გაუნაწილებელი და ელექტროენერგეტიკული ან ბუნებრივი გაზის სისტემისთვის ხელმისაწვდომი სიმძლავრე;

დ) დაბალანსება – ყველა მოქმედება და პროცესი, რომელთა მეშვეობითაც გადამცემი სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს განსაზღვრული პარამეტრებისა და ხარისხის სტანდარტების განგრძობად შენარჩუნებას სისტემების სტაბილურ ფარგლებში

ოპერირების მიზნით, რათა შესაძლებელი იყოს მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის უსაფრთხო და საიმედო ფიზიკური მიწოდება, მათ შორის, სიმძლავრეებისა და ენერგეტიკული ნაკადების მართვა, მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსება;

ე) საბალანსო ელექტროენერგია – ელექტროენერგია, რომელიც აუცილებელია ელექტროენერგეტიკული სისტემის დაბალანსებისთვის, რეალურ დროში ფაქტობრივ მოცულობასა და ორმხრივი ხელშეკრულებით ან/და ელექტროენერგიის ორგანიზებულ ბაზარზე ნავაჭრ მოცულობას შორის სხვაობის დაფარვისთვის;

ვ) დაბალანსების ჯგუფი – ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ბაზრის ერთი ან ერთზე მეტი მონაწილისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც შექმნილია კომისიის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დაბალანსების ჯგუფის მოდელის შესაბამისად და რომლის უბალანსობაზე პასუხისმგებლობა დაბალანსების ჯგუფის წევრების თანხმობით დაკისრებული აქვს დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირს;

ზ) დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირი – პირი, რომელიც კომისიის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად პასუხისმგებელია დაბალანსების ჯგუფის უბალანსობაზე;

თ) სიმძლავრე:

თ.ა) ელექტროენერგეტიკის სექტორში – ელექტროენერგიის მაქსიმალური მოცულობა, გამოხატული სიმძლავრის ერთეულში (მეგავატში), რომელზე უფლებაც ელექტროენერგეტიკული სისტემით მოსარგებლეს ენიჭება ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების შესაბამისად;

თ.ბ) ბუნებრივი გაზის სექტორში – ბუნებრივი გაზის მაქსიმალური ნაკადი, გამოხატული კუბური მეტრით (ან ენერგიის ერთეულით) დროის ერთეულში, რომელზე უფლებაც ენიჭება ბუნებრივი გაზის სისტემით მოსარგებლეს გადამცემი სისტემის ოპერატორთან, ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორთან ან/და გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ი) სერტიფიცირება – პროცედურა, რომელიც ადგენს გადამცემი სისტემის ოპერატორის შესაბამისობას დამოუკიდებლობისა და განცალკევების მოთხოვნებთან;

კ) კომისია – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;

ლ) კომისიის წევრი – ამ კანონის შესაბამისად არჩეული კომისიის წევრი;

მ) კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო;

ნ) გადატვირთვა – მდგომარეობა, როდესაც ურთიერთდამაკავშირებლის ან/და შესაბამისი სისტემის გამტარუნარიანობა არასაკმარისია სისტემით მოსარგებლეთა მიერ მოთხოვნილი ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ყველა ფიზიკური ნაკადისთვის, მათ შორის, იმ ნაკადისთვის, რომელიც წარმოიქმნა ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შედეგად;

ო) გადატვირთვის მართვა – სისტემის ოპერატორის სიმძლავრის პორტფელის მართვა სიმძლავრის ოპტიმალური და მაქსიმალური გამოყენებისა და სამომავლო გადატვირთვის დროული აღმოჩენის მიზნით;

პ) სახელშეკრულებო გადატვირთვა – მდგომარეობა, როდესაც ბაზისურ სიმძლავრეზე მოთხოვნის დონე აღემატება ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ან ბუნებრივი გაზის საცავის ან გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობების ტექნიკურ გამტარუნარიანობას;

ჟ) კონტროლი – ის უფლებები, ხელშეკრულებები ან სხვა საშუალებები, რომლებიც, ფაქტობრივი მდგომარეობიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, ერთად ან ცალ-ცალკე, იძლევა ენერგეტიკულ საწარმოზე არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას. აღნიშნული შესაძლებლობა შეიძლება გამომდინარეობდეს საკუთრების უფლებიდან, ენერგეტიკული საწარმოს აქტივების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენების უფლებიდან და სხვა უფლებებიდან ან ხელშეკრულებებიდან, რომლებიც იძლევა ენერგეტიკული საწარმოს ორგანოების შემადგენლობაზე, ამ ორგანოებში ხმის მიცემაზე ან გადაწყვეტილებების მიღებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას;

რ) სახელშეკრულებო სიმძლავრე – ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის, ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის ან გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, სისტემით მოსარგებლეზე განაწილებული სიმძლავრე;

ს) ტრანსსასაზღვრო გადადინება:

ს.ა) ელექტროენერგეტიკის სექტორში – ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილეებსა და მეზობელ ელექტროენერგეტიკულ სისტემებში საქმიანობის განმახორციელებელ პირებს შორის ელექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შედეგად საქართველოს ან მეზობელი ქვეყნის მიმართულებით განხორციელებული ელექტროენერგიის ფიზიკური გადადინება საქართველოს ელექტროენერგიის გადამცემ ქსელში;

ს.ბ) ბუნებრივი გაზის სექტორში – ბუნებრივი გაზის ბაზრის მონაწილეებსა და მეზობელ ბუნებრივი გაზის სისტემებში საქმიანობის განმახორციელებელ პირებს შორის ბუნებრივი გაზით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შედეგად საქართველოს ან მეზობელი ქვეყნის მიმართულებით ბუნებრივი გაზის ფიზიკური ნაკადის გადაცემა საქართველოს ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელში;

ტ) მომხმარებელი – საბოლოო მომხმარებელი, სასმელი წყლის მომხმარებელი;

უ) დღით ადრე ბაზარი:

უ.ა) ელექტროენერგეტიკის სექტორში – ორგანიზებული, საბითუმო ელექტროენერგიის ბაზარი (ბირჟა), სადაც ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება საათობრივად, ელექტროენერგიის ფიზიკური მიწოდების წინა დღეს;

უ.ბ) ბუნებრივი გაზის სექტორში – ორგანიზებული, საბითუმო ბუნებრივი გაზის ბაზარი (ბირჟა), სადაც ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება ბუნებრივი გაზის ფიზიკური მიწოდების წინა დღეს;

ფ) პირდაპირი ხაზი:

ფ.ა) ელექტროენერგეტიკის სექტორში – ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც ელექტროენერგიის წარმოების იზოლირებულ ადგილს იზოლირებულ მომხმარებელთან აკავშირებს, ან ელექტროენერგიის მწარმოებლისა და ელექტროენერგიის მიმწოდებლის დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი, რომლითაც ხორციელდება მათი საქმიანობის ადგილის, შვილობილი კომპანიებისა და საბოლოო მომხმარებლების ელექტროენერგიით პირდაპირი და უშუალო მომარაგება;

ფ.ბ) ბუნებრივი გაზის სექტორში – მილსადენი, რომელიც ბუნებრივი გაზის წარმოების იზოლირებულ ადგილს იზოლირებულ მომხმარებელთან აკავშირებს, ან ბუნებრივი გაზის მწარმოებლისა და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის დამაკავშირებელი მილსადენი, რომლითაც ხორციელდება მათი საქმიანობის ადგილის, შვილობილი კომპანიებისა და საბოლოო მომხმარებლების ბუნებრივი გაზით პირდაპირი და უშუალო მომარაგება;

ქ) დისპეტჩერიზაცია – საოპერაციო სიმძლავრეების, გადამცემ სისტემაში წარმოების მოწყობილობებიდან გამომუშავებული ან/და შემოდინებული ენერგიის მართვა ან/და გადამცემ სისტემაში ენერგიის ნაკადების სრულად მართვა, მათ შორის, სხვა სისტემებთან ურთიერთდამაკავშირებლების გამოყენებით;

ღ) განაწილება:

ღ.ა) ელექტროენერგეტიკის სექტორში – ელექტროენერგიის ტრანსპორტირება დაბალი და საშუალო ძაბვის (0,4-3,3-6-10-35-110 კილოვოლტი ძაბვის ქსელები) ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელით საბოლოო მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდების მიზნით (გარდა მიწოდებისა);

ღ.ბ) ბუნებრივი გაზის სექტორში – ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სისტემის საშუალებით (მათ შორის, ლოკალურად მოწყობილი ქსელის საშუალებით, რომელიც არ არის მიერთებული გადამცემ ქსელთან) საბოლოო მომხმარებლისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების მიზნით (გარდა მიწოდებისა);

ყ) გამანაწილებელი ქსელი – ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელი;

შ) გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი:

შ.ა) ელექტროენერგეტიკის სექტორში – ელექტროენერგიის განაწილების საქმიანობის განმახორციელებელი ელექტროენერგეტიკული საწარმო – ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამის არეალში ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერირებაზე, მოვლა-პატრონობასა და საჭიროების შემთხვევაში მის განვითარებაზე, ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის სხვა სისტემებთან ურთიერთდაკავშირებაზე, სადაც შესაძლებელია, და ელექტროენერგიის განაწილებასთან დაკავშირებული გონივრული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით სისტემის გრძელვადიანი შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე;

შ.ბ) ბუნებრივი გაზის სექტორში – ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობის განმახორციელებელი ბუნებრივი გაზის საწარმო – ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამის არეალში ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სისტემის ოპერირებაზე, მოვლა-პატრონობასა და საჭიროების შემთხვევაში მის განვითარებაზე, ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სისტემის სხვა სისტემებთან ურთიერთდაკავშირებაზე, სადაც შესაძლებელია, და ბუნებრივი გაზის განაწილებასთან დაკავშირებული გონივრული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით სისტემის გრძელვადიანი შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე;

ჩ) წყალმომარაგების ლიცენზიატი – საწარმო, რომელიც ახორციელებს წყალმომარაგების საქმიანობას;

ც) წყალმომარაგების საქმიანობა – სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის ან/და წყალარინების სისტემის ექსპლუატაცია, წყლის მომხმარებლებისთვის სასმელი წყლის მიწოდება ან/და წყალარინება კონკრეტული სასმელი წყლის წყალმომარაგების ან/და წყალარინების სისტემის/სისტემების ფარგლებში;

ძ) სასმელი წყლის მიწოდება – წყლის მომხმარებლისთვის სასმელი წყლის მიწოდება სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით;

წ) წყალარინება – ჩამდინარე წყლის გატარება და გამწმენდი ნაგებობების საშუალებით დასაშვებ ნორმამდე გაწმენდა;

ჭ) ელექტროენერგიის საბალანსო ბაზარი – ელექტროენერგეტიკული სისტემის რეალურ დროში დაბალანსების მიზნით ელექტროენერგიით ვაჭრობის ორგანიზებული ბაზარი;

ხ) ელექტროენერგიის დერივატივი – ფინანსური საბაზრო ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილეების ელექტროენერგიის საბაზრო ფასის შესაძლო რყევებისგან დაცვის მიზნით;

ჯ) ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელი – ელექტროენერგეტიკული ქსელი, რომელიც შედგება ელექტროენერგეტიკული მოწყობილობების, ტრანსფორმატორებისა და ელექტროენერგიის გამანაწილებელ სისტემაში არსებული მიწოდების პუნქტების

დამაკავშირებელი, არაუმეტეს 110- კილოვოლტიანი ძაბვის საფეხურის, საშუალო და დაბალი ძაბვის ხაზებისგან, აგრეთვე ტელეკომუნიკაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების აღჭურვილობებისა და სხვა ინფრასტრუქტურისგან, რომლებიც საჭიროა ქსელის ფუნქციონირებისათვის, გარდა ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის კატეგორიისთვის მიკუთვნებული ინფრასტრუქტურისა;

ჰ) ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი – ელექტროენერგიისა და დამხმარე მომსახურების ყიდვა-გაყიდვისთვის ამ კანონით, ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციით, ელექტროენერგიის ბაზრის წესებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ორგანიზებული ბაზარი ან/და ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი;

ჰ[1]) ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი – პირი, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის გარკვეული სეგმენტების ორგანიზებაზე, რაც განისაზღვრება ამ კანონისა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;

ჰ[2]) ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილე – ფიზიკური ან იურიდიული პირი, მათ შორის, სისტემის ოპერატორი, რომელიც უფლებამოსილია ელექტროენერგიის ბაზარზე ელექტროენერგიის ყიდვაზე ან/და გაყიდვაზე ამ კანონის, ელექტროენერგიის ბაზრის წესებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ჰ[3]) ელექტროენერგიის მწარმოებელი – ელექტროენერგეტიკული საწარმო, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის წარმოების მოწყობილობის (ელექტროსადგურის) ოპერირებას და აწარმოებს ელექტროენერგიას;

ჰ[4]) ელექტროენერგიის მიმწოდებელი – ელექტროენერგეტიკული საწარმო, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისთვის;

ჰ[5]) ელექტროენერგეტიკული სისტემა – ელექტროენერგეტიკული საწარმოს საკუთრებაში ან/და სარგებლობა-ოპერირებაში მყოფი ელექტროენერგიის გადამცემი ან/და გამანაწილებელი ქსელი, მათ შორის, დამხმარე მომსახურების გაწევისთვის საჭირო მოწყობილობები და დაკავშირებული ელექტროენერგეტიკული საწარმოს მოწყობილობები, რომლებიც საჭიროა ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილებისთვის;

ჰ[6]) ელექტროენერგიის სასისტემო მომსახურება – ელექტროენერგეტიკული სისტემების სათანადოდ ოპერირებისთვის აუცილებელი მომსახურება, მათ შორის, ელექტროენერგიის გადაცემის ან/და განაწილების ქსელებში გადატვირთვის მართვა და დამხმარე მომსახურება;

ჰ[7]) ელექტროენერგიის გადამცემი ქსელი – ელექტროენერგეტიკული ქსელი, რომელიც შედგება ელექტროენერგეტიკული მოწყობილობების, ტრანსფორმატორებისა და ელექტროენერგიის გადამცემ სისტემაში არსებული მიწოდების პუნქტების

დამაკავშირებელი, 110 კილოვოლტზე მაღალი ძაბვის საფეხურის ხაზებისგან, აგრეთვე ტელეკომუნიკაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების აღჭურვილობებისა და სხვა ინფრასტრუქტურისგან, რომლებიც საჭიროა ქსელის ფუნქციონირებისათვის. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ცალკეული 110-კილოვოლტიანი ან 110 კოლოვოლტზე დაბალი ძაბვის საფეხურის ხაზი/ქვესადგური, რომელიც გამოიყენება სასისტემო ან/და სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის, შესაძლებელია გაყვანილ იქნეს ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის კატეგორიაში, რაც საგანგებოდ აღინიშნება გადაცემის ლიცენზიაში;

ჰ[8]) ელექტროენერგეტიკული საწარმო – ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი (გარდა საბოლოო მომხმარებლისა), რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილებისა და მიწოდების საქმიანობებიდან ერთ-ერთს მაინც ან/და არის ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ან/და ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის მესაკუთრე ან/და ელექტროენერგიის დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, ვაჭრობს ელექტროენერგიით ან ახორციელებს ელექტროენერგიის ბაზრის ოპერირებას ან ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირებას და პასუხისმგებელია აღნიშნულ საქმიანობებთან დაკავშირებული კომერციული, ტექნიკური ან/და მოვლა-პატრონობის ფუნქციების შესრულებისთვის;

ჰ[9]) (ამოღებულია - 22.12.2021, №1198);

ჰ[10]) ენერგეტიკული გაერთიანების მხარეები – ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების ხელშემკვრელი მხარეები, აგრეთვე ევროპის კავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები;

ჰ[11]) ენერგეტიკული ბაზარი – ელექტროენერგეტიკის ან/და ბუნებრივი გაზის ბაზარი;

ჰ[12]) ენერგეტიკული საწარმო – ელექტროენერგეტიკული ან/და ბუნებრივი გაზის საწარმო;

ჰ[13]) საბოლოო მომხმარებელი – მომხმარებელი, რომელიც ელექტროენერგიას ან/და ბუნებრივ გაზს საკუთარი მოხმარებისთვის ყიდულობს, ავტოგაზგასამართი სადგური, ელექტროტრანსპორტის დამტენი პუნქტი/სადგური;

ჰ[14]) ბაზისური სიმძლავრე – ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ან ბუნებრივი გაზის საცავის მოწყობილობის ან გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობის სიმძლავრე, რომელიც შესაბამისი სისტემის ოპერატორთან ხელშეკრულების საფუძველზე გარანტირებულია, როგორც უწყვეტი სიმძლავრე;

ჰ[15]) გარანტირებული სიმძლავრე – ელექტროენერგიის წარმოების მოწყობილობების სიმძლავრე, რომელიც დარეზერვებულია ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და საიმედოობის, მათ შორის, მიწოდებისა და მოთხოვნის ბალანსის, უზრუნველსაყოფად;

ჰ[16]) ჰორიზონტალურად ინტეგრირებული ელექტროენერგეტიკული საწარმო – ელექტროენერგეტიკული საწარმო, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის გაყიდვის მიზნით წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდების, ელექტროენერგიით ვაჭრობის ან ელექტროენერგიის ბაზრის ოპერირების ფუნქციებიდან სულ მცირე ერთს მაინც იმგვარად, რომ არ არის ვერტიკალურად ინტეგრირებული ელექტროენერგეტიკული საწარმო და ამავდროულად ახორციელებს სხვა ისეთ საქმიანობას, რომელიც არ უკავშირდება ელექტროენერგეტიკას;

ჰ[17]) ჰორიზონტალურად ინტეგრირებული ბუნებრივი გაზის საწარმო – ბუნებრივი გაზის საწარმო, რომელიც ასრულებს ბუნებრივი გაზის წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდებისა და შენახვის, ბუნებრივი გაზით ვაჭრობისა და ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერირების ფუნქციებიდან ერთ-ერთს მაინც ისე, რომ არ არის ვერტიკალურად ინტეგრირებული ბუნებრივი გაზის საწარმო, და რომელიც იმავდროულად ახორციელებს სხვა საქმიანობას, რომელიც ბუნებრივ გაზს არ უკავშირდება;

ჰ[18]) საყოფაცხოვრებო მომხმარებელი – საბოლოო მომხმარებელი, რომელიც ყიდულობს ელექტროენერგიას ან/და ბუნებრივ გაზს საკუთარი, საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის, რაც არ მოიცავს კომერციულ ან პროფესიულ საქმიანობას;

ჰ[19]) ურთიერთდაკავშირებული სისტემა – ერთმანეთთან ერთი ან ერთზე მეტი ურთიერთდამაკავშირებლით ფიზიკურად დაკავშირებული ელექტროენერგეტიკული ან ბუნებრივი გაზის სისტემები;

ჰ[20]) ურთიერთდამაკავშირებელი – ელექტროენერგიის გადამცემი ხაზი ან ბუნებრივი გაზის გადამცემი მილსადენი, რომელიც კვეთს საქართველოსა და სხვა ქვეყანას შორის არსებულ საზღვარს ან გადაჭიმულია მის გასწვრივ საქართველოს ელექტროენერგეტიკული ან ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის სხვა ქვეყნის შესატყვის გადამცემ სისტემასთან დაკავშირების მიზნით;

ჰ[21]) წყვეტადი სიმძლავრე – სიმძლავრე, რომელიც შეიძლება შეწყდეს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორის, ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის ან გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორის მიერ, იმავე სისტემის ოპერატორთან დადებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ჰ[22]) ელექტროენერგიის დღიური ბაზარი – ელექტროენერგიის ორგანიზებული საბითუმო ბაზარი (ბირჟა), სადაც ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება განგრძობადი ვაჭრობის გზით, დღით ადრე ბაზრის დახურვის შემდეგ წარმოქმნილი გარიგებების საფუძველზე;

ჰ[23]) მსხვილი მომხმარებელი – ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის საბოლოო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი, რომელსაც აქვს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე ან ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზარზე ვაჭრობის უფლება და რომლის კრიტერიუმებსა და სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს კომისია;

ჰ[24]) ლიცენზია – კომისიის მიერ გადაწყვეტილების საფუძველზე პირისთვის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული, ამ კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება;

ჰ[25]) ლიცენზიის მაძიებელი – პირი, რომელიც მიმართავს კომისიას ამ კანონით რეგულირებული სალიცენზიო საქმიანობისთვის ლიცენზიის გაცემის მოთხოვნით;

ჰ[26]) ლიცენზიატი – პირი, რომელიც ფლობს ამ კანონით რეგულირებული სალიცენზიო საქმიანობის ლიცენზიას;

ჰ[27]) ქსელის გაზი – ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემაში (გარდა იმ მოწყობილობებისა, რომლებიც დარეზერვებულია ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის, მისი ფუნქციების განსახორციელებლად) კომპრესირების გზით შენახული ბუნებრივი გაზი;

ჰ[28]) გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობა – ტერმინალი, რომელიც გამოიყენება ბუნებრივი გაზის გათხევადებისთვის ან გათხევადებული ბუნებრივი გაზის იმპორტისთვის, გადმოტვირთვისა და რეგაზიფიკაციისთვის. გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობა მოიცავს რეგაზიფიკაციის პროცესისა და ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემაში შემდგომი მიწოდებისთვის საჭირო დამხმარე მომსახურებასა და დროებით საცავს, გარდა გათხევადებული ბუნებრივი გაზის ტერმინალების იმ ნაწილისა, რომელიც ბუნებრივი გაზის შესანახად გამოიყენება;

ჰ[29]) გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობის სიმძლავრე – გათხევადებული ბუნებრივი გაზის ტერმინალში არსებული სიმძლავრე, რომელიც გამოიყენება ბუნებრივი გაზის გათხევადების ან გათხევადებული ბუნებრივი გაზის იმპორტისთვის, გადმოტვირთვისთვის, დამხმარე მომსახურების გაწევისთვის, დროებითი შენახვისა და რეგაზიფიკაციისთვის;

ჰ[30]) გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი – ბუნებრივი გაზის საწარმო, რომელიც ახორციელებს ბუნებრივი გაზის გათხევადებას ან გათხევადებული ბუნებრივი გაზის იმპორტს, გადმოტვირთვასა და რეგაზიფიკაციას და პასუხისმგებელია გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობის ოპერირებაზე;

ჰ[31]) მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური – საბოლოო მომხმარებლის ან საბოლოო მომხმარებელთა ჯგუფის მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული ელექტროენერგიის წარმოების ობიექტი, რომელიც იყენებს განახლებადი ენერგიის წყაროებს, უკავშირდება ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელს და რომლის დადგმული სიმძლავრე 100 კილოვატს არ აღემატება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომისიის მიერ უფრო მაღალი ზედა ზღვარია განსაზღვრული; ამასთანავე, ასეთ შემთხვევაშიც ზედა ზღვარი 500 კილოვატს არ უნდა აღემატებოდეს;

ჰ[32]) სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ჰ[33]) ბუნებრივი გაზის საბალანსო ბაზარი – ორგანიზებული ბაზარი ბუნებრივი გაზის სისტემის დასაბალანსებლად საჭირო ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვისთვის;

ჰ[34]) ბუნებრივი გაზის დერივატივი – ფინანსური საბაზრო ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება ბუნებრივი გაზის ბაზრის მონაწილეების ბუნებრივი გაზის საბაზრო ფასის შესაძლო რყევებისგან დასაცავად;

ჰ[35]) ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელი – ბუნებრივი გაზის ინფრასტრუქტურა, რომელიც მიწოდების პუნქტსა და მომხმარებელს აკავშირებს და რომლის საპროექტო წნევა ან/და მუშა წნევა 1.2 მეგაპასკალს არ აღემატება, აგრეთვე ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სისტემის მიწოდების ყველა პუნქტში არსებული აღრიცხვისა და რეგულირების სადგურები, ელექტრონული საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემები და სხვა ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელია ბუნებრივი გაზის განაწილებისთვის;

ჰ[36]) ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზარი – ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვისთვის ამ კანონით, ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციით, ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ორგანიზებული ბაზარი ან/და ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი;

ჰ[37]) ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორი – პირი, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს ბუნებრივი ბაზრის გარკვეული სეგმენტების ორგანიზებაზე, რაც განისაზღვრება ამ კანონისა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;

ჰ[38]) ბუნებრივი გაზის ბაზრის მონაწილე – ფიზიკური ან იურიდიული პირი, მათ შორის, სისტემის ოპერატორი, რომელიც უფლებამოსილია ბუნებრივი გაზის ბაზარზე ბუნებრივი გაზის ყიდვაზე ან/და გაყიდვაზე ამ კანონის, ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ჰ[39]) ბუნებრივი გაზის მწარმოებელი – ბუნებრივი გაზის საწარმო, რომელიც ახორციელებს ბუნებრივი გაზის წარმოების მოწყობილობის ოპერირებას და უფლებამოსილია ბუნებრივი გაზის გადამუშავებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ჰ[40]) ბუნებრივი გაზის საცავის სიმძლავრე – ბუნებრივი გაზის საცავის მოცულობის, საცავის მოწყობილობის ჩაჭირხვნის და მიწოდების სიმძლავრეების ნებისმიერი კომბინაცია;

ჰ[41]) ბუნებრივი გაზის საცავის მოწყობილობა – ბუნებრივი გაზის საწარმოს საკუთრებაში არსებული ან/და მის მიერ ოპერირებადი, ბუნებრივი გაზის მარაგების შესაქმნელად გამოყენებული მოწყობილობა, მათ შორის, გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობების ის ნაწილები, რომლებიც გამოიყენება ბუნებრივი გაზის შესანახად.

ბუნებრივი გაზის საცავის მოწყობილობად არ ჩაითვლება ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება ბუნებრივი გაზის წარმოების მიზნით, აგრეთვე ის მოწყობილობები, რომლებიც დარეზერვებულია ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის, მისი ფუნქციების შესასრულებლად;

ჰ[42]) ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი – ბუნებრივი გაზის საწარმო, რომელიც ახორციელებს ბუნებრივი გაზის შენახვის ფუნქციას და პასუხისმგებელია ბუნებრივი გაზის საცავის მოწყობილობის ოპერირებაზე;

ჰ[43]) ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი – ბუნებრივი გაზის საწარმო, რომელიც ახორციელებს ბუნებრივი გაზის მიწოდებას საბოლოო მომხმარებლებისთვის;

ჰ[44]) ბუნებრივი გაზის სისტემა – ბუნებრივი გაზის საწარმოს საკუთრებაში ან/და ოპერირებაში მყოფი ბუნებრივი გაზის გადამცემი ან/და გამანაწილებელი ქსელი ან/და ბუნებრივი გაზის საცავის ან/და გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობები, მათ შორის, ქსელის გაზის შენახვისთვის, აგრეთვე დამხმარე მომსახურების განმახორციელებელი მოწყობილობები და დაკავშირებული საწარმოების მოწყობილობები, რომლებიც საჭიროა ბუნებრივი გაზის გადაცემისთვის, განაწილებისა და შენახვისთვის, აგრეთვე გათხევადებულ ბუნებრივ გაზზე წვდომისთვის;

ჰ[45]) ბუნებრივი გაზის სასისტემო მომსახურება – ბუნებრივი გაზის სისტემების სათანადოდ ოპერირებისთვის საჭირო მომსახურება, მათ შორის, ბუნებრივი გაზის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების მართვა, მიწოდების აღდგენა, წნევის რეგულირება და კონტროლი;

ჰ[46]) ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელი – ინფრასტრუქტურა, რომლის საპროექტო წნევა 1.2 მეგაპასკალს აღემატება, აგრეთვე ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის მიწოდების ყველა პუნქტში არსებული საზომი და მარეგულირებელი სადგურები, ჩამკეტი კვანძები, საკომპრესორო სადგურები, ელექტრონული საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემები და სხვა ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელია ბუნებრივი გაზის გადაცემისა და ქსელის გაზის შენახვისთვის, გარდა „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებისა;

ჰ[47]) ბუნებრივი გაზის საწარმო – ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი (გარდა საბოლოო მომხმარებლისა), რომელიც ახორციელებს ბუნებრივი გაზის წარმოების, გადაცემის, განაწილების, მიწოდებისა და შენახვის საქმიანობებიდან ერთ-ერთს მაინც ან/და არის ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ან/და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მესაკუთრე ან/და ბუნებრივი გაზის დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, ვაჭრობს ბუნებრივი გაზით (მათ შორის, გათხევადებული ბუნებრივი გაზით) ან ახორციელებს ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერირებას ან ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირებას და პასუხისმგებელია აღნიშნულ საქმიანობებთან დაკავშირებული კომერციული, ტექნიკური ან/და მოვლა-პატრონობის ფუნქციების შესრულებისთვის;

ჰ[48]) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი – მომხმარებელი, რომელიც ელექტროენერგიას ან/და ბუნებრივ გაზს არასაყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის ყიდულობს;

ჰ[49]) ელექტროენერგეტიკული ქსელების საოპერაციო უსაფრთხოება – პროგნოზირებად გარემოებებში ელექტროენერგიის გადამცემი და შესაბამის შემთხვევებში გამანაწილებელი ქსელების უწყვეტი ოპერირება;

ჰ[50]) ელექტროენერგეტიკული სისტემის პარალელური ოპერირება – ორი ან ორზე მეტი ურთიერთდაკავშირებული მეზობელი ელექტროენერგეტიკული სისტემის ან მათი ნაწილების სინქრონული ან ასინქრონული ოპერირება ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებისთვის, განსაზღვრული პარამეტრებით;

ჰ[51]) მიწოდების პუნქტი – სისტემის განსაზღვრული პუნქტი, ურთიერთდაკავშირების პუნქტის ჩათვლით, რომელშიც შესაბამისი სისტემის ოპერატორი სისტემით მოსარგებლეს ან მომხმარებელს აწვდის ელექტროენერგიას ან ბუნებრივ გაზს, შემდგომი ტრანსპორტირებისთვის ან მოხმარებისთვის;

ჰ[52]) მიღების პუნქტი – სისტემის განსაზღვრული პუნქტი, ურთიერთდაკავშირების პუნქტის ჩათვლით, რომელშიც შესაბამისი სისტემის ოპერატორი მწარმოებლებისგან ან სხვა ურთიერთდაკავშირებული სისტემებისგან იღებს ელექტროენერგიას ან/და ბუნებრივ გაზს;

ჰ[53]) ბუნებრივი გაზის წარმოება – ბუნებრივი გაზის სისტემაში მიწოდებამდე ბუნებრივი გაზის მოპოვება, დამუშავება ან/და გადამუშავება მისი შემდგომი ტრანსპორტირების, შენახვის, ხელახალი გადამუშავების ან/და მოხმარების მიზნით;

ჰ[54]) დაცული მომხმარებელი – ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული საყოფაცხოვრებო მომხმარებელი ან მცირე საწარმო, ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელთან ან ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელთან მიერთებული ძირითადი სოციალური დანიშნულების დაწესებულება, ცენტრალური გათბობის დანადგარი, რომელიც არის ზემოაღნიშნული მომხმარებლების გათბობის წყარო და მიერთებულია ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელთან ან ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელთან, რომლის სხვა სახის საწვავზე გადართვა შეუძლებელია;

ჰ[55]) საჯარო მომსახურების ვალდებულება – საერთო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ენერგეტიკული საწარმოსთვის დაკისრებული ვალდებულება, გასწიოს მომსახურება, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს უსაფრთხოებასთან, მიწოდების უსაფრთხოების ჩათვლით, უწყვეტობასთან, ხარისხთან ან ფასთან, აგრეთვე გარემოს დაცვასთან. საჯარო მომსახურების ვალდებულება უნდა იყოს არადისკრიმინაციული და იმაზე მეტად არ უნდა ზღუდავდეს კონკურენციას, ვიდრე ეს აუცილებელია შესაბამისი საჯარო მომსახურების გასაწევად. ენერგეტიკული საწარმოს მიერ ამ კანონის შესაბამისად საჯარო მომსახურების გაწევა არ არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება;

ჰ[56]) დაკავშირებული საწარმო – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აფილირებული ან/და ურთიერთდამოკიდებული პირები;

ჰ[57]) რეგულირებული საწარმო – ყველა სახის ენერგეტიკული საწარმო, აგრეთვე წყალმომარაგების ლიცენზიატი, რომლის საქმიანობაც რეგულირდება ამ კანონის მიხედვით და ექვემდებარება კომისიის მარეგულირებელ კომპეტენციას;

ჰ[58]) განახლებადი ენერგიის წყაროები – განახლებადი არაწიაღისეული ენერგიის წყაროები (ქარი, მზე, გეოთერმული ენერგია, ტალღები, ზღვის მიქცევა-მოქცევა, ჰიდროენერგია, ბიომასა, ნარჩენების გადამუშავებით მიღებული გაზი, წყალარინების გამწმენდი სადგურების გაზი და ბიოგაზი);

ჰ[59]) მიწოდების უსაფრთხოება – ელექტროენერგეტიკული/ბუნებრივი გაზის სისტემის უნარი, მიაწოდოს ელექტროენერგია/ბუნებრივი გაზი საბოლოო მომხმარებელს ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით;

ჰ[60]) მცირე საწარმო – ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის საბოლოო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი (გარდა ავტოგაზგასამართი სადგურისა და ელექტროტრანსპორტის დამტენი პუნქტისა/სადგურისა), რომლის დასაქმებულთა რიცხვი, წლიური ბრუნვა, ბუღალტრული ბალანსი ან/და სხვა მაჩვენებელი არ აღემატება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ მაჩვენებელს. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ამ კანონის მიზნებისთვის მცირე საწარმოს კატეგორიას შესაძლებელია მიეკუთვნოს აგრეთვე საბიუჯეტო ორგანიზაცია იმავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან შესაბამისობის შემთხვევაში;

ჰ[61]) ბუნებრივი გაზის შენახვა – შესაბამისი სისტემის ოპერატორის მიერ ბუნებრივი გაზის საცავის მოწყობილობაში ან გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობაში ბუნებრივი გაზის შენახვა, სისტემით მოსარგებლეებისთვის აღნიშნულთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის ჩათვლით;

ჰ[62]) მიწოდება – საბოლოო მომხმარებელზე ელექტროენერგიის/ბუნებრივი გაზის, მათ შორის, გათხევადებული ბუნებრივი გაზის გაყიდვა;

ჰ[63]) მიწოდების ხელშეკრულება – ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის, მათ შორის, გათხევადებული ბუნებრივი გაზის, მიწოდების ხელშეკრულება;

ჰ[64]) ბოლო ალტერნატივის მიწოდება – მიწოდება საჯარო მომსახურების გაწევის სახით, შეზღუდული ვადითა და რეგულირებული პირობებით, იმ საბოლოო მომხმარებლებისთვის, რომლებმაც, გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ აირჩიეს ან დაკარგეს ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი;

ჰ[65]) სისტემა – ელექტროენერგეტიკული ან/და ბუნებრივი გაზის სისტემა;

ჰ[66]) სისტემის ოპერატორი – ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორი, ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორი, ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი, გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი;

ჰ[67]) სისტემით მოსარგებლე – სისტემის მომსახურებით მოსარგებლე ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

ჰ[68]) „მიიღე ან გადაიხადე“ ხელშეკრულება – ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც ავალდებულებს მყიდველს, გადაიხადოს სახელშეკრულებო სიმძლავრის სრული მოცულობის ან ხელშეკრულებით დადგენილი ნაწილის შესაბამისი ღირებულება, რეალური მოხმარების მიუხედავად;

ჰ[69]) ტარიფი – კომისიის მიერ ამ კანონით განსაზღვრული წესით დადგენილი საქონლისა და მომსახურების ფასი;

ჰ[70]) სატარიფო მეთოდოლოგია – იმ წესების, მეთოდებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრული და მიღებულია კომისიის მიერ და რომლებიც გამოიყენება ტარიფების ან/და საფასურების დასადგენად;

ჰ[71]) ტექნიკური სიმძლავრე – მაქსიმალური ბაზისური სიმძლავრე, რომლის შეთავაზება სისტემით მოსარგებლეებისთვის შეუძლია ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორს, ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორს ან გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორს, ბუნებრივი გაზის სისტემის ერთიანობისა და შესაბამისი სისტემის საოპერაციო მოთხოვნების გათვალისწინებით;

ჰ[72]) მესამე ქვეყანა – ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც არ არის ენერგეტიკული გაერთიანების მხარე ან ევროპის ეკონომიკური სივრცის წევრი;

ჰ[73]) მესამე პირის დაშვება – ნებისმიერი პირის სისტემაზე დაშვებისა და სარგებლობის უფლება განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად;

ჰ[74]) ვაჭრობა – ელექტროენერგიის/ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვა საქართველოს ტერიტორიაზე ან საქართველოს ტერიტორიის ფარგლების გარეთ გადაყიდვის მიზნით;

ჰ[75]) ტრეიდერი – პირი, რომელიც შესაბამისი ბაზრის წესებით დადგენილი წესით საბითუმო ბაზარზე ვაჭრობს ელექტროენერგიით ან/და ბუნებრივი გაზით, გარდა სისტემის ოპერატორისა;

ჰ[76]) ელექტროენერგიის გადაცემა – ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის მეშვეობით ელექტროენერგიის ტრანსპორტირება მიღების პუნქტიდან მიწოდების პუნქტებამდე ელექტროენერგიის მიწოდების უზრუნველსაყოფად;

ჰ[77]) ბუნებრივი გაზის გადაცემა – ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მეშვეობით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება მიწოდების პუნქტებამდე ბუნებრივი გაზის მიწოდების უზრუნველსაყოფად;

ჰ[78]) გადამცემი სისტემის ოპერატორი:

ჰ[78].ა) ელექტროენერგეტიკის სექტორში – ელექტროენერგიის გადაცემის საქმიანობის განმახორციელებელი ელექტროენერგეტიკული საწარმო – ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამის არეალში ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერირებაზე, მოვლა-პატრონობასა და განვითარებაზე, აგრეთვე ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის სხვა სისტემებთან ურთიერთდაკავშირებაზე, სადაც შესაძლებელია, და ელექტროენერგიის გადაცემასთან დაკავშირებული გონივრული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით სისტემის გრძელვადიანი შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე;

ჰ[78].ბ) ბუნებრივი გაზის სექტორში – ბუნებრივი გაზის გადაცემის საქმიანობის განმახორციელებელი ბუნებრივი გაზის საწარმო – ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამის არეალში ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერირებაზე, მოვლა-პატრონობასა და განვითარებაზე, აგრეთვე ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის სხვა სისტემებთან ურთიერთდაკავშირებაზე, სადაც შესაძლებელია, და ბუნებრივი გაზის გადაცემასთან დაკავშირებული გონივრული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით სისტემის გრძელვადიანი შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე;

ჰ[79]) გადამცემი სისტემის მესაკუთრე – საწარმო, რომელიც არის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის მესაკუთრე, მაგრამ არ არის გადამცემი სისტემის ოპერატორი;

ჰ[80]) უნივერსალური მომსახურება – ელექტროენერგიის მიწოდება საჯარო მომსახურების გაწევის სახით, რეგულირებული პირობებით, საყოფაცხოვრებო მომხმარებლისა და მცირე საწარმოსთვის, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიიღონ ეს მომსახურება ასეთი პირობებით, თავიანთი არჩევანით ან ავტომატურ რეჟიმში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ჰ[81]) გამოუყენებელი სიმძლავრე – ბაზისური სიმძლავრე, რომელიც სისტემით მოსარგებლემ მოიპოვა ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორთან, ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორთან ან გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე და რომლის

გამოყენებაზედაც წინასწარი შეტყობინება არ განახორციელა ქსელის წესებით განსაზღვრულ ვადაში;

ჯ[82]) ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმო:

ჯ[82].ა) ელექტროენერგეტიკის სექტორში – ვერტიკალურად ინტეგრირებული ელექტროენერგეტიკული საწარმო – ერთი მხრივ, ელექტროენერგიის გადაცემის ან/და განაწილების სულ ცოტა ერთი ფუნქციის და, ამავდროულად, მეორე მხრივ, ელექტროენერგიის წარმოების ან/და მიწოდების სულ ცოტა ერთი ფუნქციის განმახორციელებელი ელექტროენერგეტიკული საწარმო ან ელექტროენერგეტიკულ საწარმოთა ჯგუფი, რომელთა პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლზე უფლებამოსილია/უფლებამოსილი არიან ერთი და იგივე პირი/პირები;

ჯ[82].ბ) ბუნებრივი გაზის სექტორში – ვერტიკალურად ინტეგრირებული ბუნებრივი გაზის საწარმო – ერთი მხრივ, ბუნებრივი გაზის გადაცემის, განაწილების ან/და შენახვის სულ ცოტა ერთი ფუნქციის ან/და გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობის ოპერირების და, ამავდროულად, მეორე მხრივ, ბუნებრივი გაზის წარმოების ან/და მიწოდების სულ ცოტა ერთი ფუნქციის განმახორციელებელი ბუნებრივი გაზის საწარმო ან ბუნებრივი გაზის საწარმოთა ჯგუფი, რომელთა პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლზე უფლებამოსილია/უფლებამოსილი არიან ერთი და იგივე პირი/პირები;

ჯ[83]) მოწყვლადი მომხმარებელი – საყოფაცხოვრებო მომხმარებელი, რომელსაც მისი სტატუსისა თუ მდგომარეობის გამო, საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული აქვს სისტემით სარგებლობის ან/და ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის მიღების ან/და წყალმომარაგებით სარგებლობის უფლება შეღავათიანი პირობებით;

ჯ[84]) მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური – ელექტროსადგური, რომლის საპროექტო სიმძლავრე არ აღემატება 15 მეგავატს;

ჯ[85]) წყალმომარაგების სისტემა – სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემა ან/და წყალარინების სისტემა;

ჯ[86]) სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემა – წყლის მიღების, ტრანსპორტირებისა და განაწილების ქსელის (მილსადენი, რეზერვუარი, ღია და დახურული არხები, საჭიროების შემთხვევაში, სატუმბი სადგური და სხვა) ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება წყლის მომხმარებლისთვის სასმელი წყლის მისაწოდებლად;

ჯ[87]) წყალარინების სისტემა – წყალარინების ქსელების, როგორც მიწისქვეშა, ისე მიწისზედა უდაწნეო ან/და სადაწნეო მილსადენების, გვირაბების, სპეციალური შენობა-ნაგებობების (გამწმენდი ნაგებობა, სატუმბი სადგური და სხვა) და მოწყობილობა-დანადგარების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლებისგან ჩამდინარე წყლების მიღებას, გატარებას და დასაშვებ ნორმამდე გაწმენდას;

ჰ[88]) სასმელი წყალი – სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული შესაბამისი ხარისხის წყალი;

ჰ[89]) სასმელი წყლის ხარჯვის ნორმა – სასმელი წყლის ტარიფის გაანგარიშებისას კომისიის მიერ თითოეული წყალმომარაგების ლიცენზიატისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული ერთ სულ მოსახლეზე სასმელი წყლის ნორმა, რომელიც აისახება წყალმომარაგების ტარიფში;

ჰ[90]) ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმა – ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრატორის მიერ ორგანიზებული პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვა ბაზრის მონაწილეებს შორის ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე, ბაზრის წესების შესაბამისად;

ჰ[91]) დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი – ელექტროენერგიის დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ან/და ბუნებრივი გაზის დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი;

ჰ[92]) ელექტროენერგიის ორგანიზებული ბაზარი – ელექტროენერგიის სტანდარტიზებული პროდუქტებისა და დამხმარე მომსახურების ყიდვა- გაყიდვისთვის ელექტროენერგიის ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ოპერატორის მიერ ორგანიზებული ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, მათ შორის, ელექტროენერგიის დღით ადრე ბაზარი, ელექტროენერგიის დღიური ბაზარი ან/და ელექტროენერგიის საბალანსო ბაზარი;

ჰ[93]) ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი – ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, სადაც ელექტროენერგიისა და დამხმარე მომსახურების ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება ბაზრის მონაწილეებს შორის პირდაპირი მოლაპარაკების გზით, ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე ან ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის მეშვეობით;

ჰ[94]) ბუნებრივი გაზის ორგანიზებული ბაზარი – ბუნებრივი გაზის ყიდვა- გაყიდვისთვის ბუნებრივი გაზის ბაზრის შესაბამისი სეგმენტის ოპერატორის მიერ ორგანიზებული ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზარი;

ჰ[95]) ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი – ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზარი, სადაც ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება ბაზრის მონაწილეებს შორის პირდაპირი მოლაპარაკების გზით, ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე ან ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის მეშვეობით.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.
საქართველოს 2023 წლის 29 ნოემბრის კანონი №3763 – ვებგვერდი, 11.12.2023 წ.

მუხლი 4. ტერმინთა გამოყენება

ამ კანონით განსაზღვრული ყველა ზოგადი ტერმინი განმარტებული და გამოყენებული უნდა იქნეს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა სექტორის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი დებულების კონტექსტი ცალსახად მიანიშნებს მის გამოყენებაზე მხოლოდ კონკრეტული სექტორის ან მასთან დაკავშირებული ურთიერთობის მიმართ.

კარი II. ენერგეტიკული და წყალმომარაგების საქმიანობა

თავი III. ენერგეტიკული საქმიანობის რეგულირება

მუხლი 5. ენერგეტიკული საქმიანობის მარეგულირებელი ზოგადი პრინციპები

1. ენერგეტიკული საქმიანობის ორგანიზების, რეგულირებისა და მონიტორინგის ძირითადი პრინციპებია:

ა) ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის სისტემების ოპერირებისა და დაკავშირებული მომსახურების გაწევის უსაფრთხოება და საიმედოობა;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები და საქმიანობის განმახორციელებელი მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის უსაფრთხო მიწოდება;

გ) ამ კანონით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ელექტროენერგეტიკულ და ბუნებრივი გაზის სისტემებზე შეუზღუდავი დაშვება და მიმწოდებლის შეცვლის უფლების ეფექტიანი განხორციელება;

დ) ყველა სახის ენერგეტიკულ საქმიანობაში კონკურენციის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობისა და სამართლებრივი განსაზღვრულობის უზრუნველყოფა, მიუხედავად იმისა, ასეთი საქმიანობა ხორციელდება საჯარო მომსახურების ვალდებულების თუ საბაზრო საქმიანობის სახით;

ე) გადაცემისა და განაწილების საქმიანობის დამოუკიდებლობა სხვა ენერგეტიკული საქმიანობისა და მათთან დაკავშირებული კომერციული ინტერესებისგან, აგრეთვე ინტერესთა კონფლიქტისა და ჯვარედინი სუბსიდირების წინაპირობების გამორიცხვა;

ვ) ენერგეტიკული საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და მდგრადი განვითარებასაქართველოს გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად, აგრეთვე გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირება;

ზ) სისტემის ოპერირებისას „ჭკვიანი“ და გარემოსთვის უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა;

თ) ურთიერთდამაკავშირებლების სიმძლავრეების ეფექტიანი გამოყენების, ენერგეტიკულ ბაზრებზე დივერსიფიკაციისა და კონკურენციის გაზრდის მიზნით ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ტრანსსასაზღვრო გადადინების ხელშეწყობა, სიმძლავრის

განაწილებისა და გადატვირთვის მართვის მკაფიოდ განსაზღვრული, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული ინსტრუმენტების შესაბამისად;

ი) ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ბაზრების მონაწილეებისა და საბოლოო მომხმარებლების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;

კ) საქართველოში მცხოვრები და საქმიანობის განმახორციელებელი მომხმარებლების სასარგებლოდ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2. ენერგეტიკული საქმიანობის მარეგულირებელი ანმასთან დაკავშირებულისამართლებრივი აქტები უნდა იქნეს განმარტებული და დანერგილი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით.

მუხლი 6. კომპეტენტური ორგანოები

1. საქართველოს მთავრობა, სამინისტრო და სხვა სახელმწიფო უწყებები ენერგეტიკული საქმიანობის მართვასთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებენ ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სპეციალური კომპეტენციის ფარგლებში.

2. კომისია, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული სფეროს ერთადერთი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო, იქმნება და მოქმედებს ამ კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

3.ამ კანონით გათვალისწინებული სფეროს ობიექტების მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი და ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი უწყებები განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით.

4. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორებში მარეგულირებელი და ადმინისტრაციული პრაქტიკის ჰარმონიზების მიზნით ამ მუხლით გათვალისწინებული კომპეტენტური ორგანოები უზრუნველყოფენ მჭიდრო თანამშრომლობას ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე.

მუხლი 7. სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა

1. სამინისტრო საქართველოს მთავრობასთან, კომისიასთან და სხვა შესაბამის მხარეებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს სახელმწიფოს ენერგეტიკულ პოლიტიკას სულ მცირე 10-წლიანი პერიოდისთვის და საქართველოს პარლამენტის მიერ სათანადო წესით დამტკიცებისა და გამოქვეყნების შემდეგ უზრუნველყოფს მის განხორციელებას.

2. სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკით გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

ა) მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი პერიოდებისთვის შემუშავებული სტრატეგია და პრიორიტეტები ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებისთვის, მათ შორის, ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის (მათ შორის, ტრანსსასაზღვრო გადაცემის) და განაწილების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის წარმოების, გადაცემის (მათ შორის, ტრანსსასაზღვრო გადაცემის), განაწილების, შენახვის და გათხევადებულ ბუნებრივ გაზთან დაკავშირებული საქმიანობის სტრატეგიული განვითარება;

ბ) ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები და საქმიანობის განმახორციელებელი მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის უსაფრთხო და საიმედო მიწოდებას;

გ) ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები და საქმიანობის განმახორციელებელი მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ფიზიკურ და ფინანსურ ხელმისაწვდომობას, ენერგეტიკული სიღარიბის ეტაპობრივ დაძლევას;

დ) ენერგეტიკული სექტორისა და ენერგეტიკული საქმიანობის განვითარების გზით მიწოდებისა და მოთხოვნის გრძელვადიანი დაბალანსების დაგეგმვა, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მოხმარების ტენდენციების გათვალისწინებით;

ე) ელექტროენერგიის წარმოებისთვის გამოყენებული პირველადი ენერგიის წყაროების, აგრეთვე ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის იმპორტის წყაროების, მარშრუტებისა და მიმწოდებლების დივერსიფიკაციის მექანიზმები;

ვ) ეკონომიკურად ეფექტიან და მდგრად პირობებში საქართველოდან ელექტროენერგიის ექსპორტის შესაძლებლობების გაზრდის ან გაუმჯობესების საშუალებები;

ზ) ზომები, რომელთა მიზანია განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება ასეთი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების მიზნით, ისევე, როგორც ნებისმიერი წამახალისებელი ზომა ან მხარდამჭერი მექანიზმი, რომელიც გამოიყენება განახლებადი ენერგიის წყაროების წასახალისებლად;

თ) ზომები, მათ შორის, მათთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც ელექტროენერგიისა და სითბოს კომბინირებული წარმოების ხელშეწყობას ისახავს მიზნად;

ი) ენერგეტიკული საქმიანობის, აგრეთვე ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მოხმარების ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებები;

კ) ენერგეტიკული საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების, აგრეთვე მათი მდგრადი განვითარების საკითხები საქართველოს გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად;

ლ) ენერგეტიკული სექტორის ყველა მონაწილის, მათ შორის, მოწყვლადი მომხმარებლების, უფლებებისა და ინტერესების დაცვის ღონისძიებები;

მ) ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემისა და განაწილების ინფრასტრუქტურაში, ბუნებრივი გაზის გადაცემისა და განაწილების ინფრასტრუქტურაში, აგრეთვე შესაბამის შემთხვევებში – ბუნებრივი გაზის წარმოების, შენახვისა და გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობებში ინვესტიციების წახალისებისა და მოზიდვის ღონისძიებები, მათ შორის, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში ინოვაციური, გარემოსთვის უსაფრთხო და „ჭკვიანი“ ტექნოლოგიების დანერგვა;

ნ) ენერგეტიკულ საქმიანობაში კონკურენციის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობისა და სამართლებრივი სიცხადის ხელშემწყობი ზომები;

ო) ენერგეტიკის სფეროში სამეცნიერო კვლევისა და განათლების ხელშემწყობი ღონისძიებები, მათ შორის, სახელმწიფო სუბსიდირება და კერძო ინვესტიციების მოზიდვა;

პ) საქართველოს ენერგეტიკული სექტორის ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სხვა ანალიზები, პროგნოზები, მოსაზრებები და რეკომენდაციები.

3. სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს ქვეყანაში გამოყენებულ ყველა ენერგეტიკულ რესურსს და მოიცავდეს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ, ინტეგრირებულ გეგმას, რომელიც მიმართული იქნება ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და სოლიდარულობის, ენერგეტიკული ბაზრების, სათბურის გაზების ემისიების შემცირების, ენერგეტიკული სექტორის ინოვაციურობის, კონკურენტუნარიანობისა და ენერგიაზე მოთხოვნის მართვისკენ. ეროვნული გეგმა უნდა ითვალისწინებდეს თითოეული მიმართულების მიზნებს და აღწერდეს თითოეული მიზნის მისაღწევად აუცილებელ პოლიტიკას და მის განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს. ეროვნული გეგმა მტკიცდება სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის ან მისი დანართის სახით. ეროვნული გეგმა უნდა მომზადდეს და წარედგინოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს, ენერგეტიკული გაერთიანების მინისტრთა საბჭოს რეკომენდაციისა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ გამოცემული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

თავი IV. ენერგეტიკული საქმიანობის ორგანიზება

მუხლი 8. ენერგეტიკული საქმიანობა

1. ამ კანონის მიზნებისთვის ენერგეტიკულ საქმიანობად ითვლება:

ა) ელექტროენერგეტიკული საქმიანობა:

ა.ა) ელექტროენერგიის წარმოება;

ა.ბ) ელექტროენერგიის გადაცემა;

ა.გ) ელექტროენერგიის განაწილება;

ა.დ) ელექტროენერგიის მიწოდება;

ა.ე) ელექტროენერგიით ვაჭრობა;

ა.ვ) ელექტროენერგიის ბაზრის ოპერირება;

ა.ზ) ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირება;

ა.თ) ელექტროენერგიის დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერირება;

ბ) ბუნებრივი გაზის საქმიანობა:

ბ.ა) ბუნებრივი გაზის წარმოება;

ბ.ბ) ბუნებრივი გაზის გადაცემა;

ბ.გ) ბუნებრივი გაზის განაწილება;

ბ.დ) ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერირება;

ბ.ე) გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობების ოპერირება;

ბ.ვ) ბუნებრივი გაზის მიწოდება;

ბ.ზ)ბუნებრივი გაზით ვაჭრობა;

ბ.თ) ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერირება;

ბ.ი) ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირება;

ბ.კ) ბუნებრივი გაზის დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერირება.

2. ელექტროენერგიის წარმოება გადამცემი ან/და გამანაწილებელი ქსელის გამოყენების გარეშე სრული რაოდენობის პირადი მოხმარების მიზნით არ რეგულირდება ამ კანონით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი მწარმოებელი აპირებს ჭარბი ელექტროენერგიის სხვა ელექტროენერგეტიკული საწარმოსთვის ან მომხმარებლისთვის მიყიდვას.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 9. საჯარო მომსახურება

1. საერთო ეკონომიკური ინტერესიდანგამომდინარე, მიწოდების უსაფრთხოების, უწყვეტობის, სათანადო ხარისხისა და ფასის, აგრეთვე გარემოს დაცვის, ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და

კლიმატის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ენერგეტიკულ საწარმოს შესაძლოა დაეკისროს საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება.

2. ენერგეტიკულ საწარმოს საჯარო მომსახურების ვალდებულებას აკისრებს საქართველოს მთავრობა სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებთან, კომისიასთან და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან კონსულტაციის შემდეგ.

3. საჯარო მომსახურების ვალდებულება არის დროებითი ღონისძიება, რომელიც უნდა დაექვემდებაროს რეგულარულ გადახედვას მისი საჭიროებისა და ზემოქმედების შედეგების განსაზღვრის მიზნით.

4. საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება, გარდა ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურებისა, შესაძლოა დაეკისროს ნებისმიერ ენერგეტიკულ საწარმოს, თუ ეს აუცილებელია ამ კანონით დადგენილი მიზნების მისაღწევად. საჯარო მომსახურების ვალდებულების დაკისრება და შესრულება უნდა იყოს გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და ადვილად გადამოწმებადი. იგი უნდა იყოს პროპორციული, არ უნდა ზღუდავდეს კონკურენციას ენერგეტიკულ ბაზრებზე იმაზე მეტად, ვიდრე აუცილებელია ამ საჯარო მომსახურების მიზნების მისაღწევად, და უნდა უზრუნველყოფდეს ენერგეტიკული გაერთიანების მხარეების ენერგეტიკული საწარმოების თანაბარ წვდომას საქართველოში საბოლოო მომხმარებლებზე.

5. ენერგეტიკული საწარმოსთვის საჯარო მომსახურების ვალდებულების დაკისრებისას საქართველოს მთავრობა ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად განსაზღვრავს ასეთი მომსახურების მიმღებ პირებს ან პირთა ჯგუფს.

6. საჯარო მომსახურების ვალდებულების შესრულების მიზნით ენერგეტიკული საწარმოსთვის ფინანსური ან სხვა სახის კომპენსაციის ან ნებისმიერი ექსკლუზიური უფლების მინიჭება უნდა განხორციელდეს გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული გზით, ამასთანავე, სახელმწიფოს მიერ გაცემული ამგვარი სარგებელი არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი საჯარო მომსახურების ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მიღებული შემოსავლისა და გონივრული მოგების გათვალისწინებით. კომისია უფლებამოსილია დაადგინოს ტარიფი საჯარო მომსახურების ვალდებულების შესრულებისთვის.

7. ამ კანონის შესაბამისად საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით შეთავაზებული ყველა ზომა უნდა შეფასდეს ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში დასაბუთდეს კონკურენციის ან/და სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

8. საჯარო მომსახურების განმახორციელებელმა ენერგეტიკულმა საწარმოებმა, სათანადო ენერგეტიკული საქმიანობისთვის ამ კანონით განსაზღვრულ სპეციფიკურ ფარგლებში და დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, უნდა უზრუნველყონ:

ა) მიწოდების უსაფრთხოება;

ბ) ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდება წინასწარ განსაზღვრული ან/და შეთანხმებული ხარისხით;

გ) განსაზღვრულ შემთხვევებში, რეგულირებული პირობების შესაბამისად დადგენილი ტარიფების ან საფასურების გამოყენება;

დ) გარემოს დაცვისა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება;

ე) ადამიანის ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრების დაცვა;

ვ) მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

9. ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს უნდა ეცნობოს ყველა ისეთი ღონისძიებისთაობაზე, რომლის მიზანია ახალი საჯარო მომსახურების ვალდებულების დაკისრება ან არსებულის ცვლილება, მათ შორის, მომხმარებელთა დაცვასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, და წარედგინოს ეროვნულ და საერთაშორისო კონკურენციაზე მათი შესაძლო ზეგავლენის შეფასება. ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს ასევე უნდა ეცნობოს ასეთ ზომებსა და ღონისძიებებში შემდგომ განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული ინფორმაციის მომზადებასა და მიწოდებას უზრუნველყოფს სამინისტრო კომისიასთან თანამშრომლობით.

11. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარო მომსახურების დაკისრების პირობები და პროცედურები არ ვრცელდება ისეთ ენერგეტიკულ საქმიანობაზე, რომელიც ამ კანონისა და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ხორციელდება საჯარო მომსახურების სახით:

ა) ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის გადაცემა – გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ;

ბ) ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის განაწილება – გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ.

მუხლი 10. საბაზრო საქმიანობა

1. ენერგეტიკული საქმიანობა, რომელიც ამ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად არ არის მიჩნეული ან დაკისრებული, როგორც საჯარო მომსახურება, ხორციელდება საბაზრო საქმიანობის სახით, შესაბამისი საქმიანობის მარეგულირებელი წესების თანახმად, ხოლო ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ან/და დაკავშირებული მომსახურების რაოდენობა და ფასი, აგრეთვე სხვა კომერციული პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით ან/და

ორგანიზებულ ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ბაზრებზე ფასის პირდაპირი შეთავაზების გზით.

2. საბაზრო საქმიანობის ორგანიზება და განხორციელება უნდა შეესაბამებოდეს საბოლოო მომხმარებლის საჭიროებებს და მიზნად უნდა ისახავდეს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიან მიწოდებას სამართლიანი კონკურენციისა და ენერგეტიკული საწარმოების სამართლებრივი თანასწორობის პრინციპების დაცვით.

თავი V. ენერგეტიკული და წყალმომარაგების საქმიანობისავტორიზაცია

მუხლი 11. ენერგეტიკული და წყალმომარაგების საქმიანობის სავალდებულო ავტორიზაცია

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, კომისია ლიცენზიებს გასცემს შემდეგ საქმიანობაზე:

ა) ელექტროენერგეტიკის სექტორში:

ა.ა) ელექტროენერგიის წარმოება, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ა.ბ) ელექტროენერგიის გადაცემა;

ა.გ) ელექტროენერგიის განაწილება;

ა.დ) ელექტროენერგიის ბაზრის ოპერირება;

ბ) ბუნებრივი გაზის სექტორში:

ბ.ა) ბუნებრივი გაზის გადაცემა;

ბ.ბ) ბუნებრივი გაზის განაწილება;

ბ.გ) ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერირება;

ბ.დ) გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობების ოპერირება;

ბ.ე) ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერირება;

გ) წყალმომარაგება.

2. აკრძალულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება კომისიის მიერ გაცემული მოქმედი ლიცენზიის გარეშე, რომელიც საწარმოს უფლებას ანიჭებს, განახორციელოს შესაბამისი საქმიანობა.

3. ლიცენზირებას არ საჭიროებს:

ა) პირის მიერ ელექტროენერგიის წარმოება მხოლოდ საკუთარი (საყოფაცხოვრებო ან/და არასაყოფაცხოვრებო) მოხმარებისთვის, როდესაც ელექტროენერგიის როგორც წარმოების, ისე მოხმარების ობიექტი მიერთებული არ არის ელექტროენერგიის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელთან;

ბ) ელექტროენერგიის წარმოება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დროს ამ კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად;

გ) ელექტროენერგიის წარმოება მცირე და მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურებით;

დ) დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, რომელსაც, ამ კანონის 82-ე მუხლის შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის სტატუსი.

4. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური ან ენერგეტიკული საწარმო, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდების, ელექტროენერგიით ან ბუნებრივი გაზით ვაჭრობის ან ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირების საქმიანობას, რომელიც ლიცენზიას არ საჭიროებს, ან რომელიც აპირებს აღნიშნული საქმიანობის განხორციელებას, ვალდებულია განაცხადოს ამის თაობაზე ამ კანონის 102-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 12. სალიცენზიო პირობები

1. კომისია ლიცენზიას გასცემს იმ საწარმოზე, რომელიც აკმაყოფილებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კანონითა და კომისიის მიერ დამტკიცებული ლიცენზირების წესებით დადგენილ პირობებს.

2. ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მეშვეობით დაასაბუთოს საწარმოს შემდეგი შესაძლებლობები:

ა) ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური და ოპერატიული (ადამიანური რესურსები) შესაძლებლობები, რომლებიც აუცილებელია ლიცენზირებად საქმიანობასთან დაკავშირებული, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად;

ბ) გასაწევი მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭირო ყველა ზომის მიღების შესაძლებლობა;

გ) შესაბამისი საქმიანობისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებების სათანადოდ შესრულების შესაძლებლობა.

3. ენერგეტიკული საქმიანობის სფეროში ლიცენზიის მაძიებელმა შესაბამის შემთხვევებში ასევე უნდა დაასაბუთოს მის მიერ ამ კანონის მე-9 მუხლით განსაზღვრული საჯარო მომსახურების ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით, აგრეთვე შესაბამის შემთხვევებში – მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შესაძლებლობების არსებობა სავალდებულო სალიცენზიო პირობებია. თუ ლიცენზიის მაძიებელი ვერ შეძლებს აღნიშნული პირობების სათანადოდ შესრულების შესაძლებლობის დამტკიცებას, კომისია არ გასცემს ლიცენზიას.

5. ლიცენზიატი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო პირობების სათანადოდ შესრულება ლიცენზიის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში. კომისია უფლებამოსილია ლიცენზირებად საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებისას მოსთხოვოს ლიცენზიატს აღნიშნული სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა ჩაითვლება სალიცენზიო პირობების დარღვევად და გამოიწვევს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

მუხლი 13. ლიცენზიების გაცემა

1. საქმიანობის ლიცენზია გაიცემა გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლებრივად დასაბუთებული და არადისკრიმინაციული გზით, ამ კანონით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით და კომისიის მიერ დამტკიცებული ლიცენზირების წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების გარდა, ენერგეტიკული საქმიანობის ან წყალმომარაგების საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელმა კომისიას სალიცენზიო განაცხადთან ერთად უნდა წარუდგინოს:

ა) კონკრეტული ენერგეტიკული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ელექტროენერგეტიკული ან ბუნებრივი გაზის მოწყობილობების ან წყალმომარაგების საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო საშუალებების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან ასეთი მოწყობილობებით ან საშუალებებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის მაძიებელს მოსთხოვოს დროებითი მფლობელობის უფლების კომისიის მიერ განსაზღვრული მინიმალური ვადით გახანგრძლივება;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ენერგეტიკული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ელექტროენერგეტიკული ან ბუნებრივი გაზის მოწყობილობებისთვის – მათი ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუ აღნიშნული დოკუმენტების მოპოვება სავალდებულოა საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით, ან/და ასეთი მოწყობილობების მდგომარეობის ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებულ ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული წყალმომარაგების საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო საშუალებებისთვის – მათი საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან/სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ბ.ა) სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემებისთვის – მათში სასმელი წყლის მოპოვებასა და დამუშავებაში მონაწილე ყველა ხილვადი შენობა-ნაგებობის (სათავე ნაგებობა, გამწმენდი ნაგებობა, საქლორატორო) ან/და მოწყობილობა-დანადგარის მდგომარეობის ტექნიკურ რეგლამენტებთან/სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე;

ბ.ბ) სასმელი წყლის წყალმომარაგების მილსადენებისთვის – მათი მდგომარეობის გათვალისწინებით, მომხმარებლებისთვის სასმელი წყლის უსაფრთხო (სასმელი წყლის ხარისხი), უწყვეტი (სასმელი წყლით 24-საათიანი მომარაგება) და საიმედო მიწოდების შესაძლებლობის თაობაზე;

ბ.გ) წყალარინების სისტემებისთვის – ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მდგომარეობის ტექნიკურ რეგლამენტებთან/სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე;

გ) კონკრეტული ენერგეტიკული საქმიანობის ან წყალმომარაგების საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო საშუალებების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ენერგეტიკული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში – აგრეთვე ბაზრის მონაწილეებისთვის დაკავშირებული მომსახურების გასაწევად საჭირო საშუალებების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან ასეთი საშუალებებით ან/და დაკავშირებული საოპერაციო ან მოვლა-პატრონობის მომსახურებით მესამე პირების მეშვეობით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. წყალმომარაგების საქმიანობის ლიცენზიის მაძიებლის მიერ ამ პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებში მითითებული წყალმომარაგების საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო საშუალებებით მესამე პირების მეშვეობით სარგებლობის შემთხვევაში მესამე პირი უნდა იყოს წყალმომარაგების ლიცენზიატი;

დ) კონკრეტული ენერგეტიკული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში – მოთხოვნილი ლიცენზიის შესაბამისი, ენერგეტიკული საწარმოს მფლობელობაში არსებული ელექტრული ან ბუნებრივი გაზის ქსელის ცალხაზოვანი სქემა და გეგმა, ხოლო წყალმომარაგების საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში – მოთხოვნილი ლიცენზიის შესაბამისი სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის ან/და წყალარინების სისტემის სქემა და მისი მუშაობის ტექნოლოგიური აღწერილობა კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით;

ე) ელექტრულ ან ბუნებრივი გაზის ქსელთან მიერთების ტექნიკური პირობა, თუ, მოთხოვნილი ლიცენზიის შესაბამისად, კონკრეტული ენერგეტიკული საქმიანობის განხორციელება მოწყობილობების ელექტრულ ან ბუნებრივი გაზის ქსელთან მიერთებას საჭიროებს, ხოლო მიერთების არსებობის შემთხვევაში – ინფორმაცია მიერთების წერტილის ტექნიკური პარამეტრების (მონაცემების) შესახებ, რომლებიც დადასტურებულია შესაბამისი ქსელის ოპერატორის მიერ;

ვ) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, თუ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება სავალდებულოა კონკრეტული ენერგეტიკული საქმიანობის ან წყალმომარაგების საქმიანობის განსახორციელებლად;

[ვ) გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ან „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა, თუ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღნიშნული გადაწყვეტილება/ნებართვა სავალდებულოა კონკრეტული ენერგეტიკული საქმიანობის ან წყალმომარაგების საქმიანობის განსახორციელებლად;***(ამოქმედდეს 2026 წლის 1 სექტემბრიდან)***]

ზ) საოპერაციო აქტივების ჩამონათვალი, რომელშიც მითითებულია მათი ღირებულებები, და ლიცენზიის მაძიებელი ენერგეტიკული საწარმოს ან წყალმომარაგების საწარმოს აუდიტის ანგარიში ამ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შესახებ;

თ) ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებელი ენერგეტიკული საწარმოს ან წყალმომარაგების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ ამ საწარმოს აქვს კონკრეტულ ენერგეტიკულ საქმიანობასთან ან წყალმომარაგების საქმიანობასთან დაკავშირებული პროფესიული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის ადამიანური რესურსი, ან აღნიშნული ფუნქციების მესამე პირების მეშვეობით შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები.

3. ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიის ან ბუნებრივი გაზის გადაცემის ლიცენზიის მაძიებელი სხვა მოთხოვნებთან ერთად უნდა აკმაყოფილებდეს გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევებასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებით ამ კანონის XI და XII თავებით დადგენილ მოთხოვნებს. სერტიფიცირებულ გადაცემის ლიცენზიის მაძიებელს არ მოეთხოვება სალიცენზიო განაცხადთან ერთად განცალკევების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა.

4. ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის ან ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის მაძიებელი სხვა მოთხოვნებთან ერთად უნდა აკმაყოფილებდეს განაწილების სისტემის ოპერატორის განცალკევებასთან დაკავშირებით ამ კანონის 73-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და მან კომისიას უნდა წარუდგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

5. (ამოღებულია - 22.12.2021, №1198).

6. ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, შესაბამისი დოკუმენტების, მონაცემებისა და ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც ადასტურებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ მოთხოვნილი ლიცენზიის შესაბამისი სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილებას.

7. კომისია უზრუნველყოფს ამ კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ლიცენზირების წესების შესაბამისად ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტების სრული სიის, შესაბამისი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, უფლებამოსილი საჯარო ორგანოებისა და ლიცენზირებასთან დაკავშირებული სტანდარტული ფორმების კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებასა და მუდმივ განახლებას.

8. ლიცენზიის გაცემა დასტურდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კომისიის მიერ გაცემული სალიცენზიო მოწმობით, რომელშიც სხვა მონაცემებთან ერთად აღნიშნული უნდა იყოს ლიცენზიის მფლობელი, ლიცენზირებული საქმიანობა, ლიცენზიატის მიერ გასაწევი მომსახურება, ძირითად საშუალებათა (აქტივების) ადგილმდებარეობა, ლიცენზიის მოქმედების არეალი და ლიცენზიის გაცემის თარიღი. სალიცენზიო მოწმობის სტანდარტულ ფორმას ამტკიცებს კომისია.

9. ლიცენზიის მაძიებელს ლიცენზიის გაცემაზე უარი შეიძლება ეთქვას მხოლოდ ამ კანონითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საფუძვლით. ლიცენზიის გაცემაზე უარი უნდა იყოს სამართლებრივად დასაბუთებული და ეფუძნებოდეს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებს. ლიცენზიის გაცემის თაობაზე უარი ჯეროვნად უნდა განემარტოს ლიცენზიის მაძიებელს.

10. ლიცენზიის გაცემის თაობაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს ამ კანონითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

11. ენერგეტიკული საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე უარის თქმის ყველა შემთხვევა, მის მიზეზებთან ერთად, უნდა ეცნობოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

საქართველოს 2023 წლის 29 ივნისის კანონი №3389 – ვებგვერდი, 30.06.2023 წ.

მუხლი 14. ლიცენზიატის უფლებები და ვალდებულებები

1. ლიცენზიატს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სრულად ისარგებლოს კონკრეტული საქმიანობის ლიცენზიიდან გამომდინარე მისთვის

მინიჭებული უფლებებით და ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული ფუნქციები და ვალდებულებები.

2. ლიცენზიატს არ აქვს უფლება, კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე შეწყვიტოს, შეამციროს ან მისი მოქმედების არეალის ფარგლების გარეთ გაზარდოს ლიცენზიით გათვალისწინებული მომსახურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომსახურების შეწყვეტა ან შემცირება ხდება სისტემით მოსარგებლის ან მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ტექნიკური ან უსაფრთხოების მიზეზით. აღნიშნული გამონაკლისების გარდა, მომსახურების შეწყვეტის ან შემცირების მიზნით ლიცენზიატი ვალდებულია წინასწარ, გონივრული ვადით ადრე მიმართოს კომისიას მომსახურების შეწყვეტის ან შემცირების მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, თუ კომისიამ მიიღო მოთხოვნა მომსახურების შეწყვეტის ან/და შემცირების ან ლიცენზიის გაუქმების თაობაზე, იგი უფლებამოსილია, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალური მმართველის დანიშვნის თაობაზე, თუ ლიცენზიატის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლოა საფრთხე შეექმნას მომხმარებლებისთვის დადგენილი ხარისხის სტანდარტების შესაბამისად ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის უწყვეტ მიწოდებასა და სასმელი წყლით საიმედო მომარაგებას. კომისიისგან მომსახურების შეწყვეტაზე ან შემცირებაზე თანხმობის მიღების შემთხვევაში ლიცენზიატი აბარებს სალიცენზიო მოწმობას. ასეთ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს ლიცენზიაში ან გააუქმოს ლიცენზია.

3. არ შეიძლება ლიცენზიატს დაეკისროს ვალდებულება, გააგრძელოს ლიცენზიით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, თუ ამ მომსახურების მიმღები სისტემით მოსარგებლე ან მომხმარებელი არ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით ან/და მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. ლიცენზიატი ვალდებულია კომისიას აცნობოს კომისიის მიერ დამტკიცებული ლიცენზირების წესების შესაბამისად, ლიცენზიის მისაღებად წარდგენილ მონაცემებში ან ინფორმაციაში განხორციელებული ცვლილების თაობაზე. კომისია განსაზღვრავს იმ მონაცემებსა და ინფორმაციას, რომელთა ცვლილება ექვემდებარება დაუყოვნებელ შეტყობინებას, და ადგენს სხვა სახის მონაცემებში ან ინფორმაციაში განხორციელებული ცვლილებების შეტყობინების ვადას.

5. ლიცენზიატი ვალდებულია, ამ კანონით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და კომისიის მიერ დამტკიცებული ანგარიშგების წესების შესაბამისად, მოამზადოს და წარუდგინოს საქმიანობის ანგარიში კომისიას და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს.

6. ლიცენზიატის მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს ამ კანონითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

7. კომისია უფლებამოსილია გასცეს ლიცენზია ამ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი დოკუმენტაციის გარეშე, ლიცენზიატის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოდგენის პირობით.

8. იმ ლიცენზიატის მიერ, რომელზედაც გაიცა ლიცენზია ამ მუხლისმე-7 პუნქტის შესაბამისად, კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გააუქმოს ლიცენზია ან/და ლიცენზიატს განუსაზღვროს დამატებითი ვადა დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან/და მის მიმართ გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 15. ლიცენზიის მოქმედება დროსა და სივრცეში

1. ამ კანონით გათვალისწინებული ლიცენზიები გაიცემა უვადოდ.

2. ელექტროენერგიის ბაზრის, აგრეთვე ბუნებრივი გაზის ბაზრის შესაბამისი სეგმენტის (სეგმენტების) ოპერირებისთვის შეიძლება გაიცეს მხოლოდ ერთი შესაბამისი ლიცენზია, რომელიც ლიცენზიატს ანიჭებს საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელების ექსკლუზიურ უფლებას.

3. ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზია, ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია, ბუნებრივი გაზის გადაცემის ლიცენზია, ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია, წყალმომარაგების ლიცენზია შესაბამის ლიცენზიატს ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებას, განახორციელოს საქმიანობა ლიცენზიით გათვალისწინებულ გეოგრაფიულ, ადმინისტრაციულ ან კომისიის მიერ განსაზღვრულ სხვა არეალში. აღნიშნული საქმიანობისთვის ერთ გეოგრაფიულ, ადმინისტრაციულ ან კომისიის მიერ განსაზღვრულ სხვა არეალში გაიცემა მხოლოდ ერთი შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულის გარდა, ენერგეტიკული საქმიანობის სფეროში სხვა ლიცენზიების რაოდენობა არ არის შეზღუდული.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 16. ლიცენზიაში ცვლილების შეტანა და ლიცენზიის გაუქმება

1. კომისია უფლებამოსილია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ცვლილება შეიტანოს ლიცენზიაში, შეაჩეროს ლიცენზიის მოქმედება ან გააუქმოს იგი.

2. კომისიას ლიცენზიაში ცვლილება შეაქვს ლიცენზიის პირობების შესაბამისად. ლიცენზიაში ცვლილების შეტანა აგრეთვე დასაშვებია, თუ:

ა) აღნიშნული განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებით;

ბ) არსებობს კომისიის ან ლიცენზიატის დასაბუთებული მოთხოვნა ლიცენზიაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე.

3. კომისიას უფლება აქვს, ლიცენზიაში ცვლილების შეტანისას ლიცენზიატს მოსთხოვოს პირველად ლიცენზიაში აღნიშნული პირობებისგან განსხვავებული, მათ შორის, უფრო მკაცრი, მოთხოვნების შესრულება.

4. კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ლიცენზიის მოქმედება, თუ ლიცენზიატი არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს ან/და სალიცენზიო პირობებს და მის მიმართ ამ დარღვევისთვის სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა.

5. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ხდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის აღმოფხვრამდე, მაგრამ ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან არაუმეტეს 6 თვისა.

6. იმ დარღვევის აღმოფხვრის შემდეგ, რომლისთვისაც მოხდა ლიცენზიის მოქმედების შეჩერება, ლიცენზიის მოქმედება განახლდება კომისიის გადაწყვეტილებით, ლიცენზიატის განცხადების საფუძველზე.

7. ლიცენზიის გაუქმება ხდება ლიცენზიის პირობების, ამ კანონისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევისთვის. კომისია ასევე უფლებამოსილია გააუქმოს ლიცენზია, თუ აღნიშნული განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებით.

8. ამ მუხლის მე-2, მე-4 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულის გარდა, ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ლიცენზიაში ცვლილების შეტანის, ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან ლიცენზიის გაუქმების უფლება კომისიას აქვს მხოლოდ ლიცენზიატის წინასწარი თანხმობით.

მუხლი 16[1]. სისტემის ოპერატორის შერწყმა ან/და წილის/აქციების ან საოპერაციო აქტივების გასხვისება ან/და მაკონტროლებელი პირის (საბოლოო ბენეფიციარის) ცვლილება

1. თუ არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს სისტემის ოპერატორის შერწყმა ან/და 5 პროცენტი ან 5 პროცენტზე მეტი წილის/აქციის ან საოპერაციო აქტივების მთლიანი ღირებულების 5 პროცენტის ან 5 პროცენტზე მეტის გასხვისება ან/და მაკონტროლებელი პირის (საბოლოო ბენეფიციარის) ცვლილება, რაც ქმნის მესამე ქვეყნის რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ სისტემის ოპერატორზე ან/და საოპერაციო აქტივებზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, შესაბამისი სისტემის ოპერატორი ვალდებულია ამის თაობაზე წინასწარ შეატყობინოს კომისიას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისტემის ოპერატორის მიერ კომისიისთვის წარდგენილ შეტყობინებაში მიეთითება მონაწილე პირების შესახებ შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტები:

ა) საფირმო სახელწოდება, საქმიანობის სახე, ენერგეტიკის სფეროში გამოცდილება, სარეგისტრაციო მონაცემები, სადამფუძნებლო დოკუმენტები, მაკონტროლებელი პირის (საბოლოო ბენეფიციარის) სახელი, გვარი, მისამართი და მოქალაქეობა;

ბ) საოპერაციო აქტივების ჩამონათვალი, რომელშიც მითითებულია მათი ღირებულებები, და საწარმოს აუდიტის ანგარიში ამ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შესახებ;

გ) სისტემის ოპერატორის შერწყმის ან/და წილის/აქციების ან საოპერაციო აქტივების გასხვისების ან/და მაკონტროლებელი პირის (საბოლოო ბენეფიციარის) ცვლილების პირობები;

დ) ინფორმაცია ფინანსური სახსრების წარმომავლობის შესახებ.

3. სისტემის ოპერატორის შეტყობინებაში მითითებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულისთვის პასუხისმგებელია შესაბამისი სისტემის ოპერატორი. სისტემის ოპერატორის მიერ ამ შეტყობინებაში არასწორი ინფორმაციის მითითება და კომისიის მიერ ამ მუხლის მე-5 ან მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე მისთვის სწორი ინფორმაციის წარუდგენლობა არის იმის საფუძველი, რომ უარი ითქვას სისტემის ოპერატორის შერწყმაზე ან/და 5 პროცენტი ან 5 პროცენტზე მეტი წილის/აქციის ან საოპერაციო აქტივების მთლიანი ღირებულების 5 პროცენტის ან 5 პროცენტზე მეტის გასხვისებაზე ან/და მაკონტროლებელი პირის (საბოლოო ბენეფიციარის) ცვლილებაზე, რაც ქმნის მესამე ქვეყნის რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ სისტემის ოპერატორზე ან/და საოპერაციო აქტივებზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, ხოლო თუ შესაბამისი ტრანზაქცია/ოპერაცია განხორციელებულია – ამ ტრანზაქციის/ოპერაციის ბათილობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის საფუძველი.

4. კომისია ამოწმებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შეტყობინებაში მითითებულ მონაცემებს. თუ სისტემის ოპერატორის შეტყობინება არ შეესაბამება ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, კომისია მას ინფორმაციის ან დოკუმენტის წარმოსადგენად დამატებით გონივრულ ვადას განუსაზღვრავს. კომისია უფლებამოსილია სისტემის ოპერატორს მოსთხოვოს აგრეთვე ისეთი ინფორმაციის ან/და დოკუმენტის წარმოდგენა, რომელიც ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული არ არის და აუცილებელია შესაბამისი ტრანზაქციის/ოპერაციის შესაფასებლად და კომისიის მიერ ამ მუხლის მე-5 ან მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად.

5. კომისია უფლებამოსილია სისტემის ოპერატორის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 3 თვის ვადაში გასცეს თანხმობა სისტემის ოპერატორის შერწყმაზე, 5 პროცენტი ან 5 პროცენტზე მეტი წილის/აქციის ან საოპერაციო აქტივების მთლიანი ღირებულების 5 პროცენტის ან 5 პროცენტზე მეტის გასხვისებაზე ან/და მაკონტროლებელი პირის

(საბოლოო ბენეფიციარის) ცვლილებაზე, რაც ქმნის მესამე ქვეყნის რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ სისტემის ოპერატორზე ან/და საოპერაციო აქტივებზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას.

6. კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს სისტემის ოპერატორის შერწყმის ან/და 5 პროცენტი ან 5 პროცენტზე მეტი წილის/აქციის ან საოპერაციო აქტივების მთლიანი ღირებულების 5 პროცენტის ან 5 პროცენტზე მეტის გასხვისების ან/და მაკონტროლებელი პირის (საბოლოო ბენეფიციარის) ცვლილების პირობების კორექტირება, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სისტემის ოპერატორის მიერ სისტემით მოსარგებლეებისთვის გაწეულ მომსახურებაზე, სისტემის ოპერატორის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების (მათ შორის, სალიცენზიო პირობების) შესრულებაზე ან/და სისტემის ოპერატორის ტარიფზე.

7. კომისია უფლებამოსილია აკრძალოს სისტემის ოპერატორის შერწყმა ან/და 5 პროცენტი ან 5 პროცენტზე მეტი წილის/აქციის ან საოპერაციო აქტივების მთლიანი ღირებულების 5 პროცენტის ან 5 პროცენტზე მეტის გასხვისება ან/და მაკონტროლებელი პირის (საბოლოო ბენეფიციარის) ცვლილება, რაც ქმნის მესამე ქვეყნის რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ სისტემის ოპერატორზე ან/და საოპერაციო აქტივებზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას. ამ აკრძალვის საფუძველი შეიძლება იყოს სისტემის ოპერატორის მიერ სისტემით მოსარგებლეებისთვის გაწეული მომსახურების შესაძლო გაუარესება, სისტემის ოპერატორის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების (მათ შორის, სალიცენზიო პირობების) შესაძლო შეუსრულებლობა ან/და სისტემის ოპერატორის ტარიფზე შესაბამისი ტრანზაქციის/ოპერაციის შესაძლო უარყოფითი გავლენა.

8. ამ მუხლის მიზნებისთვის:

ა) მაკონტროლებელი პირი (საბოლოო ბენეფიციარი) არის ფიზიკური პირი, რომელიც საწარმოს საბოლოო მფლობელია, საწარმოს საქმიანობიდან იღებს ფულად ან სხვა სარგებელს ან შეიძლება მიიღოს ასეთი სარგებელი და ვალდებული არ არის, ეს სარგებელი სხვა პირს გადასცეს;

ბ) საოპერაციო აქტივი არის კომისიის მიერ სატარიფო მეთოდოლოგიით განსაზღვრული რეგულირებადი აქტივი.

9. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ ტრანზაქციაზე/ოპერაციაზე, რომლის განხორციელების ერთადერთი მიზანია ამ კანონით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად სისტემის ოპერატორის განცალკევება.

საქართველოს 2020 წლის 17 ივლისის კანონი №7064 – ვებგვერდი, 21.07.2020 წ.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

კარი III. მარეგულირებელი ორგანო

თავი VI. კომისიის სტატუსი და საქმიანობა

მუხლი 17. კომისიის სტატუსი

1. კომისიის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონი, ეს კანონი, კომისიის დებულება და კომისიის მიერ დამტკიცებული სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. კომისია ახორციელებს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების საქმიანობის რეგულირებას და ზედამხედველობას, როგორც „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, ამ სექტორების მარეგულირებელი ერთადერთი ორგანო.

მუხლი 18. კომისიის სამართლებრივი ფორმა

კომისია არის განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისგან და მოქმედებს ამ კანონითა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 19. კომისიის დამოუკიდებლობა

1. მარეგულირებელი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კომისია დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებითა და ენერგეტიკული საქმიანობის რეგულირების სფეროში არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით.

2. კომისიის წევრები და აპარატის თანამშრომლები, კომისიის კომპეტენციის სფეროსთვის საქართველოს კანონმდებლობით მიკუთვნებული ფუნქციების განხორციელებისას უნდა აკმაყოფილებდნენ მათ მიმართ „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ დამოუკიდებლობის მოთხოვნებს.

3. დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებამ არ უნდა შეზღუდოს მჭიდრო თანამშრომლობა კომისიასა და საქართველოს სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო უწყებებს შორის, ან ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად დამტკიცებული ენერგეტიკული პოლიტიკის ზოგადი პრინციპები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ეწინააღმდეგება ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ პირობებს ან უკავშირდება იმ ვალდებულებებსა და მარეგულირებელ ფუნქციებს, რომლებიც კომისიისთვისაა დაკისრებული.

მუხლი 20. კომისიის შემადგენლობა

1. კომისია შედგება საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული 5 წევრისგან.

2. კომისიის წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, ამ კანონით დადგენილი ფუნქციების განხორციელებისათვის საკმარისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

3. კომისიის წევრი უნდა სარგებლობდეს კარგი რეპუტაციით და აკმაყოფილებდეს „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით მის მიმართ დადგენილ ეთიკისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებს. კომისიის წევრთა მოქმედების შეზღუდვის, თანამდებობრივი შეუთავსებლობისა და ეკონომიკური ინტერესების დეკლარირების წესები განისაზღვრება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

4. კომისიის წევრობის კანდიდატს ასახელებს საქართველოს მთავრობა ღია, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კონკურსის საფუძველზე. კონკურსის ორგანიზებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად შექმნილი შესარჩევი კომისია.

5. შესარჩევი კომისია იქმნება საქართველოს მთავრობის მიერ და შედგება 5 წევრისგან, რომელთაგან არანაკლებ 3 წევრისა უნდა იყოს დამოუკიდებელი, კერძოდ, არ უნდა წარმოადგენდეს საქართველოს საჯარო მოსამსახურეს, სახელმწიფო-პოლიტიკური ან პოლიტიკური თანამდებობის პირს ან რეგულირებულ საწარმოში დასაქმებულ ან საწარმოს მართვის ორგანოებში დანიშნულ პირს. მათ შორის, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შესაძლოა შედიოდნენ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ დანიშნული წარმომადგენლები. შესარჩევი კომისია იქმნება შესაძლო კომისიის წევრობის კანდიდატებთან დაგეგმილ გასაუბრებამდე 14 დღით ადრე მაინც და მისი უფლებამოსილების ვადა არის 3 წელი. შესარჩევი კომისია საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. შესარჩევი კომისიის საქმიანობის წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

6. კომისიის წევრობის კანდიდატის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს მთავრობის, კომისიისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდებზე. შესარჩევი კონკურსი საჯაროდ ცხადდება მოქმედი კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 3 თვით ადრე ან კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლებიდან არაუგვიანეს 10 დღისა. შესარჩევი კონკურსის გამოცხადების თაობაზე საჯარო განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აუცილებელი კვალიფიკაციის შესახებ, განაცხადთან ერთად წარსადგენი დოკუმენტების სიას, განაცხადის წარდგენის ვადას, სხვა აუცილებელ მოთხოვნებს და კონკურსის პროცედურულ წესებს, ან მითითებას იმ ელექტრონულ რესურსზე, სადაც ზემოაღნიშნული ინფორმაცია შეუზღუდავად არის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.

7. კონკურსის საჯარო გამოცხადებიდან არაუგვიანეს 30 დღისა შესარჩევი კომისია უზრუნველყოფს კომისიის წევრობის კანდიდატის გამოვლენას და შეთანხმების მიზნით

მის წარდგენას საქართველოს მთავრობისთვის. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში მხოლოდ ერთი პირი იღებს მონაწილეობას, შესარჩევმა კომისიამ შესაძლოა კონკურსის ვადა დამატებით 30 დღით გააგრძელოს.

8. კომისიის წევრობის შერჩეულ კანდიდატს საქართველოს მთავრობა ითანხმებს შესარჩევი კომისიის მიერ შესაბამისი კანდიდატის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღისა. საქართველოს მთავრობის წარდგინებით კომისიის წევრობის კანდიდატს საქართველოს პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერით. საქართველოს პარლამენტი კომისიის წევრებს ირჩევს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.

9. საქართველოს მთავრობის მიერ კომისიის წევრობის კანდიდატის შეთანხმება და საქართველოს პარლამენტის მიერ კომისიის წევრის არჩევა უნდა ეფუძნებოდეს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით კომისიის წევრისთვის დადგენილ მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის შეფასებას. თუ საქართველოს მთავრობამ არ შეითანხმა კომისიის წევრობის კანდიდატი ან საქართველოს პარლამენტმა არ აირჩია კომისიის წევრი, შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ხელახლა, ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად.

10. კომისიის წევრი თანამდებობაზე აირჩევა 6 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი კომისიის წევრად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.

11. კომისიის წევრი თავისუფლდება მხოლოდ „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთანავე, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“, „$გ^1$“ და „$გ^2$“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომისიის წევრის გადაყენების თაობაზე გადაწყვეტილებას საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესითიღებს საქართველოს პარლამენტი, ხოლო იმავე პუნქტის სხვა ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება ავტომატურად, შესაბამისი იურიდიული ფაქტის დადგომისთანავე.

12. კომისიის წევრს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს მისი განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება.

13. თუ კომისიის წევრის თანამდებობა ვადაზე ადრე თავისუფლდება, კომისიის ახალი წევრი აირჩევა ამ მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, დარჩენილი ვადით, თუ დარჩენილი ვადა აღემატება 1 წელს, ხოლო სხვა შემთხვევაში – ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული ვადით.

14. კომისიის წევრს კომისიის წევრობის ვადის გასვლის შემდეგ უფლებამოსილება ავტომატურად ერთჯერადად უგრძელდება მანამ, სანამ იგივე ან სხვა პირი არჩეული არ იქნება კომისიის წევრად საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით,

მაგრამ არაუმეტეს 3 თვის ვადისა. ამ პუნქტის მოქმედება კომისიის წევრის მიმართ არ გავრცელდება, თუ კომისიის შემადგენლობაში რჩება არანაკლებ 3 წევრი მაინც.

15. კომისიის წევრს უფლება არ აქვს, კომისიის წევრობის ვადის გასვლიდან ან თანამდებობიდან განთავისუფლებიდან 1 წლის განმავლობაში რეგულირებულ საწარმოში დაიკავოს ხელმძღვანელი თანამდებობა ან გახდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

16. კომისიის წევრს კომისიის წევრობის ვადის გასვლის შემდეგ სახელმწიფო ხელს უწყობს დასაქმებაში.

17. აკრძალულია კომისიის წევრისა და აპარატის თანამშრომლის მიმართძალადობა, მუქარა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედება მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა იწვევსკანონით დადგენილი წესით პასუხისმგებლობას.

საქართველოს 2022 წლის 30 ნოემბრის კანონი №2207 – ვებგვერდი, 15.12.2022 წ.
საქართველოს 2025 წლის 20 თებერვლის კანონი №318 – ვებგვერდი, 21.02.2025 წ.

მუხლი 21. კომისიის საქმიანობის მართვა

1. კომისიის საქმიანობის ორგანიზებასა და ყოველდღიურ საქმისწარმოებას უზრუნველყოფენ კომისიის თავმჯდომარე (შემდგომ – თავმჯდომარე) და კომისიის აპარატი. კომისიის აპარატის სტრუქტურა, ფუნქციები და კომპეტენციები განისაზღვრება კომისიის დებულებით ან/და შიდაორგანიზაციული საკითხების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით.

2. თავმჯდომარეს კომისიის არანაკლებ 2 წევრის წარდგინებით, ფარული კენჭისყრით ირჩევს კომისია საკუთარი შემადგენლობიდან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, 3 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს კომისიის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადისა, მოქმედი თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლიდან ან უფლებამოსილების შეწყვეტიდან 15 კალენდარულ დღეში. თავმჯდომარეს უფლება აქვს, გადადგეს ამ თანამდებობიდან, მაგრამ დარჩეს კომისიის წევრად დარჩენილი ვადით. თავმჯდომარე უფლებამოსილია თავისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის სხვა წევრს დააკისროს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება. თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის, მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის, მის მიერ თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან თავმჯდომარის არყოფნისას მის მიერ თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების კომისიის სხვა წევრისთვის არდაკისრების შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის უხუცესი წევრი.

3. კომისია უფლებამოსილია სრული შემადგენლობის ოთხი მეხუთედით თანამდებობიდან ვადამდე გადააყენოს თავმჯდომარე. თავმჯდომარის თანამდებობიდან ვადამდე გადაყენების საკითხის დასმის უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს ერთობლივი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნით. კომისია ვალდებულია თავმჯდომარის თანამდებობიდან ვადამდე გადაყენების საკითხი განიხილოს და მას კენჭი უყაროს კომისიის წევრთა მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 10 კალენდარულ დღეში. თუ

კომისიამ თავმჯდომარე თანამდებობიდან ვადამდე არ გადააყენა, თავმჯდომარის თანამდებობიდან ვადამდე გადაყენების საკითხის დასმა მომდევნო 3 თვის განმავლობაში დაუშვებელია.

4. თავმჯდომარე უძღვება კომისიის სხდომას და პასუხისმგებელია კომისიის მიერ დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების მიღებისას პროცედურული წესების დაცვაზე და მათ გამოქვეყნებაზე, აგრეთვე კომისიისა და მისი აპარატის ადმინისტრაციულ მართვაზე.

5. თავისი ფუნქციებისა და მარეგულირებელი უფლებამოსილებების სრულფასოვნად განსახორციელებლად კომისიას ჰყავს აპარატი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კომისიის კომპეტენციისთვის მიკუთვნებული ყველა პროფესიული სფეროს წარმომადგენლები. აპარატის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას კომისია განსაზღვრავს დამოუკიდებლად.

6. კომისიის აპარატის თანამშრომელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თავმჯდომარე კომისიის წევრებთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომისიის წევრების უფლებამოსილება, გარდა ადმინისტრაციული მართვისა, თანაბრად ვრცელდება კომისიის აპარატის თანამშრომლებზედაც.

7. კომისიის წევრსა და აპარატის თანამშრომელზე ვრცელდება ამ კანონით, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით, კომისიის დებულებითა და კომისიის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები. კომისიის წევრისა და აპარატის თანამშრომლის შრომის პირობები, მათ შორის, ანაზღაურება და სხვა სარგებელი, განისაზღვრება „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და კომისიის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით. დაუშვებელია საქართველოს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელება კომისიის წევრსა და კომისიის აპარატზე.

8. კომისიის აპარატის საქმიანობის ორგანიზების წესი განისაზღვრება კომისიის დებულებითა და კომისიის სხვა სამართლებრივი აქტებით, კომისიის კომპეტენციისა და მარეგულირებელი უფლებამოსილების ფარგლებში.

9. დაუშვებელია კომისიაში და მის აპარატში პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მათი სტრუქტურული ერთეულების შექმნა.

10. აპარატის თანამშრომელს უფლება არ აქვს, ჰქონდეს რაიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი ქონებრივი და ეკონომიკური ინტერესი ენერგეტიკული საწარმოს ან წყალმომარაგების რეგულირებული საწარმოს მიმართ ან ეკავოს თანამდებობა რომელიმე ასეთ საწარმოში. აპარატის თანამშრომელს უფლება აქვს, იყოს მისი მომხმარებელი, მაგრამ ამ საწარმოებს არ აქვთ უფლება, შესთავაზონ, ხოლო აპარატის თანამშრომელს – მიიღოს უფასო ან ფასდაკლებით მომსახურება რომელიმე მათგანისგან.

მუხლი 22. კომისიის საქმიანობის ორგანიზება

1. კომისიის სხდომები ტარდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისა და კომისიის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

2. კომისიის სხდომები საჯაროა. კომისია უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით გამართოს დახურული სხდომა.

2[1]. კომისია უფლებამოსილია სხდომა ჩაატაროს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ისე, რომ დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოფილი იყოს ადმინისტრაციულ წარმოებაში კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესაძლებლობა.

3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის არანაკლებ 3 წევრი და უძღვება თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

4. კომისია ვალდებულია ყოველი გადაწყვეტილების ან დადგენილების მიღებამდე აღნიშნულის თაობაზე აცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და მისცეს მათ კომისიის შესაბამის სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა. კომისიამ დაინტერესებულ მხარეებს უნდა მისცეს შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად გამოხატონ სხდომაზე საკუთარი მოსაზრებები.

5. კომისიის ყველა პროცედურული ჩანაწერი, სხდომის ოქმი, ოფიციალური დოკუმენტი, სამუშაო მასალა და სხვა დაკავშირებული დოკუმენტები, მონაცემები და ინფორმაცია ინახება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისთვის. კომისიაში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევისა და მისი გაცემის წესი, კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხა განისაზღვრება კომისიის სამართლებრივი აქტით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. კომისიამ უნდა მიიღოს და გამოაქვეყნოს ეთიკის კოდექსი, რომლითაც განისაზღვრება კომისიის წევრისა და აპარატის თანამშრომლის ეთიკასა და ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული სტანდარტები. ეთიკის კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონს, ამ კანონს და უნდა ასახავდეს გავრცელებულ საერთაშორისო პრაქტიკას.

7. თავმჯდომარე კომისიისა და კომისიის აპარატის შიდაორგანიზაციულ საკითხებზე გამოსცემს ბრძანებას.

8. კომისიის წევრსა და აპარატის თანამშრომელს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ეძლევათ რეგულირებული საწარმოს იმ პერსონალსა და დოკუმენტაციასთან

შეუფერხებლად მუშაობის საშუალება, რომლებიც საჭიროა კომისიისთვის მინიჭებული ფუნქციების შესასრულებლად.

9. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია გადასინჯოს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მონაცემების სისწორე.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 23. კომისიის სამართლებრივი აქტები

1. კომისია პასუხისმგებელია მის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების კანონიერებაზე. კომისიის სამართლებრივი აქტები უნდა იყოს წერილობითი ფორმის, დასაბუთებული და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეიცავდეს განმარტებებს მათი განხორციელების თაობაზე. ამ კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ, ინდივიდუალურ, მათ შორის, დადგენილებიდან გამომდინარე, საკითხებზე კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას.

2. კომისიის დადგენილება და გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.

3. კომისიის სამართლებრივი აქტი ძალაში შედის საქართველოს კანონმდებლობითა და კომისიის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით. კომისიის სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

4. კომისიის სამართლებრივი აქტის შესრულება სავალდებულოა რეგულირებული საწარმოებისა და იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომლებზედაც ვრცელდება მათი მოქმედება.

5. კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და კომისიის ვებგვერდზე. კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კომერციული საიდუმლოებისა და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დაცვით, ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა დაინტერესებულ მხარეებს.

მუხლი 24. საჯარო კონსულტაცია და თანამშრომლობა

1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს საჯარო გაცნობის მიზნით კომისია აქვეყნებს თავის ვებგვერდზე და განსაზღვრავს გონივრულ ვადას ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ მოსაზრებების წარმოსადგენად. არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს საჯარო განხილვების გამართვა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-

სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. კომისია საჯარო განხილვებს ასევე მართავს „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში, მათ შორის, ლიცენზირებისა და ტარიფის დადგენის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებამდე.

3. კომისია შეიმუშავებს და ამტკიცებს საჯარო განხილვის გამართვის წესს, რომელიც განსაზღვრავს საჯარო განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, საჯარო განხილვის პროცედურას, პირობებსა და ინფორმაციის საჯარო გაცნობისთვის გამოქვეყნების წესს. კომისია უზრუნველყოფს მიმდინარე საჯარო განხილვისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობას კომისიის ვებგვერდზე, გარდა კონფიდენციალური ინფორმაციისა.

4. კომისიის დამოუკიდებლობასა და კომპეტენციასთან დაკავშირებით ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გარეშე, კომისია უფლებამოსილია საკუთარი ფუნქციების შესრულებისას და მარეგულირებელი უფლებამოსილების განხორციელებისას ითანამშრომლოს რეგულირებულ საწარმოებთან და კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან, განსაზღვროს კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების წესი.

მუხლი 25. ტრანსსასაზღვრო საკითხებზე თანამშრომლობა

1. კომისია თანამშრომლობს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან, ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელ საბჭოსთან, მხარეების მარეგულირებელ ორგანოებთან და უზრუნველყოფს მათთვის მათი ვალდებულებების განსახორციელებლად აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას. მას ასევე უფლება აქვს, თავად გამოითხოვოს ასეთი ინფორმაცია. ინფორმაციის გაზიარების შემთხვევაში დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობის არანაკლებ იგივე დონე, რაც მოთხოვნილი იქნება ინფორმაციის გამცემი ორგანოს მიერ.

2. კომისია ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად თანამშრომლობს რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე, რათა:

ა) ელექტროენერგეტიკული ან/და ბუნებრივი გაზის ქსელების ოპტიმალური მართვის მიზნით ხელი შეუწყოს საოპერაციო მექანიზმების შექმნას, აგრეთვე ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის ერთობლივ გაცვლასა და ტრანსსასაზღვრო სიმძლავრის განაწილებას და უზრუნველყოს ურთიერთადამაკავშირებლების სიმძლავრის სათანადო დონე რეგიონში და რეგიონებს შორის, მათ შორის, ახალი ურთიერთდამაკავშირებლების მეშვეობით, რაც იძლევა ეფექტიანი კონკურენციის განვითარებისა და მიწოდების უსაფრთხოების გაუმჯობესების საშუალებას ენერგეტიკული გაერთიანების სხვადასხვა მხარის მიმწოდებელ საწარმოებს შორის, დისკრიმინაციის გარეშე;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ქსელის წესების შემუშავებაში;

გ) მონაწილეობა მიიღოს იმ გადატვირთვის მართვის წესების შემუშავებაში, რომლებიც გავრცელდება საქართველოზე და, საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინოს საქართველო რეგიონულად კოორდინირებული სიმძლავრის განაწილებისა და გადატვირთვის მართვის მარეგულირებელ მექანიზმებში.

3. მარეგულირებელი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით კომისია უფლებამოსილია, ნებისმიერ სხვა უფლებამოსილ მარეგულირებელ ორგანოსთან ერთად, მონაწილეობა მიიღოს ურთიერთთანამშრომლობის ღონისძიებებში.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოქმედებები, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო კონსულტაციების გზით და მათი განსაზღვრული კომპეტენციისა და სამართლებრივი უფლებამოსილების შეზღუდვის გარეშე.

5. კომისია ვალდებულია შეასრულოს ენერგეტიკული გაერთიანების უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული, საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულო ყველა გადაწყვეტილება. ევროპის კავშირის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში და, შესაბამისად, ენერგეტიკული გაერთიანების მიერ მიღებული სახელმძღვანელო პრინციპებისა და ქსელის წესების გათვალისწინება საქართველოს კანონმდებლობაში უნდა განხორციელდეს ცვლილების გარეშე, ენერგეტიკულ გაერთიანებასა და საქართველოს შორის 2016 წლის 14 ოქტომბერს გაფორმებული „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმით“ განსაზღვრული, გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, კომისიამ უნდა მიიღოს ასეთი სახელმძღვანელო პრინციპები და ქსელის წესები ენერგეტიკულ გაერთიანებაში მათი მიღების შესახებ შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ და უნდა განახორციელოს მათი სათანადოდ ამოქმედებისა და განხორციელების მონიტორინგი. ყველა სახელმძღვანელო პრინციპი და ქსელის წესები მიღებულ უნდა იქნეს კომისიის მიერ. ამასთანავე, მათი შემუშავება და გამოქვეყნება უნდა განხორციელდეს ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

7. კომისიამ სახელმძღვანელო პრინციპებისა და ქსელის წესების მიღების მიზნით მიღებული ზომებისა და ნებისმიერი შესაბამისი ცვლილების შესახებ უნდა აცნობოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს ასეთი ზომების მიღებიდან 2 კვირის ვადაში.

მუხლი 26. კომისიის დაფინანსება

1. კომისია თავისი ფუნქციების შესრულებისას და მარეგულირებელი უფლებამოსილებების განხორციელებისას ფინანსურად დამოუკიდებელია „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ კანონის შესაბამისად.

2. კომისია ყოველი წლის ბოლომდე ამტკიცებს მომავალი წლის დეტალურ ბიუჯეტს, რომელშიც ასახული უნდა იყოს კომისიის ყველა ხარჯი, მათ შორის, კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების ხელფასები, სხვა სახის ფინანსური სარგებელი და კომისიის შემდეგი წლისთვის დაგეგმილი სხვა ტიპის საბიუჯეტო ხარჯები.

3. კომისია ფინანსდება რეგულირებული საქმიანობისთვის კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასურიდან, რომელსაც შესაბამისი ლიცენზიატები და სხვა რეგულირებული საწარმოები იხდიან „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად.

4. კომისია ყოველი წლის 15 სექტემბრამდე ლიცენზიატებისგან და სხვა რეგულირებული საწარმოებისგან იღებს მომავალი წლის საქმიანობის მოცულობის ან/და ბრუნვის პროგნოზს, რის საფუძველზედაც ადგენს რეგულირების საფასურს იმ ოდენობით, რომელიც საკმარისი იქნება კომისიის ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა ხარჯის დასაფარავად „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

5. რეგულირების საფასური კომისიის მიერ დადგენილი წესით ჩაირიცხება კომისიის საბანკო ანგარიშზე. მხოლოდ კომისიაა უფლებამოსილი, განკარგოს მის ანგარიშზე არსებული სახსრები. მიმდინარე ფინანსურ წელს გამოუყენებელი სახსრები გადადის მომდევნო წლის ბიუჯეტში. კომისია უფლებამოსილია მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში წარმოშობილი ბიუჯეტის დეფიციტი შეავსოს მომდევნო წლისთვის დაგეგმილი საბიუჯეტო სახსრებიდან, რეგულირების საფასურის სათანადო კორექტირებით.

6. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული რეგულირების საფასური ვერ ფარავს კომისიის მიმდინარე დანახარჯებს, კომისია უფლებამოსილია აიღოს სესხი გონივრული და გამართლებული საპროცენტო განაკვეთით. კომისიამ სესხი და შესაბამისი პროცენტი უნდა დაფაროს რეგულირების საფასურის სახით მომდევნო წელს მიღებული სახსრებიდან.

7. დასაშვებია კომისიის სარგებლობისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი სახსრების გამოყოფა და გრანტების მიღება.

8. ლიცენზიატებსა და სხვა რეგულირებულ საწარმოებს უფლება აქვთ, კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასური აინაზღაურონ კომისიის მიერ დადგენილი ტარიფებით, საფასურით ან შესაბამის კომერციულ (საბაზრო) საქმიანობასთან დაკავშირებული საქონლისთვის ან მომსახურებისთვის გადახდილი ფასის მეშვეობით.

9. კომისიის ბიუჯეტი ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე.

მუხლი 27. კომისიის ყოველწლიური ანგარიში

1. კომისია ყოველი წლის 1 ივნისამდე ამზადებს და აქვეყნებს წინა წლის ფინანსურ ანგარიშს, რომელშიც უნდა აისახოს კომისიის მიერ რეგულირების საფასურიდან

მიღებული თანხები, კომისიის ხარჯები, აღებული სესხები და კომისიის მიერ გამოყენებული სხვა თანხები.

2. კომისიის ფინანსური საქმიანობის კონტროლს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებენ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები. კომისიაში ფინანსური საქმიანობის აუდიტი ხორციელდება ყოველწლიურად, მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. აუდიტის დასკვნა მზადდება და ქვეყნდება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშთან ერთად. კომისიის ფინანსური საქმიანობის აუდიტმა არ უნდა გამოიწვიოს კომისიის მიმდინარე საქმიანობის შეჩერება ან შეფერხება.

3. კომისია ყოველი წლის 1 ივნისამდე შეიმუშავებს წლიურ ანგარიშს მის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და შესრულებული ვალდებულებების შესახებ, მათ შორის, ამ კანონის VII თავით განსაზღვრულ თითოეულ მიზანთან, ვალდებულებასა და მარეგულირებელ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით მიღებული ზომებისა და დამდგარი შედეგების თაობაზე. კომისიის წლიური ანგარიში ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს მთავრობას, აგრეთვე ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელ საბჭოს და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს. კომისიის ანგარიში ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე.

თავი VII. კომისიის ამოცანები, ვალდებულებები და მარეგულირებელი უფლებამოსილება

მუხლი 28. კომისიის ამოცანები

1. ამ კანონით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებისას და მარეგულირებელი უფლებამოსილებების განხორციელებისას კომისიამ უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა შემდეგი ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად:

ა) ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელ საბჭოსთან, ენერგეტიკული გაერთიანების მხარეების მარეგულირებელ ორგანოებსა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, ენერგეტიკულ გაერთიანებაში კონკურენტული, უსაფრთხო და ეკოლოგიურად მდგრადი შიდა ენერგეტიკული ბაზრების ხელშეწყობა და ენერგეტიკული გაერთიანების ფარგლებში არსებული ყველა მომხმარებლისა და მიმწოდებლისთვის ბაზრის ეფექტიანი გახსნის ხელშეწყობა, აგრეთვე, გრძელვადიანი ამოცანების გათვალისწინებით, ენერგეტიკული ქსელების ეფექტიანი და საიმედო ოპერირებისთვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა;

ბ) ენერგეტიკულ გაერთიანებაში კონკურენტული და სათანადოდ ფუნქციონირებადი რეგიონული ენერგეტიკული ბაზრების განვითარება, ამ პუნქტით განსაზღვრული ამოცანების გათვალისწინებით;

გ) ენერგეტიკული გაერთიანების მხარეებს შორის ენერგიით ვაჭრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების აღმოფხვრა, მათ შორის, მოთხოვნის

დასაკმაყოფილებლად ტრანსსასაზღვრო გადაცემის სიმძლავრის განვითარებისა და ეროვნული ბაზრების ინტეგრაციის გაუმჯობესების გზით, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ენერგიის გადადინებას ენერგეტიკული გაერთიანების ფარგლებში;

დ) უსაფრთხო, საიმედო, ეფექტიანი, არადისკრიმინაციული და მომხმარებელზე ორიენტირებული სისტემების შემუშავების ყველაზე ეფექტიანი გზით ხელშეწყობა, აგრეთვე, სისტემის მდგრადობისა და ზოგადი ენერგეტიკული პოლიტიკის ამოცანების შესაბამისად, ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა;

ე) განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის დიდი თუ მცირე მასშტაბის წარმოებისა და შესაბამის გამანაწილებელ ქსელებთან მიერთებული წარმოების მოწყობილობების გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებთან ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ვ) ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის წარმოების ახალი სიმძლავრეების ქსელზე დაშვების ხელშეწყობა, კერძოდ, იმ წინააღმდეგობების აღმოფხვრა, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ბაზრის ახალი მონაწილეებისა და განახლებადი ენერგიის წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის დაშვებას ქსელზე;

ზ) სისტემის ოპერატორებისა და სისტემით მოსარგებლეების სათანადო მოკლევადიანი და გრძელვადიანი წახალისება სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდისა და ბაზრის ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით;

თ) მომხმარებლების მიერ ენერგეტიკული ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირების შედეგად სარგებლის მიღების შესაძლებლობა, ეფექტიანი კონკურენციის წახალისება და მომხმარებელთა დაცვა;

ი) ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში გაწეული საჯარო მომსახურების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა, მოწყვლადი მომხმარებლის დაცვისა და მიმწოდებლის შეცვლისთვის საჭირო მონაცემთა გაცვლის პროცესების თავსებადობის ხელშეწყობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ამოცანები უნდა შესრულდეს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით და აღნიშნული უწყებების უფლებამოსილებების შეზღუდვის გარეშე.

მუხლი 29. კომისიის ფუნქციები

1. კომისია:

ა) ენერგეტიკული საქმიანობისა და ამ კანონით რეგულირებული სხვა საქმიანობის ავტორიზაციის, ამგვარი საქმიანობის პირობების დადგენისა და მათზე ზედამხედველობის მიზნით:

ა.ა) გასცემს და ცვლილებები შეაქვს ლიცენზიაში, აჩერებს მის მოქმედებას და აუქმებს მას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კანონითა და კომისიის მიერ დამტკიცებული ლიცენზირების წესებით დადგენილი წესით;

ა.ბ) ახორციელებს გადამცემი სისტემის ოპერატორების სერტიფიცირებას და ამ კანონით დადგენილ დამოუკიდებლობისა და განცალკევების მოთხოვნებთან მათ მუდმივ შესაბამისობაზე ზედამხედველობას;

ა.გ) ადგენს რეგულირებული საწარმოების მიერ მომსახურების გაწევის წესებსა და პირობებს ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ა.დ) განსაზღვრავს სასმელი წყლის ხარჯვის ნორმას;

ა.ე) ამტკიცებს ბუღალტრული აღრიცხვის ერთიან სისტემას შესაბამისი რეგულირებული საწარმოებისთვის და ზედამხედველობს აღნიშნული მოთხოვნების სათანადოდ შესრულებას;

ა.ვ) განსაზღვრავს რეგულირებული საწარმოების მიერ სისტემით მოსარგებლეებისთვის ან/და მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების წესს;

ა.ზ) ზედამხედველობს რეგულირებული საწარმოების საქმიანობას და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებებთან და მოთხოვნებთან;

ა.თ) ზედამხედველობს საჯარო მომსახურების გაწევასა და საჯარო მომსახურების ვალდებულებების შესრულებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ა.ი) აწარმოებს ენერგეტიკული საქმიანობის განმახორციელებელი ენერგეტიკული საწარმოების რეესტრს ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ა.კ) ახორციელებს რეგულირებული საწარმოს ადგილზე შემოწმებას, მათ შორის, წინასწარი შეტყობინების გარეშე;

ა.ლ) განსაზღვრავს რეგულირებული საწარმოს, აგრეთვე საბითუმო ბაზრის სხვა მონაწილეების ანგარიშგების წესს;

ა.მ) ადგენს სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებს, რომლებიც არეგულირებს ურთიერთობებს წყალმომარაგების ლიცენზიატსა და მომხმარებელს შორის;

ა.ნ) ახორციელებს ხანძრის ჩაქრობის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (შემდგომ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მიერ სახანძრო ჰიდრანტებიდან

(მათი საკუთრების ფორმის მიუხედავად) მოპოვებული წყლის გამოყენებასთან, აღრიცხვასა და ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას;

ა.ო) ამტკიცებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს;

ბ) ტარიფის ან/და საფასურის დადგენისა და მეთოდოლოგიების მიღების მიზნით ამტკიცებს:

ბ.ა) ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის გადაცემისა და განაწილების ტარიფებსა და გაანგარიშების მეთოდოლოგიას;

ბ.ბ) ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებთან, აგრეთვე სასმელი წყლის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებთან მიერთების საფასურებს ან/და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიას;

ბ.გ) ბაზრის ოპერატორების მიერ გაწეული მომსახურებების შესაბამის საფასურებს და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიებს ამ კანონით განსაზღვრული პირობების შესაბამისად არსებული საჭიროების შემთხვევაში. კომისია უფლებამოსილია ბაზრის სხვადასხვა სეგმენტისთვის შეიმუშაოს აღნიშნული საფასურების გაანგარიშების განსხვავებული მეთოდოლოგიები;

ბ.დ) ბუნებრივი გაზის საცავის ტარიფებსა და მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიას, ამ კანონით განსაზღვრული პირობების შესაბამისად არსებული საჭიროების შემთხვევაში;

ბ.ე) გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობებზე დაშვების ტარიფსა და მისი გაანგარიშების მეთოდოლოგიას;

ბ.ვ) სასმელი წყლის მიწოდებისა და წყალარინების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიებს;

ბ.ზ) დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის წესს;

ბ.თ) ამ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საჯარო მომსახურების გაწევის საფასურებს ან/და ტარიფებს და გაანგარიშების მეთოდოლოგიებს;

ბ.ი) რეგულირების საფასურის ოდენობასა და გაანგარიშების წესს;

ბ.კ) მესამე პირების მფლობელობაში არსებულ ქსელში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის გატარების საფასურის გაანგარიშების წესს;

გ) გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორებისთვის, აგრეთვე წყალმომარაგების ლიცენზიატებისთვის ამტკიცებს ნორმატიული დანაკარგების ოდენობასა და მათი გაანგარიშების წესს;

დ) ამტკიცებს ინვესტიციების შეფასების წესს, მათ შორის, სატარიფო რეგულირებისადმი დაქვემდებარებული რეგულირებული საწარმოების მიერ განსახორციელებელი საინვესტიციო გეგმებისა და მათი შემადგენელი პროექტების კომისიისთვის წარდგენის, კომისიის მიერ მათი შეთანხმების, აგრეთვე შეთანხმებულ საინვესტიციო გეგმებში ან/და პროექტებში ცვლილების შეტანის და მათი განხორციელების შესახებ ანგარიშგების წესსა და პირობებს. სატარიფო რეგულირებისადმი დაქვემდებარებული რეგულირებული საწარმო ვალდებულია, შესაძლებლობის ფარგლებში, იმოქმედოს მინიმალური დანახარჯების პრინციპის შესაბამისად, ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით;

ე) უზრუნველყოფს მის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიების ძალაში შესვლამდე გონივრული ვადით ადრე გამოქვეყნებას, ხოლო ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ტარიფებთან და მეთოდოლოგიებთან დაკავშირებით უზრუნველყოფს, რომ:

ე.ა) ტარიფები და საფასურები:

ე.ა.ა) იყოს დასაბუთებული, გონივრული, გადამოწმებადი, არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული, იცავდეს მომხმარებელს მონოპოლიური ფასებისგან;

ე.ა.ბ) ასახავდეს ქსელების ოპერირების, მოვლა-პატრონობის, ჩანაცვლების, მშენებლობისა და რეაბილიტაციის დასაბუთებულ ხარჯებს, მათ შორის, მიზანშეწონილ და გონივრულ კაპიტალდაბანდებებზე გონივრულ ამონაგებს, ამორტიზაციას (ცვეთას) და გადასახადებს, გარემოსა და მომხმარებლის დაცვის გათვალისწინებით. კომისია უფლებამოსილია ტარიფისა და საფასურის დადგენისას აღნიშნული პრინციპებით გაითვალისწინოს განსახორციელებელი კაპიტალდაბანდებებიც;

ე.ა.გ) იძლეოდეს ქსელებსა და მოწყობილობებში აუცილებელი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობას, რათა აღნიშნულმა ინვესტიციებმა უზრუნველყოს ასეთი ქსელებისა და მოწყობილობების სიცოცხლისუნარიანობა და შესაბამისი განვითარების გეგმის თანახმად მათი შეუფერხებელი განვითარება;

ე.ა.დ) შესაძლებლობას აძლევდეს რეგულირებულ საწარმოებს, უზრუნველყონ განხორციელებული ინვესტიციის უკუგება გონივრულ ვადებში, დაფარონ თავიანთი მიმდინარე ხარჯები, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურად გამართლებულ ფასად შეძენილი საწვავის ღირებულებას, საექსპლუატაციო დანახარჯებს, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ხარჯებს, შრომის ანაზღაურებას, საბრუნავი კაპიტალის სახით და ინვესტიციისთვის აღებული სესხის პროცენტის გადასახადს, რეგულირებისა და ბაზრის ოპერატორის მომსახურების საფასურებს და სხვა დანახარჯებს. ტარიფი უნდა ითვალისწინებდეს კაპიტალდაბანდებებზე ამონაგებისა და ამორტიზაციის (ცვეთის) კეთილგონივრულ და სამართლიან დონეს (განაკვეთს), რომელიც საკმარისი უნდა იყოს რეაბილიტაციისა და განვითარების მიზნით ინვესტიციის მოსაზიდად;

ე.ა.ე) ხელს უწყობს რეგულირებული საწარმოს ფინანსური ამონაგების ზრდას ექსპლუატაციისა და მართვის ეფექტიანობის გაზრდის გზით მომსახურებაზე დანახარჯების შემცირებით, იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი რეგულირებული საწარმო აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის ან/და სალიცენზიო პირობების მოთხოვნებს მომსახურების ხარისხზე;

ე.ა.ვ) ასახავდეს მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიის მომსახურების განსხვავებულ ღირებულებას. სატარიფო რეგულირებისადმი დაქვემდებარებული რეგულირებული საწარმოს მიერ გაწეული მომსახურების ხარჯები იფარება მომხმარებელთა თითოეული კატეგორიისგან მიღებული თანხებით, ამ კატეგორიის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების პროპორციულად; მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით სხვადასხვა სახის ტარიფის დადგენა შეიძლება პიკური სიდიდეების, საშუალო შეწონილი და ზღვრული სიდიდეების, საერთო მოხმარების სეზონურობის, მოხმარების სადღეღამისო ცვლილებების, მომსახურების ტიპის ან ანალოგიური პარამეტრების ასახვის მიზნით. ტარიფის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ინოვაციური სატარიფო მეთოდოლოგიები, თუ ასეთი მეთოდოლოგიების გამოყენება შეესაბამება საწარმოებისა და მომხმარებლების ინტერესებს;

ე.ბ) განხორციელდეს გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორების გრძელვადიანი და მოკლევადიანი წახალისება ეფექტიანობის გაზრდის, ბაზრის ინტეგრაციისა და მიწოდების უსაფრთხოების ხელშეწყობის, აგრეთვე აღნიშნულთან დაკავშირებული კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით;

ე.გ) გადაცემასთან დაკავშირებული მომსახურების ტარიფების დადგენისას ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ქვეყნის საზღვრების შიგნით ტრანსპორტირება და ტრანსსასაზღვრო გადადინება განხილულ იქნეს თანაბარ პირობებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭიროა გარკვეულ მომსახურებასთან დაკავშირებული კონკრეტული დანახარჯების გათვალისწინება, თუ ეს ხარჯები არის ცხადი, დასაბუთებული და მათი გამოყენება ხდება გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული გზით;

ე.დ) ასახულ იქნეს საქმიანობის შედეგებზე დამოკიდებული განაკვეთი, თუ კომისია საჭიროდ მიიჩნევს ასეთი სახის განაკვეთის დადგენას;

ე.ე) ელექტროენერგეტიკის სექტორში არსებული მომსახურებისთვის წახალისებულ იქნეს წყვეტადი მომსახურებისა და დატვირთვის დაბალანსების განაკვეთები და ენერგოეფექტურობისა და მოთხოვნის მართვის გაუმჯობესების სხვა მექანიზმები, მათ შორის, განახლებადი ენერგიის წყაროების შესაძლო განვითარება და დისპეტჩერიზაცია;

ე.ვ) იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია ტარიფის კორექტირება პიკური და არაპიკური მომსახურების ღირებულების მიხედვით, დადგინდეს სეზონსა და მოხმარების დროზე დამოკიდებული განაკვეთები;

ე.ზ) აღმოიფხვრას, ერთი მხრივ, გადაცემისა და განაწილების საქმიანობებსა და, მეორე მხრივ, მიწოდებისა და ვაჭრობის საქმიანობებს შორის ჯვარედინი სუბსიდირება, აგრეთვე სისტემით მოსარგებლეებს ან მომხმარებლებს შორის ან სხვადასხვა კატეგორიის სისტემით მოსარგებლეებს ან მომხმარებლებს შორის დისკრიმინაცია;

ე.თ) გადაცემისა და განაწილების ქსელებთან, აგრეთვე სასმელი წყლის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებთან მიერთებისთვის ან მიერთების სიმძლავრის არსებითად გაზრდისთვის, საჭიროების შემთხვევაში, დადგინდეს ეკონომიკურად გამართლებული მიერთების საფასური;

ე.ი) ტარიფების, საფასურებისა და მათთან დაკავშირებული წესებისა და პირობების დადგენა ასახავდეს გავრცელებულ საერთაშორისო პრაქტიკას;

ვ) ადგენს ტარიფებს, საფასურებს ან/და ფასის ზედა ზღვრებს; სატარიფო მიზნებისთვის უფლებამოსილია განსაზღვროს ძაბვის საფეხურები, კომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიების, პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს რეგულირებული საწარმოების ვალდებულებას, მოამზადონ სატარიფო განაცხადი სისტემით მოსარგებლეების ან/და მომხმარებლების თითოეული კატეგორიისთვის და, შესაბამის დასაბუთებასთან ერთად, წარუდგინოს კომისიას. ტარიფების, საფასურის ან/და ფასის ზედა ზღვრის დადგენის შესახებ კომისიის სამართლებრივი აქტი ქვეყნდება ძალაში შესვლამდე გონივრული ვადით ადრე;

ზ) ზედამხედველობს ტარიფების, საფასურისა და შესაბამისი მეთოდოლოგიების გამოყენებას და უზრუნველყოფს მათ სათანადოდ შესრულებას;

თ) ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის სისტემების ოპერირებასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის მიზნით:

თ.ა) გადასინჯავს და ამტკიცებს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის გადამცემ და გამანაწილებელ სისტემებთან, ხოლო ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – აგრეთვე ბუნებრივი გაზის საცავსა და გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობებთან მესამე პირის სამართლიანი და არადისკრიმინაციული დაშვების წესებს, ცვლილებები შეაქვს ამ წესებში და ზედამხედველობს მათ შესრულებას;

თ.ბ) ადგენს ხარისხის სტანდარტებს ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის სისტემების ოპერირებისა და ენერგეტიკული საწარმოების მიერ მომსახურების, მათ შორის, დამხმარე და სასისტემო მომსახურების, გაწევისთვის და ზედამხედველობს მათ შესრულებას;

თ.გ) ადგენს კომპენსაციის მექანიზმებს კომისიის მიერ დადგენილ ხარისხის სტანდარტებთან ენერგეტიკული საწარმოების საქმიანობის შეუსაბამობისთვის და ზედამხედველობს მათ შესრულებას;

თ.დ) ამტკიცებს და შესაბამის ტარიფში ან საფასურში ასახავს სატარიფო რეგულირებისადმი დაქვემდებარებული რეგულირებული საწარმოების საინვესტიციო გეგმებს და ზედამხედველობს მათ შესრულებას, ამასთანავე, კომისიის წლიურ ანგარიშში ასახავს აღნიშნული გეგმების შეფასებას და, საჭიროების შემთხვევაში, მათში ცვლილებების შეტანის თაობაზე რეკომენდაციებს;

თ.ე) ზედამხედველობს გადამცემი სისტემის ოპერატორების საქმიანობას, მათ შორის, მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსის უზრუნველსაყოფი მექანიზმებისა და მეთოდების ეფექტიანობას;

თ.ვ) გადასინჯავს და ამტკიცებს შესაბამისი სისტემის ოპერატორის მიერ მომზადებულ ქსელის წესებს და აღნიშნულ ოპერატორთან კონსულტაციის შემდეგ ცვლილებები შეაქვს ამ წესებში;

თ.ზ) ამოწმებს შესაბამისი ქსელის წესებიდან გამომდინარე ქსელის უსაფრთხოებისა და საიმედოობის მოთხოვნების ეფექტიანობას და ზედამხედველობს მათ შესრულებას, აგრეთვე ადგენს მომსახურებისა და მიწოდების ხარისხის სტანდარტებსა და მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში, სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით;

თ.თ) ამ კანონით ან/და შესაბამისი ქსელის წესებით დადგენილი წესით აკონტროლებს გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორების მიერ ქსელთან მიერთებასა და ქსელის რემონტზე დახარჯულ დროს;

თ.ი) უზრუნველყოფს ამ კანონის 87-ე მუხლის შესაბამისად ბუნებრივი გაზის საცავზე და ქსელის გაზის შენახვაზე დაშვების პირობების ზედამხედველობას და მათ გადახედვას. აღნიშნული ვალდებულება არ მოიცავს ტარიფების გადახედვას, თუ ბუნებრივი გაზის საცავზე დაშვება განისაზღვრება ამ კანონის 87-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;

თ.კ) აკონტროლებს იმ კრიტერიუმების სწორად გამოყენებას, რომელთა შესაბამისად განისაზღვრება ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტზე ამ კანონის 87-ე მუხლის მე-4 პუნქტის ან მე-6 პუნქტის გავრცელება;

თ.ლ) ხელს უწყობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონის 138-ე და 143-ე მუხლების შესაბამისად, ენერგეტიკულ საქმიანობაში უსაფრთხოების ზომების განხორციელების ზედამხედველობას;

ი) ენერგეტიკული ბაზრის რეგულირებისა და ზედამხედველობის მიზნით:

ი.ა) ამ კანონით განსაზღვრული მარეგულირებელი უფლებამოსილების ფარგლებში არეგულირებს და ზედამხედველობს ენერგეტიკულ ბაზრებზე განხორციელებულ საქმიანობებს;

ი.ბ) ამ კანონისა და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ზედამხედველობს ენერგეტიკული ბაზრების გახსნის დონესა და

ეფექტიანობას, აგრეთვე ენერგეტიკულ ბაზრებზე არსებულ კონკურენციას, მათ შორის, კონკურენციის დარღვევის ან აკრძალვის ნებისმიერ შემთხვევას;

ი.გ) ზედამხედველობს ენერგეტიკული ბაზრების გამჭვირვალობის, მათ შორის, საბითუმო და საცალო ფასების გამჭვირვალობის, დონეს და უზრუნველყოფს ენერგეტიკული საწარმოების მიერ გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებას;

ი.დ) აქვეყნებს რეკომენდაციებს წელიწადში ერთხელ მაინც მიწოდების ფასების ამ კანონთან და მის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის თაობაზე და საჭიროების შემთხვევაში აწვდის აღნიშნულ რეკომენდაციებს სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს;

ი.ე) ზედამხედველობს ენერგეტიკულ ბაზრებზე შემზღუდველ სახელშეკრულებო პრაქტიკას, მათ შორის, ექსკლუზიურობის პირობების გამოყენებას, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მსხვილ მომხმარებლებს ხელშეკრულებების ერთდროულად ერთზე მეტ მიმწოდებელთან გაფორმებაში, ან შეზღუდოს მათი არჩევანი, დადონ ამგვარი ხელშეკრულებები;

ი.ვ) იცავს სახელშეკრულებო თავისუფლებას მიწოდების წყვეტადი ხელშეკრულებებისა და გრძელვადიანი (10 წელზე მეტი ვადის) ხელშეკრულებების მიმართ, თუ აღნიშნული ხელშეკრულებები შეესაბამება საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობის მოთხოვნებს;

ი.ზ) შეიმუშავებს და ამტკიცებს ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის წესებს, ხოლო ორგანიზებული ბაზრის შესაბამისი სეგმენტებისთვის გადასინჯავს და ამტკიცებს ბაზრის ოპერატორების მიერ მომზადებულ ბაზრის წესებს და აღნიშნულ ოპერატორებთან კონსულტაციის შემდეგ ცვლილებები შეაქვს ამ წესებში, აგრეთვე ადგენს ბაზრის ოპერატორების მიერ გამოსაყენებელ საფასურებს და ზედამხედველობს მათ საქმიანობებს;

ი.თ) ამტკიცებს ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესებს;

ი.ი) ხელს უწყობს რეგიონულ დონეზე ენერგეტიკული ბაზრის ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესებისთვის მონაცემთა გაცვლის თავსებადობას;

კ) ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის მიზნით:

კ.ა) ზედამხედველობს ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობასთან დაკავშირებული პირობების შესრულებას, მათ შორის, შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებას;

კ.ბ) აკონტროლებს სისტემით მოსარგებლეების მიერ ურთიერთდამაკავშირებლების შესახებ მოთხოვნილი ტექნიკური და კომერციული მონაცემების ხარისხსა და

ხელმისაწვდომობას, რათა სისტემით მოსარგებლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, დისკრიმინაციის გარეშე მიიღონ მონაწილეობა შესაბამის ენერგეტიკულ ბაზრებზე;

კ.გ) ზედამხედველობს ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის სისტემების, მათ შორის, ურთიერთდამაკავშირებლების გადატვირთვის მართვას და გადატვირთვის მართვის წესების შესრულებას;

კ.დ) ამტკიცებს შესაბამისი გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ მომზადებულ ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურაზე დაშვების წესებს, მათ შორის, სიმძლავრის განაწილებისა და გადატვირთვის მართვის პროცედურებს, რეგიონულ დონეზე კოორდინირებული ღონისძიებების გათვალისწინებით;

კ.ე) თანამშრომლობს ტრანსსასაზღვრო საკითხებთან დაკავშირებით ენერგეტიკული გაერთიანების შესაბამისი მხარეების კომპეტენტურ მარეგულირებელ ორგანოებთან და ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელ საბჭოსთან;

ლ) მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და დავების გადაწყვეტის მიზნით:

ლ.ა) უზრუნველყოფს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ღონისძიებების ეფექტიანობას და შესრულებას სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან ერთად, რათა გარანტირებულ იქნეს:

ლ.ა.ა) სამართლიანი და არადისკრიმინაციული მოპყრობა;

ლ.ა.ბ) მაღალი ხარისხის მომსახურება;

ლ.ა.გ) კონკურენცია და თავიდან იქნეს აცილებული კონკურენციის წინააღმდეგ შემზღუდველი ქმედებები ამ კანონისა და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ლ.ბ) უზრუნველყოფს მომხმარებელთა მოხმარების მონაცემების ხელმისაწვდომობას, ასეთი მონაცემების ქვეყნის მასშტაბით მარტივად გასაგებ, ჰარმონიზებულ ფორმატს საჭიროებისამებრ გამოყენებისთვის და ამ მონაცემების ყველა მომხმარებლისთვის შეუფერხებელ ხელმისაწვდომობას, ამ კანონის 107-ე მუხლის შესაბამისად;

ლ.გ) განიხილავს დავებს ამ კანონის 155-ე მუხლისა და კომისიის მიერ დამტკიცებული დავების განხილვის წესების შესაბამისად;

მ) ამტკიცებს ადმინისტრაციული წარმოების დებულებას;

ნ) ენერგეტიკულ სექტორში კონკურენციის რეგულირების მიზნით:

ნ.ა) ამ კანონისა და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს ენერგეტიკულ სექტორში კონკურენციასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებასა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემას;

ნ.ბ) კონკურენციის დარღვევის შემთხვევაში რეგულირებულ საწარმოებს დააკისრებს სანქციებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ნ.გ) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ადგენს ენერგეტიკულ ბაზარზე რეგულირებული საწარმოს საბაზრო წილის, აგრეთვე დომინანტური მდგომარეობის განსაზღვრის წესსა და კრიტერიუმებს;

ნ.დ) იღებს გადაწყვეტილებას დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრავს კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების კომისიისთვის წარდგენისა და კომისიის მიერ მისი განხილვის წესს;

ნ.ე) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრავს ენერგეტიკულ სფეროში კონკურენციის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადების/საჩივრის კომისიისთვის წარდგენის წესს, განცხადების/საჩივრის წარდგენაზე უფლებამოსილ პირს, კონკურენციის დარღვევის შემთხვევების შესწავლისა და შეფასების საფუძვლებს, საქმის მოკვლევის საფუძველსა და წესს, კონფიდენციალურობის დაცვის, შესაბამისი რეგულირებული საწარმოსგან ან სხვა დაინტერესებული მხარისგან ინფორმაციის გამოთხოვისა და სუბიექტის ადგილზე შემოწმების წესს, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში სანქციების გამოყენებისა და საქმესთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;

ნ.ვ) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების გამოყენების წესს;

ო) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ბუნებრივი გაზისა და ნახშირბადის მონოქსიდის დეტექტორების გამოყენების თაობაზე.

2. საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია დაადგინოს გრძელვადიანი ტარიფები. კომისია უფლებამოსილია გრძელვადიანი ტარიფები ასევე დაადგინოს წყალმომარაგების სექტორისთვის. კომისია უფლებამოსილია სატარიფო განაცხადის საფუძველზე, წყალმომარაგების ლიცენზიატის მფლობელობაში არსებული სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემისთვის დაადგინოს წყალმომარაგების ტარიფები მუნიციპალიტეტების მიხედვით.

3. კომისია ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ტარიფის დადგენის საკითხების განხილვისას ატარებს ღია სხდომებს. კომისია სატარიფო განაცხადის განხილვისას და ტარიფის დადგენისას ეყრდნობა:

ა) დასაბუთებულ სატარიფო განაცხადს, რომელსაც ერთვის აუდიტორული და ფინანსური ინფორმაცია;

ბ) სატარიფო განაცხადის განხილვისა და შესაბამისი დადგენილების მიღების პროცედურებს;

გ) მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ტარიფის დადგენის კომენტირების პროცედურებს;

დ) სატარიფო განაცხადის შეფასებისთვის საჭირო დამატებითი ინფორმაციის მოძიებისა და მიღების პროცედურებს;

ე) რეგულირების საფასურის ფინანსური ანაზღაურების დადგენის პროცედურებს.

4. ტარიფს კომისია ამტკიცებს კომისიაში სატარიფო განაცხადის შეტანიდან 180 დღის ვადაში, თუ იგი აკმაყოფილებს სატარიფო განაცხადის მიმართ კომისიის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

4[1]. კომისია უფლებამოსილია ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის კვლევების ჩატარების, მათთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, აღნიშნულ სექტორებში დასაქმებულ პირთა და სხვა დაინტერესებულ პირთა პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სპეციალური სასწავლო კურსების ჩატარების/პროგრამების განხორციელების მიზნით დაამტკიცოს სამოქმედო გეგმა და დააფუძნოს სასწავლო-კვლევითი ცენტრი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

4[2]. კომისია უფლებამოსილია სასწავლო-კვლევითი ცენტრის ფუნქციონირების მიზნით კომისიის ბიუჯეტიდან გამოყოს შესაბამისი თანხები, მოიპოვოს გრანტები და დაფინანსების სხვა წყაროები, აგრეთვე კომისიის ბიუჯეტიდან დააფინანსოს სასწავლო-კვლევითი ცენტრის ხელშემწყობი პროგრამები/პროექტები.

5. კომისია უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს სხვა ისეთი სამართლებრივი აქტები, რომლებიც ამ კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, თუმცა გამომდინარეობს კომისიის კომპეტენციიდან.

6. კომისია ასრულებს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით მისთვის დაკისრებულ სხვა ფუნქციებსაც.

7. ამ კანონით გათვალისწინებული, კომისიის მიერ მისაღები წესები, პირობები, კრიტერიუმები, სტანდარტები, მექანიზმები, მეთოდები და სხვა მოთხოვნები მტკიცდება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით – დადგენილებებით და არ არის სავალდებულო, ისინი თავმოყრილი იყოს მხოლოდ ერთ, კონკრეტულ აქტში.

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №7020-რს – ვებგვერდი, 28.07.2020 წ.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 30. კომისიის მარეგულირებელი უფლებამოსილებები

1. კომისია ამ კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად უფლებამოსილია:

ა) უფლებამოსილების სრულყოფილად და ჯეროვნად განხორციელებისთვის ამ კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი წესით მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია:

ა.ა) რეგულირებული საწარმოსგან;

ა.ბ) კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა საჯარო დაწესებულებებისგან, რომლებიც, თავიანთი პირდაპირი ვალდებულებებიდან გამომდინარე, ფლობენ ამ ინფორმაციას;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, სისტემის ოპერატორებს მოსთხოვოს პირობების ცვლილება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი პროპორციულობა და არადისკრიმინაციული გზით გამოყენება. აღნიშნული უფლება არ მოიცავს ტარიფების გადახედვას, თუ ბუნებრივი გაზის საცავზე დაშვება განისაზღვრება ამ კანონის 87-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად;

გ) დაადგინოს გადაცემის, განაწილების, წყალმომარაგებისა და ამ კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საჯარო მომსახურების დროებითი ტარიფები და განსაზღვროს სათანადო საკომპენსაციო ზომები, თუ საბოლოო ტარიფები დროებითი ტარიფებისგან განსხვავებული იქნება;

დ) დაიწყოს საჯარო განხილვებისა და თანამშრომლობის პროცედურები ამ კანონის 24-ე მუხლით დადგენილი წესით, თუ აღნიშნული საჭიროა აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებისთვის, მარეგულირებელი პრაქტიკის ჰარმონიზებისთვის, მისაღები გადაწყვეტილებების დასაბუთებისთვის ან პრობლემის გადაჭრის შეთავაზებული სამართლებრივი ან/და მარეგულირებელი გზის შეფასებისთვის;

ე) წამოიწყოს და ჩაატაროს კვლევა საქართველოში ენერგეტიკული ბაზრების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, მიიღოს გადაწყვეტილება და გამოიყენოს ნებისმიერი საჭირო და პროპორციული ზომა ეფექტიანი კონკურენციის წახალისებისა და ენერგეტიკული ბაზრების გამართული ფუნქციონირებისთვის;

ვ) მიიღოს რეგულირებული საწარმოებისთვის შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივი აქტები, რომლებიც საჭიროა ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების სათანადო შესრულებისთვის;

ზ) დააკისროს ამ კანონის 153-ე მუხლის შესაბამისად ეფექტიანი, პროპორციული და პრევენციული სანქციები იმ რეგულირებულ საწარმოს, რომელიც არ ასრულებს ამ კანონით, საქართველოს სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით ან ენერგეტიკული გაერთიანების კომპეტენტური ორგანოების შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

თ) ამ კანონის 155-ე მუხლის შესაბამისად დავების განხილვის მიზნით ფლობდეს მითითებების გაცემისა და მოკვლევის ჩატარებისთვის აუცილებელ უფლებამოსილებას;

ი) განიხილოს ტარიფის დადგენის მიზნით რეგულირებული საწარმოს მიერ წარდგენილი განაცხადი, მიიღოს გადაწყვეტილება მისი საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში მიღების, ხარვეზის დადგენის ან განუხილველად დატოვების შესახებ, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაადგინოს ტარიფი, აგრეთვე თავისი ინიციატივით გადახედოს ტარიფებს.

2. კომისიის ან ენერგეტიკული გაერთიანების კომპეტენტური ორგანოების მიერ ამ კანონის შესაბამისად გაცემულმა ნებისმიერი სახის თანხმობამ ხელი არ უნდა შეუშალოს მომავალში კომისიის ან სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მათი უფლებამოსილებების განხორციელებას, მათ შორის, ჯარიმების დაკისრებას.

3. კომისიის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები უნდა იყოს დასაბუთებული. აღნიშნული აქტები უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, ამ კანონის 23-ე მუხლით დადგენილი კონფიდენციალურობის დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 31. კომისიის დამატებითი ფუნქციები და მარეგულირებელი უფლებამოსილებები

1. იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად დასახელებულია დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი, ამ კანონის 29-ე და 30-ე მუხლებით დადგენილი ფუნქციებისა და მარეგულირებელი უფლებამოსილებების გარდა, კომისია:

ა) ზედამხედველობს გადამცემი სისტემის მესაკუთრისა და დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის მიერ ამ კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას, ხოლო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია დააკისროს ჯარიმები ამ კანონის 153-ე მუხლის შესაბამისად;

ბ) დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის მიერ ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ზედამხედველობს დამოუკიდებელ სისტემის ოპერატორსა და გადამცემი სისტემის მესაკუთრეს შორის ურთიერთობასა და კომუნიკაციას, მათ შორის, ამტკიცებს მხარეთა შორის დასადებ ხელშეკრულებებს და ერთ-ერთი მხარის მიერ სადავო საკითხის განხილვაზე განაცხადის წარდგენის შემთხვევაში მოქმედებს, როგორც დავის გადამწყვეტი ორგანო;

გ) ამ კანონის 53-ე მუხლით განსაზღვრული პროცედურის შეუზღუდავად, უფლებამოსილია დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირების პროცესში გადამცემი ქსელის განვითარების პირველი 10-წლიანი გეგმისთვის დაამტკიცოს საინვესტიციო პროგრამა, აგრეთვე განიხილოს გადამცემი ქსელის განვითარების 10-წლიანი გეგმები, რომლებსაც ყოველწლიურად წარადგენს დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი, გადამცემი სისტემის მესაკუთრესთან შეთანხმებით;

დ) უზრუნველყოფს, რომ დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორისთვის დადგენილი გადაცემის ტარიფი მოიცავდეს გადამცემი სისტემის მესაკუთრის ანაზღაურებას კომისიის მიერ დამტკიცებული ოდენობით, რაც უზრუნველყოფს ქსელური აქტივებისა და მათში განხორციელებული, გასათვალისწინებელი ახალი ინვესტიციების სათანადოდ ანაზღაურებას, თუ აღნიშნული ინვესტიციები განხორციელებულია ეკონომიკურად გამართლებული და ეფექტიანი გზით;

ე) უფლებამოსილია განახორციელოს გადამცემი სისტემის მესაკუთრისა და დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის ადგილზე შემოწმება, მათ შორის, წინასწარი შეტყობინების გარეშე.

2. გადამცემი სისტემის მესაკუთრის მიერ ამ კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ვალდებულებების შესრულების კონტროლი ხორციელდება კომისიასა და საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ შესაბამის დაწესებულებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით.

კარი IV. წარმოება

თავი VIII. ელექტროენერგიის წარმოება

მუხლი 32. ელექტროენერგიის წარმოების პირობები

1. ელექტროენერგიის წარმოების ობიექტების და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების მშენებლობა, მოვლა-პატრონობა, ოპერირება და გადამცემ ქსელთან ან/და გამანაწილებელ ქსელთან მიერთება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესებით ან/და ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესებით, დადგენილ ტექნიკურ სტანდარტებს, ნორმებსა და სხვა სავალდებულო პირობებს, გარემოსთან, საზოგადოების უსაფრთხოებასა და საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების ჩათვლით.

2. ელექტროენერგიის წარმოება, გარდა ამ კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ექვემდებარება სავალდებულო ლიცენზირებას „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კანონითა და კომისიის მიერ დამტკიცებული ლიცენზირების წესებით დადგენილი წესით.

მუხლი 33. ელექტროენერგიის მწარმოებლის უფლებები

ელექტროენერგიის მწარმოებელი უფლებამოსილია:

ა) აწარმოოს ელექტროენერგია ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტისა და სალიცენზიო პირობებში აღნიშნული ენერგიის წყაროს მეშვეობით, შესაბამისი ლიცენზიითა და საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი ტექნიკური მახასიათებლებისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვით;

ბ) დადოს ხელშეკრულებები ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის შესახებ ამ კანონითა და ელექტროენერგიის ბაზრის წესებით დადგენილი პირობების დაცვით;

გ) დადოს ხელშეკრულებები დაბალანსებისა და დამხმარე მომსახურების გაწევის შესახებ ამ კანონითა და მის საფუძველზე მიღებული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი პირობების დაცვით;

დ) ჰქონდეს დაშვება ელექტროენერგიის გადამცემ ან/და ელექტროენერგიის გამანაწილებელ სისტემასთან ამ კანონით, ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესებით, ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ე) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

მუხლი 34. ელექტროენერგიის მწარმოებლის ვალდებულებები

1. ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ამ კანონითა და შესაბამისი ლიცენზიით დადგენილი მოთხოვნები და პირობები;

ბ) ჰქონდეს აღრიცხვის მოწყობილობა, რომლითაც შესაძლებელია შესაბამის ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის აღრიცხვა;

გ) დააკმაყოფილოს ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესებითა და ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესებით დადგენილი მოთხოვნები;

დ) შეასრულოს შესაბამისი გადამცემი სისტემის ოპერატორის ან/და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ გაცემული საოპერაციო ინსტრუქციები, მათ შორის, დისპეტჩერიზაციასთან, ელექტროენერგიის დაბალანსებასთან, სისტემაში ავარიულ მდგომარეობასა და დამხმარე მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მითითებები;

ე) შეასრულოს ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითი მოთხოვნები;

ვ) ელექტროენერგიის ბაზარზე მონაწილეობისას დაემორჩილოს კონკურენციის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით დადგენილ წესებს, მათ შორის, სიმძლავრის

დაუსაბუთებელი შეზღუდვისა და ელექტროენერგიის წარმოების დაუსაბუთებელი შემცირების აკრძალვას;

ზ) შეინარჩუნოს ელექტროენერგიის წარმოების ობიექტების სათანადო საექსპლუატაციო მდგომარეობა, უზრუნველყოს მათი უწყვეტი საოპერაციო მზადყოფნა და უსაფრთხო ოპერირება ტექნიკური და სხვა სახის სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. ამ ვალდებულების შესრულება საზედამხედველო შემოწმებას ექვემდებარება;

თ) მოთხოვნის შემთხვევაში გადამცემი სისტემის ოპერატორს ან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს გადასცეს ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერირებისა და მართვისთვის საჭირო მონაცემები და ინფორმაცია;

ი) უზრუნველყოს გადამცემი სისტემის ოპერატორისა და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის თავისუფალი წვდომა ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის იმ მოწყობილობებზე, რომლებიც გამოიყენება რეზერვის მიზნებისთვის და დამხმარე მომსახურების გასაწევად, აგრეთვე ელექტროენერგიის ნაკადების ტრანსპორტირებისთვის, ელექტროენერგიის გადაცემისთვის ან განაწილებისთვის;

კ) ქსელის წესებით დადგენილი წესებითა და პირობებით გაითვალისწინოს სათანადო გადამცემი სისტემის ოპერატორის ან/და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის რეკომენდაციები ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის დანადგარებისა და აღჭურვილობის შეცვლის შესახებ;

ლ) საოპერაციო და სისტემის მართვის საჭიროებებიდან გამომდინარე და ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ან/და გამანაწილებელი ქსელის განვითარების გეგმის შესაბამისად, მოუაროს და გააუმჯობესოს ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის ის დანადგარები და აღჭურვილობა, რომლებიც აგრეთვე გამოიყენება ელექტროენერგიის გადაცემისთვის ან განაწილებისთვის. ამ ვალდებულების შესრულება საზედამხედველო შემოწმებას ექვემდებარება.

2. ელექტროენერგიის მწარმოებელი, რომელიც 100-კილოვატიანი ან მეტი ნომინალური სიმძლავრის მქონე ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის ოპერირებას ახორციელებს, ვალდებულია შეინახოს და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად სათანადო სახელმწიფო ორგანოებისთვის, სისტემის ოპერატორისა და კომპეტენტური საერთაშორისო ორგანოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის საათობრივი მონაცემები, რომლებიც საჭიროა სადისპეტჩერო საოპერაციო გადაწყვეტილებებისა და ელექტროენერგიის ორგანიზებული ბაზრების, ურთიერთდამაკავშირებლების აუქციონებისა და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრების მონაწილეთა მიერ ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვასთან (მათ შორის, ფასის შეთავაზებასთან) დაკავშირებული ქმედებების გადასამოწმებლად.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები, სხვა ინფორმაციასთან ერთად, უნდა მოიცავდეს ელექტროენერგიის წარმოების ხელმისაწვდომი სიმძლავრისა და გარანტირებული რეზერვების შესახებ მონაცემებს, მათ შორის, ფასების შეთავაზებისა და

ელექტროენერგიის წარმოების თითოეული ობიექტის დონეზე ელექტროენერგიის წარმოების დროს გარანტირებული რეზერვების განაწილების შესახებ.

4. კომისია ზედამხედველობას უწევს სამართლიანი კონკურენციის პრინციპების გამოყენებას და, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია ცალკეულ ელექტროენერგიის მწარმოებლებსა და სხვა ელექტროენერგეტიკულ საწარმოებს მოსთხოვოს აღნიშნული პრინციპების შესასრულებლად სპეციალური ზომების მიღება.

5. ელექტროენერგიის თითოეული მწარმოებელი ვალდებულია სათანადო ფორმით მოამზადოს და გამოაქვეყნოს ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების პროგრამა და წლიური ანგარიში ამ ღონისძიებების განხორციელების შედეგების შესახებ.

6. თუ საქართველოს მთავრობა საჭიროდ მიიჩნევს, დააწესოს დამატებითი მოთხოვნები ელექტროენერგიის წარმოების პროცესის ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად, იგი უფლებამოსილია ცალკეული ტექნოლოგიებისთვის დაადგინოს ეფექტიანობის მინიმალური დონე, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს ელექტროენერგიის წარმოების ახალი ობიექტების მშენებლობის ან არსებული ობიექტების რეკონსტრუქციის დროს.

7. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებისთვის ელექტროენერგიის მწარმოებლის ვალდებულებების განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტებით შეიძლება განისაზღვროს გამარტივებული მოთხოვნები ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუზღუდავად.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 35. ტენდერი ელექტროენერგიის წარმოების ახალ სიმძლავრეებზე

საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ელექტროენერგიის წარმოების ახალი სიმძლავრის ასაშენებლად, მათ შორის, ელექტროენერგიის წარმოების არსებული სიმძლავრის გასაზრდელად, ჩაატაროს ტენდერი ან გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შერჩევის სხვა პროცედურა. საქართველოს მთავრობა ამტკიცებს ტენდერის წესებსა და პირობებს, რომლებიც შესრულებული უნდა იქნეს გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად.

მუხლი 36. ექსპლუატაციაში მისაღებად ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის საცდელი გაშვება ან/და კომპლექსური გასინჯვა

1. საწარმომ, რომელმაც ელექტროენერგიის წარმოების ობიექტი ააშენა ან მისი რეკონსტრუქცია განახორციელა, მათ შორის, გაზარდა მისი სიმძლავრე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ტექნიკური მოთხოვნების დაცვით მიაერთა იგი ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან ან გამანაწილებელ ქსელთან, ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად საცდელი გაშვებისთვის ან/და კომპლექსური გასინჯვისთვის უნდა მიმართოს გადამცემი სისტემის ან გამანაწილებელი სისტემის იმ ოპერატორს, რომლის ქსელთანაც არის ეს ობიექტი მიერთებული. შესაბამისი

გადამცემი სისტემის ოპერატორის წარმომადგენლები მონაწილეობენ ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის საცდელი გაშვების ან/და კომპლექსური გასინჯვის პროცესში.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის საცდელ გაშვებას ან/და კომპლექსურ გასინჯვას ახორციელებენ და ექსპლუატაციაში მის მიღებაზე თანხმობას გასცემენ ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესებით ან/და ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესებითა და სხვა კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი წესით. თუ შესაბამისი ქსელის წესებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სათანადო სისტემის ოპერატორმა ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე თანხმობა ან უარი უნდა განაცხადოს ამ ობიექტის საცდელი გაშვებიდან არაუმეტეს 90 კალენდარული დღის ვადაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ექსპლუატაციაში მიღების პერიოდში ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის მფლობელი საწარმო ვალდებული არ არის, ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის საცდელი გაშვებისთვის ან/და კომპლექსური გასინჯვისთვის მოიპოვოს ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია.

4. ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების პერიოდში წარმოებული ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა რეგულირდება ელექტროენერგიის ბაზრის წესებით.

5. ექსპლუატაციაში მიღებული ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის მიერ ელექტროენერგიის წარმოება დაიშვება მხოლოდ ამ კანონის V თავის შესაბამისად გაცემული ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზიის საფუძველზე, ხოლო ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული, ელექტროენერგიის წარმოების ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 37. ელექტროენერგიის წარმოების ხელშეწყობა

1. ელექტროენერგიის წარმოების ხელშეწყობა რეგულირდება გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად, ეკონომიკური მიზანშეწონილობის, საბოლოო მომხმარებლის მინიმალური დანახარჯებისა და ელექტროენერგეტიკულ ბალანსსა და საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერირებაზე ზეგავლენის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

2. განახლებადი ენერგიების წყაროებიდან ელექტროენერგიის წარმოება და მაღალი ეფექტიანობის კოგენერაცია შეიძლება წახალისდეს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით ან საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად განსაზღვრული წახალისებისა და მხარდაჭერის მექანიზმებით, განახლებადი ენერგიების წყაროებიდან ელექტროენერგიის წარმოების ან/და ელექტროენერგიისა და სითბოს კომბინირებული წარმოების იმ დონის მისაღწევად,

რომელიც ენერგეტიკული გაერთიანების შესაბამისი კანონმდებლობით საქართველოსთვის არის დადგენილი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესები და პირობები უნდა მოიცავდეს შესაბამის წახალისებისა და მხარდაჭერის მექანიზმებს, ელექტროენერგეტიკული საწარმოების უფლებებსა და მოვალეობებს, ელექტროენერგიის წახალისებული წარმოების პირობებსა და დაკავშირებულ მარეგულირებელ მოთხოვნებს.

4. ელექტროენერგიის წარმოების ხელშეწყობა, მათ შორის, ყველა წამახალისებელი ან/და მხარდამჭერი ღონისძიების შეფასება, უნდა განხორციელდეს ამ კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და, საჭიროების შემთხვევაში, დასაბუთდეს კონკურენციის ან/და სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 38. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური

1. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე საბოლოო მომხმარებელი ან საბოლოო მომხმარებელთა ჯგუფი უფლებამოსილია მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური მიაერთოს ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან და ამ ელექტროსადგურის მიერ წარმოებული, კომისიის სამართლებრივი აქტის შესაბამისად განსაზღვრული ჭარბი ელექტროენერგია მიაწოდოს ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესებითა და მიწოდების წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული და ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ჭარბი ელექტროენერგიის ყიდვის უფლება აქვს ელექტროენერგიის ნებისმიერ მიმწოდებელს ელექტროენერგიის მიწოდების წესების შესაბამისად, ხოლო იმავე წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული პირობებით ჭარბ ელექტროენერგიას ყიდულობს უნივერსალური მომსახურების ის მიმწოდებელი, რომლის მომსახურების არეალშიც მდებარეობს აღნიშნული ელექტროსადგური, ან/და ელექტროენერგიის სხვა მიმწოდებელი, რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით დაკისრებული აქვს საჯარო მომსახურების ვალდებულება. საბოლოო მომხმარებლის ან საბოლოო მომხმარებელთა ჯგუფის მიერ ჭარბი ელექტროენერგიით სარგებლობის პირობებს, მათ შორის, მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის მოხმარებულ ელექტროენერგიასთან გაქვითვის პირობებს, აგრეთვე ჭარბი ელექტროენერგიის შესყიდვის საფასურს ადგენს კომისია.

[2. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ წარმოებული და ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის ყიდვის უფლება აქვს ელექტროენერგიის ნებისმიერ მიმწოდებელს ელექტროენერგიის მიწოდების წესების შესაბამისად, ხოლო იმავე წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული პირობებით ამ ელექტროენერგიას ყიდულობს უნივერსალური

მომსახურების ის მიმწოდებელი, რომლის მომსახურების არეალშიც მდებარეობს აღნიშნული ელექტროსადგური, ან ელექტროენერგიის სხვა მიმწოდებელი, რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით დაკისრებული აქვს საჯარო მომსახურების ვალდებულება. ***(ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან)]***

3. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მიერ ელექტროენერგიის წარმოებასა და ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში ჭარბი ელექტროენერგიის მიწოდებაზე არ ვრცელდება ამ კანონით, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მარეგულირებელი რეჟიმი. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურებზე ელექტროენერგეტიკის სექტორში საბაზრო ურთიერთობების მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა ვრცელდება მხოლოდ ამ კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. საბოლოო მომხმარებელი ან საბოლოო მომხმარებელთა ჯგუფი, რომელიც ელექტროენერგიას მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მეშვეობით აწარმოებს და ჭარბ ელექტროენერგიას გამანაწილებელ ქსელში აწვდის, გათავისუფლებულია ელექტროენერგიის სასისტემო და ბაზრის ოპერირების მომსახურების საფასურის გადახდისგან.

[4. საბოლოო მომხმარებლის ან საბოლოო მომხმარებელთა ჯგუფის მიერ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით სარგებლობის პირობებს, მათ შორის, ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურს, ამ ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიის საფასურს და მათი გადახდის პირობებს, ადგენს კომისია. კომისიის მიერ დადგენილი ტექნიკური და ადმინისტრაციული მოთხოვნები, პროცედურები და საფასურები უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული. ამასთანავე, საბოლოო მომხმარებელს არ უნდა დაეკისროს ქსელის ისეთი გადასახადი, რომელიც არ ასახავს ელექტროენერგიის სასისტემო მომსახურებისა და ელექტროენერგიის ბაზრის ოპერირების მომსახურების ხარჯებს. ***(ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან)]***

5. ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობისა და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების ჯამური სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს კომისიის მიერ დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. ამ ოდენობას კომისია განსაზღვრავს და ადგენს სისტემის ოპერატორებთან კონსულტაციის საფუძველზე.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.
საქართველოს 2025 წლის 10 ივნისის კანონი №605 – ვებგვერდი, 12.06.2025 წ.

თავი IX. ბუნებრივი გაზის წარმოება

მუხლი 39. ბუნებრივი გაზის წარმოების სავალდებულო პირობები

1. ბუნებრივი გაზის წარმოება შეიძლება განახორციელოს იმ საწარმომ, რომელსაც ექსპლუატაციაში შესულმოწყობილობაში ბუნებრივი გაზის დამუშავების ავტორიზაცია აქვს და ამ მოწყობილობის ოპერირებას „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით ახორციელებს.

2. ბუნებრივი გაზის ყველა მწარმოებელი, რომლებიც ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, უფლებამოსილია ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორის მიერ მისი ბაზრის მონაწილედ რეგისტრაციის შემდეგ ივაჭროს ბუნებრივი გაზის ბაზრის წესების შესაბამისად.

მუხლი 40. ბუნებრივი გაზის მწარმოებლის უფლებები

1. ამ კანონის მიზნებისთვის ბუნებრივი გაზის მწარმოებელი უფლებამოსილია:

ა) დადოს ხელშეკრულებები ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვის შესახებ ამ კანონითა და ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ბ) დადოს ხელშეკრულებები დაბალანსების ან/და დამხმარე მომსახურების გაწევის შესახებ ამ კანონით, ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესებით ან/და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის წესებით დადგენილი პირობების დაცვით, ხოლო ბუნებრივი გაზის საბალანსო ბაზრისა და დამხმარე მომსახურების ორგანიზებული ბაზრების შექმნის შემდეგ – აგრეთვე ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებით განსაზღვრული პირობების დაცვით;

გ) ჰქონდეს დაშვება ბუნებრივი გაზის გადამცემ ან/და გამანაწილებელ სისტემებთან ამ კანონით, ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესებით, ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის წესებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. ბუნებრივი გაზის მწარმოებელი უფლებამოსილია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებებით.

მუხლი 41. ბუნებრივი გაზის მწარმოებლის ვალდებულებები

1. ამ კანონის მიზნებისთვის ბუნებრივი გაზის მწარმოებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ამ კანონით, ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები და პირობები;

ბ) დააკმაყოფილოს ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესებითა და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის წესებით დადგენილი ტექნიკური და საოპერაციო მოთხოვნები;

გ) შეასრულოს ენერგოეფექტურობისა და გარემოსდაცვითიმოთხოვნები;

დ) გადამცემი სისტემის ოპერატორისა და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერირებისა და მართვისთვის საჭირო მონაცემები და ინფორმაცია;

ე) უზრუნველყოს გადამცემი სისტემის ოპერატორისა და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის თავისუფალი წვდომა ბუნებრივი გაზის წარმოების ობიექტის იმ აღჭურვილობაზე, რომელიც გამოიყენება ბუნებრივი გაზის მისაწოდებლად შესაბამისად ბუნებრივი გაზის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელში.

2. თუ საქართველოს მთავრობა საჭიროდ მიიჩნევს, რომ დააწესოს დამატებითი მოთხოვნები ბუნებრივი გაზის წარმოების პროცესის ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად, იგი უფლებამოსილია ცალკეული ტექნოლოგიებისთვის დაადგინოს ეფექტიანობის მინიმალური დონე, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს ბუნებრივი გაზის წარმოების ახალი ობიექტების მშენებლობის ან არსებული ობიექტების რეკონსტრუქციის დროს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნები აგრეთვე ვრცელდება „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატზე.

კარი V. გადაცემა

თავი X. გადამცემი სისტემის ოპერატორის სტატუსი და დასახელება

მუხლი 42. გადამცემი სისტემის ოპერატორის სტატუსი

1. გადაცემა არის საზოგადოებრივი ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული საქმიანობა, რომელიც მოიცავს ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის გადაცემას გადამცემ ქსელში, გადამცემი ქსელის ეკონომიკური პირობების შესაბამისად ოპერირებას, მოვლა-პატრონობასა და განვითარებას და მასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობებს, რომლებიც საჭიროა ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის სისტემების უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

2. გადაცემის საქმიანობას ახორციელებს გადამცემი სისტემის ოპერატორი ამ კანონითა და ენერგეტიკული სექტორის მარეგულირებელი საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორი არის სპეციალური და დამოუკიდებელი ენერგეტიკული საწარმო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირია. გადამცემი სისტემის ოპერატორი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი წარმოების, განაწილების, მიწოდებისა და ვაჭრობის საქმიანობებისგან და ამ საქმიანობებთან დაკავშირებული კომერციული ინტერესებისგან.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილი არ არის, იყიდოს ან/და გაყიდოს ელექტროენერგია ან ბუნებრივი გაზი, გარდა ამ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადამცემი სისტემის ოპერატორს უფლება აქვს, შეისყიდოს ელექტროენერგია ან ბუნებრივი გაზი გადამცემ ქსელში დანაკარგების ასანაზღაურებლად, ხოლო ბუნებრივი გაზი – საკუთარი მოხმარებისთვის (კომპრესორის მუშაობისთვის და გაზის წინასწარი გათბობისთვის), აგრეთვე ამ კანონის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში იყიდოს ან/და გაყიდოს ელექტროენერგია ან ბუნებრივი გაზი დაბალანსების მიზნით.

5. გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია განახორციელოს თავისი საქმიანობა, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის 43-ე მუხლის პირობებს.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობებისგან გადამცემი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობა მიღწეული და შემდგომ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს განცალკევების საშუალებით, ამ კანონის XI თავით დადგენილი პირობების შესაბამისად.

მუხლი 43. გადამცემი სისტემის ოპერატორის ავტორიზაცია

1. გადამცემი სისტემის ოპერატორის ავტორიზაციას ახდენს კომისია გადაცემის საქმიანობის ლიცენზიის გაცემით. ლიცენზია გაიცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კანონის V თავისა და კომისიის მიერ დამტკიცებული ლიცენზირების წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. გადაცემის საქმიანობის ლიცენზია შეიძლება გაიცეს მხოლოდ ამ კანონის 50-ე მუხლით დადგენილი წესით სერტიფიცირებულ გადამცემი სისტემის ოპერატორზე.

თავი XI. გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევება

მუხლი 44. გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების მოდელი

1. საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების მოდელის შესახებ. კომისია ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან შეთანხმებით საქართველოს მთავრობას წარუდგენს გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების მოდელს და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმას.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების მოდელია ამ კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ქონებრივი განცალკევება.

3. თუ 2011 წლის 6 ოქტომბრის მდგომარეობით ან მანამდე გადამცემი სისტემის ოპერატორი ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოს მიეკუთვნებოდა, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ქონებრივი განცალკევების მოდელისგან გამონაკლისის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის მოდელი ამ კანონის 46-ე და 48-ე მუხლების შესაბამისად.

4. დაუშვებელია განხორციელებული გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების მოდელის ჩანაცვლება სხვა ისეთი მოდელით, რომელიც გადამცემი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობის უფრო ნაკლებ ხარისხს გულისხმობს და გამოიწვევს გადამცემი სისტემის ოპერატორის ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოსთან ან მის ნაწილთან უფრო მჭიდრო დაკავშირებას ან მასზე დამოკიდებულების გაზრდას.

5. დაუშვებელია გადამცემი სისტემის ოპერატორის ან/და გადამცემი სისტემის მესაკუთრის მიერ ამ კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ქონებრივი განცალკევების მოდელის განხორციელების მიზნით მიღებული ზომებისთვის ხელის შეშლა.

6. განცალკევების მოთხოვნები არ ვრცელდება ჰორიზონტალურად ინტეგრირებულ ელექტროენერგეტიკულ საწარმოსა და ჰორიზონტალურად ინტეგრირებულ ბუნებრივი გაზის საწარმოზე.

მუხლი 45. ქონებრივი განცალკევება

1. ენერგეტიკულმა საწარმომ, რომელიც გადამცემ სისტემას ფლობს, უნდა იმოქმედოს, როგორც გადამცემი სისტემის ოპერატორმა, და ამ კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოიპოვოს გადაცემის საქმიანობის ლიცენზია.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით დაუშვებელია, ერთი და იგივე პირი:

ა) რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს წარმოების ან მიწოდების ნებისმიერი საქმიანობის განმახორციელებელ ენერგეტიკულ საწარმოს, იმავდროულად პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებდეს ან ახორციელებდეს რაიმე უფლებას გადამცემი სისტემის ოპერატორის ან გადამცემი ქსელის მიმართ;

ბ) რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ახორციელებს გადამცემი სისტემის ოპერატორის ან გადამცემი ქსელის კონტროლს, იმავდროულად პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებდეს ან ახორციელებდეს რაიმე უფლებას წარმოების ან მიწოდების ნებისმიერი საქმიანობის განმახორციელებელი ენერგეტიკული საწარმოს მიმართ;

გ) რომელიც ნიშნავს გადამცემი სისტემის ოპერატორის ან გადამცემი ქსელის მესაკუთრე საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს, მმართველი საბჭოს ან წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებს, იმავდროულად პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებდეს ან ახორციელებდეს რაიმე უფლებას წარმოების ან მიწოდების ნებისმიერი საქმიანობის განმახორციელებელი ენერგეტიკული საწარმოს მიმართ;

დ) ერთდროულად იყოს როგორც წარმოების ან მიწოდების ნებისმიერი საქმიანობის განმახორციელებელი ენერგეტიკული საწარმოს, ისე გადამცემი სისტემის ოპერატორის ან გადამცემი ქსელის სამეთვალყურეო საბჭოს, მმართველი საბჭოს ან წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული უფლებები მოიცავს:

ა) ხმის მიცემის უფლებას;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს, მმართველი საბჭოს ან წარმომადგენლობითი ორგანოს წევრების დანიშვნის უფლებას;

გ) აქციების (წილის) უმრავლესობის ფლობის უფლებას.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ გადამცემი სისტემის მესაკუთრე ორი ან მეტი ენერგეტიკული საწარმო დააფუძნებს ერთობლივ საწარმოს, რომელიც გადამცემი სისტემის ოპერატორის ფუნქციებს ორ ან მეტ ქვეყანაში ასრულებს. დაუშვებელია რომელიმე სხვა საწარმოს მონაწილეობა ერთობლივ საწარმოში, თუ იგი ავტორიზებული არ არის, როგორც სისტემის ოპერატორი, განცალკევების მოთხოვნების შესრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირების შედეგად.

5. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირი არის საქართველოს სახელმწიფო ორგანო, მუნიციპალიტეტის ორგანო ან სხვა საჯარო დაწესებულება, ორი ცალკეული საჯარო დაწესებულება, რომელთაგან ერთი აკონტროლებს გადამცემი სისტემის ოპერატორს ან გადამცემ ქსელს, ხოლო მეორე – წარმოების ან მიწოდების ნებისმიერი საქმიანობის განმახორციელებელ ენერგეტიკულ საწარმოს, მიჩნეული არ იქნება ერთ და იმავე პირად.

6. დაუშვებელია იმ გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ, რომელიც ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოს მიეკუთვნებოდა, წარმოების ან მიწოდების ნებისმიერი საქმიანობის განმახორციელებელი ენერგეტიკული საწარმოსთვის კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის ან პერსონალის გადაცემა.

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №7020-რს – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 46. დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი

1. კომისია უფლებამოსილია, ამ კანონის 45-ე მუხლით დადგენილი ქონებრივი განცალკევებიდან გამონაკლისის სახით, ამ კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად განახორციელოს დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის ავტორიზაცია.

2. დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის ავტორიზაცია შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორობის კანდიდატი აკმაყოფილებს ამ კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორობის კანდიდატი ფლობს საჭირო ფინანსურ, ტექნიკურ, ფიზიკურ და ადამიანურ რესურსებს, რათა შეასრულოს ამ კანონის 51-ე და 52-ე მუხლებით გათვალისწინებული ფუნქციები და ვალდებულებები;

გ) დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორობის კანდიდატი იღებს ვალდებულებას, შეასრულოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა ამ კანონის 53-ე მუხლის შესაბამისად;

დ) გადამცემი სისტემის მესაკუთრე განაცხადებს, რომ აქვს ამ კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ვალდებულებების შესრულების სათანადო შესაძლებლობა, რის დასტურადაც წარმოადგენს დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორობის კანდიდატსა და სხვა შესაბამის საწარმოებთან (ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში) წინასწარ შეთანხმებულ, გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტებს;

ე) დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორობის კანდიდატს აქვს სათანადო შესაძლებლობა, შეასრულოს გადამცემ სისტემასთან დაშვებასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რაც გულისხმობს, სხვა საკითხებთან ერთად, გადამცემი სისტემის ოპერატორებთან თანამშრომლობას ევროპულ და რეგიონულ დონეებზე.

მუხლი 47. დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორისა და გადამცემი სისტემის მესაკუთრის ფუნქციები

1. ამ კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად ავტორიზებული დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) მესამე პირებისთვის სისტემასთან დაშვების უფლების მინიჭება და ამ უფლებით სარგებლობის მართვა, მათ შორის, შესაბამისი ტარიფებისა და საფასურების ადმინისტრირება;

ბ) გადამცემი სისტემის ოპერირება, მოვლა-პატრონობა და განვითარება, აგრეთვე გადამცემი სისტემის მიერ გონივრული მოთხოვნის დაკმაყოფილების გრძელვადიანი შესაძლებლობა შესაბამისი საინვესტიციო დაგეგმვის მეშვეობით. გადამცემი სისტემის განვითარებისას დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი პასუხისმგებელია ახალი ინფრასტრუქტურის დაგეგმვისთვის (მათ შორის, შესაბამისი ავტორიზაციის მოპოვებისთვის), მშენებლობისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის. ამ მიზნით იგი მოქმედებს, როგორც გადამცემი სისტემის ოპერატორი, ამ კანონის 51-ე და 52-ე მუხლების შესაბამისად.

2. გადამცემი სისტემის მესაკუთრე პასუხისმგებელი არ არის საინვესტიციო დაგეგმვისთვის, მესამე პირებისთვის სისტემასთან დაშვების უფლების მინიჭებისა და ამ უფლებით სარგებლობის მართვისთვის.

3. თუ ავტორიზებულია დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი, გადამცემი სისტემის მესაკუთრე ვალდებულია:

ა) ითანამშრომლოს დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორთან და ხელი შეუწყოს მას მისი ფუნქციების შესრულებაში, მათ შორის, მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია;

ბ) დააფინანსოს ინვესტიციები, რომელთა განხორციელებაც დამოუკიდებელმა სისტემის ოპერატორმა გადამცემი სისტემის მესაკუთრესთან თანამშრომლობითა და კომისიასთან შეთანხმებით გადაწყვიტა,ან გასცეს თანხმობა სხვა დაინტერესებული პირის, მათ შორის, დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის, მიერ ამ ინვესტიციების დაფინანსების შესახებ. ამ შემთხვევაში ნებისმიერი ფინანსური ხელშეკრულება საჭიროებს კომისიის თანხმობას. ასეთი თანხმობის გაცემამდე კომისია კონსულტაციებს მართავს დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორთან, გადამცემი სისტემის მესაკუთრესა და სხვა დაინტერესებულ პირებთან;

გ) უზრუნველყოს გადამცემი ქსელის აქტივებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის, გარდა დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის ფუნქციებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისა, დაზღვევა;

დ) წარმოადგინოს სათანადო უზრუნველყოფა ქსელის გაფართოების დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გასცა თანხმობა სხვა დაინტერესებული პირის, მათ შორის, დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორის, მიერ ინვესტიციების დაფინანსებაზე.

4. დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი გადამცემი სისტემის მესაკუთრის თანხმობითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით უნდა ფლობდეს გადამცემი ქსელის აქტივებს. კომისია ამტკიცებს გადამცემი სისტემის მესაკუთრესა და დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორს შორის დადებულ ხელშეკრულებას გადამცემი ქსელის აქტივების მფლობელობაში გადაცემის შესახებ, მათ შორის, სისტემის მესაკუთრის ანაზღაურებას.

მუხლი 48. გადამცემი სისტემის მესაკუთრის დამოუკიდებლობა

1. თუ ავტორიზებულია დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი ამ კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად,გადამცემი სისტემის მესაკუთრე, რომელიც ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ნაწილია, სულ მცირე სამართლებრივი ფორმის, ორგანიზაციული მოწყობისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, დამოუკიდებელი უნდა იყოს სხვა ისეთი საქმიანობისგან, რომელიც გადაცემას, განაწილებას ან შენახვას არ უკავშირდება.

2. გადამცემი სისტემის მესაკუთრის ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დაკმაყოფილდეს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:

ა) გადამცემი სისტემის მესაკუთრის მართვისთვის პასუხისმგებელი პირების იმ ინტეგრირებული საწარმოს კორპორაციულ სტრუქტურებში მონაწილეობის

დაუშვებლობა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებელია წარმოების, განაწილების, მიწოდების ან/და ვაჭრობის ყოველდღიური საქმიანობისთვის;

ბ) სათანადო ზომების მიღება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გადამცემი სისტემის მესაკუთრის მართვისთვის პასუხისმგებელი პირების პროფესიული ინტერესების გათვალისწინება იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესაძლებლობა, იმოქმედონ დამოუკიდებლად;

გ) გადამცემი სისტემის მესაკუთრის მიერ შესაბამისობის პროგრამის შექმნა, რომელიც განსაზღვრავს დისკრიმინაციული ქმედების თავიდან ასაცილებლად მისაღებ ზომებს და უზრუნველყოფს მათი მიღების სათანადო კონტროლს. ამ მიზნით აღნიშნული შესაბამისობის პროგრამა უნდა განსაზღვრავდეს დასაქმებულთა სპეციალურ ვალდებულებებს. შესაბამისობის პროგრამაზე ზედამხედველობისთვის პასუხისმგებელი პირი ან ორგანო ამზადებს განხორციელებული ღონისძიებების შესახებ წლიურ ანგარიშს და მას კომისიას წარუდგენს. წლიური ანგარიში ქვეყნდება საჯაროდ.

მუხლი 49. გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევებაზე ზედამხედველობა

1. დამოუკიდებლობისა და განცალკევების მოთხოვნებთან გადამცემი სისტემის ოპერატორის უწყვეტ შესაბამისობაზე, დამოუკიდებლობის მოთხოვნილი დონის ან/და გამოყენებული განცალკევების მოდელის მიუხედავად, ზედამხედველობას ახორციელებს კომისია.

2. კომისია აფასებს გადამცემი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობისა და განცალკევების მოთხოვნებთან შესაბამისობას და ხელახლა იწყებს ამ კანონის XII თავით გათვალისწინებულ სერტიფიცირების პროცედურას შემდეგ შემთხვევებში:

ა) გადამცემი სისტემის ოპერატორის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების საფუძველზე;

ბ) საკუთარი ინიციატივით, თუ ფლობს ინფორმაციას, რომ გადამცემი სისტემის ოპერატორთან დაკავშირებული უფლებების ან გავლენის დაგეგმილმა ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს დამოუკიდებლობისა და განცალკევების მოთხოვნებთან გადამცემი სისტემის ოპერატორის შეუსაბამობა, ან თუ არსებობს გონივრული ვარაუდი ამგვარი შეუსაბამობის არსებობის შესახებ;

გ) ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორმა კომისიას უნდა შეატყობინოს ყველა დაგეგმილი გარიგების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა საჭირო გახადოს გადამცემი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობისა და განცალკევების მოთხოვნებთანშესაბამისობის ხელახალი შეფასება.

4. კომისია გადამცემი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობისა და განცალკევების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის

შესაბამისად, გადამცემი სისტემის ოპერატორის შეტყობინების მიღებიდან, ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს დასაბუთებული მოთხოვნის მიღებიდან ან საკუთარი ინიციატივით შემოწმების დაწყებიდან არაუგვიანეს 4 თვისა. კომისიის ინიციატივით შემოწმების დაწყების დღედ ჩაითვლება გადამცემი სისტემის ოპერატორის შემოწმების დაწყების დღე, რომელიც მიეთითება შემოწმების დაწყების შესახებ კომისიის შესაბამის აქტში.

5. თუ კომისია მიიჩნევს, რომ გადამცემი სისტემის ოპერატორი არ შეესაბამება დამოუკიდებლობის ან/და განცალკევების მოთხოვნებს, გადამცემი სისტემის ოპერატორმა შეუსაბამობა უნდა აღმოფხვრას კომისიის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში და კომისიას უნდა წარუდგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები, მონაცემები და ინფორმაცია. კომისიის მიერ შეუსაბამობის აღმოფხვრის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადამცემი სისტემის ოპერატორი სარგებლობს შესაბამისი საქმიანობის დროებითი ავტორიზაციით.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სერტიფიცირების ხელახალი პროცედურა უნდა განხორციელდეს ამ კანონის 50-ე მუხლით დადგენილი წესით.

7. თუ კომისია მიიჩნევს, რომ გადამცემი სისტემის ოპერატორმა არაღმოფხვრა დამოუკიდებლობის ან/და განცალკევების მოთხოვნებთან შეუსაბამობა, კომისიამ შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ლიცენზიის გაუქმების ან/და ამ კანონის 153-ე მუხლის შესაბამისად გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის ჯარიმის დაკისრების თაობაზე.

თავი XII. გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირება

მუხლი 50. გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირება

1. ენერგეტიკული საწარმო წერილობით ატყობინებს კომისიას ამ კანონის XI თავით გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის დადგენილი განცალკევების მოთხოვნების შესრულების შესახებ და წარუდგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტებს, მონაცემებსა და ინფორმაციას.

2. კომისია გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ შეტყობინებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის, მონაცემისა და ინფორმაციის სათანადო წესით წარდგენიდან 4 თვის ვადაში განიხილავს გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირების საკითხს და თავის გადაწყვეტილებას სერტიფიცირების ან მასზე უარის თქმის შესახებ მის ძალაში შესვლამდე უგზავნის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს არანაკლებ 1 თვის ვადაში ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ მოსაზრებების წარმოსადგენად. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოში შესაბამისი გადაწყვეტილების წარდგენიდან 2 თვის ვადაში. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირების ან სერტიფიცირებაზე უარის თქმის შესახებ

გადაწყვეტილება მიღებული არ იქნა, გადამცემი სისტემის ოპერატორი სერტიფიცირებულად ჩაითვლება.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული გადამცემი სისტემის ოპერატორის (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ იგი მესამე ქვეყნების რეზიდენტი პირების კონტროლის ქვეშ იმყოფება) სერტიფიცირების მიზნით კომისიისთვის შეტყობინების წარდგენის, კომისიის მიერ გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და ენერგეტიკულ გაერთიანებასთან შეთანხმების პროცედურა განისაზღვრება კომისიის მიერ დამტკიცებული გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირების წესებით.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირების პროცედურის დასრულებამდე კომისია და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო უფლებამოსილი არიან გადამცემი სისტემის ოპერატორისგან ან/და გადამცემი სისტემის მესაკუთრისგან ან/და წარმოების ან მიწოდების განმახორციელებელი ენერგეტიკული საწარმოებისგან ნებისმიერ დროს მოითხოვონ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით ნებისმიერი ინფორმაცია. კომისია და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო ვალდებული არიან უზრუნველყონ კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

თავი XIII. გადამცემი სისტემის ოპერატორი

მუხლი 51. გადამცემი სისტემის ოპერატორის ფუნქციები

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი, განურჩევლად მისი განცალკევების მოდელისა, უზრუნველყოფს უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი გადამცემი სისტემის მშენებლობას, ოპერირებას, მოვლა-პატრონობასა და განვითარებას ეკონომიკური პირობების შესაბამისად, რათა დაცულ იქნეს როგორც ღია ბაზარი, ისე უზრუნველყოფილ იქნეს გადამცემი სისტემის გრძელვადიანი უნარი – დააკმაყოფილოს განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის გადაცემაზე გონივრული მოთხოვნები და მის მიერ გასაწევი მომსახურების ვალდებულებების შესრულებისთვის შესატყვისი საშუალებები. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია თავისი საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს გარემოსდაცვითი საკითხები.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი გადაცემასთან დაკავშირებულ მომსახურებას ახორციელებს ამ კანონის, გადამცემი ქსელის წესების, სალიცენზიო პირობებისა და ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური წესების შესაბამისად.

3. გადამცემი სისტემით მოსარგებლეებს გადაცემასთან დაკავშირებული მომსახურება გაეწევათ გადამცემი სისტემის ოპერატორთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. გადამცემი სისტემის ოპერატორი შეიმუშავებს მომსახურების გაწევის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, მათ შორის, გადამცემ ქსელთან მიერთებისა და გადაცემის

მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, და კომისიის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორი, ხოლო შესაბამის შემთხვევებში – გადამცემი სისტემის მესაკუთრე, სიმძლავრეებზე არსებული ყველა ეკონომიკურად გონივრული და ტექნიკურად განხორციელებადი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში მიწოდების უსაფრთხოების გათვალისწინებით უზრუნველყოფს საკმარისი ტრანსსასაზღვრო სიმძლავრეების (ურთიერთდამაკავშირებლები) მშენებლობას ენერგეტიკული გაერთიანების მხარეების გადამცემ სისტემებთან, ხოლო სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკით განსაზღვრულ შემთხვევებში – აგრეთვე სხვა მეზობელი ქვეყნების გადამცემ სისტემებთან საქართველოს ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემების ინტეგრირების მიზნით.

5. დაუშვებელია გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ სისტემით მოსარგებლეებს ან სისტემით მოსარგებლეთა სხვადასხვა კატეგორიას შორის დისკრიმინაცია, მათ შორის, დაკავშირებული საწარმოს სასარგებლოდ.

6. გადამცემი სისტემის ოპერატორმა მეზობელი სისტემის ყველა შესატყვის ოპერატორს, მათ შორის, გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის საცავისა და გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორებს, უნდა მიაწოდოს საკმარისი ინფორმაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის გადაცემა ან სათანადო შემთხვევებში ბუნებრივი გაზის შენახვა ურთიერთდაკავშირებული სისტემების უსაფრთხო და ეფექტიანი ოპერირების შესაბამისად.

7. გადამცემი სისტემის ოპერატორი სისტემით მოსარგებლეებს უზრუნველყოფს დეტალური ინფორმაციით შეთავაზებული მომსახურებისა და პირობების შესახებ, რომელიც უნდა იყოს გასაგები, რაოდენობრივად აღქმადი და ადვილად ხელმისაწვდომი, აგრეთვე სისტემით მოსარგებლეების მიერ სისტემაზე ეფექტიანი წვდომისათვის აუცილებელი ტექნიკური ინფორმაციით, კომისიის მიერ დამტკიცებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის წესით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა.

8. გადამცემი სისტემის ოპერატორმა საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ენერგია უნდა შეისყიდოს გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და საბაზრო პროცედურების შესაბამისად.

9. გადამცემი სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს, რომ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისთვის, მათ შორის, კომისიისა და კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთვის, აგრეთვე ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის ხელმისაწვდომი იყოს ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია, აგრეთვე სისტემით მოსარგებლეების ქსელთან ეფექტიანი დაშვებისთვის საჭირო ტექნიკური ინფორმაცია და გამჭვირვალობის მოთხოვნებთან დაკავშირებული ინფორმაცია არანაკლებ 5 წლის განმავლობაში.

საქართველოს 2023 წლის 29 ნოემბრის კანონი №3763 – ვებგვერდი, 11.12.2023წ.

მუხლი 52. გადამცემი სისტემის ოპერატორის ვალდებულებები

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების მოთხოვნები ამ კანონის მე-60 და 68-ე მუხლების შესაბამისად;

ბ) შეიმუშაოს გადამცემი სისტემის განვითარების ყოველწლიური გეგმა არანაკლებ ათწლიანი პერიოდისთვის ამ კანონის 53-ე მუხლის, სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და სხვა სისტემების ოპერატორების სათანადოდ შეთანხმებული საინვესტიციო გეგმების შესაბამისად;

გ) განახორციელოს გამჭვირვალე და ეფექტიანი პროცედურები და დაიცვას გამჭვირვალე და ეფექტიანი წესები და პირობები გადამცემ სისტემასთან მესამე პირების არადისკრიმინაციული და შეუზღუდავი დაშვებისთვის ამ კანონის 57-ე, 58-ე, 65-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად;

დ) განახორციელოს გადამცემ ქსელთან გამანაწილებელი სისტემებისა და სხვა ენერგეტიკული ობიექტების, მათ შორის, სამრეწველო მომხმარებლების, არადისკრიმინაციული და ყველაზე ოპტიმალური მიერთების გამჭვირვალე და ეფექტიანი პროცედურები, წესები და პირობები, ამ კანონის 59-ე და 67-ე მუხლების შესაბამისად;

ე) დაიცვას გადამცემი სისტემის დისპეტჩერიზაციის წესები და პირობები და შეასრულოს დისპეტჩერის ფუნქციები, რაც გულისხმობს გადამცემ ქსელთან მიერთებული წარმოების ობიექტების საოპერაციო სიმძლავრეების, წარმოების ასეთი ობიექტების მიერ გამომუშავებული და გადამცემ სისტემაში მიწოდებული ენერგიის ნაკადების ან/და გადამცემ სისტემაში არსებული ენერგიის სრული ნაკადების მართვას, ურთიერთდაკავშირებულ სისტემებთან ტრანსსასაზღვრო გადადინების მიზნით ურთიერთდამაკავშირებლების გამოყენების ჩათვლით;

ვ) უზრუნველყოს გადამცემი სისტემის დაბალანსება და მასთან დაკავშირებული წესებისა და პირობების შესრულება ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ზ) უზრუნველყოს დამხმარე მომსახურების შესყიდვა და სასისტემო მომსახურების გაწევა, აგრეთვე მასთან დაკავშირებული წესებისა და პირობების შესრულება ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

თ) უზრუნველყოს სიმძლავრის განაწილებისა და გადატვირთვის მართვის ფუნქციების განხორციელება, აგრეთვე მასთან დაკავშირებული წესებისა და პირობების შესრულება ამ კანონის 62-ე, 63-ე და 70-ე მუხლების შესაბამისად, გადამცემ ქსელში არსებული სიმძლავრეების, მათ შორის, ურთიერთდამაკავშირებლების, ეფექტიანი გამოყენებისთვის;

ი) მიიღოს შესაბამისი უსაფრთხოების ზომები გადამცემი სისტემისა დამასთან დაკავშირებული სხვა მოწყობილობების გამოსაყენებლად;

კ) უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელებისას მიღებული, კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა ამ კანონის 151-ე მუხლის შესაბამისად და გამოაქვეყნოს ინფორმაცია, რომელიც არადისკრიმინაციული გზით ბაზარზე გარკვეული უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას იძლევა;

ლ) შეაგროვოს და გამოაქვეყნოს ის მონაცემები და ინფორმაცია, რომლებიც საჭიროა ენერგეტიკული ბაზრების გამჭვირვალობასა და ზედამხედველობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესასრულებლად გადამცემი ქსელის წესებისა და ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური წესების შესაბამისად;

მ) ხელი შეუწყოს მიწოდების უსაფრთხოებას გადამცემი სისტემის ადეკვატური სიმძლავრისა და საიმედოობის უზრუნველყოფით და იმოქმედოს ამ კანონის XXXIII და XXXIV თავებით დადგენილი მიწოდების უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით;

ნ) მიიღოს სათანადო ზომები ენერგოეფექტურობის ზრდისა და გარემოს დაცვის მიზნით;

ო) გამოიყენოს ენერგოეფექტურობისა და მოთხოვნის მართვის თანამედროვე მეთოდები გადამცემი სისტემის, მათ შორის, ურთიერთდამაკავშირებლების, მოვლა-პატრონობასა და განვითარებასთან დაკავშირებული მინიმალური სტანდარტების დაცვით;

პ) ითანამშრომლოს სხვა სისტემების ოპერატორებსა და შესაბამის დაინტერესებულ პირებთან და ხელი შეუწყოს მათთან საოპერაციო შეთანხმებებს და ენერგეტიკული ბირჟების განვითარებას ამ კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად რეგიონული ენერგეტიკული ბაზრების შესაქმნელად;

ჟ) დაადგინოს ქსელის უსაფრთხოების მინიმალური შიდა საოპერაციო წესები და ვალდებულებები ამ კანონისა და გადამცემი ქსელის წესების შესაბამისად;

რ) ხელი შეუწყოს ენერგეტიკული ბაზრების ინტეგრაციასა და ლიბერალიზაციას;

ს) კომისიას და ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებსა და საერთაშორისო ინსტიტუტებს მიაწოდოს მათ მიერ თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვალდებულებების შესრულების გარდა, ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორი ახორციელებს გადატვირთვის საფასურისა და გადამცემი სისტემის ოპერატორებს შორის კომპენსაციის მექანიზმის ფარგლებში საფასურის ადმინისტრირებას, უზრუნველყოფს მესამე პირების გადამცემ სისტემასთან დაშვებას და მათ მიერ გადამცემი სისტემით სარგებლობის მართვას, ხოლო ასეთ დაშვებაზე უარის თქმის შემთხვევაში – დასაბუთებული ახსნა-განმარტების გაცემას, რასაც ზედამხედველობას უწევს კომისია.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორი აგრეთვე ასრულებს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა ფუნქციებსა და მოვალეობებს ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 53. გადამცემი ქსელის განვითარება და საინვესტიციო გადაწყვეტილებები

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი ყოველწლიურად, მომდევნო 10 კალენდარული წლისთვის შეიმუშავებს/განაახლებს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმას, რომელიც მიწოდებისა და მოთხოვნის არსებულ და საპროგნოზო მაჩვენებლებს უნდა ეფუძნებოდეს. გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა უნდა მოიცავდეს ეფექტიან ზომებს გადამცემი ქსელისა და მიწოდების უსაფრთხოების ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად.

2. გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა შეიცავს:

ა) ინფორმაციას ელექტროენერგიაზე ან ბუნებრივ გაზზე არსებული და საპროგნოზო მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ;

ბ) ინფორმაციას ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის შიდა საპროგნოზო წარმოებისა და ტრანსსასაზღვრო გადადინების შესახებ;

გ) ინფორმაციას გადამცემი ქსელის იმ ძირითადი ინფრასტრუქტურის შესახებ, რომელიც მომდევნო 10 წლის განმავლობაში უნდა აშენდეს ან გაუმჯობესდეს;

დ) ინფორმაციას გადაწყვეტილი ინვესტიციების და იმ ახალი ინვესტიციების შესახებ, რომლებიც მომდევნო 3 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს;

ე) კონკრეტულ ვადებს საინვესტიციო პროექტების განხორციელებისთვის;

ვ) ინფორმაციას წარმოების ახალი ობიექტების (მათ შორის, განახლებადი ენერგიის წყაროების) ქსელში ინტეგრირების შესახებ;

ზ) სხვა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა საქართველოს ენერგეტიკული სისტემების ეფექტიანი ოპერირებისა და მართვისთვის, ამ კანონით, გადამცემი ქსელის წესებითა და მიწოდების უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორი გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის შემუშავებისას გონივრულობის ფარგლებში აკეთებს ვარაუდებს (დაშვებებს) ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის წარმოების, მიწოდების, მოხმარებისა და ტრანსსასაზღვრო გადადინების შესაფასებლად, მიმდებარე ქსელების საინვესტიციო გეგმების გათვალისწინებით, ხოლო ბუნებრივი გაზის ქსელის განვითარების შემთხვევაში აგრეთვე ითვალისწინებს ბუნებრივი გაზის საცავისა და გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობების საინვესტიციო გეგმებს.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორი გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმაში ასახავს ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკით გათვალისწინებულ ქსელის სტრატეგიული განვითარების სამიზნე მაჩვენებლებს და ტრანსსასაზღვრო და ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტებს.

5. გადამცემი სისტემის ოპერატორი გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის პროექტს მისი შემუშავებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგენს სამინისტროსა და კომისიას. კომისია განიხილავს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის პროექტს, ამოწმებს, გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა მოიცავს თუ არა ყველა საინვესტიციო საჭიროებას, და მასთან დაკავშირებით თავის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს სამინისტროს წარუდგენს ამ პროექტის მიღებიდან 2 თვის ვადაში.

6. სამინისტრო გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის პროექტს და წარმოდგენილ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს განიხილავს კომისიასა და გადამცემი სისტემის ოპერატორთან ერთად. სამინისტრო უფლებამოსილია, მათ შორის, კომისიის შენიშვნების გათვალისწინებით, გადამცემი სისტემის ოპერატორს მოსთხოვოს, ცვლილებები შეიტანოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმაში. აღნიშნული არ ეხება გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმიდან ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სამიზნე მაჩვენებლების შესაბამისი პროექტების ამოღებას, თუმცა მიზანშეწონილობის შემთხვევაში შესაძლებელია მათი განხორციელების ვადების შეცვლა. კომისია უფლებამოსილია გადამცემი სისტემის ოპერატორს მოსთხოვოს დამატებითი დაზუსტებები ან/და ახსნა-განმარტება და, თუ კომისია საჭიროდ მიიჩნევს, აგრეთვე ამ პროექტებთან, მათ შორის, საბოლოო მომხმარებლებისთვის ენერგიის ფასზე ზეგავლენის მქონე პროექტებთან, დაკავშირებული ფინანსური მაჩვენებლების შეცვლა. ასეთი პროექტების განხორციელების ხარჯები შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, თუ ხარჯთსარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე საქართველოს მთავრობა მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას. სხვა შემთხვევაში ისინი გათვალისწინებული იქნება რეგულირებად ტარიფში კომისიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიით დადგენილი წესითა და პირობებით.

7. სამინისტრო საქართველოს მთავრობის თანხმობის საფუძველზე, არაუგვიანეს შესაბამისი წლის დასრულებისა უზრუნველყოფს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის დამტკიცებას. გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის შესრულებას ზედამხედველობენ და აფასებენ კომისია და სამინისტრო თავიანთი კომპეტენციის მიხედვით.

8. თუ გადამცემი სისტემის ოპერატორი არ ახორციელებს მომდევნო სამი წლისთვის გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმით დაგეგმილ ინვესტიციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი, დაუძლეველი მიზეზებით, კომისია შესაბამისი ინვესტიციის განხორციელების უზრუნველსაყოფად, თუ ეს კვლავ მნიშვნელოვანია უკანასკნელი გადამცემი ქსელის

განვითარების ათწლიანი გეგმიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით იღებს ერთ-ერთ ან რამდენიმე შემდეგ ზომას:

ა) გადამცემი სისტემის ოპერატორს მოსთხოვს შესაბამისი ინვესტიციის განხორციელებას;

ბ) ატარებს ღია ტენდერს შესაბამისი ინვესტიციის განხორციელებით დაინტერესებული ინვესტორის შესარჩევად;

გ) გადამცემი სისტემის ოპერატორს დაავალებს, აუცილებელი ინვესტიციების დასაფინანსებლად განახორციელოს საკუთარი კაპიტალის გაზრდა და დამოუკიდებელ ინვესტორებს საშუალება მისცეს, გახდნენ გადამცემი სისტემის ოპერატორის აქციონერები ან პარტნიორები.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინვესტორები არ შეიძლება იყვნენ კომპანიები, რომლებიც ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის წარმოების, მიწოდების ან/და ვაჭრობის საქმიანობას ახორციელებენ.

10. თუ კომისია იღებს ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ზომას, შესაძლოა მან გადამცემი სისტემის ოპერატორს დაავალოს ერთ-ერთი ან რამდენიმე შემდეგი პირობის შესრულება:

ა) გასცეს თანხმობა მესამე პირების მიერ დაფინანსებაზე;

ბ) გასცეს თანხმობა მესამე პირების მიერ აქტივების მშენებლობაზე;

გ) თავად ააშენოს შესაბამისი ახალი აქტივები;

დ) თავად განახორციელოს შესაბამისი ახალი აქტივების ოპერირება.

11. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია გამოიჩინოს მაქსიმალური ძალისხმევა საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობისთვის და ინვესტორებს მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, გადამცემ ქსელთან ახალი მოწყობილობების მიერთებასთან დაკავშირებით. ამ პუნქტიდან გამომდინარე ფინანსური შეთანხმებები კომისიის წინასწარ თანხმობას საჭიროებს.

12. კომისიის მიერ ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ზომის მიღების შემთხვევაში შესაბამისი ინვესტიციის ღირებულება ანაზღაურდება გადაცემასთან დაკავშირებული მომსახურების ტარიფით.

13. თუ ამ კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად დანიშნული დამოუკიდებელი სისტემის ოპერატორი და გადამცემი სისტემის მესაკუთრე ვერ თანხმდებიან გადამცემი ქსელის აქტივების განვითარებაზე, მათ შორის, გადამცემი ქსელის გაფართოებაზე, ასეთი ინვესტიციების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია დამოუკიდებელი სისტემის

ოპერატორისა და გადამცემი სისტემის მესაკუთრის მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური დასაბუთებისა და ტექნიკური დასაბუთების გათვალისწინებით.

მუხლი 54. გადამცემი სისტემის ოპერატორის საქმიანობის გამჭვირვალობა. წლიური ანგარიში

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია გამოაქვეყნოს მის მიერ შეთავაზებული მომსახურებისა და შესაბამისი პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია, სისტემით მოსარგებლეებისთვის გადამცემ სისტემასთან ეფექტიანი დაშვებისთვის საჭირო ტექნიკურ ინფორმაციასთან ერთად, კომისიის მიერ დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადაში.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია ყოველწლიურად გამოაქვეყნოს წინა კალენდარული წლის საქმიანობის შესახებ ანგარიში კომისიის მიერ დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადაში.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორი წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ წარუდგენს სამინისტროს, რომელიც გადამცემი სისტემის ოპერატორის წლიური ანგარიშის გათვალისწინებით ამზადებს ქვეყანაში მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობისა და ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე მოსალოდნელი მოთხოვნის შესახებ წლიურ ანგარიშს.

4. კომისია უფლებამოსილია გადამცემი სისტემის ოპერატორის წლიურ ანგარიშზე დაყრდნობით გადამცემი სისტემის ოპერატორს ან/და შესაბამის შემთხვევაში სხვა ენერგეტიკულ საწარმოს მოსთხოვოს კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს:

ა) გამჭვირვალობა, ობიექტურობა და არადისკრიმინაციულობა;

ბ) გადამცემი სისტემის სათანადოდ ოპერირება და მართვა;

გ) გადამცემ ქსელში დანაკარგების შემცირება;

დ) მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება;

ე) ქსელის საოპერაციო უსაფრთხოების გაუმჯობესება.

მუხლი 55. გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის მონაცემებისა და ინფორმაციის მიწოდება

მწარმოებლები, სისტემის ოპერატორები და გადამცემ ქსელთან მიერთებული მოწყობილობების მფლობელი საბოლოო მომხმარებლები ვალდებული არიან მოთხოვნის შემთხვევაში გადამცემი სისტემის ოპერატორს მიაწოდონ სისტემის ოპერირებისთვის, მართვისა და განვითარებისთვის საჭირო ყველა მონაცემი და ინფორმაცია ამ კანონის, გადამცემი ქსელის წესების, მიწოდების უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმატიული

აქტებისა და კომისიის მიერ დამტკიცებული ინფორმაციის წარდგენის წესების შესაბამისად.

მუხლი 56. გადამცემი სისტემის ოპერატორის რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი კომისიასთან კოორდინირებით ხელს უწყობს რეგიონულ დონეზე გადამცემი სისტემის ოპერატორების თანამშრომლობას, მათ შორის, ტრანსსასაზღვრო საკითხებთან დაკავშირებით, რათა ხელი შეუწყოს ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის კონკურენტული რეგიონული ბაზრის შექმნას და გადამცემი სისტემის ოპერატორის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი და ტექნიკური მოთხოვნების საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობას.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი ამ კანონით, ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობითა და საქართველოს სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში თანამშრომლობს ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელ საბჭოსთან და შესაბამის შემთხვევებში ენერგეტიკული გაერთიანების მხარეების მარეგულირებელ ორგანოებსა და გადამცემი სისტემის ოპერატორებთან.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია გადაცემის სიმძლავრეების გასანაწილებლად და გადამცემ ქსელებში უსაფრთხოების შესამოწმებლად კომისიის წინასწარი თანხმობით მონაწილეობა მიიღოს ერთი ან რამდენიმე ინტეგრირებული სისტემის (სისტემების) მუშაობაში, ერთი ან რამდენიმე ისეთი რეგიონის ფარგლებში, რომელიც (რომლებიც) ფარავს ენერგეტიკული გაერთიანების არანაკლებ ორ მხარეს.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორი ენერგეტიკული გაერთიანების ფარგლებში არსებული გადამცემი ქსელების ოპტიმალური მართვის მიზნით ხელს უწყობს საოპერაციო შეთანხმებებს, ენერგეტიკული ბირჟების განვითარებას და საბაზრო, არადისკრიმინაციული მექანიზმების მეშვეობით ტრანსსასაზღვრო სიმძლავრეების კოორდინირებულ განაწილებას. ამ მიზნით გადამცემი სისტემის ოპერატორი ითვალისწინებს ელექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის აუქციონის უპირატესობებს მოკლევადიანი განაწილებების მიმართ, აგრეთვე დაბალანსებისა და დარეზერვების მექანიზმების ინტეგრაციას.

თავი XIV. ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერირება და მართვა

მუხლი 57. ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვება

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოფს ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან ელექტროენერგიის გადამცემი სისტემით მოსარგებლის არადისკრიმინაციულ და

შეუზღუდავ დაშვებას. ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან დაშვების საფასურს ანგარიშობს და ადგენს კომისია შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ ელექტროენერგიის გადამცემი სისტემით მოსარგებლე სხვადასხვა პირისთვის ერთი და იმავე მომსახურების შეთავაზება უნდა განხორციელდეს თანაბარი სახელშეკრულებო პირობებით, გადაცემის მომსახურების ჰარმონიზებული ხელშეკრულების გამოყენებით ან/და ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების შესაბამისად.

3. ამ კანონის დებულებებმა ხელი არ უნდა შეუშალოს გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმებას იმ პირობით, რომ ეს ხელშეკრულებები შეესაბამება საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობით დადგენილ კონკურენციის წესებს.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორი საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან დაშვების პროცედურას, წესებსა და პირობებს, მათ შორის, ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესებით დადგენილ მოთხოვნებსა და კომისიის მიერ განსაზღვრულ საფასურებს, აგრეთვე ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან დაშვებისა და ელექტროენერგიის გადამცემი სისტემით სარგებლობისთვის საჭირო ტექნიკურ და რაოდენობრივ მონაცემებს, რომლებიც რეგულარულად უნდა განახლდეს.

5. კომისიის სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მესამე პირის დაშვებასთან დაკავშირებული მომსახურება ელექტროენერგიის გადამცემი სისტემით მოსარგებლეს შეიძლება გაეწიოს მხოლოდ შესაბამისი ფინანსური გარანტიის წარდგენის შემდეგ. ამგვარი გარანტია გათვალისწინებული უნდა იყოს ამ კანონის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შემუშავებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით, უნდა იყოს არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და პროპორციული და არ უნდა ქმნიდეს ბაზარზე შესვლის გაუმართლებელ ბარიერს.

6. გადამცემი სისტემის ოპერატორს ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების ან/და თანამშრომლობის სხვა პირობების შესაბამისად შეიძლება ჰქონდეს მეზობელი ქვეყნების გადამცემი სისტემის ოპერატორების ქსელთან დაშვება, თუ ეს საჭიროა მის მიერ თავისი ფუნქციების შესასრულებლად, მათ შორის, ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადაცემისთვის.

7. გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია წარმოების ობიექტების დისპეტჩერიზაციისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პრიორიტეტი მიანიჭოს იმ ობიექტებს, რომლებიც ენერგიას განახლებადი ენერგიის წყაროს მეშვეობით აწარმოებენ, ან სხვა წახალისებული წარმოების ობიექტებს.

მუხლი 58. ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან დაშვებაზე უარის თქმა

1. გადამცემი სისტემის ოპერატორს უფლება აქვს, მთლიანად ან ნაწილობრივ განაცხადოს უარი ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვებაზე, არასაკმარისი სიმძლავრის ან მიერთების წერტილის არარსებობის საფუძვლით, აგრეთვე თუ

სისტემასთან მესამე პირის დაშვება ხელს შეუშლის გადამცემი სისტემის ოპერატორს ამ კანონის შესაბამისად საჯარო მომსახურების გაწევაში ან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოების ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას. ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან მესამე პირების დაშვებაზე უარის თქმის წესი და პირობები განისაზღვრება ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესებით.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი ასაბუთებს ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან დაშვებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას ამ გადაწყვეტილების მოქმედების ვადის, უარის თქმის შესაბამისი მიზეზებისა და მათ აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებების მითითებით. ყველა პირს, რომელთა მოთხოვნა ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან დაშვების შესახებ არ დაკმაყოფილდა, გადამცემი სისტემის ოპერატორი დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს დაშვებაზე მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღისა, წერილობით აცნობებს უარის თქმის მიზეზებსდა წარუდგენს ობიექტურ, არადისკრიმინაციულ, ტექნიკურად და ეკონომიკურად გამართლებულ კრიტერიუმებზე დამყარებულ მტკიცებულებებს.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია არასაკმარისი სიმძლავრის ან მიერთების წერტილის არარსებობის გამო ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან დაშვებაზე უარის თქმის შემთხვევაში მიიღოს აუცილებელი ზომები ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის გასაძლიერებლად, თუ ეს ქმედება ეკონომიკურად გამართლებულია ან პოტენციური მომხმარებელი თავად უზრუნველყოფს შესაბამისი ხარჯების დაფარვას.

4. კომისია შესაბამის შემთხვევებში უზრუნველყოფს, რომ გადამცემი სისტემის ოპერატორმა დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის გასაძლიერებლად ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ სათანადო ინფორმაცია. ამ ინფორმაციის მიწოდების ხარჯების ასანაზღაურებლად შესაძლოა დაწესდეს გონივრული საფასური.

5. პირი, რომელსაც უარი ეთქვა ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან დაშვებაზე, ან პირი, რომელიც ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან დაშვების პირობებით უკმაყოფილოა, უფლებამოსილია ამ კანონის 155-ე მუხლის შესაბამისად განცხადებით მიმართოს კომისიას.

მუხლი 59. ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან ელექტროენერგიის მოწყობილობების მიერთება

გადამცემი სისტემის ოპერატორი ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების შესაბამისად უზრუნველყოფს ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან ელექტროენერგიის მოწყობილობების მიერთებას. ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან ელექტროენერგიის მოწყობილობების მიერთების საფასურს ადგენს კომისია თავის მიერ მიღებული მეთოდოლოგიის საფუძველზე განხორციელებული გაანგარიშების შედეგად.

მუხლი 60. ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესები

1. ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ოპერირება და მართვა ხორციელდება ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი წესით.

2. ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესები ადგენს:

ა) ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის უსაფრთხოებისთვის საჭირო საოპერაციო მოთხოვნებს ამ კანონის 97-ე მუხლით განსაზღვრული ტექნიკური წესებით დადგენილი ელექტროენერგიის ტექნიკური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერირების პროცედურებს ნორმალურ და საგანგებო რეჟიმებში, გაუმართაობის პირობებში, ფორსმაჟორულ სიტუაციებში და სხვა სახის შეფერხებების დროს, შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ავარიული მართვისა და მიწოდების უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით;

გ) ელექტროენერგიის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვების პროცედურას, წესსა და პირობებს, მათ შორის, ამ კანონის 57-ე და 58-ე მუხლების შესაბამისად, მესამე პირის დაშვებასთან დაკავშირებით გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ გასაწევ მომსახურებას;

დ) ამ კანონის 59-ე მუხლის შესაბამისად ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან მიერთების პროცედურასა და პირობებს, მათ შორის:

დ.ა) ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან მიერთების წინაპირობებს;

დ.ბ) ელექტროენერგიის აღრიცხვის მეთოდს, აღრიცხვის მოწყობილობის ფუნქციურ მოთხოვნებსა და სიზუსტის კლასს ტექნიკური წესებით, ამ კანონის 97-ე მუხლისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

დ.გ) მიერთების წერტილში ან სხვა, განსაზღვრულ საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილში არსებულ აღრიცხვის მოწყობილობაზე საკუთრების უფლებას;

დ.დ) ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან მიერთებასთან დაკავშირებულ გადამცემი სისტემის ოპერატორისა და სისტემით მოსარგებლის უფლებებსა და ვალდებულებებს;

ე) დისპეტჩერიზაციის წესსა და პირობებს, მათ შორის, გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ დისპეტჩერიზაციასთან დაკავშირებით გასაწევ მომსახურებას, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არსებული წარმოების ობიექტების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ან/და ტრანსსასაზღვრო გადადინების შედეგად მიღებული ელექტროენერგიის ეკონომიკური უპირატესობის (ელექტროენერგიის მიწოდების წყაროების დახარისხება ეკონომიკური კრიტერიუმის მიხედვით) და ელექტროენერგეტიკული სისტემის ტექნიკური შეზღუდვების გათვალისწინება. თუ განხორციელებულია ამ კანონის 37-ე მუხლის შესაბამისი ღონისძიებები, ელექტროენერგიის წარმოების ობიექტების დისპეტჩერიზაციისას უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს იმ ობიექტებს, რომლებიც ელექტროენერგიას განახლებადი ენერგიის წყაროების

მეშვეობით აწარმოებენ ან/და ელექტროენერგიისა და თბოენერგიის კომბინირებულ წარმოებას ახორციელებენ;

ვ) ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან ან ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან მიერთებული ობიექტების ელექტრულ ქსელთან მიერთების ზოგად წესებსა და პირობებს, ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესებისა და სხვა მოქმედი წესების შესაბამისად, იმდენად, რამდენადაც აღნიშნული აუცილებელია ელექტროენერგეტიკული სისტემის დისპეტჩერიზაციისთვის;

ზ) ელექტროენერგეტიკული სისტემის დაბალანსების პირობებს, რომლებიც სისტემის რეალურ საჭიროებებს ასახავს და გადამცემი სისტემის ოპერატორის ხელთ არსებულ უმცირესი ღირებულების რესურსებს ითვალისწინებს. დაბალანსების წესები უნდა იყოს ობიექტური, არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული;

თ) ელექტროენერგიის ბალანსის შემუშავების წესს. ელექტროენერგიის ბალანსით განისაზღვრება ელექტროენერგიის წარმოებისა და სისტემაში მიწოდებისა და მოთხოვნის საპროგნოზო მონაცემები და იგი გამოიყენება დისპეტჩერიზაციისა და დაბალანსების მიზნებისთვის. ელექტროენერგიის ბალანსი შემუშავდება და განახლდება პერიოდულად, ურთიერთდაკავშირებული სისტემების ოპერატორებსა და სხვა შესაბამის სისტემით მოსარგებლეებთან თანამშრომლობით და ქვეყნდება გადამცემი სისტემის ოპერატორის ვებგვერდზე;

ი) ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადადინების მართვის წესს ამ კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად;

კ) სიმძლავრის განაწილების, მათ შორის, ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადაცემის სიმძლავრის განაწილებისა და გამოყენების, წესს ამ კანონის 62-ე მუხლის შესაბამისად;

ლ) ელექტროენერგიის გადამცემ ქსელში გადატვირთვის მართვის წესს ამ კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად;

მ) დამხმარე მომსახურების შესყიდვისა და ელექტროენერგიის სასისტემო მომსახურების გაწევის კრიტერიუმებს, მეთოდებსა და წესებს;

ნ) ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ოპერირებისა და განვითარების დაგეგმვის პროცედურას, კრიტერიუმებსა და მეთოდოლოგიას;

ო) სიმძლავრისა და ელექტროენერგიის გადამცემ ქსელში მიწოდებული და გადაცემული ელექტროენერგიის მოცულობის აღრიცხვის პროცედურასა და წესს;

პ) ელექტროენერგიის გადამცემი ქსელით ელექტროენერგიის მიწოდების წყვეტებთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების წესს;

ჟ) გადამცემი სისტემის ოპერატორისა და სისტემით მოსარგებლის იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ოპერირებასა და მართვას უკავშირდება;

რ) გადაცემასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის, მათ შორის, ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან მიერთებასთან (მიერთების სტანდარტული ხელშეკრულების შესაბამისად) და ელექტროენერგიის გადაცემასთან (ელექტროენერგიის გადაცემის სტანდარტული ხელშეკრულების შესაბამისად) დაკავშირებული სახელშეკრულებო ურთიერთობების ზოგად წესებსა და პირობებს;

ს) გადამცემი სისტემის ოპერატორის შიდაორგანიზაციულ დონეზე ელექტროენერგიის გადაცემის ხელშეკრულებებიდან ან ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან დაშვებასთან, ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან მიერთებასთან ან მის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობებიდან გამომდინარე საჩივრებისა და დავების განხილვისა და გადაწყვეტის წესს;

ტ) გადამცემი სისტემის ოპერატორის ხელთ არსებული, ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერირებისა და მართვისთვის და ელექტროენერგიის ბაზრის ორგანიზებისთვის საჭირო მონაცემებისა და ინფორმაციის გამოქვეყნების მეთოდს, მათ შორის, ყველა შესაბამისი პუნქტის განმარტებას და ამ კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად ინფორმაციის გამოქვეყნების გრაფიკს;

უ) ელექტროენერგიის ურთიერთდაკავშირებული სისტემების სხვა ოპერატორებთან მონაცემებისა და ინფორმაციის გაცვლის მეთოდს;

ფ) ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ოპერირებისა და მართვისთვის საჭირო მონაცემებისა და ინფორმაციის გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის მიწოდების წესს ამ კანონის 55-ე მუხლის შესაბამისად;

ქ) გადამცემი სისტემის ოპერატორის კომპეტენციის ფარგლებში ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელ ზომებსა და ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს;

ღ) ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ოპერირებასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა წესებსა და პირობებს.

3. ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესებს შეიმუშავებს გადამცემი სისტემის ოპერატორი, ხოლო გადასინჯავს და ამტკიცებს კომისია. კომისიას ცვლილებები შეაქვს ამ წესებში გადამცემი სისტემის ოპერატორის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით – გადამცემი სისტემის ოპერატორთან კონსულტაციის შემდეგ. გადამცემი სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებულ პირთან კონსულტაციის გავლას და ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების შემუშავების პროცესში მათ სათანადო მონაწილეობას. გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების პროექტის ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობასთან

შესაბამისობის დადგენის მიზნით რეკომენდაციისთვის მიმართოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს. გადამცემი სისტემის ოპერატორი მოქმედებს ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური წესებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

4. ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესები ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და გადამცემი სისტემის ოპერატორის ვებგვერდზე.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 61. ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადადინების მართვა

1. ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის მეშვეობით ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადადინებას მართავს გადამცემი სისტემის ოპერატორი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადამცემი ხაზებისა და ერთიანი ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის ტექნიკური შესაძლებლობების შესაბამისად.

2. ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადამცემი ხაზების გამოყენების სანაცვლოდ მიღებულ საფასურთან დაკავშირებული ანგარიშსწორება გადამცემი სისტემის ოპერატორსა და სხვა ქვეყნების სისტემის იმ ოპერატორებს შორის, რომლებიც ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადადინებაში მონაწილეობენ, ხორციელდება ამ კანონის, საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორი კომისიას აწვდის ინფორმაციას ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადამცემი ხაზებით სარგებლობასთან დაკავშირებით მიღებული შემოსავლების ფაქტობრივი გამოყენებისა და მიზნობრიობის შესახებ, რათა კომისიას შესაძლებლობა ჰქონდეს, განახორციელოს ამ კანონით განსაზღვრული მარეგულირებელი უფლებამოსილება ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადამცემი ხაზების (ურთიერთდამაკავშირებლების) მიმართ.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორი გადამცემი ქსელის ელექტრული და ფიზიკური მახასიათებლების საფუძველზე შეიმუშავებს ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის სიმძლავრის ხელმისაწვდომი მოცულობისა და გადაცემის საიმედოობის ზღვრის გაანგარიშების მეთოდოლოგიას, რომელსაც გადასინჯავს და ამტკიცებს კომისია. კომისიას ცვლილებები შეაქვს ამ მეთოდოლოგიაში გადამცემი სისტემის ოპერატორის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით – გადამცემი სისტემის ოპერატორთან კონსულტაციის შემდეგ. ამ პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, კომისია ამ კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად თანამშრომლობს მეზობელი ქვეყნების შესაბამის ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებთან.

5. გადამცემი სისტემის ოპერატორი აქვეყნებს ელექტროენერგიის გადაცემის სიმძლავრის ხელმისაწვდომი მოცულობის შეფასებით გაანგარიშებას თითოეული დღისთვის, ელექტროენერგიის გადაცემის სიმძლავრის ხელმისაწვდომი მოცულობის უკვე

დარეზერვებული ნაწილის მითითებით. აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება ელექტროენერგიის გადაცემამდე 1 დღით ადრე, გარკვეული ინტერვალებით და მოიცავს 1 კვირით ადრე და 1 თვით ადრე გაკეთებულ გაანგარიშებებს, აგრეთვე ელექტროენერგიის გადაცემის სიმძლავრის ხელმისაწვდომი მოცულობის მოსალოდნელ საიმედოობას შესაბამისი რაოდენობის მითითებით.

6. კომისია მოთხოვნის შემთხვევაში ენერგეტიკული გაერთიანების კომპეტენტურ ორგანოებს აწვდის ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადადინებასთან დაკავშირებულ ყველა მონაცემს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 62. ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადაცემის სიმძლავრის განაწილება და გამოყენება

1. ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადაცემის სიმძლავრე ნაწილდება და გამოიყენება ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესებისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესების შესაბამისად, რეგიონულ დონეზე კოორდინირებული შეთანხმებების გათვალისწინებით.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია შესაბამის შემთხვევებში, საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებების დაცვით სხვა ქვეყნების გადამცემი სისტემის ოპერატორებთან ერთად დააფუძნოს ერთი ან რამდენიმე კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც (რომლებიც) უზრუნველყოფს (უზრუნველყოფენ) ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადაცემის სიმძლავრის აუქციონის კოორდინირებას ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადაცემის სიმძლავრის ერთ ან რამდენიმე რეგიონში განაწილებისა და გამოყენების მიზნით ან ტრანსსასაზღვრო გადაცემის სიმძლავრესთან ერთად ელექტროენერგიის განუცხადებელი ყიდვა-გაყიდვის მიზნით.

3. ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადაცემის სიმძლავრის განაწილებისა და გამოყენების წესებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს გადამცემი სისტემის ოპერატორი, ხოლო გადასინჯავს და ამტკიცებს კომისია. კომისიას ცვლილებები შეაქვს ამ წესებში გადამცემი სისტემის ოპერატორის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით – გადამცემი სისტემის ოპერატორთან კონსულტაციის შემდეგ. აღნიშნულ წესებს ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყანასთან გადამცემი ქსელის ფიზიკური დაკავშირების შემთხვევაში ენერგეტიკული გაერთიანების რეგიონულ დონეზე არსებული ჰარმონიზებული წესებისა და შესაბამისი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების ინსტრუქციების შესაბამისად შეიმუშავებს გადამცემი სისტემის ოპერატორი. ამ წესებს რეგიონის ქვეყნების შესაბამის ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობით გადასინჯავს და ამტკიცებს კომისია, რომელსაც ასევე ცვლილებები შეაქვს აღნიშნულ წესებში. ენერგეტიკული გაერთიანების რეგიონულ დონეზე ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადაცემის სიმძლავრის განაწილებაზე ზედამხედველობა ხორციელდება

კოორდინირებული აუქციონის განმახორციელებელი კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილების შესაბამისად.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 63. ელექტროენერგიის გადამცემ ქსელში გადატვირთვის მართვა

1. ელექტროენერგიის გადამცემ ქსელში გადატვირთვის, მათ შორის, ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადაცემასთან დაკავშირებული გადატვირთვის, მართვა ხორციელდება საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული და არადისკრიმინაციული გადაწყვეტილებებით, რომლებიც ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილეებს, გადამცემი სისტემის ოპერატორსა და სხვა შესაბამის ელექტროენერგეტიკულ საწარმოებს ეფექტურ ეკონომიკურ სიგნალებს აწვდის.

2. ელექტროენერგიის გადამცემ ქსელში გადატვირთვასთან დაკავშირებული სირთულეები უპირატესად უნდა გადაიჭრას იმგვარად, რომ საჭირო არ გახდეს ელექტროენერგიის ბაზრის ცალკეული მონაწილეების ხელშეკრულებებს შორის არჩევანის გაკეთება.

3. ელექტროენერგიის ბაზრის ცალკეულ მონაწილეთა ხელშეკრულებებს შორის არჩევანის გაკეთება (ხელშეკრულებების შეზღუდვა) დასაშვებია მხოლოდ საგანგებო სიტუაციის დროს, როდესაც გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია დაჩქარებულად იმოქმედოს და რედისპეტჩირება ან ელექტროენერგიის გადადინების საპირისპირო მიმართულებით ყიდვა-გაყიდვა შეუძლებელია. ყველა ასეთი ზომა არადისკრიმინაციულად უნდა იქნეს მიღებული. ელექტროენერგიის ბაზრის იმ მონაწილეებს, რომლებზედაც განაწილებული იყო ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადაცემის სიმძლავრე, ხელშეკრულებების შეზღუდვის შემთხვევაში მიეცემათ კომპენსაცია ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების შესაბამისად, გარდა საქართველოს კანონმდებლობით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორი საქართველოსა და მეზობელი ელექტროენერგეტიკული სისტემების უსაფრთხო ოპერირების სტანდარტების დაცვით უზრუნველყოფს, რომ ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ურთიერთდამაკავშირებლებსა და ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადადინებაზე გავლენის მქონე ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის მაქსიმალური სიმძლავრე.

5. ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილე შესაბამის საოპერაციო პერიოდამდე გონივრული ვადით ადრე გადამცემი სისტემის ოპერატორს აცნობებს გადაცემის მისთვის განაწილებული სიმძლავრის გამოყენების შესახებ. გადაცემის განაწილებული სიმძლავრე, რომელიც გამოყენებული არ იქნება, ხელახლა განთავსდება ელექტროენერგიის ბაზარზე ღიად, გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად.

6. გადამცემი სისტემის ოპერატორმა ხაზის მაქსიმალური გამტარუნარიანობის უზრუნველსაყოფად გადატვირთულ ურთიერთდამაკავშირებლებზე უნდა გაქვითოს

მოთხოვნები ელექტროენერგიის საპირისპირო მიმართულების ნაკადებზე, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია.

7. გადამცემი სისტემის ოპერატორმა ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხო ოპერირების მიზნით უარი არ უნდა თქვას ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც ხელს უწყობს ელექტროენერგიის გადამცემ ქსელში გადატვირთვის განტვირთვას.

8. თუ ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილეების მიერ შესაბამის ურთიერთდამაკავშირებელზე ნომინირებული სიმძლავრეების გაქვითვის შედეგად მიღებული სიმძლავრის მოცულობა ნაკლებია სიმძლავრის ხელმისაწვდომ მოცულობაზე და არ ხდება ელექტროენერგიის გადამცემ ქსელში გადატვირთვა, მომსახურება უნდა გაეწიოს ბაზრის ყველა მონაწილეს და დამატებითი საფასური გადატვირთვის მართვის მომსახურებისთვის არ გადაიხდება.

9. ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადამცემი ხაზებით სარგებლობასთან დაკავშირებით გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ გადატვირთვის მართვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი მიზნებით:

ა) გადაცემის განაწილებული სიმძლავრის ფაქტობრივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ) ელექტროენერგიის გადამცემ ქსელში, კერძოდ, ახალ ურთიერთდამაკავშირებელში, ინვესტიციების განხორციელებით ტრანსსასაზღვრო სიმძლავრის შენარჩუნება ან გაზრდა.

10. თუ ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ მიღებული შემოსავლების ეფექტიანი გამოყენება შეუძლებელია, კომისია ტარიფის შემცირების მიზნით გამოუყენებელ შემოსავალს გაითვალისწინებს ელექტროენერგიის გადამცემი სისტემით სარგებლობასთან დაკავშირებული საფასურის გაანგარიშებისას. შემოსავლის დარჩენილი ნაწილი განთავსდება გადამცემი სისტემის განცალკევებულ შიდა ანგარიშზე იმ დრომდე, სანამ შესაძლებელი არ გახდება მისი გამოყენება ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. კომისია აღნიშნულის შესახებ აცნობებს ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელ საბჭოს.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 64. ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელური ოპერირება

1. ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელური ოპერირება არის ელექტროენერგეტიკული სისტემების სტაბილურობის შესანარჩუნებლად ორი ან მეტი მეზობელი ელექტროენერგეტიკული სისტემის ან მათი რომელიმე ნაწილის სინქრონული ან ასინქრონული ოპერირებისთვის საჭირო ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობა.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია მეზობელი ელექტროენერგეტიკული სისტემების კომპეტენტურ ოპერატორებთან გააფორმოს ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელური ოპერირების ხელშეკრულება (ხელშეკრულებები).

3. ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელური ოპერირების ხელშეკრულების გაფორმება და შესრულება დასაშვებია, თუ იგი არ ეწინააღმდეგება ამ კანონის მოთხოვნებს, მათ შორის, გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევებასთან, დამოუკიდებლობასა და კომპეტენციასთან დაკავშირებულ პირობებს, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს და საქართველოს მიერ ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

4. ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ ოპერირებასთან დაკავშირებული ტექნიკური ოპერირება და თანამშრომლობა ხორციელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებისა და ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების შესაბამისად.

5. ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობა არ არის ელექტროენერგიის იმპორტი ან ექსპორტი და არ ექვემდებარება ცალკე ლიცენზირებას ან ნებართვის გაცემას.

თავი XV. ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერირება და მართვა

მუხლი 65. ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვება

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესების მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან სისტემით მოსარგებლეების არადისკრიმინაციულ და შეუზღუდავ დაშვებას. ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან დაშვების საფასური ეფუძნება კომისიის მიერ შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით გაანგარიშებულ და დადგენილ ტარიფს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის გადამცემი სისტემის ოპერატორი სისტემით მოსარგებლეებს სთავაზობს ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვების გრძელვადიან და მოკლევადიან მომსახურებას გარანტირებული ან წყვეტადი სახით. წყვეტადი მომსახურების შემთხვევაში წყვეტადი სიმძლავრის ფასი უნდა ასახავდეს მომსახურების შეწყვეტის შესაძლებლობას.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორმა ბუნებრივი გაზის სისტემით მოსარგებლე სხვადასხვა პირს ერთი და იგივე მომსახურება უნდა შესთავაზოს თანაბარი სახელშეკრულებო პირობებით, ბუნებრივი გაზის გადაცემის მომსახურების ჰარმონიზებული ხელშეკრულების გამოყენებით ან/და ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესების შესაბამისად.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორი საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან დაშვების პროცედურას, წესებსა და პირობებს, მათ შორის,

ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესებით დადგენილ მოთხოვნებსა და კომისიის მიერ განსაზღვრულ საფასურებს, აგრეთვე ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან დაშვებისა და ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემით სარგებლობისთვის საჭირო ტექნიკურ და რაოდენობრივ მონაცემებს, რომლებიც რეგულარულად უნდა განახლდეს.

5. აუცილებლობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვებასთან დაკავშირებული მომსახურება სისტემით მოსარგებლეს შეიძლება გაეწიოს მხოლოდ შესაბამისი ფინანსური გარანტიის წარდგენის შემდეგ. ეს გარანტია გათვალისწინებული უნდა იყოს ამ კანონის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შემუშავებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით, უნდა იყოს არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და პროპორციული და ბაზარზე შესვლის მსურველებს არ უნდა უქმნიდეს გაუმართლებელ ბარიერებს.

6. ბუნებრივი გაზის გადაცემის ხელშეკრულება, რომლის ძალაში შესვლა არასტანდარტულ თარიღს უკავშირდება ან რომელიც იმაზე ნაკლები ვადით არის დადებული, ვიდრე სტანდარტული წლიური ტრანსპორტირების ხელშეკრულება, არ შეიძლება იწვევდეს ისეთ გაუმართლებლად მაღალ ან დაბალ ტარიფს, რომელიც მომსახურების საბაზრო ღირებულებას არ ასახავს.

7. ამ კანონის დებულებებმა ხელი არ უნდა შეუშალოს გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმებას იმ პირობით, რომ ეს ხელშეკრულებები შეესაბამება საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობით დადგენილ კონკურენციის წესებს.

8. გადამცემი სისტემის ოპერატორს ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების ან/და თანამშრომლობის სხვა პირობების შესაბამისად უნდა ჰქონდეს მეზობელი ქვეყნების გადამცემი სისტემების ოპერატორების ქსელებთან დაშვება, თუ ეს საჭიროა მის მიერ თავისი ფუნქციების შესასრულებლად, მათ შორის, ბუნებრივი გაზის ტრანსსასაზღვრო გადაცემისთვის.

9. გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პრიორიტეტი მიანიჭოს იმ ობიექტებს, რომლებიც ენერგიას განახლებადი ენერგიის წყაროს მეშვეობით აწარმოებენ, ან სხვა წახალისებული წარმოების ობიექტებს.

მუხლი 66. ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან დაშვებაზე უარის თქმა

1. გადამცემი სისტემის ოპერატორს უფლება არ აქვს, მთლიანად ან ნაწილობრივ განაცხადოს უარი ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მოთხოვნილ პერიოდში არასაკმარისი სიმძლავრის ან მიერთების წერტილის არარსებობით, ან ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვება ხელს შეუშლის გადამცემი სისტემის ოპერატორს, ამ კანონის შესაბამისად გასწიოს საჯარო მომსახურება, ან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოების ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას. აღნიშნულ შემთხვევებში ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება სათანადოდ

უნდა იყოს დასაბუთებული მისი მოქმედების ვადის მითითებით ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. სისტემასთან მესამე პირების დაშვებაზე უარის თქმის წესი და პირობები განისაზღვრება ბუნებრივი გაზის ქსელის წესებით.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ განაცხადოს უარი, თუ გადამცემ სისტემასთან დაშვების შესახებ მესამე პირის მოთხოვნის მიღებამდე მოქმედი „მიიღე ან გადაიხადე“ ხელშეკრულებები მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ფინანსურ სირთულეებს გამოიწვევს.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორი ასაბუთებს ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას მისი მოქმედების ვადის, უარის თქმის შესაბამისი მიზეზებისა და მათ აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებების მითითებით. ყველა პირს, რომელთა მოთხოვნა ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან დაშვების შესახებ არ დაკმაყოფილდა, გადამცემი სისტემის ოპერატორი დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან დაშვების შესახებ მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღისა, წერილობით აცნობებს უარის თქმის შესაბამის მიზეზებს და წარუდგენს ობიექტურ, არადისკრიმინაციულ და ტექნიკურად და ეკონომიკურად გამართლებულ კრიტერიუმებზე დამყარებულ მტკიცებულებებს.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია არასაკმარისი სიმძლავრის ან მიერთების წერტილის არარსებობის გამო ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან დაშვებაზე უარის თქმის შემთხვევაში მიიღოს აუცილებელი ზომები სისტემის გასაძლიერებლად, თუ ეს ქმედება ეკონომიკურად გამართლებულია ან პოტენციური მომხმარებელი თავად უზრუნველყოფს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურებას.

5. კომისია შესაბამის შემთხვევაში უზრუნველყოფს, რომ გადამცემი სისტემის ოპერატორმა დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის გასაძლიერებლად ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ სათანადო ინფორმაცია. ამ ინფორმაციის მიწოდების ხარჯების ასანაზღაურებლად შესაძლოა დაწესდეს გონივრული საფასური.

6. პირი, რომელსაც უარი ეთქვა ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან დაშვებაზე, ან პირი, რომელიც ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან დაშვების პირობებით უკმაყოფილოა, უფლებამოსილია ამ კანონის 155-ე მუხლის შესაბამისად განცხადებით მიმართოს კომისიას.

მუხლი 67. ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელთან ბუნებრივი გაზის მოწყობილობების მიერთება

გადამცემი სისტემის ოპერატორი ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესების შესაბამისად უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელთან ბუნებრივი გაზის მოწყობილობების მიერთებას. ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელთან ბუნებრივი გაზის

მოწყობილობების მიერთების საფასურს ადგენს კომისია თავის მიერ მიღებული მეთოდოლოგიის საფუძველზე განხორციელებული გაანგარიშების შედეგად.

მუხლი 68. ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესები

1. ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერირება და მართვა ხორციელდება ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი წესით.

2. ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესები ადგენს:

ა) ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის უსაფრთხოებისთვის საჭირო საოპერაციო მოთხოვნებს ამ კანონის 97-ე მუხლით განსაზღვრული ტექნიკური წესებით დადგენილი ბუნებრივი გაზის ტექნიკური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) ბუნებრივი გაზის ოპერირების პროცედურებს ნორმალურ და საგანგებო რეჟიმებში, გაუმართაობის პირობებში, ფორსმაჟორულ სიტუაციებში და სხვა სახის შეფერხებების დროს, შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ავარიული მართვისა და მიწოდების უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით;

გ) ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვების პროცედურას, წესსა და პირობებს, მათ შორის, ამ კანონის 65-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვებასთან დაკავშირებით გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ გასაწევ მომსახურებას;

დ) ამ კანონის 67-ე მუხლის შესაბამისად ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელთან მიერთების პროცედურასა და პირობებს, მათ შორის:

დ.ა) ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელთან მიერთების წინაპირობებს;

დ.ბ) ბუნებრივი გაზის აღრიცხვის მეთოდს, აღრიცხვის მოწყობილობის ფუნქციურ მოთხოვნებსა და სიზუსტის კლასს ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური წესებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

დ.გ) მიერთების წერტილში ან სხვა, განსაზღვრულ საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილში არსებულ აღრიცხვის მოწყობილობაზე საკუთრების უფლებას;

დ.დ) ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელთან მიერთებასთან დაკავშირებულ გადამცემი სისტემის ოპერატორისა და სისტემით მოსარგებლის უფლებებსა და ვალდებულებებს;

ე) დისპეტჩერიზაციის წესსა და პირობებს, მათ შორის, გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ დისპეტჩერიზაციასთან დაკავშირებით გასაწევ მომსახურებას;

ვ) ბუნებრივი გაზის სისტემის დაბალანსების წესებს ამ კანონის 69-ე მუხლის შესაბამისად;

ზ) სიმძლავრის განაწილების მექანიზმსა და გადატვირთვის მართვის პროცედურებს ამ კანონის 70-ე მუხლის შესაბამისად;

თ) დამხმარე მომსახურების შესყიდვისა და ბუნებრივი გაზის სასისტემო მომსახურების გაწევის კრიტერიუმებს, მეთოდებსა და წესებს;

ი) ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერირებისა და განვითარების დაგეგმვის პროცედურას, კრიტერიუმებსა და მეთოდოლოგიას;

კ) ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელში არსებულ ვირტუალურ (მათ შორის, ვირტუალური ვაჭრობის) პუნქტს (პუნქტებს);

ლ) ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელში მიღებული და ამ ქსელიდან გაცემული ბუნებრივი გაზის ხარისხის, ქიმიური შემადგენლობისა და სხვა მახასიათებლების ზღვრულ მნიშვნელობებს ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური წესებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

მ) სიმძლავრისა და ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელში მიწოდებული და გადაცემული ბუნებრივი გაზის მოცულობის აღრიცხვის პროცედურასა და წესს;

ნ) ბუნებრივი გაზის დაგეგმილი მოცულობისა და ფაქტობრივად მიწოდებული მოცულობის შესახებ მონაცემების გაცვლის წესსა და პირობებს, როდესაც შეუძლებელია მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობის ყოველდღიური აღრიცხვა;

ო) ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელით ბუნებრივი გაზის მიწოდების წყვეტებთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების წესს;

პ) გადამცემი სისტემის ოპერატორისა და სისტემით მოსარგებლის იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერირებასა და მართვას უკავშირდება;

ჟ) გადაცემასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის, მათ შორის, ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელთან მიერთებასთან (მიერთების სტანდარტული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად) და ბუნებრივი გაზის გადაცემასთან (ბუნებრივი გაზის გადაცემის სტანდარტული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად) დაკავშირებული სახელშეკრულებო ურთიერთობების ზოგად წესებსა და პირობებს;

რ) გადამცემი სისტემის ოპერატორის შიდაორგანიზაციულ დონეზე ბუნებრივი გაზის გადაცემის ხელშეკრულებებიდან ან ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელთან დაშვებასთან, ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსელთან მიერთებასთან ან მის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობებიდან გამომდინარე საჩივრებისა და დავების განხილვისა და გადაწყვეტის წესს;

ს) გადამცემი სისტემის ოპერატორის ხელთ არსებული, ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერირებისა და მართვისთვის და ბუნებრივი გაზის ბაზრის ორგანიზებისთვის საჭირო მონაცემებისა და ინფორმაციის გამოქვეყნების მეთოდს, მათ შორის, ყველა შესაბამისი პუნქტის განმარტებას და ამ კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად ინფორმაციის გამოქვეყნების გრაფიკს;

ტ) ბუნებრივი გაზის ურთიერთდაკავშირებული სისტემების სხვა ოპერატორებთან მონაცემებისა და ინფორმაციის გაცვლის მეთოდს;

უ) ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერირებისა და მართვისთვის საჭირო მონაცემებისა და ინფორმაციის გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის მიწოდების წესს ამ კანონის 55-ე მუხლის შესაბამისად;

ფ) გადამცემი სისტემის ოპერატორის კომპეტენციის ფარგლებში მისაღებ ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელ ზომებსა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს;

ქ) ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის ოპერირებასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა წესებსა და პირობებს.

3. ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესებს შეიმუშავებს გადამცემი სისტემის ოპერატორი, ხოლო გადასინჯავს და ამტკიცებს კომისია. კომისიას ცვლილებები შეაქვს ამ წესებში გადამცემი სისტემის ოპერატორის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით – გადამცემი სისტემის ოპერატორთან კონსულტაციის შემდეგ. გადამცემი სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებულ პირთან კონსულტაციის გავლას და ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესების შემუშავების პროცესში მათ სათანადო მონაწილეობას. გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესების პროექტის ენერგეტიკული გაერთიანების კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით რეკომენდაციისთვის მიმართოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს. გადამცემი სისტემის ოპერატორი მოქმედებს ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური წესებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

4. ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელის წესები ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და გადამცემი სისტემის ოპერატორის ვებგვერდზე.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 69. ბუნებრივი გაზის დაბალანსების წესები და უბალანსობის საფასური

1. ბუნებრივი გაზის დაბალანსების წესები უნდა იყოს სამართლიანი, არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული. ბუნებრივი გაზის დაბალანსების წესები უნდა ასახავდეს სისტემის რეალურ საჭიროებებს, ითვალისწინებდეს გადამცემი სისტემის ოპერატორის ხელთ არსებულ უმცირესი

ღირებულების რესურსებს და გამომდინარეობდეს ბუნებრივი გაზის ბაზრის პრინციპებიდან.

2. უბალანსობის საფასური შესაძლებლობის ფარგლებში ასახავს გაწეულ ხარჯებს და უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზის მიღებისა და გაცემის დაბალანსების სათანადო სტიმულებს. უბალანსობის საფასური არ უნდა ახდენდეს ბუნებრივი გაზის სისტემით მოსარგებლეებს შორის ჯვარედინ სუბსიდირებას და ბუნებრივი გაზის სისტემით ახალ მოსარგებლეებს არ უნდა უქმნიდეს ბაზარზე შესვლის ბარიერს. უბალანსობის საფასური განისაზღვრება კომისიის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორი ბუნებრივი გაზის სისტემით მოსარგებლეების დაბალანსების სტატუსის შესახებ სრულყოფილ, დროულ და სარწმუნო ინფორმაციას აქვეყნებს ელექტრონულად, რათა სისტემით მოსარგებლემ შეძლოს დროულად მიიღოს ზომები უბალანსობის აღმოსაფხვრელად. გადამცემი სისტემის ოპერატორი სრულად აქვეყნებს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას ბუნებრივი გაზის სისტემით მოსარგებლეების დაბალანსების სტატუსის შესახებ. დაუშვებელია ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცემისთვის საფასურის დადგენა.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორი აქვეყნებს ბუნებრივი გაზის დაბალანსებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის საფასურებს.

5. გადამცემი სისტემის ოპერატორი თანამშრომლობს ენერგეტიკული გაერთიანების მხარეების გადამცემი სისტემის ოპერატორებთან, რათა ბუნებრივი გაზით ვაჭრობის ხელშესაწყობად ჰარმონიზებულ იქნეს ბუნებრივი გაზის სისტემების დაბალანსების რეჟიმები და გამარტივდეს უბალანსობის საფასურის სტრუქტურა და დონეები.

მუხლი 70. ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემაში სიმძლავრის განაწილება და გადატვირთვის მართვის პროცედურა

1. ბუნებრივი გაზის ბაზრის მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ყველა შესაბამისი პუნქტის, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მიღებისა და გაცემის პუნქტების, მაქსიმალური სიმძლავრე ბუნებრივი გაზის სისტემის ერთიანობისა და ქსელის ეფექტიანი ოპერირების გათვალისწინებით.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი შეიმუშავებს და აქვეყნებს ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემაში სიმძლავრის განაწილების არადისკრიმინაციულ და გამჭვირვალე მექანიზმებს, რომლებიც:

ა) უზრუნველყოფს სათანადო ეკონომიკურ სიგნალებს ტექნიკური სიმძლავრეების ეფექტიანი და მაქსიმალური გამოყენებისთვის, ხელს უწყობს ბუნებრივი გაზის ახალ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელებას და ბუნებრივი გაზის ტრანსსასაზღვრო გადადინებას;

ბ) თავსებადია ბაზრის მექანიზმებთან, მათ შორის, სპოტბაზრებსა და სავაჭრო „ჰაბებთან“, ამავდროულად, არის მოქნილი და ბუნებრივი გაზის განვითარებადი ბაზრის გარემო პირობებთან ადაპტირებადი;

გ) თავსებადია ენერგეტიკული გაერთიანების მხარეების სისტემებთან დაშვების წესებთან (გადამცემი ქსელის ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყანასთან ფიზიკური დაკავშირების შემთხვევაში).

3. გადამცემი სისტემის ოპერატორი შეიმუშავებს და აქვეყნებს გადატვირთვის მართვის არადისკრიმინაციულ და გამჭვირვალე პროცედურებს, რომლებიც ხელს უწყობს ბუნებრივი გაზის არადისკრიმინაციულ ტრანსსასაზღვრო გადადინებას და ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) სახელშეკრულებო გადატვირთვის შემთხვევაში გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ გამოუყენებელი სიმძლავრის პირველად ბაზარზე შეთავაზება სულ მცირე 1 დღით ადრე და წყვეტადი მომსახურების სახით;

ბ) ბუნებრივი გაზის სისტემით მოსარგებლის სურვილის შემთხვევაში ან გადამცემი სისტემის ოპერატორის გადაწყვეტილებით გადამცემი სისტემის ოპერატორის წინასწარი შეტყობინების შემდეგ და ბუნებრივი გაზის ქსელის წესების შესაბამისად, გამოუყენებელი სახელშეკრულებო სიმძლავრის მეორეულ ბაზარზე გადაყიდვა ან დროებით სარგებლობაში გადაცემა.

4. ფიზიკური გადატვირთვის არსებობისას გადამცემი სისტემის ოპერატორი ან შესაბამის შემთხვევაში – კომისია იყენებს სიმძლავრის განაწილების არადისკრიმინაციულ და გამჭვირვალე მექანიზმებს.

5. გადამცემი სისტემის ოპერატორი რეგულარულად აფასებს ბუნებრივი გაზის ბაზარზე არსებულ ინვესტიციების განხორციელების საჭიროებას. ინვესტიციების დაგეგმვისას გადამცემი სისტემის ოპერატორი ითვალისწინებს მიწოდების უსაფრთხოებას და ბუნებრივი გაზის ბაზარზე არსებულ მოთხოვნას.

კარი VI. განაწილება

თავი XVI. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის სტატუსი, ავტორიზაცია და განცალკევება

მუხლი 71. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის სტატუსი

1. განაწილება არის საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული საქმიანობა, რომელიც მოიცავს როგორც გამანაწილებელ ქსელში ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებას და საბოლოო მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის უსაფრთხო და საიმედო მიწოდებას, ისე ეკონომიკური პირობების შესაბამისად გამანაწილებელი ქსელის ოპერირებას, მოვლა-პატრონობასა და განვითარებას და მასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობებს, რომლებიც საჭიროა

ელექტროენერგეტიკული და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირებისა და ამ სისტემებთან დაშვებისთვის.

2. განაწილების საქმიანობას ამ კანონითა და ენერგეტიკული სექტორის მარეგულირებელი საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ახორციელებს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი.

3. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი არის სპეციალური და დამოუკიდებელი ენერგეტიკული საწარმო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კერძო სამართლის იურიდიული პირია. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია წარმოების, გადაცემის, მიწოდებისა და ვაჭრობის საქმიანობებისგან და ამ საქმიანობებთან დაკავშირებული კომერციული ინტერესებისგან. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ხდება გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევება ამ კანონის 73-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. დასაშვებია კომბინირებული ოპერატორის შექმნა გადაცემის, განაწილების ან/და ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერირების ფუნქციებით იმ პირობით, რომ დაცული იქნება გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევების მოთხოვნები.

4. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილი არ არის, იყიდოს ან/და გაყიდოს ელექტროენერგია ან ბუნებრივი გაზი, გარდა ამ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს უფლება აქვს, შეისყიდოს ელექტროენერგია ან ბუნებრივი გაზი გამანაწილებელ ქსელში დანაკარგების ასანაზღაურებლად, ხოლო ბუნებრივი გაზი – საკუთარი მოხმარებისთვის (კომპრესორის მუშაობისათვის და გაზის წინასწარ გასათბობად).

5. ამ კანონის 72-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად გამანაწილებელი სისტემის ოპერატორად ავტორიზაცია შესაბამის პირს უფლებას აძლევს, განახორციელოს ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობა.

მუხლი 72. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ავტორიზაცია

1. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ავტორიზაციას ახორციელებს კომისია განაწილების საქმიანობის ლიცენზიის გაცემით. განაწილების საქმიანობის ლიცენზია გაიცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კანონის V თავისა და კომისიის მიერ დამტკიცებული ლიცენზირების წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. განაწილების საქმიანობის ლიცენზია გაიცემა მხოლოდ ამ კანონის 73-ე მუხლით დადგენილი წესით განცალკევების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

მუხლი 73. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევება

1. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, რომელიც ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ნაწილია, სულ მცირე სამართლებრივი ფორმის, ორგანიზაციული მოწყობისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, დამოუკიდებელი უნდა იყოს სხვა ისეთი საქმიანობისგან, რომელიც განაწილებას არ უკავშირდება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობის მოთხოვნა არ წარმოშობს ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოსგან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის აქტივების ქონებრივი განცალკევების ვალდებულებას.

3. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობის ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უზრუნველსაყოფად აუცილებელია დაკმაყოფილდეს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:

ა) გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მართვისთვის პასუხისმგებელი პირების იმ ინტეგრირებული საწარმოს კორპორაციულ სტრუქტურებში მონაწილეობის დაუშვებლობა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებელია წარმოების გადაცემის, მიწოდების ან/და ვაჭრობის ყოველდღიური საქმიანობისთვის;

ბ) სათანადო ზომების მიღება გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მართვისთვის პასუხისმგებელი პირების პროფესიული ინტერესების იმგვარად გათვალისწინებისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესაძლებლობა, იმოქმედონ დამოუკიდებლად;

გ) გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ეფექტიანი უფლება, ინტეგრირებული საწარმოსგან დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება იმ აქტივებთან მიმართებით, რომლებიც საჭიროა გამანაწილებელი ქსელის ოპერირებისთვის, მოვლა-პატრონობისთვის ან განვითარებისთვის. ამ მიზნით გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს უნდა ჰქონდეს სათანადო რესურსები, ადამიანური, ტექნიკური, მატერიალური და ფინანსური რესურსების ჩათვლით.

4. მიუხედავად გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობისა, ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმო უფლებამოსილია დაამტკიცოს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის წლიური ფინანსური გეგმა ან მისი ეკვივალენტური დოკუმენტი ან/და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს დაუდგინოს ვალიანობის კოეფიციენტის ზღვარი.

5. ვერტიკალურად ინტეგრირებულ საწარმოს უფლება არ აქვს, გასცეს მითითებები გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებით ან იმ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებთან მიმართებით, რომლებიც გამანაწილებელი ხაზების მშენებლობას ან გაუმჯობესებას შეეხება და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის დამტკიცებული ფინანსური გეგმის ან მისი ეკვივალენტური დოკუმენტის პირობებს შეესაბამება.

6. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი შეიმუშავებს შესაბამისობის პროგრამას, რომლითაც განისაზღვრება დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებები, და უზრუნველყოფს მათ განხორციელებაზე სათანადო ზედამხედველობას. შესაბამისობის პროგრამა დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოსაფხვრელად უნდა განსაზღვრავდეს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის თანამშრომელთა კონკრეტულ ვალდებულებებს.

7. შესაბამისობის ოფიცერი ამზადებს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ შესაბამისობის პროგრამის განსახორციელებლად მიღებული ზომების შესახებ წლიურ ანგარიშს და კომისიის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ აქვეყნებს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ვებგვერდზე. შესაბამისობის ოფიცერი დამოუკიდებელია და თავისი ფუნქციების შესასრულებლად უფლება აქვს, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს ან/და დაკავშირებულ საწარმოს მოსთხოვოს ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია.

8. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს უფლება არ აქვს, კონკურენციის შეზღუდვის მიზნით ისარგებლოს ვერტიკალური ინტეგრირებიდან გამომდინარე უპირატესობით. კერძოდ, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი თავისი კომუნიკაციითა და ბრენდირებით არ უნდა იწვევდეს აღრევას ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს მიწოდების საქმიანობის განმახორციელებელი ნაწილის განსხვავებულ იდენტობასთან.

9. დამოუკიდებლობისა და განცალკევების ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის შესაბამისობას ზედამხედველობს კომისია.

10. სამინისტრო უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი დამოუკიდებლობის მოთხოვნის შესრულების უზრუნველსაყოფად გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ორგანიზაციულ მოწყობასა და დამოუკიდებლობასთან მიმართებით მიიღოს დამატებითი ზომები.

11. სამინისტრო უფლებამოსილია კომისიასთან შეთანხმებით ვერტიკალურად ინტეგრირებული ის ენერგეტიკული საწარმო, რომელიც ქსელთან მიერთებულ 100 000-ზე ნაკლებ მომხმარებელს ემსახურება, გაათავისუფლოს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევებასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისგან.

12. განცალკევების მოთხოვნები არ ვრცელდება ჰორიზონტალურად ინტეგრირებულ ელექტროენერგეტიკულ საწარმოსა და ჰორიზონტალურად ინტეგრირებულ ბუნებრივი გაზის საწარმოზე.

თავი XVII. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ფუნქციები

მუხლი 74. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ფუნქციები

1. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს სისტემის გრძელვადიან უნარს, მომსახურების შესაბამის არეალში დააკმაყოფილოს ელექტროენერგიის ან

ბუნებრივი გაზის განაწილებაზე არსებული გონივრული მოთხოვნა, და ახორციელებს უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი გამანაწილებელი სისტემის ეკონომიკური პირობების შესაბამისად ოპერირებას, მოვლა-პატრონობასა და განვითარებას, გარემოს დაცვასა და ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით.

2. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს განაწილებასთან დაკავშირებული საიმედო და ეფექტიანი მომსახურების გაწევას გამანაწილებელი ქსელის წესების, სალიცენზიო პირობებისა და ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური წესების შესაბამისად.

3. განაწილებასთან დაკავშირებული მომსახურება სისტემით მოსარგებლეებს გაეწევათ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორთან გაფორმებული ხელშეკრულების ან მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიერთების საფუძველზე. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი შეიმუშავებს მომსახურების ხელშეკრულების, მათ შორის, გამანაწილებელ ქსელთან მიერთებისა და განაწილების მომსახურების ხელშეკრულების, სტანდარტულ პირობებს და კომისიის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე. სტანდარტული პირობებით ხელშეკრულება გაფორმებულად ითვლება კომისიის მიერ დადგენილი წესით ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიერთებით.

4. დაუშვებელია გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ სისტემით მოსარგებლეებს ან სისტემით მოსარგებლეთა სხვადასხვა კატეგორიას შორის დისკრიმინაცია, მათ შორის, დაკავშირებული საწარმოს სასარგებლოდ.

5. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორმა სხვა სისტემების, მათ შორის, გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების, ბუნებრივი გაზის საცავისა და გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემების, ოპერატორებს უნდა მიაწოდოს საკმარისი ინფორმაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება ან შესაბამის შემთხვევებში ბუნებრივი გაზის შენახვა ურთიერთდაკავშირებული სისტემების უსაფრთხო და ეფექტიანი ოპერირების შესაბამისად.

6. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი სისტემით მოსარგებლეებს უზრუნველყოფს დეტალური, გასაგები, რაოდენობრივად აღქმადი და იოლად ხელმისაწვდომი ინფორმაციით შეთავაზებული მომსახურების, ამ მომსახურების გაწევის პირობებისა და სისტემასთან ეფექტიანი დაშვებისთვის საჭირო ტექნიკური მონაცემების შესახებ, კომისიის მიერ დამტკიცებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის წესების შესაბამისად.

7. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორმა საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ენერგია უნდა შეისყიდოს გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და საბაზრო პროცედურების შესაბამისად.

8. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი აგრეთვე ასრულებს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა ფუნქციებსა და მოვალეობებს ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 75. გამანაწილებელი ქსელის განვითარება და საინვესტიციო გადაწყვეტილებები

1. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით უსაფრთხო, საიმედო, უწყვეტი და ხარისხიანი მიწოდების უზრუნველსაყოფად შეიმუშავებს გამანაწილებელი ქსელის განვითარებისა და ინვესტიციების გეგმას. გამანაწილებელი ქსელის განვითარებისა და ინვესტიციების გეგმის შემუშავებისას გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ითვალისწინებს გარემოს დაცვასთან, ენერგოეფექტურობასთან, განახლებადი ენერგიის განვითარების ხელშეწყობასა და მოთხოვნის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. გამანაწილებელი ქსელის განვითარებისა და ინვესტიციების გეგმა მზადდება გადამცემი ქსელისა და გამანაწილებელი ქსელის წესების, აგრეთვე გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ სისტემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ინფორმაციისა და ფიზიკურ დაგეგმვასთან დაკავშირებული ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების შესაბამისად.

3. გამანაწილებელი ქსელის განვითარებისა და ინვესტიციების გეგმა, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს:

ა) გამანაწილებელი ქსელის არსებული ინფრასტრუქტურის, მისი მდგომარეობის, დატვირთვის ხარისხობრივი მაჩვენებლის დეტალურ აღწერილობას, აგრეთვე შესაბამისი გეგმით გათვალისწინებულ დროის პერიოდში ასაშენებელი ძირითადი ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციას;

ბ) სიმძლავრესთან დაკავშირებული საჭიროების შეფასებას, მათ შორის, საპროგნოზო მოთხოვნასა და მიწოდებას;

გ) წარმოების, მათ შორის, განახლებადი ენერგიის წყაროების მეშვეობით წარმოების, „ჭკვიანი“ მრიცხველების განვითარების შესაძლო სცენარებს, აგრეთვე ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად მისაღებ ზომებს;

დ) ელექტროენერგიაზე ან ბუნებრივ გაზზე საპროგნოზო მოთხოვნის ან/და მიწოდების დაკმაყოფილების მიზნით გამოსაყენებელი საშუალებებისა და განსახორციელებელი ინვესტიციების დეტალურ აღწერას, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში გამანაწილებელი ქსელის ახალი ნაწილების მშენებლობას ან/და არსებული ქსელის გაუმჯობესებას, გამანაწილებელ ქსელებთან სათანადო მიერთების უზრუნველსაყოფად ურთიერთდამაკავშირებლების გაუმჯობესებას ან მშენებლობას, აგრეთვე ინფორმაციას იმ აუცილებელი ინვესტიციების შესახებ, რომელთა განხორციელებაზედაც მიღებულია გადაწყვეტილება, მომდევნო 3 წლის განმავლობაში განსახორციელებელი, დამტკიცებული

სამუშაოებისა და ინვესტიციების დეტალურ აღწერასა და შესაბამისი პროექტების განხორციელების გრაფიკს;

ე) ხარისხის სამიზნე მაჩვენებლებს, გამანაწილებელ ქსელში წყვეტების ხანგრძლივობისა და მომსახურების ხარისხის ჩათვლით, აგრეთვე ხარისხის კონტროლისა და მონაცემთა გაცვლის მოწყობილობებში შესაძლო ინვესტიციებს;

ვ) მოქმედ და სამომავლოდ განსახორციელებელ გარემოსდაცვით პოლიტიკას გამანაწილებელი ქსელისა და დაკავშირებული მოწყობილობების დაგეგმილ განვითარებასთან მიმართებით;

ზ) ქსელის მოვლა-პატრონობის პოლიტიკის აღწერას, რომლის განხორციელებითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არსებული გამანაწილებელი ქსელისა და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების ეფექტიანობა, უსაფრთხოება და ხელმისაწვდომობა;

თ) წინა კალენდარული წლის განმავლობაში ან შესაბამის შემთხვევაში დროის სხვა, განსაზღვრულ მონაკვეთში განხორციელებული გადაუდებელი მოქმედებების ჩამონათვალს;

ი) „ჭკვიანი“ ქსელის და საჭიროების შემთხვევაში „ჭკვიანი“ აღრიცხვის სისტემების გამოყენების თაობაზე ჩატარებული კვლევებისა და მათი შედეგებს შესახებ ინფორმაციას;

კ) გამანაწილებელი სისტემის ეფექტიანი ოპერირებისა და მართვისთვის საჭირო სხვა ინფორმაციას ამ კანონითა და გამანაწილებელი ქსელის წესებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

4. გამანაწილებელი ქსელის განვითარებისა და ინვესტიციების გეგმას ხუთწლიანი პერიოდისთვის შეიმუშავებს და ყოველწლიურად, მომდევნო ხუთი წლისთვის განაახლებს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი.

5. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი შესაბამის გადამცემი სისტემის ოპერატორთან კონსულტაციების შემდეგ განვითარებისა და ინვესტიციების შეთავაზებულ გეგმას დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიას. კომისია წარდგენილ გეგმასთან დაკავშირებით კონსულტაციებს მართავს შესაბამის უწყებებთან, ენერგეტიკულ საწარმოებსა და არსებულ ან პოტენციურ სისტემით მოსარგებლეებთან. კონსულტაციების შედეგები ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე. კომისია ამოწმებს, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ დაგეგმილი ინვესტიციები საკმარისია თუ არა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გავლის შედეგად გამოვლენილი ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

6. თუ კომისია მიიჩნევს, რომ გამანაწილებელი ქსელის განვითარებისა და ინვესტიციების წარდგენილი გეგმა არ იძლევა გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ თავისი ამოცანებისა და ფუნქციების ჯეროვნად შესრულების შესაძლებლობას, იგი უფლებამოსილია გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს მოსთხოვოს გამანაწილებელი

ქსელის განვითარებისა და ინვესტიციების გეგმაში კონკრეტული ცვლილებების შეტანა და ამ მიზნით განუსაზღვროს გონივრული ვადა.

7. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი გადამცემი სისტემის ოპერატორს ყოველწლიურად აწვდის კომისიის მიერ დამტკიცებულ გამანაწილებელი ქსელის განვითარებისა და ინვესტიციების გეგმას.

მუხლი 76. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისთვის მონაცემებისა და ინფორმაციის მიწოდება

მწარმოებლები და გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული მოწყობილობების მფლობელი საბოლოო მომხმარებლები ვალდებული არიან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდონ მას სისტემის ოპერირებისთვის, მართვისა და განვითარებისთვის საჭირო ყველა მონაცემი და ინფორმაცია ამ კანონის, შესაბამისი გამანაწილებელი ქსელის წესებისა და კომისიის მიერ დამტკიცებული ინფორმაციის მიწოდების წესების შესაბამისად.

მუხლი 77. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის წლიური ანგარიში

1. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ვალდებულია ყოველწლიურად გამოაქვეყნოს თავის მიერ წინა კალენდარულ წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში კომისიის მიერ დადგენილი ფორმითა და დადგენილ ვადაში.

2. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ წარუდგენს სამინისტროს, რომელიც ამ ანგარიშის გათვალისწინებით ამზადებს ქვეყანაში მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობისა და ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე საპროგნოზო მოთხოვნის შესახებ წლიურ ანგარიშს.

3. კომისია უფლებამოსილია გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის წლიური ანგარიშის საფუძველზე გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს ან/და შესაბამის შემთხვევაში სხვა ენერგეტიკულ საწარმოს მოსთხოვოს კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს:

ა) გამჭვირვალობა, ობიექტურობა და არადისკრიმინაციულობა;

ბ) გამანაწილებელი სისტემის სათანადოდ ოპერირება და მართვა;

გ) გამანაწილებელ ქსელში დანაკარგების შემცირება;

დ) გამანაწილებელ ქსელში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

ე) ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების გაუმჯობესება.

თავი XVIII. გამანაწილებელი სისტემის ოპერირება და მართვა

მუხლი 78. გამანაწილებელ სისტემასთან მესამე პირის დაშვება

1. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი გამანაწილებელი ქსელის წესების მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოფს გამანაწილებელ სისტემასთან სისტემით მოსარგებლეების არადისკრიმინაციულ და შეუზღუდავ დაშვებას. გამანაწილებელ სისტემასთან დაშვების საფასური ეფუძნება კომისიის მიერ შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით გაანგარიშებულ და დადგენილ ტარიფს.

2. დაუშვებელია გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ გამანაწილებელ სისტემასთან დაშვებასთან დაკავშირებით სისტემით მოსარგებლეებს ან სისტემით მოსარგებლეთა სხვადასხვა კატეგორიას შორის დისკრიმინაცია, მათ შორის, დაკავშირებული საწარმოს სასარგებლოდ.

3. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ ერთი და იმავე მომსახურების შეთავაზება სისტემით მოსარგებლე სხვადასხვა პირისთვის უნდა განხორციელდეს თანაბარი სახელშეკრულებო პირობებით, განაწილების მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენებით ან/და გამანაწილებელი ქსელის წესების შესაბამისად.

4. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია წარმოების ობიექტების დისპეტჩერიზაციისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პრიორიტეტი მიანიჭოს იმ წარმოების ობიექტებს, რომლებიც ენერგიას განახლებადი ენერგიის წყაროს მეშვეობით აწარმოებენ, ან სხვა წახალისებული წარმოების ობიექტებს.

მუხლი 79. გამანაწილებელ სისტემასთან მესამე პირის დაშვებაზე უარის თქმა

1. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს უფლება არ აქვს, მთლიანად ან ნაწილობრივ განაცხადოს უარი გამანაწილებელ სისტემასთან მესამე პირის დაშვებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოთხოვნილ პერიოდში გამანაწილებელ სისტემასთან მესამე პირის დაშვება ხელს შეუშლის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს, ამ კანონის შესაბამისად გასწიოს საჯარო მომსახურება, ან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოების ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას. აღნიშნულ შემთხვევებში უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული მისი მოქმედების ვადის მითითებით ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. გამანაწილებელ სისტემასთან მესამე პირების დაშვებაზე უარის თქმის წესი და პირობები განისაზღვრება გამანაწილებელი ქსელის წესებით.

2. ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, მთლიანად ან ნაწილობრივ განაცხადოს უარი ბუნებრივი გაზის გადამცემ სისტემასთან მესამე პირის დაშვებაზე, თუ გამანაწილებელ სისტემასთან დაშვების შესახებ მესამე პირის მოთხოვნის მიღებამდე

მოქმედი „მიიღე ან გადაიხადე“ ხელშეკრულებები მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ფინანსურ სირთულეებს გამოიწვევს.

3. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ასაბუთებს გამანაწილებელ სისტემასთან მესამე პირის დაშვებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას მისი მოქმედების ვადის, უარის თქმის შესაბამისი მიზეზებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების მითითებით. ყველა პირს, რომელთა მოთხოვნა გამანაწილებელ სისტემასთან დაშვების შესახებ არ დაკმაყოფილდა, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი ქსელის წესებით დადგენილ ვადაში წერილობით აცნობებს უარის თქმის შესაბამის მიზეზებს და წარუდგენს ობიექტურ, არადისკრიმინაციულ და ტექნიკურად და ეკონომიკურად დასაბუთებულ კრიტერიუმებზე დამყარებულ მტკიცებულებებს.

4. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი გამანაწილებელ სისტემასთან დაშვების სამართავად აწარმოებს დაშვების პუნქტების, მათ შორის, მიღებისა და გაცემის პუნქტების, რეესტრს კონკრეტული საიდენტიფიკაციო ნომრისა და დაშვების მართვისთვის საჭირო ყველა მონაცემის მითითებით. ამ რეესტრში აგრეთვე აღინიშნება დაშვების პუნქტების აქტიური ან არააქტიური სტატუსი, მიმწოდებელი, რომელიც სარგებლობს დაშვების პუნქტით, და მისი შესაბამისი მომხმარებელი. რეესტრში დაცული მონაცემები გამოიყენება მიმწოდებლებისთვის სისტემით სარგებლობის ან სისტემასთან დაშვებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის საფასურის ანგარიშფაქტურის გამოსაწერად.

5. პირი, რომელსაც უარი ეთქვა გამანაწილებელ სისტემასთან დაშვებაზე, ან პირი, რომელიც გამანაწილებელ სისტემასთან დაშვების პირობებს არ ეთანხმება, უფლებამოსილია ამ კანონის 155-ე მუხლის შესაბამისად განცხადებით მიმართოს კომისიას.

მუხლი 80. გამანაწილებელ ქსელთან მიერთება

1. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი გამანაწილებელი ქსელის წესების შესაბამისად უზრუნველყოფს ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მოწყობილობების გამანაწილებელ ქსელთან მიერთებას. აღნიშნული მოწყობილობების გამანაწილებელ ქსელთან მიერთების საფასურს ადგენს კომისია თავის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელებული გაანგარიშების შედეგად. ამასთანავე, კომისია უფლებამოსილია განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების წასახალისებლად ელექტროტრანსპორტის დამტენი პუნქტების/სადგურების გამანაწილებელ ქსელთან მიერთებისთვის განსხვავებული პირობები დაადგინოს.

2. მწარმოებლის, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატის ან მომხმარებლის ქსელის ან მოწყობილობების გამანაწილებელ ქსელთან მიერთების წერტილში არსებული აღრიცხვის მოწყობილობები, დამხმარე დანადგარების ჩათვლით, გამანაწილებელი სისტემის

ოპერატორის საკუთრებაა. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი პასუხისმგებელია აღნიშნული აღრიცხვის მოწყობილობების მოვლა-პატრონობისა და შემოწმებისთვის.

3. გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული მწარმოებელი და მომხმარებელი, რომლებსაც აღრიცხვის მოწყობილობა საკუთრებაში ჰქონდათ ამ კანონის ამოქმედებამდე, ვალდებული არიან გამანაწილებელი ქსელის წესების მოთხოვნათა დაცვით აღრიცხვის მოწყობილობები მფლობელობაში გადასცენ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს. ამასთანავე, მათ აღრიცხვის მოწყობილობის გადაცემამდე უნდა უზრუნველყონ მისი დაცვა არასანქციონირებული ჩარევისგან და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის შეუზღუდავი დაშვება აღრიცხვის მოწყობილობასთან.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 81. გამანაწილებელი ქსელის წესები

1. გამანაწილებელი ქსელის ოპერირება და მართვა ხორციელდება გამანაწილებელი ქსელის წესებითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

2. ერთ სექტორში შეიძლება მხოლოდ ერთი გამანაწილებელი ქსელის წესების (ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის წესების) დამტკიცება.

3. გამანაწილებელი ქსელის წესები ადგენს:

ა) გამანაწილებელი ქსელის უსაფრთხოებისთვის საჭირო საოპერაციო მოთხოვნებს ამ კანონის 97-ე მუხლით განსაზღვრული ტექნიკური წესებით დადგენილი ტექნიკური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) გამანაწილებელი ქსელის ოპერირების პროცედურებს ჩვეულებრივ და საგანგებო რეჟიმებში, გაუმართაობის პირობებში, ფორსმაჟორულ სიტუაციებში და სხვა სახის შეფერხებების დროს, შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი საგანგებო მართვისა და მიწოდების უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით;

გ) გამანაწილებელ სისტემასთან მესამე პირის დაშვების პროცედურას, წესსა და პირობებს, მათ შორის, ამ კანონის 78-ე მუხლის შესაბამისად, გამანაწილებელ სისტემასთან მესამე პირის დაშვებასთან დაკავშირებით გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ გასაწევ მომსახურებას;

დ) ამ კანონის მე-80 მუხლის შესაბამისად გამანაწილებელ ქსელთან მიერთების პროცედურასა და პირობებს, მათ შორის:

დ.ა) გამანაწილებელ ქსელთან მიერთების წინაპირობებს;

დ.ბ) ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის აღრიცხვის მეთოდს, აღრიცხვის მოწყობილობის ფუნქციურ მოთხოვნებსა და სიზუსტის კლასს ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური წესებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

დ.გ) მიერთების წერტილში ან სხვა, განსაზღვრულ საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილში არსებულ აღრიცხვის მოწყობილობაზე მფლობელობის უფლებას;

დ.დ) გამანაწილებელ ქსელთან მიერთებასთან დაკავშირებულ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისა და სისტემით მოსარგებლის უფლებებსა და ვალდებულებებს;

ე) გამანაწილებელი ქსელის დისპეტჩერიზაციის წესსა და პირობებს, მათ შორის, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის მიერ გასაწევ მომსახურებას;

ვ) შესაბამის შემთხვევებში დამხმარე მომსახურების შესყიდვისა და სასისტემო მომსახურების გაწევის კრიტერიუმებსა და წესებს;

ზ) გამანაწილებელი ქსელის ოპერირებისა და განვითარების დაგეგმვის კრიტერიუმებს;

თ) სიმძლავრისა და გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული და განაწილებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მოცულობის აღრიცხვის პროცედურასა და წესს;

ი) გამანაწილებელი ქსელის მეშვეობით ელექტროენერგიითა და ბუნებრივი გაზით მომარაგების წყვეტებთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების წესს;

კ) სისტემით მოსარგებლეების იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც გამანაწილებელი ქსელის ოპერირებასა და მართვას უკავშირდება;

ლ) განაწილებასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის, მათ შორის, გამანაწილებელ ქსელთან მიერთებასთან (მიერთების სტანდარტული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად) და ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის განაწილებასთან (განაწილების მომსახურების სტანდარტული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად) დაკავშირებული სახელშეკრულებო ურთიერთობების ზოგად წესებსა და პირობებს;

მ) განაწილების ხელშეკრულებებიდან ან/და გამანაწილებელ ქსელთან დაშვებასთან, გამანაწილებელ ქსელთან მიერთებასთან ან მის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების განხილვისა და გადაწყვეტის წესს;

ნ) გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ხელთ არსებული, შესაბამისი სისტემების ოპერირებისა და მართვისთვის, აგრეთვე შესაბამისი ბაზრების ორგანიზებისთვის საჭირო მონაცემებისა და ინფორმაციის გამოქვეყნების წესს, მათ შორის, ყველა შესაბამისი პუნქტის განმარტებას და ინფორმაციის გამოქვეყნების გრაფიკს;

ო) ურთიერთდაკავშირებული სისტემების სხვა ოპერატორებთან მონაცემებისა და ინფორმაციის გაცვლის მეთოდს;

პ) გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისთვის გამანაწილებელი ქსელის ოპერირებისა და მართვისთვის საჭირო მონაცემებისა და ინფორმაციის მიწოდების წესს ამ კანონის 76-ე მუხლის შესაბამისად;

ჟ) გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის კომპეტენციის ფარგლებში განსახორციელებელ, ენერგოეფექტურობასა და ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მიწოდების უსაფრთხოების წესების დაცვით;

რ) გამანაწილებელი ქსელის ოპერირებასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა წესებსა და პირობებს.

4. გამანაწილებელი ქსელის წესებს შეიმუშავებს და ამტკიცებს კომისია. კომისია მჭიდროდ თანამშრომლობს გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებთან და უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებულ პირთან კონსულტაციის გავლას და გამანაწილებელი ქსელის წესების შემუშავების პროცესში მათ სათანადო მონაწილეობას. გამანაწილებელი ქსელის წესები უნდა შეესაბამებოდეს გადამცემი ქსელის წესებსა და ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებულ ტექნიკურ წესებს.

5. გამანაწილებელი ქსელის წესები ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების ვებგვერდებზე.

მუხლი 82. დახურული გამანაწილებელი სისტემა

1. სისტემას, რომლითაც ხორციელდება ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის განაწილება ქვეყნის გეოგრაფიულად შემოფარგლულ სამრეწველო, კომერციულ ან საზიარო მომსახურების არეალში და არ ხდება საყოფაცხოვრებო მომხმარებლების მომარაგება, კომისიის გადაწყვეტილებით (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) შეიძლება მიენიჭოს დახურული გამანაწილებელი სისტემის სტატუსი, თუ დაკმაყოფილდება ერთ-ერთი ან რამდენიმე შემდეგი პირობა:

ა) უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ან ტექნიკური მიზეზების გამო ამ სისტემით მოსარგებლეთა საქმიანობა ან წარმოების პროცესი ინტეგრირებულია;

ბ) სისტემა ელექტროენერგიას ან ბუნებრივ გაზს უმთავრესად ანაწილებს სისტემის მესაკუთრეზე, სისტემის ოპერატორზე ან მასთან დაკავშირებულ ენერგეტიკულ საწარმოებზე.

2. კომისია უფლებამოსილია დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი გაათავისუფლოს:

ა) ქსელში არსებული დანაკარგების დასაფარავად საჭირო ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის ან სისტემის სარეზერვო სიმძლავრის გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და საბაზრო პროცედურების შესაბამისად შესყიდვის ვალდებულებისგან;

ბ) ტარიფის ან საფასურის ან მისი გაანგარიშების მეთოდოლოგიის ძალაში შესვლამდე, კომისიის უფლებამოსილებების შესაბამისად დამტკიცების ვალდებულებისგან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ვალდებულებისგან გათავისუფლების შემთხვევაში დახურული გამანაწილებელი სისტემით მოსარგებლის მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი ტარიფი ან საფასური ან მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია უნდა გადაიხედოს და დამტკიცდეს კომისიის მიერ.

4. დახურული გამანაწილებელი სისტემის არეალში მყოფ საყოფაცხოვრებო მომხმარებელთა მცირე რაოდენობის მიერ დახურული გამანაწილებელი სისტემის თანამდევმა გამოყენებამ ხელი არ უნდა შეუშალოს დახურული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ვალდებულებებისგან გათავისუფლებას, თუ ამ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს აქვთ შრომითი ან მსგავსი ურთიერთობა დახურული გამანაწილებელი სისტემის მესაკუთრესთან.

5. კომისია გააუქმებს დახურული გამანაწილებელი სისტემის სტატუსს, თუ შესაბამისი სისტემა აღარ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთ მოთხოვნას მაინც. სისტემამ, რომელსაც გაუუქმდა დახურული გამანაწილებელი სისტემის სტატუსი, სრულად უნდა დააკმაყოფილოს გამანაწილებელ სისტემებთან დაკავშირებით ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები.

კარი VII. ბუნებრივი გაზის შენახვა

თავი XIX. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის ავტორიზაცია და განცალკევება

მუხლი 83. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის ავტორიზაცია

1. ბუნებრივი გაზის შენახვის საქმიანობას ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ახორციელებს ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი.

2. კომისია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კანონითა და კომისიის მიერ დამტკიცებული ლიცენზირების წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად, ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერირების ლიცენზიის გაცემის გზით, ახდენს ბუნებრივი გაზის საწარმოს (რომელიც საკუთრების ან/და განკარგვის უფლებით ფლობს ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტს), როგორც ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის, ავტორიზაციას.

3. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერირების ლიცენზია გაიცემა მხოლოდ ამ კანონის 84-ე მუხლით დადგენილი წესით განცალკევებულ ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორზე.

მუხლი 84. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის განცალკევება

1. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი, რომელიც ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს ნაწილია, სულ მცირე სამართლებრივი ფორმის, ორგანიზაციული მოწყობისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, უნდა იყოს დამოუკიდებელი სხვა ისეთი საქმიანობისგან, რომელიც არ უკავშირდება გადაცემას, განაწილებას ან/და შენახვას.

2. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობის ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია დაკმაყოფილდეს შემდეგი მინიმალური მოთხოვნები:

ა) დაუშვებელია, ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის მართვაზე პასუხისმგებელი პირი მონაწილეობდეს იმ ინტეგრირებული საწარმოს კორპორაციულ სტრუქტურაში, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ პასუხისმგებელია ბუნებრივი გაზის წარმოების ან/და მიწოდების ყოველდღიურ საქმიანობაზე;

ბ) აუცილებელია სათანადო ზომების მიღება, რათა გათვალისწინებული იყოს ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის მართვაზე პასუხისმგებელი პირის პროფესიული ინტერესები იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მისი დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა;

გ) ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტის ოპერირებისთვის, მოვლა-პატრონობისთვის ან განვითარებისთვის საჭირო აქტივებთან მიმართებით გადაწყვეტილების ინტეგრირებული საწარმოსგან დამოუკიდებლად მიღების ეფექტიანი უფლება. აღნიშნული ხელს არ უშლის სათანადო საკოორდინაციო მექანიზმების არსებობას ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის აქტივების ამონაგებთან მიმართებით დამფუძნებელი კომპანიის ეკონომიკური და ზედამხედველობითი უფლებების დაცვის მიზნით, მათ შორის, დამფუძნებელი კომპანიის მიერ ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის წლიური ფინანსური გეგმის ან ეკვივალენტური დოკუმენტის დამტკიცებას და მისი ვალიანობის დონესთან მიმართებით საერთო შეზღუდვების დადგენას. აღნიშნული უფლებას არ აძლევს დამფუძნებელ კომპანიას, გასცეს მითითება ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებით, ან იმ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებასთან მიმართებით, რომელიც შეეხება ბუნებრივი გაზის საცავის მოწყობილობის მშენებლობას ან გაუმჯობესებას და შეესაბამება დამტკიცებული ფინანსური გეგმის ან ეკვივალენტური დოკუმენტის პირობებს;

დ) ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი შეიმუშავებს შესაბამისობის პროგრამას, რომლითაც განისაზღვრება დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრის

მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, და უზრუნველყოფს მათ შესრულებაზე სათანადო ზედამხედველობას. შესაბამისობის პროგრამა დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით უნდა განსაზღვრავდეს ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის თანამშრომელთა კონკრეტულ ვალდებულებებს. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის მიერ შესაბამისობის პროგრამის განხორციელების მიზნით მიღებული ზომების შესახებ წლიურ ანგარიშს ამზადებს შესაბამისობის პროგრამის კონტროლზე პასუხისმგებელი პირი ან ორგანო და წარუდგენს კომისიას. ანგარიშის გამოქვეყნება სავალდებულოა.

3. ეს მუხლი ვრცელდება მხოლოდ იმ ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტებზე, რომლებიც ამ კანონის 87-ე მუხლის შესაბამისად ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად საჭიროა ბუნებრივი გაზის სისტემაზე ეფექტიანი დაშვების უზრუნველსაყოფად, მომხმარებლისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების მიზნით.

4. განცალკევების მოთხოვნები არ ვრცელდება ჰორიზონტალურად ინტეგრირებული ბუნებრივი გაზის საწარმოს მიმართ.

თავი XX. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის ფუნქციები

მუხლი 85. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის ფუნქციები

1. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტის ეკონომიკური პირობების შესაბამისად ოპერირებას, მოვლა-პატრონობასა და განვითარებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ღია ბაზრის დაცვა და მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო საშუალებების ხელმისაწვდომობა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით.

2. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი ახორციელებს ბუნებრივი გაზის შენახვასთან დაკავშირებულ საიმედო და ეფექტიან მომსახურებას ამ კანონის, ბუნებრივი გაზის საცავის წესების, სალიცენზიო პირობებისა და ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური წესების შესაბამისად.

3. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი ვალდებულია:

ა) არ დაუშვას სისტემით მოსარგებლეებს ან სისტემით მოსარგებლეთა სხვადასხვა კატეგორიას შორის დისკრიმინაცია, მათ შორის, დაკავშირებული საწარმოს სასარგებლოდ;

ბ) მიაწოდოს ბუნებრივი გაზის სისტემის სხვა ოპერატორებს საკმარისი ინფორმაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ურთიერთდაკავშირებული სისტემების უსაფრთხო და ეფექტიანი ოპერირების შესაბამისად ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება და შენახვა;

გ) მიაწოდოს სისტემით მოსარგებლეებს ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტზე ეფექტიანი დაშვებისთვის საჭირო ინფორმაცია;

დ) უზრუნველყოს ამ კანონის 86-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის 5 წლის ვადით შენახვა და კომპეტენტური სახელმწიფო უწყებებისთვის, მათ შორის, კომისიისა და კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთვის, აგრეთვე ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის ხელმისაწვდომობა;

ე) მიიღოს გონივრული ზომები სიმძლავრესთან დაკავშირებული უფლებებით თავისუფლად ვაჭრობისა და ამგვარი ვაჭრობის გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული გზით განხორციელების ხელშეწყობის მიზნით;

ვ) შეიმუშაოს ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტებით სარგებლობის ჰარმონიზებული ხელშეკრულებები და პროცედურები პირველადი ბაზრისთვის, რათა ხელი შეუწყოს სიმძლავრით მეორეულ ვაჭრობასა და სისტემით მოსარგებლის მიერ სისტემის ოპერატორისთვის შეტყობინების შემთხვევაში სიმძლავრესთან დაკავშირებული პირველადი უფლებების გასხვისების აღიარებას. აღნიშნული ჰარმონიზებული ხელშეკრულებებისა და პროცედურების შემუშავების შესახებ უნდა ეცნობოს კომისიას.

საქართველოს 2023 წლის 29 ნოემბრის კანონი №3763 – ვებგვერდი, 11.12.2023წ.

მუხლი 86. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის საქმიანობის გამჭვირვალობა

1. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი აქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას მის მიერ შეთავაზებული მომსახურებისა და შესაბამისი პირობების შესახებ ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტზე ეფექტიანი დაშვებისთვის საჭირო ტექნიკურ ინფორმაციასთან ერთად.

2. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი მომსახურების გაწევის მიზნით რეგულარულად და მომხმარებლისთვის მარტივად ხელმისაწვდომი და სტანდარტული ფორმით აქვეყნებს და მუდმივად აახლებს ინფორმაციას ბუნებრივი გაზის საცავის სახელშეკრულებო სიმძლავრისა და ხელმისაწვდომი სიმძლავრის მოცულობების შესახებ.

3. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ ინფორმაციას აქვეყნებს გასაგები, რაოდენობრივად აღქმადი, მარტივად ხელმისაწვდომი და არადისკრიმინაციული გზით.

4. ბუნებრივი გაზის საცავის თითოეული ობიექტისთვის (მათ შორის, იმ ობიექტისთვის, რომელზედაც არ ვრცელდება მესამე პირის დაშვების ვალდებულება), ხოლო სისტემით მოსარგებლეებისთვის დაშვების შესაბამისი მეთოდის შეთავაზების შემთხვევაში – აგრეთვე ობიექტთა ჯგუფისთვის, ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი აქვეყნებს ინფორმაციას ამ ობიექტებში არსებული გაზის მოცულობის, შემომავალი და გამავალი ნაკადებისა და ხელმისაწვდომი სიმძლავრის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ასევე უნდა მიეწოდოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორს, რომელიც აქვეყნებს მას აგრეგირებული სახით. ინფორმაცია ახლდება დღეში ერთხელ მაინც.

5. თუ ბუნებრივი გაზის საცავის მოწყობილობით სარგებლობს მხოლოდ ერთი პირი, იგი უფლებამოსილია მიმართოს კომისიას ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის დასაბუთებული მოთხოვნით. სისტემით

მოსარგებლის მოთხოვნის განხილვისას კომისია მხედველობაში იღებს დაბალანსების საჭიროებას, ერთი მხრივ, ბუნებრივი გაზის შიდა, კონკურენტული ბაზრის შექმნის მიზანსა და, მეორე მხრივ, კომერციული საიდუმლოს კანონისმიერი დაცვის ინტერესს შორის, თუ შესაბამისი კომერციული საიდუმლოს გამჟღავნებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სისტემით მოსარგებლის საერთო კომერციულ სტრატეგიაზე. თუ კომისია მიიჩნევს, რომ სისტემით მოსარგებლის მოთხოვნა საფუძვლიანია, დასაშვებია ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის გათავისუფლება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებისგან 1 წლამდე ვადით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის გამოყენებით არ უნდა შეიზღუდოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის ინფორმაციის შეტყობინებისა და მის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნების ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ვალდებულებები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აგრეგირებული მონაცემები ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის იმ მონაცემების იდენტურია, რომლებთან დაკავშირებითაც კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოქვეყნების ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

7. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი გამჭვირვალე, ობიექტური და არადისკრიმინაციული ტარიფების დადგენისა და ინფრასტრუქტურის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით აქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტზე მესამე პირის რეგულირებული დაშვების პირობებში მოქმედი ტარიფების დადგენის, შესაბამისი მეთოდოლოგიისა და სტრუქტურის შესახებ.

თავი XXI. ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტის ოპერირება და მართვა

მუხლი 87. ბუნებრივი გაზის შენახვის მიზნით ბუნებრივი გაზის საცავისო ბიექტსა და მილსადენზე დაშვება

1. ბუნებრივი გაზის შენახვის მიზნით ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტსა და მილსადენზე დაშვების ორგანიზებისთვის გამოიყენება შეთანხმებული ან/და რეგულირებული დაშვების პროცედურა, თუ აღნიშნული ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად აუცილებელია მომხმარებლის ბუნებრივი გაზით მომარაგებისთვის სისტემაზე ეფექტიანი დაშვებისა და დამხმარე მომსახურების ხელმისაწვდომობის ორგანიზების უზრუნველსაყოფად.

2. კომისია განსაზღვრავს და აქვეყნებს იმ კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზედაც განისაზღვრება ბუნებრივი გაზის შენახვის მიზნით ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტსა და მილსადენზე დაშვების პროცედურა. აღნიშნული პროცედურები გამოყენებული უნდა იქნეს ობიექტური, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული გზით.

3. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი აქვეყნებს ინფორმაციას, ბუნებრივი გაზის საცავის რომელი ობიექტი ან მისი ნაწილია შეთავაზებული დაშვების სხვადასხვა პროცედურით, ხოლო ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორი – გაზის შენახვისთვის გამოყენებული სისტემის რა ნაწილია შეთავაზებული დაშვების სხვადასხვა პროცედურით.

4. შეთანხმებული დაშვების შემთხვევაში კომისია იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა ურთიერთდაკავშირებული სისტემის ტერიტორიის ფარგლებში ან მისი ფარგლების გარეთ არსებულ ბუნებრივი გაზის საწარმოებსა და საბოლოო მომხმარებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეთანხმდნენ ბუნებრივი გაზის შენახვის მიზნით შენახვის ობიექტებსა და მილსადენთან დაშვებაზე, თუ ეს ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად აუცილებელია მომხმარებლის ბუნებრივი გაზით მომარაგების მიზნით აღნიშნულ სისტემასთან ეფექტიანი დაშვებისა და დამხმარე მომსახურების ხელმისაწვდომობის ორგანიზების უზრუნველსაყოფად. მხარეები ვალდებული არიან ბუნებრივი გაზის შენახვის მიზნით ბუნებრივი გაზის საცავსა და მილსადენთან დაშვებასთან, აგრეთვე სხვა დამხმარე მომსახურებასთან დაშვებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები კეთილსინდისიერად აწარმოონ.

5. ბუნებრივი გაზის შესანახად ბუნებრივი გაზის საცავსა და მილსადენზე, აგრეთვე სხვა დამხმარე მომსახურებაზე დაშვების მიზნით ხელშეკრულების პირობები თანხმდება შესაბამისი ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორთან ან ბუნებრივი გაზის საწარმოსთან. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი და ბუნებრივი გაზის საწარმო აქვეყნებენ და საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ, აახლებენ იმ არსებით კომერციულ პირობებს, რომლებიც უკავშირდება ბუნებრივი გაზის საცავში ან მილში შენახვას და სხვა დამხმარე მომსახურების გამოყენებას. ასეთი არსებითი კომერციული პირობების შემუშავებისას ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი და ბუნებრივი გაზის საწარმო უზრუნველყოფენ კონსულტაციას სისტემით მოსარგებლეებთან.

6. რეგულირებული დაშვების შემთხვევაში კომისია იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა ურთიერთდაკავშირებული სისტემის ტერიტორიის ფარგლებში ან მისი ფარგლების გარეთ არსებულ ბუნებრივი გაზის საწარმოებსა და საბოლოო მომხმარებლებს ჰქონდეთ ბუნებრივი გაზის შენახვის მიზნით ბუნებრივი გაზის საცავსა და მილსადენთან დაშვების, აგრეთვე სხვა დამხმარე მომსახურებასთან დაშვების უფლება გამოქვეყნებულ ტარიფებზე ან/და ბუნებრივი გაზის შენახვის მიზნით ბუნებრივი გაზის საცავისა და მილსადენის გამოყენების სხვა პირობებსა და ვალდებულებებზე დაყრდნობით, თუ ეს ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად აუცილებელია მომხმარებლის ბუნებრივი გაზით მომარაგების მიზნით აღნიშნულ სისტემასთან ეფექტიანი დაშვებისა და დამხმარე მომსახურების ხელმისაწვდომობის ორგანიზების უზრუნველსაყოფად. ტარიფების გაანგარიშებისას ან მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავებისას კომისია უზრუნველყოფს ამ სისტემით მოსარგებლეებთან კონსულტაციის გავლას. საბოლოო მომხმარებლის დაშვების უფლება ხორციელდება მისი შესაძლებლობით, დადოს მიწოდების ხელშეკრულება იმ კონკურენტულ ბუნებრივი გაზის საწარმოსთან, რომელიც არ არის აღნიშნული სისტემის მესაკუთრე ან/და სისტემის ოპერატორი ან დაკავშირებული საწარმო.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 88. ბუნებრივი გაზის საცავის მოწყობილობაზე მესამე პირის დაშვებასთან დაკავშირებული მომსახურება

1. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი:

ა) ბაზარზე არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ყველა სისტემით მოსარგებლეს სთავაზობს მომსახურებას დისკრიმინაციის გარეშე. სხვადასხვა მომხმარებლისთვის ერთი და იმავე მომსახურების შეთავაზება ხორციელდება თანაბარი სახელშეკრულებო პირობებით;

ბ) მომხმარებელს სთავაზობს ბუნებრივი გაზის დაკავშირებული სისტემის გამოყენებასთან თავსებად მომსახურებას და ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორთან თანამშრომლობით ხელს უწყობს მესამე პირების დაშვებას;

გ) კომისიის ზედამხედველობით, სისტემით მოსარგებლეთა გონივრული კომერციული საჭიროებების შესაბამისი პერიოდულობით აქვეყნებს აუცილებელ ინფორმაციას, მათ შორის, მომსახურების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ;

დ) მესამე პირის დაშვებასთან დაკავშირებით სთავაზობს როგორც გარანტირებულ, ისე წყვეტად მომსახურებას. წყვეტადი მომსახურების შემთხვევაში სიმძლავრის ფასი უნდა ასახავდეს მომსახურების შეწყვეტის შესაძლებლობას;

ე) სისტემით მოსარგებლეებს სთავაზობს გრძელვადიან და მოკლევადიან მომსახურებას;

ვ) სისტემით მოსარგებლეებს სთავაზობს ბუნებრივი გაზის საცავის მოცულობასთან, ჩაჭირხვნაუნარიანობასა და მიწოდებაუნარიანობასთან დაკავშირებულ ცალკეულ და კომბინირებულ მომსახურებებს.

2. ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტთან დაკავშირებული ხელშეკრულება, რომლის ძალაში შესვლა არასტანდარტულ თარიღს უკავშირდება ან რომელიც იმაზე ნაკლები ვადით არის დადებული, ვიდრე ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტთან დაკავშირებული სტანდარტული წლიური ხელშეკრულება, არ უნდა ადგენდეს დაუსაბუთებლად მაღალ ტარიფს.

3. ხელშეკრულების პირობა, რომელიც ადგენს შეზღუდვას ხელშეკრულების მხარის მიერ მოთხოვნილი ბუნებრივი გაზის საცავის სიმძლავრის მინიმალურ მოცულობასთან დაკავშირებით, უნდა ეფუძნებოდეს ტექნიკურ შეზღუდვას და სისტემით მცირე მოსარგებლეებს უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებრივი გაზის საცავთან დაკავშირებული მომსახურების მიღების უფლებით.

4. აუცილებლობის შემთხვევაში მესამე პირის დაშვებასთან დაკავშირებული მომსახურება სისტემით მოსარგებლეს შესაძლოა გაეწიოს მხოლოდ შესაბამისი ფინანსური გარანტიის წარდგენის შემდეგ. ამგვარი გარანტია უნდა იყოს არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და პროპორციული და არ უნდა ქმნიდეს ბაზარზე შესვლის გაუმართლებელ ბარიერს.

5. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია ამ კანონის 66-ე მუხლით დადგენილი წესით უარი თქვას ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტზე მესამე პირის დაშვებაზე.

მუხლი 89. ბუნებრივი გაზის საცავის წესები

1. ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტის ოპერირება და მართვა ხორციელდება ბუნებრივი გაზის საცავის წესებით დადგენილი დებულებების დაცვით.

2. ბუნებრივი გაზის საცავის წესები განსაზღვრავს:

ა) ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტის ტექნიკურ პარამეტრებს;

ბ) ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტის უსაფრთხო ოპერირების ტექნიკურ და სხვა სახის მოთხოვნებს ბუნებრივი გაზის საცავთან დაკავშირებული მომსახურების საიმედოდ და დადგენილი ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად გაწევის მიზნით;

გ) ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტზე მესამე პირის დაშვების პროცედურას, წესსა და პირობებს, მათ შორის, ამ კანონის 87-ე და 88-ე მუხლების შესაბამისად, მესამე პირის დაშვებასთან დაკავშირებით ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის მიერ გასაწევ მომსახურებას;

დ) სიმძლავრის განაწილების მექანიზმსა და გადატვირთვის მართვის პროცედურებს ამ კანონის 90-ე მუხლის შესაბამისად;

ე) ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტების სიმძლავრის გაზომვის, აგრეთვე ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტში ჩაჭირხნული და ამ ობიექტიდან მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობის აღრიცხვის პროცედურასა და წესს;

ვ) ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტისა და ბუნებრივ გაზთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ოპერირებისა და შესაბამის შემთხვევებში განვითარების დაგეგმვის კრიტერიუმებს;

ზ) სისტემით მოსარგებლეების იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც უკავშირდება ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტით სარგებლობას;

თ) ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის ზოგად წესებსა და პირობებს;

ი) ბუნებრივი გაზის საცავთან დაკავშირებული ხელშეკრულებიდან ან/და ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტზე დაშვებასთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობებიდან გამომდინარე დავის განხილვისა და გადაწყვეტის წესს;

კ) ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის ხელთ არსებული, ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერირებისა და მართვისთვის, აგრეთვე შესაბამისი ბუნებრივი გაზის ბაზრის

ორგანიზებისთვის საჭირო მონაცემებისა და ინფორმაციის გამოქვეყნების წესს, მათ შორის, ყველა შესაბამისი პუნქტის განმარტებას და ინფორმაციის გამოქვეყნების გრაფიკს;

ლ) ურთიერთდაკავშირებული სისტემების სხვა ოპერატორებთან მონაცემებისა და ინფორმაციის გაცვლის მეთოდს;

მ) ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის კომპეტენციის ფარგლებში ენერგოეფექტურობასა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;

ნ) ბუნებრივი გაზის საცავის მოწყობილობის ოპერირებასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა წესებსა და პირობებს.

3. ბუნებრივი გაზის საცავის წესებს შეიმუშავებს ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი, ხოლო გადასინჯავს და ამტკიცებს კომისია. კომისიას ცვლილებები შეაქვს ამ წესებში ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით – ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორთან კონსულტაციის შემდეგ. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებულ პირთან კონსულტაციის გავლას და ბუნებრივი გაზის საცავის წესების შემუშავების პროცესში მათ სათანადო მონაწილეობას.

4. ბუნებრივი გაზის საცავის წესები ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის ვებგვერდზე.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 90. ბუნებრივი გაზის საცავის სიმძლავრის განაწილება და გადატვირთვის მართვა

1. ბუნებრივი გაზის ბაზრის ყველა მონაწილისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბუნებრივი გაზის საცავის მაქსიმალური სიმძლავრე სისტემის ერთიანობისა და ეფექტიანი ოპერირების გათვალისწინებით.

2. ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორი შეიმუშავებს და აქვეყნებს სიმძლავრის განაწილების არადისკრიმინაციულ და გამჭვირვალე მექანიზმებს, რომლებიც:

ა) უზრუნველყოფს სათანადო ეკონომიკურ სიგნალებს სიმძლავრის ეფექტიანი და მაქსიმალური გამოყენებისთვის და ხელს უწყობს ინვესტიციებს ახალ ინფრასტრუქტურაში;

ბ) თავსებადია ბაზრის მექანიზმებთან, მათ შორის, სპოტბაზრებსა და სავაჭრო „ჰაბებთან“, ამავდროულად, არის მოქნილი და განვითარებადი ბაზრის გარემო პირობებთან ადაპტირებადი;

გ) თავსებადია იმ სისტემაზე დაშვების წესებსა და პირობებთან, რომელთანაც მიერთებულია ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტი.

3. ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტთან დაკავშირებული ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს ზომებს ისეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, როდესაც სიმძლავრით სარგებლობის მოპოვებული უფლება არ გამოიყენება ან არაეფექტიანად გამოიყენება. აღნიშნული ზომები გამოიყენება სახელშეკრულებო გადატვირთვისას და ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის ვალდებულებას, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ბუნებრივი გაზის საცავის გამოუყენებელი სიმძლავრის პირველად ბაზარზე შეთავაზება;

ბ) სისტემით მოსარგებლის უფლებას, გადაყიდოს სახელშეკრულებო სიმძლავრე მეორეულ ბაზარზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეთავაზება ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორის მიერ უნდა განხორციელდეს წყვეტადი მომსახურების სახით და მომსახურებამდე 1 დღით ადრე მაინც.

კარი VIII. გათხევადებული ბუნებრივი გაზი

თავი XXII. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორის ავტორიზაცია და ფუნქციები

მუხლი 91. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორის ავტორიზაცია

1. გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტის ოპერირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ახორციელებს გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი.

2. კომისია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ კანონითა და კომისიის მიერ დამტკიცებული ლიცენზირების წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად, გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტის ოპერირების ლიცენზიის გაცემის გზით, ახდენს ბუნებრივი გაზის საწარმოს (რომელიც საკუთრების ან/და განკარგვის უფლებით ფლობს გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტს), როგორც გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორის, ავტორიზაციას.

მუხლი 92. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორის ფუნქციები

1. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტების ეკონომიკური პირობების შესაბამისად ოპერირებას, მოვლა-პატრონობასა და განვითარებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ღია ბაზრის დაცვა და მომსახურებასთან დაკავშირებული

ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო საშუალებების ხელმისაწვდომობა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით.

2. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი ამ კანონის, გათხევადებული ბუნებრივი გაზის წესების, სალიცენზიო პირობებისა და ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური წესების შესაბამისად ახორციელებს გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტებთან დაკავშირებულ საიმედო და ეფექტიან მომსახურებას, რაც შესაძლოა მოიცავდეს ბუნებრივი გაზის მიღებას, გათხევადებას, გადმოტვირთვას, გათხევადებული ბუნებრივი გაზის რეგაზიფიცირებას, აგრეთვე დაკავშირებული დამხმარე მომსახურებისა და რეგაზიფიცირების პროცესისთვის საჭირო გათხევადებული ბუნებრივი გაზის დროებით შენახვას.

3. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი ვალდებულია:

ა) არ დაუშვას სისტემით მოსარგებლეებს ან სისტემით მოსარგებლეთა სხვადასხვა კატეგორიას შორის დისკრიმინაცია, მათ შორის, დაკავშირებული საწარმოების სასარგებლოდ;

ბ) მიაწოდოს ბუნებრივი გაზის სისტემის სხვა ოპერატორებს საკმარისი ინფორმაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ურთიერთდაკავშირებული სისტემების უსაფრთხო და ეფექტიანი ოპერირების შესაბამისად ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება და შენახვა;

გ) მიაწოდოს სისტემით მოსარგებლეებს გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტებზე ეფექტიანი დაშვებისთვის საჭირო ინფორმაცია;

დ) უზრუნველყოს ამ კანონის 93-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის 5 წლის ვადით შენახვა და კომპეტენტური სახელმწიფო უწყებებისთვის, მათ შორის, კომისიისა და კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთვის, აგრეთვე ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის ხელმისაწვდომობა;

ე) მიიღოს გონივრული ზომები სიმძლავრესთან დაკავშირებული უფლებებით თავისუფლად ვაჭრობისა და ამგვარი ვაჭრობის გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული გზით განხორციელების ხელშეწყობის მიზნით;

ვ) შეიმუშაოს გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტით სარგებლობის ჰარმონიზებული ხელშეკრულება და პროცედურები პირველადი ბაზრისთვის, რათა ხელი შეუწყოს სიმძლავრით მეორეულ ვაჭრობასა და სისტემით მოსარგებლის მიერ სისტემის ოპერატორისთვის შეტყობინების შემთხვევაში სიმძლავრესთან დაკავშირებული, პირველად ბაზარზე მოპოვებული უფლებების გასხვისების აღიარებას. ამგვარი ჰარმონიზებული ხელშეკრულებისა და პროცედურების შემუშავების შესახებ უნდა ეცნობოს კომისიას.

საქართველოს 2023 წლის 29 ნოემბრის კანონი №3763 – ვებგვერდი, 11.12.2023წ.

მუხლი 93. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორის საქმიანობის გამჭვირვალობა

1. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი აქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას მის მიერ შეთავაზებული მომსახურებისა და დაკავშირებული პირობების შესახებ გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტებზე ეფექტიანი დაშვებისთვის საჭირო ტექნიკურ ინფორმაციასთან ერთად.

2. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი მომსახურების გაწევის მიზნით რეგულარულად და მომხმარებლისთვის მარტივად ხელმისაწვდომი და სტანდარტული ფორმით აქვეყნებს და მუდმივად აახლებს ინფორმაციას გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტების სახელშეკრულებო სიმძლავრისა და ხელმისაწვდომი სიმძლავრის მოცულობების შესახებ.

3. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ ინფორმაციას აქვეყნებს გასაგები, რაოდენობრივად აღქმადი, მარტივად ხელმისაწვდომი და არადისკრიმინაციული გზით.

4. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი აქვეყნებს ინფორმაციას არსებული გაზის მოცულობების შესახებ გათხევადებული ბუნებრივი გაზის თითოეული ობიექტისთვის, ხოლო სისტემით მოსარგებლეებისათვის დაშვების შესაბამისი მეთოდის შეთავაზების შემთხვევაში – ობიექტთა ჯგუფისთვის. ამასთანავე, გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი აქვეყნებს ინფორმაციას შემომავალი და გამავალი ნაკადებისა და ხელმისაწვდომი სიმძლავრის შესახებ, მათ შორის, იმ ობიექტთან მიმართებით, რომელზედაც არ ვრცელდება მესამე პირის დაშვების ვალდებულება. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორს, რომელიც აქვეყნებს მას აგრეგირებული სახით, შესაბამისი პუნქტებით განსაზღვრული თითოეული სისტემისთვის ან ქვესისტემისთვის. ინფორმაცია ახლდება დღეში ერთხელ მაინც.

5. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი გამჭვირვალე, ობიექტური და არადისკრიმინაციული ტარიფების დადგენისა და ინფრასტრუქტურის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით აქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტებზე მესამე პირების რეგულირებული დაშვების პირობებში მოქმედი ტარიფების დადგენის, შესაბამისი მეთოდოლოგიებისა და სტრუქტურის შესახებ.

თავი XXIII. გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობების ოპერირება და მართვა

მუხლი 94. გათხევადებული ბუნებრივი გაზის მოწყობილობებზე მესამე პირის დაშვებასთან დაკავშირებული მომსახურება

1. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი:

ა) ბაზარზე არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სისტემით მოსარგებლე ყველა პირს სთავაზობს მომსახურებას დისკრიმინაციის გარეშე. სხვადასხვა მომხმარებლისთვის ერთი და იმავე მომსახურების შეთავაზება ხორციელდება თანაბარი სახელშეკრულებო პირობებით;

ბ) მომხმარებელს სთავაზობს ბუნებრივი გაზის ურთიერთდაკავშირებული გადამცემი სისტემების გამოყენებასთან თავსებად მომსახურებას და ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორთან თანამშრომლობით ხელს უწყობს მესამე პირის დაშვებას;

გ) კომისიის ზედამხედველობით, სისტემით მოსარგებლეთა გონივრული კომერციული საჭიროების შესაბამისი პერიოდულობით აქვეყნებს აუცილებელ ინფორმაციას, მათ შორის, მომსახურების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ.

2. გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტთან დაკავშირებული ხელშეკრულება, რომლის ძალაში შესვლა არასტანდარტულ თარიღს უკავშირდება ან რომელიც იმაზე ნაკლები ვადით არის დადებული, ვიდრე გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტთან დაკავშირებული სტანდარტული წლიური ხელშეკრულება, არ უნდა ადგენდეს გაუმართლებლად მაღალ ტარიფს.

3. ხელშეკრულების პირობა, რომელიც ადგენს შეზღუდვას ხელშეკრულების მხარის მიერ მოთხოვნილი გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტის სიმძლავრის მინიმალურ მოცულობასთან დაკავშირებით, უნდა ეფუძნებოდეს ტექნიკურ შეზღუდვას და სისტემით მცირე მოსარგებლეებს უნდა უზრუნველყოფდეს გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტთან დაკავშირებული მომსახურების მიღების უფლებით.

4. აუცილებლობის შემთხვევაში მესამე პირის დაშვებასთან დაკავშირებული მომსახურება სისტემით მოსარგებლეს შესაძლოა გაეწიოს მხოლოდ შესაბამისი ფინანსური გარანტიის წარდგენის შემდეგ. ამგვარი გარანტია უნდა იყოს არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და პროპორციული და არ უნდა ქმნიდეს ბაზარზე შესვლის გაუმართლებელ ბარიერს.

5. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია ამ კანონის 66-ე მუხლით დადგენილი წესით უარი თქვას გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტზე მესამე პირის დაშვებაზე.

მუხლი 95. გათხევადებული ბუნებრივი გაზის წესები

1. გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტის ოპერირება და მართვა ხორციელდება გათხევადებული ბუნებრივი გაზის წესებით დადგენილი დებულებების დაცვით.

2. გათხევადებული ბუნებრივი გაზის წესები განსაზღვრავს:

ა) გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტის ტექნიკურ პარამეტრებს;

ბ) გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტის უსაფრთხო ოპერირების ტექნიკურ და სხვა სახის მოთხოვნებს გათხევადებულ ბუნებრივ გაზთან დაკავშირებული მომსახურების საიმედოდ და დადგენილი ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად გაწევის მიზნით;

გ) გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტზე მესამე პირის დაშვების პროცედურას, წესსა და პირობებს, მათ შორის, ამ კანონის 94-ე მუხლის შესაბამისად, მესამე პირის დაშვებასთან დაკავშირებით გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორის მიერ გასაწევ მომსახურებას;

დ) სიმძლავრის განაწილების მექანიზმსა და გადატვირთვის მართვის პროცედურებს ამ კანონის 96-ე მუხლის შესაბამისად;

ე) გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტის სიმძლავრის გაზომვის, აგრეთვე გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტში ჩატვირთული და ამ ობიექტიდან გადმოტვირთული ბუნებრივი გაზის მოცულობის აღრიცხვის პროცედურასა და წესს;

ვ) გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტისა და ბუნებრივ გაზთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ოპერირებისა და შესაბამის შემთხვევებში განვითარების დაგეგმვის კრიტერიუმებს;

ზ) სისტემით მოსარგებლის იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც უკავშირდება გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტით სარგებლობას;

თ) გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის ზოგად წესებსა და პირობებს;

ი) გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტთან დაკავშირებული ხელშეკრულებიდან ან/და გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტზე დაშვებასთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების განხილვისა და გადაწყვეტის წესს;

კ) გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორის ხელთ არსებული, ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერირებისა და მართვისთვის, აგრეთვე ბუნებრივი გაზის ბაზრის ორგანიზებისთვის საჭირო მონაცემებისა და ინფორმაციის გამოქვეყნების წესს, მათ შორის, ყველა შესაბამისი პუნქტის განმარტებას და ინფორმაციის გამოქვეყნების გრაფიკს;

ლ) ურთიერთდაკავშირებული სისტემების სხვა ოპერატორებთან მონაცემებისა და ინფორმაციის გაცვლის მეთოდს;

მ) გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორის კომპეტენციის ფარგლებში ენერგოეფექტურობასა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს;

ნ) გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტის ოპერირებასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა წესებსა და პირობებს.

3. გათხევადებული ბუნებრივი გაზის წესებს შეიმუშავებს გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი, ხოლო გადასინჯავს და ამტკიცებს კომისია. კომისიას ცვლილებები შეაქვს ამ წესებში გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით – გათხევადებული ბუნებრივი გაზის საცავის სისტემის ოპერატორთან კონსულტაციის შემდეგ. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებულ პირთან კონსულტაციის გავლას და გათხევადებული ბუნებრივი გაზის წესების შემუშავების პროცესში მათ სათანადო მონაწილეობას.

4. გათხევადებული ბუნებრივი გაზის წესები ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორის ვებგვერდზე.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 96. გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტის სიმძლავრის განაწილება და გადატვირთვის მართვა

1. ბუნებრივი გაზის ბაზრის ყველა მონაწილისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტის მაქსიმალური სიმძლავრე სისტემის ერთიანობისა და ეფექტიანი ოპერირების გათვალისწინებით.

2. გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორი შეიმუშავებს და აქვეყნებს სიმძლავრის განაწილების არადისკრიმინაციულ და გამჭვირვალე მექანიზმებს, რომლებიც:

ა) უზრუნველყოფს სათანადო ეკონომიკურ სიგნალებს სიმძლავრის ეფექტიანი და მაქსიმალური გამოყენებისთვის და ხელს უწყობს ინვესტიციებს ახალ ინფრასტრუქტურაში;

ბ) თავსებადია ბაზრის მექანიზმებთან, მათ შორის, სპოტბაზრებსა და სავაჭრო „ჰაბებთან“, ამავდროულად, არის მოქნილი და განვითარებადი ბაზრის გარემო პირობებთან ადაპტირებადი;

გ) თავსებადია იმ სისტემაზე დაშვების წესებსა და პირობებთან, რომელთანაც მიერთებულია გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტი.

3. გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები უნდა ითვალისწინებდეს ზომებს ისეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, როდესაც სიმძლავრით სარგებლობის მოპოვებული უფლება არ გამოიყენება ან არაეფექტიანად

გამოიყენება. აღნიშნული ზომები გამოიყენება სახელშეკრულებო გადატვირთვისას და ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორის ვალდებულებას, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტის გამოუყენებელი სიმძლავრის პირველად ბაზარზე შეთავაზება;

ბ) სისტემით მოსარგებლის უფლებას, გადაყიდოს სახელშეკრულებო სიმძლავრე მეორეულ ბაზარზე.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეთავაზება გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემის ოპერატორმა უნდა განახორციელოს წყვეტადი მომსახურების სახით და მომსახურებამდე 1 დღით ადრე მაინც.

კარი IX. სისტემათა ურთიერთთავსებადობა და ახალი ინფრასტრუქტურა

თავი XXIV. სისტემათა ურთიერთთავსებადობა

მუხლი 97. სისტემათა ურთიერთთავსებადობა და ტექნიკური წესები

1. ენერგეტიკულ მოწყობილობებსა და აღჭურვილობასთან დაკავშირებული ტექნიკური მოთხოვნების განმსაზღვრელი ნორმები ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის კრიტერიუმების დაცვით უნდა განსაზღვრავდეს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის წარმოების, გადაცემისა და განაწილების, ბუნებრივი გაზის შენახვისა და გათხევადებულ ბუნებრივ გაზთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების მიზნით გამოყენებული მოწყობილობებისა და აღჭურვილობის მშენებლობის, ოპერირებისა და უსაფრთხოების წესებსა და პირობებს, მათ შორის, აუცილებელ ტექნიკურ სტანდარტებსა და საოპერაციო და ტექნიკურ სპეციფიკაციასთან დაკავშირებულ მინიმალურ მოთხოვნებს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ენერგეტიკული მოწყობილობები და აღჭურვილობა, აგრეთვე ურთიერთდამაკავშირებლები და პირდაპირი ხაზები სისტემების ურთიერთთავსებადობის მიზნით უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის ტექნიკურ მოთხოვნებს.

3. ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ენერგეტიკულ მოწყობილობებთან და აღჭურვილობასთან დაკავშირებული ტექნიკური მოთხოვნები და ფუნქციონირების წესები (ტექნიკური რეგლამენტები), მათ შორის, ენერგეტიკული ობიექტების დაცვის ზონები, ტყის მასივებსა და ნარგავებში განაკაფები, დაცვის ზონამდე მისასვლელი გზების პარამეტრები, დაცვის ზონებში მოქმედი შეზღუდვები და სამუშაოთა წარმოების პირობები მტკიცდება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით. შესაბამისი სამართლებრივი აქტის მიღებისას საქართველოს მთავრობა მხედველობაში იღებს ევროპის კავშირის ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტებსა და რეგულაციებს.

4. ორი ადგილობრივი ან ურთიერთდაკავშირებული სისტემის ურთიერთთავსებადობის მოთხოვნები განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტებითა და შესაბამისი ქსელის წესებით.

მუხლი 98. პირდაპირი ხაზები. მესამე პირის საკუთრებაში არსებული ქსელის მოწყობილობებით სარგებლობა

1. ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის პირდაპირი ხაზის აშენება დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ ელექტროენერგიის მწარმოებელი და მომხმარებელი აპირებენ ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულების დადებას, მაგრამ ვერ შეძლეს ელექტროენერგიის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელზე დაშვების მოპოვება;

ბ) თუ ბუნებრივი გაზის საწარმო და მომხმარებელი აპირებენ ბუნებრივი გაზის მიწოდების ხელშეკრულების დადებას, მაგრამ ვერ შეძლეს ბუნებრივი გაზის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელზე დაშვების მოპოვება.

2. ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის პირდაპირი ხაზის მშენებლობისა და ოპერირებისათვის საჭიროა კომისიის წინასწარი თანხმობა. კომისია განსაზღვრავს ავტორიზაციის მინიჭების ობიექტურ და არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ენერგეტიკული საწარმოები უფლებამოსილი არიან პირდაპირი ხაზები გამოიყენონ საკუთარი საქმიანობის ადგილისთვის, შვილობილი კომპანიებისა და მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მისაწოდებლად.

4. ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის პირდაპირი ხაზის მეშვეობით მიწოდების შესაძლებლობა გავლენას არ ახდენს ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ამ კანონის შესაბამისად ყიდვა-გაყიდვაზე ორმხრივი ხელშეკრულების ან ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ორგანიზებული ბაზრების მეშვეობით.

5. კომისია უფლებამოსილია პირდაპირი ხაზის მშენებლობის ავტორიზაცია მიანიჭოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ენერგეტიკულ საწარმოს, თუ არსებობს გადამცემ ან გამანაწილებელ სისტემაზე დაშვებაზე უარი, ამ კანონის 58-ე, 66-ე ან 79-ე მუხლის შესაბამისად.

6. კომისია უფლებამოსილია უარი თქვას პირდაპირი ხაზის მშენებლობის ავტორიზაციის მინიჭებაზე, თუ ასეთი ავტორიზაცია ხელს შეუშლის საჯარო მომსახურების ვალდებულების განხორციელებას, მათ შორის, საბოლოო მომხმარებლის დაცვას.

7. გადამცემი ან გამანაწილებელი ქსელის ან წყალმომარაგების სისტემის მოწყობილობის მესაკუთრე, რომელიც არ არის სისტემის ოპერატორი ან წყალმომარაგების ლიცენზიატი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ვალდებულია ითმინოს მისი მოწყობილობით სარგებლობა მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის მიზნით.

აღნიშნული მოწყობილობის ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის წესი განისაზღვრება კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8. თუ გონივრულობის ფარგლებში მიღებული ზომების მეშვეობით შეუძლებელია მომხმარებლისათვის მომსახურების გასაწევად საჭირო ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის გადამცემი ან გამანაწილებელი ქსელის ან წყალმომარაგების სისტემის მოწყობილობის მესაკუთრის იდენტიფიცირება, ასეთი მოწყობილობის ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის წესი განისაზღვრება კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

თავი XXV. ახალი ინფრასტრუქტურა

(ინფრასტრუქტურა, რომელიც 2007 წლის 1 იანვრამდე არ ყოფილა ექსპლუატაციაში შესული)

მუხლი 99. საშეღავათო პირობები ელექტროენერგიის ახალი ურთიერთდამაკავშირებლებისთვის

1. ელექტროენერგეტიკული საწარმოს მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლოა მუდმივი დენის ახალი ურთიერთდამაკავშირებლის სრული სიმძლავრე ან მისი ნაწილი შეზღუდული დროით გათავისუფლდეს ამ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„ზ“ ქვეპუნქტების, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე დადგენილი, აგრეთვე 44-ე და 57-ე მუხლებითა და 63-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით დადგენილი ვალდებულებებისგან, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) ურთიერთდამაკავშირებლის აშენებასთან დაკავშირებული ინვესტიცია ხელს უწყობს კონკურენციას ელექტროენერგიის მიწოდების საქმიანობაში;

ბ) ინვესტიციის განხორციელება, თანამდევი რისკებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათების დაწესების გარეშე;

გ) ურთიერთდამაკავშირებლის მესაკუთრე პირი სულ მცირე სამართლებრივი ფორმით განცალკევებულია გადამცემი სისტემის ოპერატორისგან და იმ სისტემის ოპერატორისგან, რომელსაც უკავშირდება აღნიშნული ურთიერთდამაკავშირებელი;

დ) ურთიერთდამაკავშირებლით მოსარგებლეებს დაეკისრებათ საფასურის გადახდის ვალდებულება;

ე) ურთიერთდამაკავშირებლით დაკავშირებული ელექტროენერგიის გადამცემი ან გამანაწილებელი სისტემის გამოყენებისთვის დაწესებული საფასურის რომელიმე კომპონენტი არ გამოყენებულა ურთიერთდამაკავშირებლის კაპიტალური ან საოპერაციო დანახარჯების ან მათი ნაწილის დასაფარავად;

ვ) ამ მუხლის შესაბამისად საშეღავათო პირობების დადგენით არ ზიანდება კონკურენცია ან შიდა და რეგიონული ელექტროენერგიის ბაზრები, ან იმ რეგულირებადი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელთანაც დაკავშირებულია ურთიერთდამაკავშირებელი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საშეღავათო პირობები გამონაკლისის სახით აგრეთვე გამოიყენება ცვლადი დენის ურთიერთდამაკავშირებელთან მიმართებით, თუ განსახილველ ინვესტიციასთან დაკავშირებული ხარჯები და რისკი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ხარჯებსა და რისკს, რომლებიც, ჩვეულებრივ, წარმოიშობა ორი მეზობელი გადამცემი სისტემის ცვლადი დენის ურთიერთდამაკავშირებლით დაკავშირებისას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საშეღავათო პირობები აგრეთვე გამოიყენება არსებული ურთიერთდამაკავშირებლის სიმძლავრის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებას ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის იღებენ კომისია და შესაბამისი მეზობელი ქვეყნის კომპეტენტური მარეგულირებელი ორგანო.

5. კომისია უფლებამოსილია საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საკითხი განსახილველად წარუდგინოს აგრეთვე ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელ საბჭოს და, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, გაითვალისწინოს მისი მოსაზრებები.

6. საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს საშეღავათო პირობების ხანგრძლივობისა და ურთიერთდამაკავშირებელზე არადისკრიმინაციულ დაშვებასთან დაკავშირებული პირობების დადგენის საჭიროება. ამ მიზნით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასაშენებელი დამატებითი სიმძლავრე ან არსებული სიმძლავრის ცვლილება, პროექტის განხორციელების ვადა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

7. საშეღავათო პირობების დადგენამდე კომისია განსაზღვრავს ურთიერთდამაკავშირებლის სიმძლავრის მართვისა და განაწილების წესებს. ურთიერთდამაკავშირებლის გადატვირთვის მართვის წესები უნდა მოიცავდეს გამოუყენებელი სიმძლავრის ბაზარზე შეთავაზების ვალდებულებასა და ურთიერთდამაკავშირებლით მოსარგებლეთა უფლებას, მეორეულ ბაზარზე ივაჭრონ სახელშეკრულებო სიმძლავრით. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებში მითითებული კრიტერიუმების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სიმძლავრის განაწილების პროცედურის შედეგები.

8. თუ კომისია და მეზობელი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანო საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან 6 თვის ვადაში, კომისია აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს ენერგეტიკული

გაერთიანების მარეგულირებელ საბჭოს. საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილება, მათ შორის, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ყველა პირობა, სათანადოდ უნდა დასაბუთდეს და გამოქვეყნდეს.

9. ამ მუხლის მე-4–მე-8 პუნქტებით განსაზღვრული გადაწყვეტილება შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებსა და განმცხადებლებთან განხილვის საფუძველზე შეიძლება მიიღოს ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელმა საბჭომ, თუ:

ა) კომისიამ და მეზობელი ქვეყნის მარეგულირებელმა ორგანომ ვერ მიიღეს გადაწყვეტილება საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ 6 თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც აღნიშნული მარეგულირებლებიდან ყველაზე ბოლომ მიიღო შესაბამისი მოთხოვნა;

ბ) არსებობს კომისიის ან მეზობელი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნა ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელი საბჭოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

10. მიუხედავად ამ მუხლის მე-4–მე-9 პუნქტების დებულებებისა, კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში საშეღავათო პირობების დადგენასთან დაკავშირებით ამ კანონის 24-ე მუხლით დადგენილი წესით გამართოს კონსულტაციები კომპეტენტურ სახელმწიფო უწყებებთან. კონსულტაციის პროცესის შედეგად მიღებული მოსაზრებები ქვეყნდება გადაწყვეტილებასთან ერთად.

11. კომისია ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელ საბჭოსა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს დაუყოვნებლივ უგზავნის საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ მიღებული მოთხოვნის ასლს და აცნობებს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციასთან ერთად.

12. ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს აგრეგირებული სახით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი შესაძლებლობა, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება. აღნიშნული ინფორმაცია სხვა მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს:

ა) საშეღავათო პირობების დადგენის ან დადგენაზე უარის თქმის დეტალურ მიზეზებს, მათ შორის, ასეთი პირობების დადგენის აუცილებლობის განმაპირობებელ ფინანსურ ინფორმაციას;

ბ) კონკურენციასა და ელექტროენერგიის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებაზე საშეღავათო პირობების დადგენის ზეგავლენის კვლევას;

გ) გარემოებებს, რომლებმაც განაპირობა საშეღავათო პირობების მოქმედების ვადა, და ურთიერთდამაკავშირებლის სიმძლავრის წილი, რომელზედაც ვრცელდება საშეღავათო პირობები;

დ) შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებთან კონსულტაციის შედეგები.

13. ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებიდან 2 თვის განმავლობაში მოსთხოვოს შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებს საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა ან ასეთი გადაწყვეტილების გაუქმება. გადაწყვეტილების მიღების 2-თვიანი ვადა შესაძლოა გაგრძელდეს დამატებით 2 თვით, თუ:

ა) ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ესაჭიროება დამატებითი ინფორმაციის მოძიება;

ბ) არსებობს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსა და შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების თანხმობა ვადის გაგრძელებაზე.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი საფუძვლით გადაწყვეტილების მიღების ვადის გაგრძელების შემთხვევაში დამატებითი ვადის ათვლა იწყება ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის სრულყოფილი სახით მიღების მომდევნო დღიდან. თუ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს შესაბამისი მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში არ მიეწოდა გამოთხოვილი ინფორმაცია, მარეგულირებელი ორგანოს შეტყობინება საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ ჩაითვლება გაუქმებულად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა) მოთხოვნით განსაზღვრული ვადის გასვლამდე ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსა და შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების თანხმობით გაგრძელდა ინფორმაციის მიწოდების ვადა;

ბ) შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები დასაბუთებული შეტყობინებით დაუდასტურებენ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის სისრულეს.

15. ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მოთხოვნა საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის ან გაუქმების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 1 თვის ვადაში, რის შესახებაც ეცნობება ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს.

16. საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ გაცემული თანხმობა ძალას კარგავს მიღებიდან 2 წლის შემდეგ, თუ ამ ვადაში არ დაიწყება ურთიერთდამაკავშირებლის მშენებლობა, ან მიღებიდან 5 წლის შემდეგ, თუ ურთიერთდამაკავშირებელი ამ ვადაში არ იქნა ექსპლუატაციაში მიღებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო მიიჩნევს, რომ დაყოვნება გამოწვეულია იმ პირისგან დამოუკიდებელი მიზეზით, რომლის მოთხოვნითაც დადგინდა საშეღავათო პირობები.

17. ამ მუხლის მე-5–მე-16 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ მეზობელი ქვეყანა, რომელთანაც საქართველოს აკავშირებს მოცემული ურთიერთდამაკავშირებელი, ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყანაა ან თანხმობას აცხადებს ამ მოთხოვნების გამოყენებაზე.

მუხლი 100. საშეღავათო პირობები ბუნებრივი გაზის ახალი ინფრასტრუქტურისთვის

1. ბუნებრივი გაზის საწარმოს მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლოა ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი ახალი ინფრასტრუქტურა, მათ შორის, ურთიერთდამაკავშირებელი, ბუნებრივი გაზის საცავის ობიექტი და გათხევადებული ბუნებრივი გაზის ობიექტი, შეზღუდული დროით გათავისუფლებულ იქნეს ამ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„ზ“ ქვეპუნქტების, 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე დადგენილი, აგრეთვე 44-ე, 65-ე, 78-ე და 87-ე მუხლებით დადგენილი ვალდებულებებისგან, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) ინფრასტრუქტურის აშენებასთან დაკავშირებული ინვესტიცია ხელს უწყობს კონკურენციას ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობაში და აუმჯობესებს მიწოდების უსაფრთხოებას;

ბ) ინვესტიციის განხორციელება, თანამდევი რისკებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათების დაწესების გარეშე;

გ) ინფრასტრუქტურის მესაკუთრე პირი სულ მცირე სამართლებრივი ფორმით განცალკევებულია იმ სისტემის ოპერატორისგან, რომლის სისტემაშიც უნდა აშენდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა;

დ) ინფრასტრუქტურით მოსარგებლეებს დაეკისრებათ საფასურის გადახდის ვალდებულება;

ე) ამ მუხლის შესაბამისად საშეღავათო პირობების დადგენით ზიანი არ ადგება კონკურენციას და გაზის შიდა ბაზრის ან იმ რეგულირებადი სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას, რომელთანაც შესაბამისი ინფრასტრუქტურაა მიერთებული.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საშეღავათო პირობები აგრეთვე გამოიყენება არსებული ინფრასტრუქტურის სიმძლავრის მნიშვნელოვნად გაზრდისა და გარდაქმნის შემთხვევებში, თუ აღნიშნული ბუნებრივი გაზის მიწოდების ახალი წყაროების განვითარების შესაძლებლობას წარმოშობს.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებას ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის იღებს კომისია ამ მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

4. თუ ინფრასტრუქტურა, რომლის მიმართაც მოთხოვნილია საშეღავათო პირობების დადგენა, გადაკვეთს საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების სხვა რომელიმე მხარის საზღვარს, ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელ საბჭოს უფლება აქვს,

კომისიასა და ენერგეტიკული გაერთიანების შესაბამისი მხარის მარეგულირებელ ორგანოს წარუდგინოს საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ სარეკომენდაციო მოსაზრება, რომელიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილებას საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ. ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელ საბჭოს სარეკომენდაციო მოსაზრება მზადდება საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ მოთხოვნის მიღებიდან 2 თვის ვადაში, რომელიც აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც კომისიასა და შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს შორის უკანასკნელმა მიიღო შესაბამისი მოთხოვნა.

5. თუ შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებს შორის საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მოთხოვნის მიღებიდან 6 თვის ვადაში, ისინი გადაწყვეტილების შესახებ აცნობებენ ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელ საბჭოს. აღნიშნული 6-თვიანი პერიოდი აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც კომისიასა და შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს შორის უკანასკნელმა მიიღო შესაბამისი მოთხოვნა.

6. ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელი საბჭო თავად განახორციელებს ენერგეტიკული გაერთიანების შესაბამისი მხარეების მარეგულირებელი ორგანოების საშეღავათო პირობების დადგენასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებას, თუ:

ა) მარეგულირებელი ორგანოები ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 6 თვის ვადაში, რომელიც აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც კომისიასა და შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს შორის უკანასკნელმა მიიღო შესაბამისი მოთხოვნა;

ბ) არსებობს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების ერთობლივი მოთხოვნა ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელი საბჭოს მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შესახებ.

7. შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები უფლებამოსილი არიან ერთობლივად მოითხოვონ ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის 3 თვით გაგრძელება.

8. კომისია საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე კონსულტაციებს მართავს შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებსა და განმცხადებლებთან.

9. საშეღავათო პირობები შესაძლოა დაწესდეს ახალი ინფრასტრუქტურის, აგრეთვე არსებული, მნიშვნელოვნად გაზრდილი სიმძლავრის მქონე ინფრასტრუქტურის სრული სიმძლავრის ან მისი ნაწილის მიმართ.

10. საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს საშეღავათო პირობების ხანგრძლივობისა და ინფრასტრუქტურაზე არადისკრიმინაციულ დაშვებასთან დაკავშირებული პირობების დადგენის საჭიროება. ამ მიზნით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასაშენებელი

დამატებითი სიმძლავრე ან არსებული სიმძლავრის ცვლილება, პროექტის განხორციელების ვადა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები.

11. საშეღავათო პირობების დადგენამდე კომისია განსაზღვრავს ინფრასტრუქტურის სიმძლავრის მართვისა და განაწილების წესებს. წესები უნდა ითვალისწინებდეს ინფრასტრუქტურით პოტენციური მოსარგებლის მიერ სიმძლავრეზე ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით საკუთარი ინტერესის გამოხატვის შესაძლებლობას ახალი ინფრასტრუქტურის სიმძლავრის განაწილებამდე, მათ შორის, საკუთარი მოხმარების მიზნით. ინფრასტრუქტურის გადატვირთვის მართვის წესები კომისიის მოთხოვნის შესაბამისად უნდა მოიცავდეს გამოუყენებელი სიმძლავრის ბაზარზე შეთავაზების ვალდებულებასა და ინფრასტრუქტურით მოსარგებლის უფლებას, მეორეულ ბაზარზე ივაჭრონ სახელშეკრულებო სიმძლავრით. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებში მითითებული კრიტერიუმების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სიმძლავრის განაწილების პროცედურის შედეგები.

12. საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილება, მათ შორის, ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ყველა გარემოება, სათანადოდ უნდა დასაბუთდეს და გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. გადაწყვეტილებაში აღინიშნება:

ა) საშეღავათო პირობების დადგენის ან დადგენაზე უარის თქმის დეტალური მიზეზები, მათ შორის, ასეთი პირობების დადგენის აუცილებლობის განმაპირობებელი ფინანსური ინფორმაცია;

ბ) კონკურენციასა და გაზის შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებაზე საშეღავათო პირობების დადგენის ზეგავლენის კვლევა;

გ) გარემოებები, რომლებმაც განაპირობა საშეღავათო პირობების მოქმედების ვადა, და გაზის ინფრასტრუქტურის სიმძლავრის წილი, რომელზედაც ვრცელდება საშეღავათო პირობები;

დ) სხვა ქვეყნებთან ან შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებთან კონსულტაციის შედეგები, თუ საშეღავათო პირობები დგინდება ურთიერთდამაკავშირებელთან მიმართებით;

ე) ინფრასტრუქტურის წვლილი გაზის მიწოდების დივერსიფიკაციის მიზნებისთვის.

13. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულების მიუხედავად, კომისია უფლებამოსილია საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მიმართოს ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელ საბჭოს მოსაზრების წარდგენის მოთხოვნით. ენერგეტიკული გაერთიანების მარეგულირებელი საბჭოს მოსაზრება ქვეყნდება გადაწყვეტილებასთან ერთად.

14. კომისია ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს დაუყოვნებლივ უგზავნის საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ მიღებული მოთხოვნის ასლს და აცნობებს

მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე ყველა საჭირო ინფორმაციასთან ერთად. აღნიშნული ინფორმაცია ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს შეიძლება მიეწოდოს აგრეგირებული სახით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი შესაძლებლობა, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

15. ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან 2 თვის განმავლობაში მოუწოდოს კომისიას საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისკენ ან ასეთი გადაწყვეტილების გაუქმებისკენ. 2-თვიანი ვადა შესაძლოა გაგრძელდეს დამატებით 2 თვით, თუ:

ა) ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ესაჭიროება დამატებითი ინფორმაციის მოძიება;

ბ) არსებობს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსა და კომისიის თანხმობა ვადის გაგრძელებაზე.

16. ამ მუხლის მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი საფუძვლით გადაწყვეტილების მიღების ვადის გაგრძელების შემთხვევაში დამატებითი ვადის ათვლა იწყება ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის სრულყოფილი სახით მიღების მომდევნო დღიდან. თუ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში არ მიეწოდა გამოთხოვილი ინფორმაცია, კომისიის შეტყობინება საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ ჩაითვლება გაუქმებულად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა) მოთხოვნით განსაზღვრული ვადის გასვლამდე ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსა და კომისიის თანხმობით გაგრძელდა ინფორმაციის მიწოდების ვადა;

ბ) კომისია დასაბუთებული შეტყობინებით დაუდასტურებს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სრულყოფილებას.

17. კომისია მხედველობაში იღებს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მოსაზრებას საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ. თუ კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება განსხვავდება ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მოსაზრებისგან, კომისია გადაწყვეტილებასთან ერთად აქვეყნებს შესაბამის დასაბუთებას.

18. საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებაზე ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მოსაზრების მოქმედება წყდება მისი მიღებიდან 2 წლის შემდეგ, თუ ამ ვადაში არ დაიწყება ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ან მიღებიდან 5 წლის შემდეგ, თუ ინფრასტრუქტურა ამ ვადაში არ იქნა ექსპლუატაციაში მიღებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო მიიჩნევს, რომ დაყოვნება გამოწვეულია იმ პირისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, რომლის მოთხოვნითაც დადგინდა საშეღავათო პირობები.

კარი X. მიწოდება

თავი XXVI. მიწოდების ორგანიზება

მუხლი 101. მიწოდების საქმიანობა

1. საბოლოო მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდება ხორციელდება ამ კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

2. ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდება, გარდა ამ კანონით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა, ხორციელდება არარეგულირებული, საბაზრო ფასით, საბოლოო მომხმარებელსა და ელექტროენერგიის მიმწოდებელს ან ბუნებრივი გაზის მიმწოდებელს შორის დადებული მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე.

3. საყოფაცხოვრებო მომხმარებელსა და მცირე საწარმოს უფლება აქვთ, ამ კანონის 108-ე და 109-ე მუხლების შესაბამისად ისარგებლონ ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების მომსახურებით.

4. ელექტროენერგიის მიმწოდებელი ან ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ელექტროენერგიას ან ბუნებრივ გაზს ყიდულობს ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე ან ორგანიზებულ ენერგეტიკულ ბაზარზე. ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება ამ კანონის XXX და XXXI თავების შესაბამისად.

5. ელექტროენერგიის მიმწოდებელს ან ბუნებრივი გაზის მიმწოდებელს, რომელსაც ამ კანონის XXVII თავის შესაბამისად დაეკისრა საჯარო მომსახურების ვალდებულება, უფლება აქვს, იყიდოს ან გაყიდოს ელექტროენერგია ან ბუნებრივი გაზი ამ მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისი ბაზრის მოდელის კონცეფციისა და კომისიის სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით, თუ საჯარო მომსახურების სახით მიწოდების საქმიანობისა და სხვა სახის მიწოდების საქმიანობისთვის ან/და ვაჭრობის საქმიანობისთვის საბუღალტრო აღრიცხვას განცალკევებულად აწარმოებს.

6. კომისია, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს, რომ მიწოდების საქმიანობის რეგულირება ამ კანონსა და სხვა სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით არ იყოს დისკრიმინაციული ენერგეტიკული გაერთიანების რომელიმე მხარის ენერგეტიკული საწარმოს მიმართ.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 102. შეტყობინება მიწოდებისა და სხვა საქმიანობის შესახებ, რომელთა ავტორიზაცია არ მოითხოვს ლიცენზიის გაცემას

1. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური ან ენერგეტიკული საწარმო, რომელიც ახორციელებს მიწოდების, ვაჭრობის ან ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის

ადმინისტრირების საქმიანობას ან რომელსაც სურს აღნიშნული საქმიანობის განხორციელება, ამის შესახებ ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, კომისიის მიერ დამტკიცებული ფორმით ატყობინებს კომისიას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ენერგეტიკული საწარმო კომისიას წერილობით შეტყობინებას წარუდგენს შესაბამისი საქმიანობის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. საქმიანობის დაწყება გულისხმობს ელექტროენერგიის გამომუშავებას (გარდა ამ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდებას მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ორგანიზებულ ბაზარზე ელექტროენერგიით ან ბუნებრივი გაზით ვაჭრობის დაწყებას ან ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირებას. კომისიისთვის წარდგენილ წერილობით შეტყობინებას უნდა დაერთოს დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის, ენერგეტიკული საწარმოს შემთხვევაში – მისი სარეგისტრაციო მონაცემები, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები, ხოლო მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურის შემთხვევაში – აგრეთვე უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული, ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია, ამასთანავე, ინფორმაცია განხორციელებული ან დაგეგმილი გამომუშავების, მიწოდებისა და ვაჭრობის საქმიანობების შესახებ, ამ საქმიანობების სავარაუდო წლიური ბრუნვა და კომისიის შესაბამისი სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სხვა მონაცემები და დოკუმენტები.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ კომისიისთვის წარდგენილი შეტყობინება საინფორმაციო ხასიათისაა. კომისიას უფლება არ აქვს, რომელიმე ენერგეტიკულ საწარმოს აუკრძალოს ამ მუხლით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება. ეს პუნქტი არ ვრცელდება მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურზე, რომელზედაც გაცემული არ არისობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტი არ ზღუდავს კომისიის უფლებამოსილებას, განახორციელოს ენერგეტიკული საწარმოს საქმიანობის ზედამხედველობა, მიმართოს კომპეტენტურ სახელმწიფო უწყებებს, თუ არსებობს ეჭვი ელექტროენერგიის მიმწოდებლის, ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის, ტრეიდერის ან/და ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ან/და საჭიროების შემთხვევაში ენერგეტიკულ საწარმოს ამ კანონის 153-ე მუხლის შესაბამისად დააკისროს ჯარიმა.

5. თუ ენერგეტიკული საწარმო წყვეტს ან აპირებს, რომ შეწყვიტოს საქმიანობა, იგი აღნიშნულის შესახებ წერილობით ატყობინებს კომისიას კომისიის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტის შესაბამისად საქმიანობის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

6. კომისია აწარმოებს საქართველოში საქმიანობის განმახორციელებელი მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების, ელექტროენერგიის მიმწოდებლების, ბუნებრივი

გაზის მიმწოდებლების, ტრეიდერებისა და ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრატორების რეესტრს, რომელიც საკონტაქტო ინფორმაციასთან ერთად კომისიის ვებგვერდზე ქვეყნდება.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 103. მიწოდების წესები

1. მიმწოდებლისა და საბოლოო მომხმარებლის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მიწოდების ხელშეკრულებით.

2. მიწოდების ხელშეკრულების დადებასა და მის შინაარსთან დაკავშირებულ დამატებით საკითხებს აწესრიგებს კომისია ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დამტკიცებული მიწოდების წესებით, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ყველა მიმწოდებლისთვის. მიწოდების წესები მტკიცდება როგორც ელექტროენერგიის, ისე ბუნებრივი გაზის სექტორისთვის.

3. მიწოდების ხელშეკრულების მოწესრიგების მიზნით მიწოდების წესებით განისაზღვრება:

ა) მიწოდების ხელშეკრულების პირობების შეცვლის წესი;

ბ) საბოლოო მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება;

გ) მიწოდების ფასის გაზრდამდე მომხმარებლისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების წესი;

დ) მომსახურების ხელმისაწვდომობასა და მისით სარგებლობასთან დაკავშირებით მოქმედი ფასების, სტანდარტული ვადებისა და პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი;

ე) საბოლოო მომხმარებლის ვალდებულება, საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომი გახადოს მიწოდების ხელშეკრულებასთან, გაანგარიშებებთან ან ქვითართან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის, ფასები, მათი ცვლილების წესი და მოხმარების აღრიცხვის მონაცემები;

ვ) მიწოდების ხელშეკრულების შესაბამისად გაწეული მომსახურებისთვის საფასურის დარიცხვისა და გადახდის წესი.

4. მიმწოდებელი უზრუნველყოფს საბოლოო მომხმარებლისთვის შეთავაზებული მიწოდების ხელშეკრულების პირობების შესაბამისობას მიწოდების წესებთან. ხელშეკრულების პირობები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად, გასაგებად და არ უნდა შეიცავდეს მომხმარებლის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ და არასახელშეკრულებო ბარიერებს, მათ შორის, არასაჭირო

დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნას. მიმწოდებელი უზრუნველყოფს საბოლოო მომხმარებლის დაცვას გაყიდვის არასამართლიანი და შეცდომაში შემყვანი მეთოდებისგან.

5. მიმწოდებელი შეიმუშავებს და კომისიის მიერ დამტკიცების შემდეგ სათანადო ფორმით აქვეყნებს მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს. მიმწოდებელი ასევე აქვეყნებს მომსახურების ფასს ან შესაბამის შემთხვევაში რეგულირებულ ტარიფს.

6. მიწოდების წესები უზრუნველყოფს საბოლოო მომხმარებლის უფლებას:

ა) დადოს მიმწოდებელთან ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს:

ა.ა) მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ა.ბ) გასაწევ მომსახურებას და მის ხარისხს;

ა.გ) მოქმედი ფასის ან შესაბამის შემთხვევაში რეგულირებული ტარიფის შესახებ განახლებული ინფორმაციის მიღების საშუალებებს;

ა.დ) ხელშეკრულების მოქმედების ვადას, ხელშეკრულებისა და მომსახურების ვადის გაგრძელებისა და მისი მოქმედების შეწყვეტის წესს, აგრეთვე ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების უფლებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ა.ე) კომპენსაციასა და თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებულ წესებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუ მომსახურება არ სრულდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

ა.ვ) სადავო საკითხების განხილვის პროცედურების დაწყების წესს ამ კანონის 155-ე მუხლის შესაბამისად;

ბ) მიიღოს წინასწარი შეტყობინება ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილების შესახებ, აგრეთვე მიიღოს ინფორმაცია მის უფლებაზე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შეტყობინების მიღების შემდეგ. მიმწოდებელს ევალება, მიწოდების წესებით დადგენილ ვადაში წინასწარ და უშუალოდ აცნობოს მომხმარებელს გაზრდილი საფასურის შესახებ;

გ) მიიღოს გამჭვირვალე ინფორმაცია ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის სექტორში არსებულ მომსახურებაზე დაშვებასა და ამ მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებით მოქმედი ფასის, ტარიფისა და ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესახებ;

დ) ისარგებლოს პრეტენზიის განხილვის გამჭვირვალე, მარტივი და უფასო პროცედურით. ასეთი პროცედურა უნდა იძლეოდეს დავების სამართლიანი და დროული გადაწყვეტის შესაძლებლობას, შესაბამის შემთხვევაში ამ კანონის 105-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების ან/და კომპენსაციის გამოყენებით;

ე) მიიღოს ინფორმაცია განსაზღვრული ხარისხის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის საჯაროდ გამოქვეყნებული ფასით ან რეგულირებული ტარიფით მიღებასთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების შესახებ.

7. მიწოდების ხელშეკრულების დებულებები უნდა იყოს სამართლიანი, ნათლად და არაორაზროვნად უნდა ადგენდეს მიმწოდებლისა და საბოლოო მომხმარებლის უფლება-მოვალეობებს. თუ მიწოდების ხელშეკრულება შუამავლის მეშვეობით არის დადებული, ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია საბოლოო მომხმარებელს უნდა მიეწოდოს ხელშეკრულების გაფორმებამდე.

8. დაუშვებელია, საბოლოო მომხმარებელს, რომელსაც სურს მიმწოდებლის შეცვლა,მიწოდების ხელშეკრულებით შეეზღუდოს მოქმედი მიწოდების ხელშეკრულების ვადამდე მოშლის უფლება ან დაუწესდეს დამატებითი ფინანსური ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიმწოდებელსა და საბოლოო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

9. მიწოდების წესები შეიძლება ითვალისწინებდეს ასევე მომხმარებელთან და სისტემის ოპერატორთან მიმართებით მიმწოდებლის პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მოთხოვნებს, თუ აღნიშნული მოთხოვნები განსაზღვრული არ არის შესაბამის ქსელის წესებში.

მუხლი 104. მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

1. კომისია ამტკიცებს მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და მცირე საწარმოებისთვის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის უწყვეტი და საიმედო მიწოდების პირობებს.

2. ელექტროენერგიის მიმწოდებელი ან ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ვალდებულია საყოფაცხოვრებო მომხმარებელთან ან/და მცირე საწარმოსთან მიწოდების ხელშეკრულება დადოს კომისიის მიერ დამტკიცებული მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შესაბამისად. მიწოდების ხელშეკრულება სტანდარტული პირობებით დადებულად ითვლება კომისიის მიერ დადგენილი წესით მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან მიერთების შემთხვევაში.

3. მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი თქვას მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევაზე, ან შესაბამისი გადამცემი ან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს მოსთხოვოს საბოლოო მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტა მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრულ ფორსმაჟორულ ან უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ შემთხვევებში;

ბ) თუ მომხმარებელი, მიმწოდებლის გაფრთხილების მიუხედავად, არ ასრულებს მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს, მათ შორის, მიღებული მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებით.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 105. მიმწოდებლის ვალდებულებები

1. თითოეული მიმწოდებელი ვალდებულია შექმნას ინდივიდუალური მომსახურების პუნქტი, რომელიც უზრუნველყოფს საბოლოო მომხმარებლის ინფორმირებას მისი უფლებების, მოქმედი რეგულაციებისა და დავის გადაწყვეტის გზების შესახებ. ინდივიდუალური მომსახურების პუნქტი საბოლოო მომხმარებელს საშუალებას აძლევს:

ა) მომსახურებაზე დაშვებასა და მისით სარგებლობასთან დაკავშირებით მიიღოს გამჭვირვალე ინფორმაცია ფასების, რეგულირებული ტარიფებისა და სტანდარტული პირობების შესახებ;

ბ) ჰქონდეს გადახდის რამდენიმე, არადისკრიმინაციული მეთოდის არჩევანი. წინასწარი გადახდის სისტემა უნდა იყოს სამართლიანი და ადეკვატურად უნდა ასახავდეს სავარაუდო მოხმარებას. გადახდის სხვადასხვა საშუალებასთან დაკავშირებულ პირობებს შორის ნებისმიერი სხვაობა უნდა ასახავდეს მიმწოდებლის ხარჯებს შესაბამის საშუალებასთან მიმართებით;

გ) მიიღოს ინფორმაცია მიმწოდებლის უფასოდ შეცვლის შესაძლებლობასთან დაკავშირებით;

დ) მიიღოს ინფორმაცია პრეტენზიის განხილვის გამჭვირვალე, მარტივი და ეკონომიური პროცედურის შესახებ. თითოეული მიმწოდებელი უზრუნველყოფს საბოლოო მომხმარებლის უფლებას, მიიღოს სათანადო სტანდარტების შესაბამისი მომსახურება და ისარგებლოს დავების ჯეროვანი განხილვის პროცედურით, რაც გულისხმობს დავების სამართლიან და დროულ გადაწყვეტას 10 სამუშაო დღის ვადაში, შესაბამის შემთხვევაში ანაზღაურების ან/და კომპენსაციის მიცემით;

ე) მოხმარების კონტროლის მიზნით მიიღოს სისტემატური და ზუსტი შეტყობინება მის მიერ ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ფაქტობრივი მოხმარებისა და შესაბამისი ხარჯის შესახებ. საბოლოო მომხმარებელს აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს კომისიის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პერიოდულობით, მომხმარებლის აღრიცხვის ხელსაწყოს ტექნიკური მონაცემებისა და აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯეფექტიანობის გათვალისწინებით. აღნიშნული ინფორმაცია საბოლოო მომხმარებელს უნდა მიეწოდოს უფასოდ;

ვ) მიიღოს საბოლოო ანგარიში (ქვითარი) მიმწოდებლის შეცვლის პროცედურის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 6 კვირისა.

2. მიმწოდებელი, რომელიც საყოფაცხოვრებო მომხმარებლებსა და მცირე საწარმოებს ემსახურება, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების გარდა, ინდივიდუალური მომსახურების პუნქტთან დაკავშირებით უზრუნველყოფს:

ა) მომსახურების ცენტრების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფს საბოლოო მომხმარებლებისთვის ინფორმაციის როგორც ტელეფონითა და ელექტრონული ფოსტით, ისე პირადად მიწოდებას, აგრეთვე მათი მოთხოვნებისა და პრეტენზიების განხილვასა და შესაბამისი საკითხების გადაწყვეტას;

ბ) საბოლოო მომხმარებელთა დაცვის მიზნით პრეტენზიების განმხილველი კომისიის შექმნას;

გ) მომსახურების ცენტრის სამუშაო საათების საბოლოო მომხმარებელთა საჭიროების მიხედვით და იმ პირობით განსაზღვრას, რომ ეს ცენტრი კვირაში ერთხელ მაინც 20 საათამდე იმუშავებს. ამასთანავე, მომსახურების ცენტრში საბოლოო მომხმარებლის ჩაწერა შესაძლებელი უნდა იყოს ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით;

დ) გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის ან/და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისთვის იმ პრეტენზიებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას ან/და დახმარების გაწევას, რომლებიც ეხება ელექტროენერგიის გადაცემასთან, ბუნებრივი გაზის გადაცემასთან ან/და განაწილებასთან დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებს.

3. მიმწოდებელი საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს და საბოლოო მომხმარებელს გადასცემს ენერგიის მომხმარებლის საინფორმაციო ბარათს, რომელიც შეიცავს პრაქტიკულ ინფორმაციას ენერგიის მომხმარებლის უფლებებთან დაკავშირებით.

4. მიმწოდებელი ვალდებულია შესაბამისი ცვლილების ამოქმედებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე საბოლოო მომხმარებელს აცნობოს მიწოდების ფასისა და სხვა პირობების შეცვლის შესახებ, აგრეთვე საბოლოო მომხმარებლის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის უფლების თაობაზე. საბოლოო მომხმარებელს უფლება აქვს, მოშალოს ხელშეკრულება, თუ ის შეცვლილ პირობებს არ ეთანხმება.

5. მიმწოდებელი შეიმუშავებს და აქვეყნებს სამოქმედო პროგრამას, რომლის მიზანია:

ა) დაეხმაროს საბოლოო მომხმარებელს სახელშეკრულებო ვალდებულებების სათანადოდ შესრულებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიწოდების შეწყვეტა;

ბ) ხელი შეუწყოს ტერიტორიულად დაშორებული საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდებას.

6. მიმწოდებელი ვალდებულია საბოლოო მომხმარებელს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებელი ზომების შესახებ.

7. მიწოდებული ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის, აგრეთვე გაწეული დაკავშირებული მომსახურების საფასურს მიმწოდებელი ასახავს ცხადად და გასაგებად შედგენილ ანგარიშფაქტურაში, რომლის შედგენისა და გაცემის წესებს განსაზღვრავს კომისია.

8. მიმწოდებელი ვალდებულია კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად საბოლოო მომხმარებელს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდების შესახებ, მათ შორის, გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. მიმწოდებლის მიერ საბოლოო მომხმარებლისთვის გაგზავნილ ანგარიშფაქტურასა და მის დანართებში, აგრეთვე სარეკლამო მასალებში უნდა მიეთითოს:

ა) ელექტროენერგიაზე ან ბუნებრივ გაზზე საბოლოო მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, მიმწოდებლის მიერ გამოყენებულ მიწოდების მთლიან პორტფელში ენერგიის წყაროს წილის შესახებ ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ბ) ინფორმაციის ისეთი წყაროები (მათ შორის, ვებგვერდი, ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც საჯაროდ ხელმისაწვდომია მონაცემები მიმწოდებლის მიერ წინა წლის განმავლობაში გამოყენებული ენერგიის წარმოების წყაროების გარემოზე ზემოქმედების შესახებ;

გ) ინფორმაცია სადავო საკითხების განხილვის საშუალებებთან დაკავშირებით საბოლოო მომხმარებლის უფლებების შესახებ.

9. კომისია სათანადო ზომებს იღებს მიმწოდებლის მიერ საბოლოო მომხმარებლისთვის წარდგენილი ინფორმაციის სანდოობის, სიცხადისა და შედარებითობის უზრუნველსაყოფად. კომისია უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაციის გარკვეული ნაწილი ხელმისაწვდომი გახადოს ბაზრის ყველა მონაწილისთვის იმ პირობით, რომ არ გამოქვეყნდება კონკრეტულ მონაწილეებთან ან გარიგებებთან დაკავშირებული კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია.

10. მიმწოდებელი ვალდებულია სათანადო ზომები მიიღოს საბოლოო მომხმარებლის ინტერესების დაცვისა და საჩივრების ეფექტიანად და უფასოდ განხილვის მიზნით, მათ შორის, დავის მოგვარების ალტერნატიული გზების გამოყენებით. მიმწოდებლის მიერ პრეტენზიის განხილვის პროცედურას ზედამხედველობს კომისია ამ კანონისა და კომისიის მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად.

11. კომისიის მიერ დამტკიცებული ინფორმაციის მიწოდების წესების დაცვით მიმწოდებელი კომისიას პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს მიწოდების საქმიანობის შესახებ, მათ შორის, ამ კანონითა და მიწოდების წესებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შესახებ.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 106. მიმწოდებლის შეცვლის წესები

1. კომისია უზრუნველყოფს საბოლოო მომხმარებლის მიერ მიმწოდებლის შეცვლის ეფექტიანი და მარტივი პროცედურის დანერგვას, რაც საბოლოო მომხმარებელს საშუალებას მისცემს, შეცვალოს არსებული მიმწოდებელი მისთვის შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 3 კვირისა.

2. მიმწოდებლის შეცვლის წესებს ამტკიცებს კომისია. მიმწოდებლის შეცვლის წესები განსაზღვრავს მიმწოდებლის შეცვლის პირობებს, მათ შორის:

ა) მიმწოდებლის შეცვლის პროცედურას;

ბ) ახალი მიმწოდებლის მიერ შესასრულებელ პირობებს;

გ) იმ მიმწოდებლის მოვალეობებს, რომელთან დადებულ მიწოდების ხელშეკრულებასაც წყვეტს საბოლოო მომხმარებელი;

დ)
იმ სისტემის ოპერატორის მოვალეობებს, რომლის ქსელთანაც მიერთებულია საბოლოო მომხმარებლის მოწყობილობა;

ე) ახალი მიმწოდებლის უფლებებს ახალი საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდების მიზნით გადამცემ და გამანაწილებელ სისტემებთან დაშვებასა და ამ სისტემებით სარგებლობასთან დაკავშირებით;

ვ) საბოლოო მომხმარებლის დავალიანების დაფარვის წესს.

3. მიმწოდებლის შეცვლის წესების შესაბამისად, საბოლოო მომხმარებლის მიერ მიმწოდებლის შეცვლა უფასოა. მიმწოდებლის შეცვლა ხდება საბოლოო მომხმარებლის მოთხოვნით.

4. იმ მიმწოდებელს, რომელთან დადებულ მიწოდების ხელშეკრულებასაც წყვეტს საბოლოო მომხმარებელი, არ აქვს უფლება, მომხმარებელს დაუდგინოს მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტის დამატებითი პირობები. აღნიშნული მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტამდე უზრუნველყოს ენერგიის საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდება.

5. მიმწოდებლის შეცვლის წესების შესრულებას ზედამხედველობს კომისია. კომისია უფლებამოსილია მიმწოდებლის შეცვლის წესები დაამტკიცოს მიწოდების წესების ნაწილის სახით.

6. დავის არსებობა ხელს არ უშლის მიწოდების ახალი ხელშეკრულების ძალაში შესვლასა და მიმწოდებლის შეცვლის პროცედურის განხორციელებას.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 107. მიმწოდებლის მიერ ინფორმაციის შენახვა

1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტრეიდერებთან, გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორებთან და შესაბამის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის საცავისა და გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემების ოპერატორებთან გაფორმებული მიწოდების ხელშეკრულებების ფარგლებში და ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის დერივატივებით განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის არანაკლებ 5 წლის ვადით შენახვას და სახელმწიფო ორგანოებისთვის, მათ შორის, კომისიისა და კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთვის, აგრეთვე ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის ხელმისაწვდომობას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შესაბამისი ოპერაციის ისეთ დეტალებს, როგორიცაა ხანგრძლივობა, მიწოდებისა და ანგარიშსწორების წესები, მოცულობა, შესრულების თარიღი და დრო, ოპერაციის ფასი, შესაბამისი ტრეიდერის საიდენტიფიკაციო მონაცემები და იმ მიწოდების ხელშეკრულებისა და დერივატივის კონკრეტული დეტალები, რომლებთან დაკავშირებითაც ანგარიშსწორება არ განხორციელებულა.

3. კომისია უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გარკვეული ნაწილი ხელმისაწვდომი გახადოს ბაზრის ყველა მონაწილისთვის იმ პირობით, რომ არ გამოქვეყნდება კონკრეტულ მონაწილეებთან ან ოპერაციებთან დაკავშირებული, კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია.

4. ტრეიდერებთან, გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორებთან და შესაბამის შემთხვევებში ბუნებრივი გაზის საცავისა და გათხევადებული ბუნებრივი გაზის სისტემების ოპერატორებთან ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის დერივატივებით განხორციელებულ ოპერაციებთან მიმართებით ამ მუხლის მოქმედება გავრცელდება ენერგეტიკული გაერთიანების მუდმივმოქმედი მაღალი დონის ჯგუფის მიერ შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების შემდეგ.

საქართველოს 2023 წლის 29 ნოემბრის კანონი №3763 – ვებგვერდი, 11.12.2023 წ.

თავი XXVII. მიწოდება საჯარო მომსახურების სახით

მუხლი 108. უნივერსალური მომსახურება

1. საყოფაცხოვრებო მომხმარებელსა და მცირე საწარმოს უფლება აქვთ, ამ კანონით დადგენილი წესით მიიღონ ელექტროენერგია უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლისგან.

2. განაწილების მომსახურების ერთ არეალში არსებულ, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მომხმარებლებს უნივერსალური მომსახურება შესაძლოა გაუწიოს მხოლოდ

ერთმა მიმწოდებელმა, რომელსაც ამ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად დაეკისრა საჯარო მომსახურების ვალდებულება.

3. კომისია შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის საქმიანობის წესებს, რომლებითაც რეგულირდება უნივერსალური მიმწოდებლის საქმიანობა, მათ შორის, უნივერსალური მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები, საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების შეწყვეტა და უნივერსალური მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი ყოველწლიურად, კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში კომისიას წარუდგენს წინა წლის განმავლობაში უნივერსალური მომსახურების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს. წლიური ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულებებისა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის.

4. ამ კანონის მე-9 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, კომისია უფლებამოსილია თავის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით დაადგინოს ელექტროენერგიის ტარიფი იმ საბოლოო მომხმარებლისთვის, რომელსაც უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი ემსახურება. კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ საბოლოო მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის ტარიფის რეგულირება განხორციელდეს მხოლოდ საჭიროების ფარგლებში, საყოფაცხოვრებო მომხმარებლისა და მცირე საწარმოსთვის უნივერსალური მომსახურების გაწევის მიზნით.

5. კომისია ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას ამზადებს დეტალურ დასაბუთებას და მიუთითებს ელექტროენერგიის ბაზართან დაკავშირებულ იმ განსაკუთრებულ გარემოებებზე, რომლებმაც გამოიწვია საბოლოო მომხმარებლისთვის ფასის რეგულირების საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით შენარჩუნების აუცილებლობა. აღნიშნული დასაბუთება ხელმისაწვდომია საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულებებისა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის.

6. კომისია ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას აგრეთვე განსაზღვრავს საბოლოო მომხმარებლისთვის ფასის რეგულირების ეტაპობრივი გაუქმების გეგმას და მისი დასრულების თარიღს, რაც ნათლად უნდა მიუთითებდეს რეგულირების დროებით ხასიათზე.

7. კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ ელექტროენერგიის როგორც რეგულირებული, ისე საბაზრო ფასი ასახავდეს ხარჯებს, მათ შორის, მიწოდების ფაქტობრივ ხარჯს, აუცილებელი ინვესტიციებისა და მათთან დაკავშირებული ამონაგების ჩათვლით, აგრეთვე იმპორტისა და მიწოდების მომსახურების ხარჯებს.

8. უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი:

ა) უზრუნველყოფს საჯარო მომსახურების გაწევის სახით ელექტროენერგიის მიწოდებას იმ საბოლოო მომხმარებლებისთვის, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ, ისარგებლონ ასეთი მომსახურებით;

ბ) ახორციელებსუნივერსალურ მომსახურებას ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვით;

გ) იღებს ზომებს უნივერსალური მომსახურებით მოსარგებლე საბოლოო მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის უსაფრთხო, საიმედო და განსაზღვრული ხარისხის შესაბამისად მიწოდების მიზნით;

დ) იღებს ზომებს უნივერსალური მომსახურებით მოსარგებლე საბოლოო მომხმარებლებისთვის ყველაზე მისაღები ფასების დადგენის მიზნით.

9. კომისია უზრუნველყოფს, რომ მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიას, რომლებიც იღებენ უნივერსალურ მომსახურებას, არ ჰქონდეს მომსახურებისა და დაცვის ერთნაირი პირობები.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 109. ბუნებრივი გაზის მიწოდება საჯარო მომსახურების სახით

1. საყოფაცხოვრებო მომხმარებელს, მცირე საწარმოსა და იმ თბოელექტროსადგურს, რომელიც გარანტირებული სიმძლავრის წყაროა, უფლება აქვთ, ამ კანონით დადგენილი წესით მიიღონ ბუნებრივი გაზი საჯარო მომსახურების მიმწოდებლისგან.

2. განაწილების მომსახურების ერთ არეალში არსებულ, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მომხმარებლებს მიწოდების მომსახურება შესაძლოა გაუწიოს მხოლოდ ერთმა მიმწოდებელმა, რომელსაც ამ კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად დაეკისრა საჯარო მიწოდების ვალდებულება.

3. კომისია შეიმუშავებს და ამტკიცებს ბუნებრივი გაზის საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებლის საქმიანობის წესებს, რომლებითაც რეგულირდება საჯარო მომსახურების მიმწოდებლის საქმიანობა, მათ შორის, მისი უფლება-მოვალეობები, საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების შეწყვეტა და ბუნებრივი გაზის საჯარო მომსახურების სახით მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. საჯარო მომსახურების მიმწოდებელი ყოველწლიურად, კომისიის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში ამზადებს და კომისიას წარუდგენს წინა წლის საქმიანობის ანგარიშს. ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულებებისა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის.

4. ბუნებრივი გაზის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების ფასს, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული

გზით ადგენს საჯარო მომსახურების მიმწოდებელი. საჯარო მომსახურების ფასი უნდა იყოს სამართლიანი, საბაზრო და შედარებადი.

5. ამ კანონის მე-9 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, კომისია უფლებამოსილია თავის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით დაადგინოს ბუნებრივი გაზის ფასი იმ საბოლოო მომხმარებლისთვის, რომელსაც საჯარო მომსახურების მიმწოდებელი ემსახურება. კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ საბოლოო მომხმარებლისთვის ბუნებრივი გაზის ფასის რეგულირება განხორციელდეს მხოლოდ საჭიროების ფარგლებში, ბუნებრივი გაზის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების მიზნით.

6. კომისია ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას დეტალურად ასაბუთებს და მიუთითებს ბუნებრივი გაზის ბაზართან დაკავშირებულ იმ განსაკუთრებულ გარემოებებზე, რომლებმაც გამოიწვია საბოლოო მომხმარებლისთვის ფასის რეგულირების საჯარო მომსახურების ვალდებულების სახით შენარჩუნების აუცილებლობა. აღნიშნული დასაბუთება ხელმისაწვდომია საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი სახელმწიფო დაწესებულებებისა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის.

7. კომისია ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას აგრეთვე განსაზღვრავს საბოლოო მომხმარებლისთვის ფასის რეგულირების ეტაპობრივი გაუქმების გეგმას და მისი დასრულების თარიღს, რაც ნათლად უნდა მიუთითებდეს რეგულირების დროებით ხასიათზე.

8. კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ ბუნებრივი გაზის როგორც რეგულირებული, ისე საბაზრო ფასი ასახავდეს გაწეულ ხარჯებს, მათ შორის, მიწოდების ფაქტობრივ ხარჯს, აუცილებელი ინვესტიციებისა და მათთან დაკავშირებული ამონაგების ჩათვლით, აგრეთვე იმპორტისა და მიწოდების მომსახურების ხარჯებს.

9. საჯარო მომსახურების მიმწოდებელი:

ა) უზრუნველყოფს საჯარო მომსახურების გაწევის სახით ბუნებრივი გაზის მიწოდებას იმ საბოლოო მომხმარებლებისთვის, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ, ისარგებლონ ასეთი მომსახურებით;

ბ) ახორციელებს საჯარო მომსახურებას ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვით;

გ) იღებს ზომებს საჯარო მომსახურებით მოსარგებლე საბოლოო მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის უსაფრთხო, საიმედო და განსაზღვრული ხარისხით მიწოდების მიზნით;

დ) იღებს ზომებს საჯარო მომსახურებით მოსარგებლე საბოლოო მომხმარებლებისთვის ყველაზე მისაღები ფასების დადგენის მიზნით.

10. კომისია უზრუნველყოფს, რომ მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიას, რომლებიც ბუნებრივ გაზს იღებენ საჯარო მომსახურების სახით, არ ჰქონდეს მომსახურებისა და დაცვის ერთნაირი პირობები.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 110. ბოლო ალტერნატივის მიწოდება

1. ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელს შეარჩევს საქართველოს მთავრობა ღია სატენდერო პროცედურაზე დაყრდნობით. ამასთანავე, დასაშვებია საჯარო ვალდებულების სახით უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ან ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის განსაზღვრა ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტენდერის პირობებს ამტკიცებს და ტენდერს აცხადებს საქართველოს მთავრობა. სატენდერო პირობები სხვა მოთხოვნებთან ერთად უნდა მოიცავდეს ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის შესარჩევ კრიტერიუმებს, სახელშეკრულებო პირობებს, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის ავტორიზაციის ვადას, აგრეთვე მითითებებს ბოლო ალტერნატივის მიწოდების წესზე, ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ფასის განსაზღვრისა და მისი ცვლილების მეთოდზე.

3. თუ ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ტენდერი არ შედგა (მათ შორის, პრეტენდენტის არარსებობის გამო), საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლად ტენდერის ჩატარების გარეშე დაასახელოს სამინისტროს მიერ წარდგენილი ენერგეტიკული საწარმო.

4. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის ავტორიზაცია ხდება არაუმეტეს 5 წლის ვადით.

5. თუ ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის მიერ საბაზრო საქმიანობის გეგმურად ან არაგეგმურად შეწყვეტის ან ვალდებულებების უხეშად დარღვევის გამო საბოლოო მომხმარებელი კარგავს ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიღების საშუალებას, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი უზრუნველყოფს ასეთი საბოლოო მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდებას მომხმარებლის მიერ სპეციალური მოთხოვნის წარდგენის გარეშე.

6. თუ მიმწოდებელს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ შეუძლია ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდება საბოლოო მომხმარებლისთვის, იგი ვალდებულია საბოლოო მომხმარებელს, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელს, კომისიასა და შესაბამის გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორებს დროულად აცნობოს მიწოდების შეწყვეტის თარიღი მიწოდების შეწყვეტამდე 30 დღით ადრე მაინც ან, თუ მიმწოდებელს არ შეეძლო წინასწარ სცოდნოდა აღნიშნულის შესახებ, – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა მიწოდების შეუძლებლობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელს, რომელიც დარჩება მიმწოდებლის გარეშე, ელექტროენერგიას ან ბუნებრივ გაზს ავტომატურად მიაწვდის ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი.

7. კომისია საბოლოო მომხმარებლებს, ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელსა და შესაბამის გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორებს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მიმწოდებლის შესახებ აცნობებს შესაბამისი ინფორმაციის კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებით. კომისიამ ინფორმაცია ვებგვერდზე უნდა გამოაქვეყნოს არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა მიმწოდებლის მიერ ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდების შეუძლებლობის გამომწვევი გარემოებები.

8. გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორები ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელს ამ მუხლის მე-6 ან მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში წარუდგენენ იმ მომხმარებლების შესახებ ინფორმაციას, რომლებმაც უნდა მიიღონ ბოლო ალტერნატივის მიწოდება.

9. ელექტროენერგიის/ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის საბაზრო საქმიანობის შეწყვეტის პროცედურა განისაზღვრება შესაბამისი სექტორის ბაზრის წესებით.

10. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელმა საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდება შეიძლება განახორციელოს არაუმეტეს 3 კალენდარული თვის განმავლობაში. თუ საბოლოო მომხმარებელი აღნიშნულ ვადაში ვერ დადებს მიწოდების ხელშეკრულებას ახალ მიმწოდებელთან, შესაბამისი სისტემის ოპერატორი შეწყვეტს მის მომარაგებას ელექტროენერგიით ან ბუნებრივი გაზით.

11. კომისია ამტკიცებს ბოლო ალტერნატივის მიწოდების წესებს.

12. ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფს გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული გზით ადგენს კომისია მის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

13. კომისიამ უნდა უზრუნველყოს, რომ ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ფასი ასახავდეს გაწეულ ხარჯებს, მათ შორის, მიწოდების ფაქტობრივ ხარჯს, აუცილებელი ინვესტიციებისა და მათთან დაკავშირებული ამონაგების ჩათვლით, იმპორტისა და მიწოდების ხარჯებს.

14. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის მიერ მიწოდებული ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ტარიფს ადგენს კომისია მის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად და უზრუნველყოფს, რომ აღნიშნული ტარიფი იყოს უფრო მაღალი, ვიდრე მომხმარებელთა იმავე კატეგორიისთვის ჩვეულებრივ პირობებში მიწოდებული ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის საშუალო საბაზრო ფასი.

15. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელმა ბოლო ალტერნატივის მიწოდების საქმიანობასთან დაკავშირებით უნდა უზრუნველყოს ამ კანონის შესაბამისად განცალკევება და ფინანსური აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების განცალკევებულად წარმოება.

16. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელსა და საბოლოო მომხმარებელს შორის მიწოდების ხელშეკრულება მიმწოდებლის შეცვლის წესების ან/და სხვა კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად დადებულად ითვლება მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდების დაწყების დღიდან, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა მომხმარებლის შესაბამისი მოთხოვნა.

17. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი ვალდებულია მომხმარებელს გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება მიწოდების ფასისა და მაქსიმალური ვადის შესახებ ბოლო ალტერნატივის მიწოდების დაწყების დადასტურებიდან 8 დღის განმავლობაში.

18. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი უფლებამოსილია შესაბამისი სისტემის ოპერატორს მოსთხოვოს მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტა მომხმარებლის შეუსრულებელი ვალდებულებების გამო.

19. ბოლო ალტერნატივის მიმწოდებელი სულ მცირე წელიწადში ერთხელ, კომისიის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში ამზადებს და კომისიას წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს. ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის.

კარი XI. საბოლოო მომხმარებელი

თავი XXVIII. საბოლოო მომხმარებლის სტატუსი და დაცვა

მუხლი 111. საბოლოო მომხმარებლის უფლებები და მოვალეობები

1. საბოლოო მომხმარებლის დაცვა ხორციელდება ამ კანონის, მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებისა და მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. საბოლოო მომხმარებელი ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის საფასურს იხდის მიწოდების წესების მოთხოვნებისა და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების მიხედვით. საფასურის დარიცხვის, ანგარიშსწორებისა და საფასურის მოკრების წესი განისაზღვრება მიწოდების წესებით.

3. საბოლოო მომხმარებელს უფლება აქვს, ამ კანონის 101-ე და 106-ე მუხლების შესაბამისად, თავისუფლად აირჩიოს და შეცვალოს ელექტროენერგიის მიმწოდებელი ან ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი. საბოლოო მომხმარებელს ასევე უფლება აქვს, უსასყიდლოდ მიიღოს ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მოხმარების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია და აღრიცხვის მონაცემები და ეს ინფორმაცია და მონაცემები ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, საფასურის გარეშე გახადოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი რეგისტრირებული მიმწოდებლისთვის. აღრიცხვის მონაცემების მართვისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აღნიშნული მონაცემები შესაბამის ენერგეტიკულ საწარმოს მიაწოდოს. ამ მონაცემების ფორმატი და მისი

მიმწოდებლისა და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობის წესი განისაზღვრება მიწოდების წესებით.

4. მსხვილ მომხმარებელს უფლება აქვს, მიწოდების ხელშეკრულება ერთდროულად დადოს რამდენიმე მიმწოდებელთან. მსხვილი მომხმარებლის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენების წესი და პროცედურა განისაზღვრება მიწოდების წესებით.

4[1]. მსხვილი მომხმარებელი, რომელსაც სურს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე ან ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზარზე ვაჭრობა, ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია კომისიის მიერ დადგენილი წესით.

5. საბოლოო მომხმარებელი უფლებამოსილია, გადამცემი ან გამანაწილებელი ქსელის წესების შესაბამისად, მოითხოვოს ელექტროენერგიით ან ბუნებრივი გაზით მომარაგების ტექნიკური ან სხვა სახის შეფერხების მოკლე ვადაში აღმოფხვრა, თუ აღნიშნული შეფერხება მისი მოწყობილობა-დანადგარებით არ არის გამოწვეული.

6. ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ბაზარზე არსებული დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული მომარაგების შეჩერების ზომებით გამოწვეული შეფერხება არ ჩაითვლება ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდების შეფერხებად ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მიზნებისთვის, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონით ან საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ პირობებს.

7. საბოლოო მომხმარებელმა ელექტროენერგია და ბუნებრივი გაზი უნდა მოიხმაროს ამ კანონით, გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის წესებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებითა და ხელშეკრულებით დადგენილი პირობებისა და მიზნების შესაბამისად.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 112. მოწყვლადი მომხმარებლის დაცვა

მოწყვლადი მომხმარებლის დაცვის მიზნით სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოები კომისიასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე შეიმუშავებენ სპეციალურ პროგრამებს/ღონისძიებებს/შეღავათებს ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ გაზზე ან/და წყალმომარაგებაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ან/და მისი/მათი ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად და განსაზღვრავენ აღნიშნული პროგრამებით/ღონისძიებებით/შეღავათებით მოსარგებლე შესაბამის მოწყვლად მომხმარებელს.

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №7020-რს – ვებგვერდი, 28.07.2020 წ.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 113. საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდების შეწყვეტა

მიმწოდებელი უფლებამოსილია შესაბამისი გადამცემი ან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორს მოსთხოვოს საბოლოო მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტა მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, კომისიის ნორმატიული აქტით დადგენილი წესით.

კარი XII. ენერგეტიკული ბაზარი

თავი XXIX. ენერგეტიკული ბაზრის გახსნა და ფუნქციონირება

მუხლი 114. ენერგეტიკული ბაზრის გახსნა

1. ნებისმიერ საბოლოო მომხმარებელს აქვს უფლება, თავისუფლად აირჩიოს და შეცვალოს მიმწოდებელი.

2. ენერგეტიკული ბაზრის გახსნისას უბალანსობის თავიდან ასაცილებლად დასაშვებია მიწოდების ხელშეკრულების დადება ენერგეტიკული გაერთიანების სხვა ხელშემკვრელი მხარის სისტემაში არსებულ საბოლოო მომხმარებელთან, თუ იგი ორივე სისტემისთვის საბოლოო მომხმარებლად ითვლება.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 115. ენერგეტიკული ბაზრის გახსნის წამახალისებელი ზომები

1. კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს აუცილებელ და პროპორციულ ღონისძიებებს ეფექტიანი საბაზრო კონკურენციის წასახალისებლად და ამგვარად უზრუნველყოფს ენერგეტიკული ბაზრის გამართულ ფუნქციონირებას. კომისია აღნიშნულ ღონისძიებებს ახორციელებს საჭიროების მიხედვით, საკუთარი ინიციატივით ან ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მოთხოვნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა იყოს პროპორციული, არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და განხორციელდეს მხოლოდ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთვის შეტყობინების შემდეგ, მის მოსაზრებაზე დაყრდნობით.

3. თუ ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან 2 თვის ვადაში არ წარმოადგენს თავის მოსაზრებას, საკითხი მასთან შეთანხმებულად ჩაითვლება.

მუხლი 116. ენერგეტიკული ბაზრის ზედამხედველობა

1. ენერგეტიკულ ბაზარს ზედამხედველობს კომისია ამ კანონისა და კომისიის მიერ დამტკიცებული ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესების შესაბამისად.

2. კომისია ყოველი წლის 1 ივნისამდე აქვეყნებს ენერგეტიკული ბაზრის შესახებ ანგარიშს, რომელიც სხვა ინფორმაციასთან ერთად უნდა მოიცავდეს ენერგეტიკული ბაზრის გახსნის, ფუნქციონირებისა და ორგანიზების დეტალურ მიმოხილვას, ბაზრის მონაწილეების საქმიანობისა და საბაზრო ფასების ანალიზს, რეგულირებული ტარიფების გამოყენებას, საბოლოო მომხმარებლისთვის არსებულ ფასებს და ენერგეტიკული ბაზრის განვითარების არსებულ ტენდენციებს. კომისია უფლებამოსილია ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის ბაზრების შესახებ განცალკევებული ანგარიშები გამოაქვეყნოს.

3. შესაბამისი ბაზრის ოპერატორი ამ კანონის 122-ე და 128-ე მუხლებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისას:

ა) აანალიზებს ენერგეტიკული ბაზრის ორგანიზებას დაკომისიას სთავაზობს მისი გაუმჯობესების ზომებს;

ბ) კომისიასა და გადამცემი სისტემის შესაბამის ოპერატორს წარუდგენს მოსაზრებას გადამცემი ქსელის წესებით დადგენილი სისტემის დაბალანსების წესების შესახებ;

გ) კომისიასა და გადამცემი სისტემის შესაბამის ოპერატორს წარუდგენს მოსაზრებას გადამცემი ქსელის წესებით დადგენილი ტრანსსასაზღვრო სიმძლავრის განაწილებისა და გამოყენების, აგრეთვე გადატვირთვის მართვის წესების შესახებ;

დ) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტროენერგიით ან ბუნებრივი გაზით ვაჭრობის ზედამხედველობასთან დაკავშირებით ახორციელებს ამ კანონითა და ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

4. ბაზრის ოპერატორი და გადამცემი სისტემის შესაბამისი ოპერატორი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კომისიას აწვდიან ინფორმაციას ენერგეტიკულ ბაზარზე საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ან შესაძლო დარღვევის შესახებ.

მუხლი 117. კონკურენცია ენერგეტიკულ ბაზარზე

1. კომისია უზრუნველყოფს ენერგეტიკულ ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის არსებობისა და განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნას, ენერგეტიკული ბაზრის შემზღუდველი ქმედებების დროულად გამოვლენასა და აღმოფხვრას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად კომისია ზედამხედველობს ენერგეტიკულ ბაზარს და საჭიროების შემთხვევაში ატარებს ენერგეტიკული ბაზრის კვლევას:

ა) საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსა და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის მოთხოვნით;

ბ) ენერგეტიკული ბაზრის მონაწილის მოთხოვნით, თუ მას ბაზრის შემზღუდველი ქმედების შედეგად ადგება უშუალო ქონებრივი ზიანი, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც აქვს;

გ) საკუთარი ინიციატივით.

3. ენერგეტიკული ბაზრის კვლევა მოიცავს:

ა) ენერგეტიკული ბაზრის განსაზღვრებას (მომსახურების, პროდუქციის მიწოდების ან/და გეოგრაფიულ არეალებს);

ბ) ენერგეტიკულ ბაზარზე არსებული კონკურენციის ეფექტიანობის ანალიზს, კონცენტრაციის მონაცემებსა და შეფასებას (მათ შორის, თითოეული ენერგეტიკული საწარმოს საბაზრო წილისა და რამდენიმე საწარმოს შორის არსებული კონკურენციის დონის შეფასებას);

გ) ინფორმაციას ენერგეტიკულ ბაზარზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირებთან დაკავშირებით ამ კანონის 118-ე მუხლის შესაბამისად;

დ) ენერგეტიკული ბაზრის კვლევის შედეგებსა და გადაწყვეტილებას ან რეკომენდაციას ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მარეგულირებელი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე.

4. ენერგეტიკული ბაზრის კვლევა ხორციელდება კომისიის მიერ დამტკიცებული ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესებისა და კვლევის ჩატარების თაობაზე კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად.

5. ენერგეტიკული ბაზრის კვლევა ხორციელდება კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით, საქართველოს კანონმდებლობისა და ენერგეტიკული გაერთიანების რეგულაციების ან/და რეკომენდაციების შესაბამისად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

6. კომისია ენერგეტიკული ბაზრის კვლევისთვის მართავს ამ კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარო კონსულტაციებს. კომისია აანალიზებს საჯარო კონსულტაციებისას მიღებულ კომენტარებსა და რეკომენდაციებს და კომისიის ვებგვერდზე აქვეყნებს მათ ერთიანი მიმოხილვის სახით შესაბამის განმარტებებთან ერთად.

7. ენერგეტიკული ბაზრის კვლევის განხორციელების ვადაა 7 თვე, რომელიც აითვლება ენერგეტიკული ბაზრის კვლევის ჩატარების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების მიღების დღიდან. კომისია უფლებამოსილია სათანადოდ დასაბუთებული, გონივრული აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნული ვადა გააგრძელოს არაუმეტეს 4 თვით. კომისია

უზრუნველყოფს ენერგეტიკული ბაზრის კვლევის დროულ და ეფექტიან განხორციელებასა და დასრულებას.

8. ენერგეტიკული ბაზრის კვლევა დასრულდება კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებით, რომელიც უნდა უპასუხებდეს ენერგეტიკული ბაზრის კვლევის ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. მარეგულირებელი ზომების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ან რეკომენდაცია შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) ენერგეტიკული საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებას;

ბ) დაჯარიმებას;

გ) ბაზრის გახსნის წამახალისებელი ზომების გამოყენებას ამ კანონის 115-ე მუხლის შესაბამისად;

დ) ენერგეტიკული ბაზრის მონაწილის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისთვის მიმართვას;

ე) ენერგეტიკული ბაზრის ერთი ან ერთზე მეტი მონაწილისთვის ენერგეტიკულ ბაზარზე მონაწილეობის დროებით აკრძალვას.

9. ენერგეტიკული ბაზრის კვლევის შედეგები და კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილება წარედგინება საქართველოს მთავრობას, სამინისტროს, სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს და ქვეყნდება კომისიის ვებგვერდზე.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.
საქართველოს 2023 წლის 29 ნოემბრის კანონი №3763 – ვებგვერდი, 11.12.2023 წ.

მუხლი 118. მნიშვნელოვანი გავლენა ენერგეტიკულ ბაზარზე

1. საწარმო ენერგეტიკულ ბაზარზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონედ მიიჩნევა, თუ იგი დამოუკიდებლად ან ერთ ან რამდენიმე საწარმოსთან შეთანხმებით იკავებს საბაზრო წილს, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს მნიშვნელოვნად. მნიშვნელოვნად მიიჩნევა ის საბაზრო წილი, რომელიც საწარმოს ან საწარმოთა ჯგუფს ანიჭებს ეკონომიკურ ძალაუფლებას, განახორციელოს კომერციული საქმიანობა კონკურენტებისგან, კლიენტებისგან ან/და მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად. შესაბამის ენერგეტიკულ ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო წილის ოდენობა და მისი განსაზღვრის წესი დგინდება კომისიის სამართლებრივი აქტით.

2. თუ საწარმო ან საწარმოთა ჯგუფი მნიშვნელოვანი გავლენის მქონედ იქნება მიჩნეული ერთ-ერთი, კონკრეტული ბაზრის მიზნებისთვის, იგი შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენის მქონედ იქნეს მიჩნეული სხვა მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ ბაზართან მიმართებითაც, თუ ამ ბაზართა ურთიერთკავშირი აღნიშნულ საწარმოს ან საწარმოთა

ჯგუფს საშუალებას აძლევს, ისარგებლოს გავლენით ერთ-ერთ ბაზარზე მეორე ბაზარზე გავლენის გაზრდის მიზნით.

3. თუ კომისიის გადაწყვეტილებით საწარმო ან საწარმოთა ჯგუფი მიჩნეული იქნება ენერგეტიკულ ბაზარზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონედ, იგი ასეთად ჩაითვლება მანამ, სანამ იმავე საწარმოსთან ან საწარმოთა ჯგუფთან მიმართებით კომისია სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

4. ენერგეტიკულ ბაზარზე მნიშვნელოვანი გავლენის არსებობის თაობაზე კომისიის შესაბამისმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა განაპირობოს ამ კანონის 115-ე მუხლით გათვალისწინებული ენერგეტიკული ბაზრის გახსნის წამახალისებელი ზომების გამოყენება.

მუხლი 119. კონცენტრაცია

1. კონცენტრაცია, რომლის მონაწილე რეგულირებული საწარმოების როგორც ინდივიდუალური, ისე ერთობლივი აქტივების ღირებულება ან წლიური ბრუნვა (კონცენტრაციის წინა ფინანსური წლის მონაცემებით) საქართველოს ან/და ენერგეტიკული გაერთიანების რომელიმე მხარის ტერიტორიაზე აღემატება კომისიის ნორმატიული აქტით დადგენილ ზღვრულ ოდენობას, საჭიროებს კომისიისთვის წინასწარ შეტყობინებას. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების კომისიისთვის წარდგენისა და კომისიის მიერ მისი განხილვის წესები განისაზღვრება კომისიის დადგენილებით.

2. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ კომისია იღებს გადაწყვეტილებას დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე.

3. დაუშვებელია ისეთი კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს, მისი ნაწილის ან ენერგეტიკული გაერთიანების რომელიმე მხარის ენერგეტიკულ ბაზარზე.

4. თუ კონცენტრაცია წარმოქმნის ან აძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას,ივარაუდება, რომ ასეთი კონცენტრაცია ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს, მისი ნაწილის ან ენერგეტიკული გაერთიანების რომელიმე მხარის ენერგეტიკულ ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ რეგულირებული საწარმო საწინააღმდეგოს დაამტკიცებს. დომინანტური მდგომარეობის განსაზღვრის წესი კომისიის სამართლებრივი აქტით დგინდება.

5. იმ რეგულირებული საწარმოების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომელთაც ეკისრებათ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების კომისიისთვის წარდგენის ვალდებულება, აუცილებელია კომისიის მიერ დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება. კომისიის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ

რეგულირებული საწარმოების კონცენტრაციის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

6. ენერგეტიკულ სექტორში განხორციელებული კონკურენციის შემზღუდავი კონცენტრაცია ან/და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების კომისიისათვის წინასწარ წარდგენის ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს კონცენტრაციის მონაწილე რეგულირებული საწარმოებისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრებას.

7. კომისია უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ კონცენტრაციაში მონაწილე რეგულირებულ საწარმოს:

ა) მოსთხოვოს კონცენტრაციის გაუქმება შერწყმის, გაუქმების ან შეძენილი წილების ან აქტივების გასხვისების გზით ისე, რომ აღდგეს კონცენტრაციის განხორციელებამდე არსებული მდგომარეობა. თუ კონცენტრაციის განხორციელებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა მისი გაუქმების გზით შეუძლებელია, კომისიას უფლება აქვს, მიიღოს ნებისმიერი სხვა შესაბამისი ზომა კონცენტრაციის განხორციელებამდე არსებულ მდგომარეობაში შეძლების დაგვარად დასაბრუნებლად;

ბ) დააკისროს სანქციები ამ კანონის შესაბამისად;

გ) მოსთხოვოს ნებისმიერი სხვა ზომის მიღება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება კონცენტრაციაში მონაწილე რეგულირებული საწარმოს მიერ კონცენტრაციის გაუქმება ან კონცენტრაციის განხორციელებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

თავი XXX. ელექტროენერგიის ბაზრის ორგანიზება

მუხლი 120. ელექტროენერგიის ბაზარი

1. ელექტროენერგიის ბაზარი მოიცავს ელექტროენერგიის საცალო ბაზარსა და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს, მათ შორის, ელექტროენერგიის ორგანიზებულ ბაზარს ან/და ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარს.

2. საბოლოო მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის ოპერაციები ხორციელდება ელექტროენერგიის საცალო ბაზარზე.

3. ელექტროენერგიის საბითუმო ორგანიზებული ბაზრის სეგმენტები განისაზღვრება ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციით.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 120[1]. ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი. ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრატორი

1. ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარზე, ბაზრის მონაწილეებს შორის პირდაპირი მოლაპარაკების გზით ან/და ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის მეშვეობით.

2. ბაზრის მონაწილეები ვალდებული არიან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების შესახებ ანგარიშგება განახორციელონ კომისიის მიერ დამტკიცებული რეგულირებული საწარმოს ანგარიშგების წესების შესაბამისად.

3. ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრატორი.

4. ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრატორი:

ა) უზრუნველყოფს ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირებას ამ კანონითა და ელექტროენერგიის ბაზრის წესებით განსაზღვრული წესითა და პირობებით;

ბ) აღრიცხავს ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმაზე არსებული ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის განაცხადების მონაცემებს;

გ) არეგისტრირებს ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის მონაწილეებს და აწარმოებს შესაბამის რეესტრს;

დ) კომისიის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტის შესაბამისად, კომისიას წარუდგენს ანგარიშს განხორციელებული საქმიანობის თაობაზე;

ე) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ელექტროენერგიის ბაზრის წესების შესაბამისად.

5. ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრატორს არ აქვს უფლება, იმავდროულად განახორციელოს სხვა ელექტროენერგეტიკული საქმიანობა, გარდა ელექტროენერგიის ბაზრის ოპერირებისა.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 121. ელექტროენერგიის ბაზრის ორგანიზება

1. ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი ამ კანონით ან/და ელექტროენერგიის ბაზრის წესებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოში ელექტროენერგიის

ორგანიზებული ბაზრების შესაბამისი სეგმენტის (სეგმენტების) ორგანიზებას ელექტროენერგიით ვაჭრობის, აგრეთვე ელექტროენერგიის სხვა, მეზობელ ორგანიზებულ ბაზრებთან დაკავშირებისა და ინტეგრაციის მიზნით. ელექტროენერგიის ბაზრის ორგანიზება ელექტროენერგიის ბაზრის წესებით წესრიგდება.

2. ელექტროენერგიის დერივატივების საფონდო ბირჟის შექმნის უფლება აქვთ როგორც ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორს, ისე სხვა სუბიექტებს.

3. ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი საქმიანობას ახორციელებს კომისიის მიერ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ კანონის V თავისა და კომისიის მიერ დამტკიცებული ლიცენზირების წესების შესაბამისად გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

4. ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი საქმიანობას ახორციელებს გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვით. ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორის საქმიანობას ზედამხედველობს კომისია.

5. ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურებების შესაბამის საფასურებს ადგენს კომისია განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 122. ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორის ფუნქციები

1. ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი ლიცენზიით გათვალისწინებულ სეგმენტში (სეგმენტებში):

ა) უზრუნველყოფს ელექტროენერგიის ბაზრის ორგანიზებას ამ კანონით ან/და ელექტროენერგიის ბაზრის წესებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) აღრიცხავს ხელშეკრულებებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ მონაცემებს ელექტროენერგიის ბაზრის წესების შესაბამისად;

გ) ამზადებს საქართველოში და მისი საზღვრების გარეთ ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის დღიურ გრაფიკს, დღით ადრე ბაზარზე ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად;

დ) დროულად წარუდგენს გადამცემი სისტემის შესაბამის ოპერატორს ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის დღიურ გრაფიკს;

ე) არეგისტრირებს ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილეებს და აწარმოებს შესაბამის რეესტრს;

ვ) აქვეყნებს ელექტროენერგიის ბაზრის შეუფერხებელი ორგანიზებისა და ელექტროენერგეტიკული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციას.

2. ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორს ასევე შეიძლება დაეკისროს თავისი კომპეტენციის შესაბამისი სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება ამ კანონის, ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციისა და ელექტროენერგიის ბაზრის წესების საფუძველზე.

3. ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორს უფლება არ აქვს, ივაჭროს ელექტროენერგიით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხორციელდება ელექტროენერგიის ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობის უზრუნველსაყოფად და ბაზრის ოპერატორი არის ხელშეკრულების მხარე ელექტროენერგიის ბაზრის წესებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

4. ელექტროენერგეტიკული საწარმოები უზრუნველყოფენ ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორის უწყვეტ და შეუზღუდავ წვდომას ელექტროენერგიის ბაზრის ორგანიზებისთვის საჭირო ინფორმაციაზე, ელექტროენერგიის ბაზრის წესების შესაბამისად.

მუხლი 123. ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფცია და ელექტროენერგიის ბაზრის წესები

1. ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციას კომისიასთან თანამშრომლობით შეიმუშავებს სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფცია აყალიბებს საქართველოში ელექტროენერგიის ბაზრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების სახელმძღვანელო პრინციპებს. სახელმძღვანელო პრინციპები იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურის ზოგადი არსის განსასაზღვრად, უნდა აყალიბებდეს ბაზრის მონაწილეების უფლება-მოვალეობებისა და ბაზრის სტრუქტურის ზოგად მონახაზს. ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციით უნდა დადგინდეს ამ კანონის ამოქმედებამდე ელექტროენერგეტიკულ საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მექანიზმი ამ კანონის მე-9 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ასევე შეიძლება განისაზღვროს სამიზნე მოდელზე გადასვლის ეტაპები, საჯარო მომსახურების ორგანიზება და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ელექტროენერგიის მიწოდების სპეციალური მოთხოვნები. ელექტროენერგიის ბაზრის ორგანიზება და ოპერირება, მათ შორის, ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციით განსაზღვრული ბაზრის ნებისმიერ სეგმენტთან დაკავშირებული ყველა პროცედურა, რეგულირდება კომისიის მიერ ელექტროენერგიის ბაზრის წესებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. ელექტროენერგიის ბაზრის წესებით განისაზღვრება ელექტროენერგიის ბაზრის ორგანიზებისა და ოპერირების წესი, აგრეთვე სხვა დაკავშირებული საკითხები, მათ შორის:

ა) ელექტროენერგიის ბაზრის მოდელი, ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის შესაბამისად;

ბ) ელექტროენერგიის ბაზრის ორგანიზებისა და ოპერირების პროცედურები, პრინციპები და სტანდარტები, ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის შესაბამისად;

ბ[1]) ელექტროენერგიის ბაზარზე ვაჭრობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასეთი მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში;

გ) ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილეების იდენტიფიცირებისა და რეგისტრაციის მეთოდები;

დ) ელექტროენერგიის ბაზარზე დასადები ხელშეკრულებების სახეები და ნიმუშები;

ე) პროდუქტები, რომელთა ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება ელექტროენერგიის ბაზარზე;

ვ) ელექტროენერგიის ბაზარზე განხორციელებული ოპერაციების რეესტრის წარმოების სტანდარტი და პროცედურა;

ზ) ელექტროენერგიის ბაზრის ფუნქციონირებისთვის საჭირო მონაცემთა ბაზების შექმნისა და წარმოების სტანდარტი და პროცედურა;

თ) ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის დღიური გრაფიკების მომზადების, გამოყენების, გადამოწმებისა და შეცვლის სტანდარტი და პროცედურა;

ი) ელექტროენერგიის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებში არსებული დანაკარგების აღმოსაფხვრელად ელექტროენერგიის შესყიდვის სტანდარტი და პროცედურა;

კ) უბალანსობის გაანგარიშება და მასზე პასუხისმგებლობა;

ლ) დაბალანსების ჯგუფის უბალანსობის მაჩვენებლის გაანგარიშება და დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ ბაზარზე უბალანსობასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშსწორება;

მ) ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციით განსაზღვრული ბაზრის თითოეული სეგმენტის ორგანიზებისა და ოპერირების პირობები;

ნ) ელექტროენერგიის ბაზრის ორგანიზებისა და ოპერირებისთვის, აგრეთვე ბაზრის შიგნით პროცედურების მოწესრიგებისთვის აუცილებელი სხვა პირობები;

ო) ორმხრივი ხელშეკრულებებით ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის წესი და პროცედურა.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 124. ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილეები

1. ელექტროენერგეტიკულ საწარმოებსა და სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ, ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის მიზნით გახდნენ ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილეები ამ კანონითა და ელექტროენერგიის ბაზრის წესებით განსაზღვრული პირობების დაცვით.

2. ელექტროენერგიის ბაზრის ყველა მონაწილეს, მათ შორის, ელექტროენერგიის მწარმოებელს, ტრეიდერს, ელექტროენერგიის მიმწოდებელს (ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებლის ჩათვლით), მსხვილ მომხმარებელს, უფლება აქვს, ამ კანონისა და ელექტროენერგიის ბაზრის წესების დაცვით იყიდოს/გაყიდოს ელექტროენერგია ელექტროენერგიის ორგანიზებულ ბაზარსა და ელექტროენერგიის ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარზე.

3. ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები ელექტროენერგიის ბაზრის წესების შესაბამისად უნდა განახორციელონ.

4. გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორები შესაბამის ქსელში არსებული დანაკარგების დაფარვის მიზნით ელექტროენერგიის შესყიდვის ვალდებულების განხორციელებისას წარმოადგენენ ელექტროენერგიის ბაზრის სპეციალურ მონაწილეებს, რომელთა სპეციალური მახასიათებლები განისაზღვრება ელექტროენერგიის ბაზრის წესებით.

5. თუ ელექტროენერგიის ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობისას ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორი არის ხელშეკრულების მხარე ამ კანონის 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იგი განიხილება ელექტროენერგიის ბაზრის სპეციალურ მონაწილედ და მისი სპეციალური მახასიათებლები განისაზღვრება ელექტროენერგიის ბაზრის წესებით.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 125. ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილეების პასუხისმგებლობა უბალანსობაზე

1. უბალანსობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ელექტროენერგიის ბაზრის ყველა მონაწილეს, დაბალანსების ჯგუფის მოდელის შესაბამისად, ელექტროენერგეტიკულ სისტემაში წარმოებასა და მოხმარებას შორის ბალანსის მიღწევით და ფინანსური ოპერაციების ფიზიკური მიწოდებისგან განცალკევებით, ელექტროენერგიის ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების დაუბრკოლებელი შესრულებისა და მათთან დაკავშირებული სამართლიანი ანგარიშსწორების უზრუნველსაყოფად.

2. დაბალანსების ჯგუფის მოდელთან დაკავშირებული პირობები, მათ შორის, დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირების უფლებები და მოვალეობები, დგინდება ელექტროენერგიის ბაზრის წესებით. ელექტროენერგიის ბაზრის წესები ასევე

განსაზღვრავს დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირთა მნიშვნელობას და მათ პასუხისმგებლობას უბალანსობაზე.

3. დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირების რეესტრის წარმოებას და მათი უბალანსობით გამოწვეული საბალანსო ელექტროენერგიის საჭიროების განსაზღვრას, აგრეთვე შესაბამისი მოცულობის გაანგარიშებას უზრუნველყოფს გადამცემი სისტემის ოპერატორი.

4. თითოეული დაბალანსების ჯგუფისთვის საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილების რეესტრს აწარმოებს გადამცემი სისტემის ოპერატორი.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

თავი XXXI. ბუნებრივი გაზის ბაზრის ორგანიზება

მუხლი 126. ბუნებრივი გაზის ბაზარი

1. ბუნებრივი გაზის ბაზარი მოიცავს ბუნებრივი გაზის საცალო ბაზარსა და ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზარს, მათ შორის, ბუნებრივი გაზის ორგანიზებულ ბაზარს ან/და ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარს.

2. საბოლოო მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის ოპერაციები ხორციელდება ბუნებრივი გაზის საცალო ბაზარზე.

3. ბუნებრივი გაზის საბითუმო ორგანიზებული ბაზრის სეგმენტები განისაზღვრება ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციით.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 127. ბუნებრივი გაზის ბაზრის ორგანიზება

1. ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორი უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზის ბაზრის ორგანიზებას ბუნებრივი გაზით ვაჭრობის, აგრეთვე ბუნებრივი გაზის სხვა ორგანიზებულ ბაზრებთან დაკავშირებისა და ინტეგრაციის მიზნით. ბუნებრივი გაზის ბაზრის ორგანიზება ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებით წესრიგდება.

2. ბუნებრივი გაზის დერივატივების საფონდო ბირჟის შექმნის უფლება აქვთ როგორც ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორს, ისე სხვა სუბიექტებს.

3. ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორი საქმიანობას ახორციელებს კომისიის მიერ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ კანონის V თავისა და კომისიის მიერ დამტკიცებული ლიცენზირების წესების შესაბამისად გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

4. ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორი საქმიანობას ახორციელებს გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვით. ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორის საქმიანობას ზედამხედველობს კომისია.

5. ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორის მიერ გაწეული მომსახურების საფასურს განსაზღვრავს კომისია დადგენილი მეთოლოგიის შესაბამისად.

მუხლი 127[1]. ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარი. ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრატორი

1. ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე ბუნებრივი გაზის ყიდვა- გაყიდვა ხორციელდება ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარზე, ბაზრის მონაწილეებს შორის პირდაპირი მოლაპარაკების გზით ან/და ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის მეშვეობით.

2. ბაზრის მონაწილეები ვალდებული არიან დადებული ორმხრივი ხელშეკრულებების შესახებ ანგარიშგება განახორციელონ კომისიის მიერ დამტკიცებული რეგულირებული საწარმოს ანგარიშგების წესების შესაბამისად.

3. ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრატორი.

4. ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრატორი:

ა) უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრირებას ამ კანონითა და ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებით განსაზღვრული წესითა და პირობებით;

ბ) აღრიცხავს ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმაზე არსებული ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვის განაცხადების მონაცემებს;

გ) არეგისტრირებს ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის მონაწილეებს და აწარმოებს შესაბამის რეესტრს;

დ) კომისიის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტის შესაბამისად, კომისიას წარუდგენს ანგარიშს განხორციელებული საქმიანობის თაობაზე;

ე) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ბუნებრივი გაზის ბაზრის წესების შესაბამისად.

5. ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების პლატფორმის ადმინისტრატორს არ აქვს უფლება, იმავდროულად განახორციელოს სხვა ბუნებრივი გაზის საქმიანობა, გარდა ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერირებისა.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 128. ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორის ფუნქციები

1. ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორი ლიცენზიით გათვალისწინებულ სეგმენტში (სეგმენტებში):

ა) უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზის ბაზრის ორგანიზებას;

ბ) არეგისტრირებს ბუნებრივი გაზის ბაზრის მონაწილეებს და აწარმოებს შესაბამის რეესტრს;

გ) აქვეყნებს ბუნებრივი გაზის ბაზრის შეუფერხებელი ორგანიზებისა და ბუნებრივი გაზის საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციას.

2. ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორს ასევე შეიძლება დაეკისროს თავისი კომპეტენციის შესაბამისი სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება ამ კანონის, ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციისა და ბუნებრივი გაზის ბაზრის წესების საფუძველზე.

3. ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორს უფლება არ აქვს, ივაჭროს ბუნებრივი გაზით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხორციელდება ბუნებრივი გაზის ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობის უზრუნველსაყოფად და ბაზრის ოპერატორი არის ხელშეკრულების მხარე ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

4. ბუნებრივი გაზის საწარმოები უზრუნველყოფენ ბუნებრივი გაზის ბაზრის ოპერატორის უწყვეტ და შეუზღუდავ წვდომას ბუნებრივი გაზის ორგანიზებისთვის საჭირო ინფორმაციაზე, ბუნებრივი გაზის ბაზრის წესების შესაბამისად.

მუხლი 129. ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფცია და ბუნებრივი გაზის ბაზრის წესები

1. ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციას კომისიასთან თანამშრომლობით შეიმუშავებს სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. ბუნებრივი ბაზრის მოდელის კონცეფცია აყალიბებს საქართველოში ბუნებრივი გაზის ბაზრის ორგანიზებისა და ფუნქციონირების სახელმძღვანელო პრინციპებს. სახელმძღვანელო პრინციპები იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია ბუნებრივი გაზის ბაზრის სტრუქტურის ზოგადი არსის განსასაზღვრად, უნდა აყალიბებდეს ბაზრის მონაწილეების უფლება-მოვალეობებისა და ბაზრის სტრუქტურის ზოგად მონახაზს. კონცეფციით ასევე შეიძლება განისაზღვროს სამიზნე მოდელზე გადასვლის ეტაპები. ბუნებრივი ბაზრის ორგანიზება და ოპერირება, მათ შორის, ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციით განსაზღვრული ბაზრის ნებისმიერ სეგმენტთან დაკავშირებული ყველა პროცედურა, რეგულირდება კომისიის მიერ ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებით განისაზღვრება ბუნებრივი გაზის ბაზრის ორგანიზებისა და ოპერირების წესები და სხვა დაკავშირებული საკითხები, მათ შორის:

ა) ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელი, ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციის შესაბამისად;

ბ) ბუნებრივი გაზის ბაზრის ორგანიზებისა და ოპერირების პროცედურები, პრინციპები და სტანდარტები, ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციის შესაბამისად;

ბ[1]) ბუნებრივი გაზის ბაზარზე ვაჭრობის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასეთი მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში;

გ) ბუნებრივი გაზის ბაზრის მონაწილეების იდენტიფიცირებისა და რეგისტრაციის მეთოდები;

დ) ბუნებრივი გაზის ბაზარზე დასადები ხელშეკრულებების სახეები და ნიმუშები;

ე) პროდუქტები, რომელთა ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება ბუნებრივი გაზის ბაზარზე;

ვ) ბუნებრივი გაზის ბაზარზე განხორციელებული ოპერაციების რეესტრის წარმოების სტანდარტი და პროცედურა;

ზ) ბუნებრივი გაზის ბაზრის ფუნქციონირებისთვის საჭირო მონაცემთა ბაზის შექმნისა და წარმოების სტანდარტი და პროცედურა;

თ) ბუნებრივი გაზით ვაჭრობის დღიური გრაფიკის მომზადების, გამოყენების, გადამოწმებისა და შეცვლის სტანდარტი და პროცედურა;

ი) ბუნებრივი გაზის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელებში არსებული დანაკარგების აღმოფხვრის მიზნით ბუნებრივი გაზის შესყიდვის სტანდარტი და პროცედურა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბუნებრივი გაზის უწყვეტი, უსაფრთხო და საიმედო მიწოდება;

კ) ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციით განსაზღვრული ბაზრის თითოეული სეგმენტის ორგანიზებისა და ოპერირების პირობები;

ლ) ბუნებრივი გაზის ბაზრის ორგანიზებისა და ოპერირებისათვის, აგრეთვე ბაზრის შიგნით პროცედურების მოსაწესრიგებლად აუცილებელი სხვა პირობები;

მ) ორმხრივი ხელშეკრულებებით ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვის წესი და პროცედურა.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 130. ბუნებრივი გაზის ბაზრის მონაწილეები

1. ბუნებრივი გაზის საწარმოებსა და სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ, ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვის მიზნით გახდნენ ბუნებრივი გაზის ბაზრის მონაწილეები ამ კანონითა და ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებით განსაზღვრული პირობების დაცვით.

2. ბუნებრივი გაზის ბაზრის ყველა მონაწილეს, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მწარმოებელს, ტრეიდერს, ბუნებრივი გაზის მიმწოდებელს (ბუნებრივი გაზის საჯარო მომსახურების სახით მიმწოდებლის ჩათვლით), მსხვილ მომხმარებელს, უფლება აქვს, ამ კანონისა და ბუნებრივი გაზის ბაზრის წესების დაცვით იყიდოს/გაყიდოს ბუნებრივი გაზი ბუნებრივი გაზის ორგანიზებულ ბაზარსა და ბუნებრივი გაზის ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარზე.

3. ბუნებრივი გაზის ბაზრის მონაწილეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორმხრივი უფლება-მოვალეობები უნდა განახორციელონ ბუნებრივი გაზის ბაზრის წესების შესაბამისად.

4. გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორები შესაბამის ქსელში არსებული დანაკარგების დაფარვის მიზნით ბუნებრივი გაზის შესყიდვის ვალდებულების განხორციელებისას წარმოადგენენ ბუნებრივი გაზის ბაზრის სპეციალურ მონაწილეებს, რომელთა სპეციალური მახასიათებლები ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებით განისაზღვრება.

5. თუ ბუნებრივი გაზის ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობისას ბუნებრივი გაზის ოპერატორი არის ხელშეკრულების მხარე ამ კანონის 128-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იგი განიხილება ბაზრის სპეციალურ მონაწილედ და მისი სპეციალური მახასიათებლები განისაზღვრება ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებით.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 131. საშეღავათო პირობების დადგენა „მიიღე ან გადაიხადე“ ვალდებულებებთან დაკავშირებით

1. ბუნებრივი გაზის საწარმოს უფლება აქვს, მიმართოს კომისიას ამ კანონით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ბუნებრივი გაზის სისტემაზე დაშვების ვალდებულებისგან დროებით გათავისუფლების მოთხოვნით, თუ აღნიშნულ ბუნებრივი გაზის საწარმოს ბუნებრივი გაზის ნასყიდობის ერთი ან ერთზე მეტი ხელშეკრულებიდან გამომდინარე „მიიღე ან გადაიხადე“ ვალდებულების შედეგად შეექმნა ან სავარაუდოა, რომ შეექმნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფინანსური სირთულე. კომისიისთვის მიმართვა უნდა განხორციელდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სისტემაზე დაშვებაზე უარის თქმამდე ან ასეთი უარის თქმის შემდეგ. სისტემაზე დაშვებაზე უარის თქმის შემდეგ კომისიისთვის მიმართვა უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ. ბუნებრივი გაზის საწარმოს მიმართვას თან ერთვის ინფორმაცია სირთულის არსისა და ხარისხის, აგრეთვე საწარმოს მიერ მისი გადაჭრის მიზნით მიღებული ზომების შესახებ.

2. კომისია დააკმაყოფილებს ბუნებრივი გაზის საწარმოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, თუ არ არსებობს „მიიღე ან გადაიხადე“ ვალდებულების გამო შექმნილი ეკონომიკური და ფინანსური სირთულის გადაწყვეტის სხვა გონივრული ალტერნატივა. კომისია აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს და წარუდგენს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ ყველა საჭირო ინფორმაციას. ინფორმაცია ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს შესაძლოა წარედგინოს აგრეგირებული სახით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მის მიერდასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს მიერ შეტყობინების მიღებიდან 2 თვის განმავლობაში მოსაზრების წარმოუდგენლობის შემთხვევაში საკითხი ითვლება მასთან შეთანხმებულად.

3. კომისია საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

ა) არადისკრიმინაციული, გამჭვირვალე და კონკურენტული ბუნებრივი გაზის ბაზრის ჩამოყალიბების მიზანი;

ბ) საჯარო მომსახურების ვალდებულებების შესრულებისა და მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროება;

გ) ბუნებრივი გაზის ბაზარზე კონკურენციის დონე და შესაბამისი ბუნებრივი გაზის საწარმოს მდგომარეობა;

დ) ბუნებრივი გაზის საწარმოს, გადამცემი სისტემის ოპერატორის ან საბოლოო მომხმარებლის წინაშე არსებული ეკონომიკური და ფინანსური სირთულეების ხარისხი;

ე) შესაბამისი ხელშეკრულების ან ხელშეკრულებების ხელმოწერის თარიღი და პირობები, მათ შორის, ის პირობები, რომლებითაც განისაზღვრება საბაზრო ცვლილებებთან მისადაგების დასაშვები ფარგლები;

ვ) პრობლემის გადასაჭრელად მიღებული ზომები;

ზ) ბუნებრივი გაზის საწარმოს შესაძლებლობა, შესაბამისი „მიიღე ან გადაიხადე“ ვალდებულებების აღებისას, ამ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, გონივრულობის ფარგლებში ევარაუდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფინანსური სირთულეების წარმოშობის შესაძლებლობა;

თ) სისტემის სხვა სისტემებთან დაკავშირებისა და მათი ურთიერთთავსებადობის დონე;

ი) საშეღავათო პირობების დადგენის ზეგავლენა ამ კანონის სათანადო გამოყენებაზე, ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრის გამართულ ფუნქციონირებასთან მიმართებით.

4. 2006 წლის 1 ივლისამდე დადებულ „მიიღე ან გადაიხადე“ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მიღებულმა საშეღავათო პირობების დადგენის შესახებ გადაწყვეტილებამ

არ უნდა გამოიწვიოს მდგომარეობა, რომელიც ეკონომიკურად მიზანშეწონილი, ალტერნატიული გამოსავლის პოვნას შეუძლებელს გახდის. მნიშვნელოვან სირთულად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ბუნებრივი გაზის გაყიდვები არ არის იმ მოცულობაზე ნაკლები, რომელიც „მიიღე ან გადაიხადე“ ხელშეკრულების შესაბამისად, მყიდველის მიერ გარანტირებულად უნდა იქნეს მიღებული. მნიშვნელოვან სირთულად ასევე არ განიხილება ის შემთხვევა, როდესაც შესაძლებელია შესაბამისი „მიიღე ან გადაიხადე“ ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილ გარემოებებთან ან ბუნებრივი გაზის საწარმოს მიერ ალტერნატიული გამოსავლის მოძიება.

5. ბუნებრივი გაზის საწარმოს, რომელსაც უარი ეთქვა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საშეღავათო პირობების დადგენაზე, უფლება არ აქვს, უარი განაცხადოს სისტემაზე დაშვებაზე ბუნებრივი გაზის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე „მიიღე ან გადაიხადე“ ვალდებულების გამო. ამ მიზნით კომისია უზრუნველყოფს მესამე პირის დაშვებას და გაზის მიწოდების ხელშეკრულებებთან დაკავშირებით ამ კანონით დადგენილი დებულებების სათანადოდ შესრულებას.

6. კომისიის მიერ საშეღავათო პირობების დადგენასთან დაკავშირებით მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს და ეცნობოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

კარი XIII. ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოება

თავი XXXII. ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების დაცვა

მუხლი 132. ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კომპეტენციები

1. ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა არის სამინისტროს კომპეტენცია ამ თავითა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

2. სამინისტრო:

ა) შეიმუშავებს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში საგანგებო მდგომარეობისას მოქმედების სტრატეგიას;

ბ) უზრუნველყოფს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის დამუშავება-დახვეწას;

გ) აზუსტებს საქართველოს ენერგეტიკულ პოტენციალს;

დ) ამტკიცებს ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების წესებს, რომლებიც არეგულირებს ენერგეტიკული საწარმოების, ბაზრის მონაწილეების, სისტემით მოსარგებლეებისა და მომხმარებლების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების მინიმალური დონისა და სტანდარტის მიღწევის პროცესში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმები უმეტესად უნდა ეფუძნებოდეს საბაზრო მექანიზმებს და ითვალისწინებდეს აღნიშნული მექანიზმების ეკონომიკურ გავლენას, ეფექტიანობას და ენერგეტიკული ბაზრების ფუნქციონირებაზე, გარემოსა და მომხმარებელზე ზემოქმედებას. ნორმებმა არ უნდა დააკისროს ენერგეტიკულ საწარმოებს გაუმართლებელი ტვირთი და არ უნდა იქონიოს უარყოფითი გავლენა ენერგეტიკული ბაზრების ფუნქციონირებაზე.

4. კომისია და სხვა სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობენ მიწოდების უსაფრთხოებას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 133. რეგიონული სოლიდარობა

1. შიდა ენერგეტიკულ ბაზრებზე მიწოდების უსაფრთხოების დაცვისა და რეგიონული და ორმხრივი სოლიდარობის ხელშეწყობის მიზნით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები თანამშრომლობენ ენერგეტიკული გაერთიანების მხარეთა შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამშრომლობა ასევე ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც იწვევს ან რომლებმაც შესაძლოა მოკლე ვადაში გამოიწვიოს ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (როცა საფრთხე ექმნება ბუნებრივი გაზის მიწოდების საერთო მოცულობის 20%-ზე მეტს და ამ მდგომარეობის მართვა ეროვნულ დონეზე ნაკლებად შესაძლებელია) ფართომასშტაბიანი წყვეტა, რაც გავლენას ახდენს როგორც საქართველოზე, ისე ენერგეტიკული გაერთიანების სხვა მხარეზე. ასეთ შემთხვევებში თანამშრომლობა უნდა მოიცავდეს:

ა) ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ამ კანონის 134-ე და 136-ე მუხლებით გათვალისწინებული ღონისძიებების კოორდინაციას;

ბ) ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ამ კანონის 139-ე და 141-ე მუხლებით გათვალისწინებული ღონისძიებების კოორდინაციას;

გ) ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის ურთიერთდამაკავშირებლების იდენტიფიცირებას და საჭიროების შემთხვევაში განვითარებასა და განახლებას, მათ შორის, ბუნებრივი გაზის ურთიერთდამაკავშირებლებში სიმძლავრის ორმხრივი გადადინების შესაძლებლობის შექმნას;

დ) ურთიერთდახმარების პირობებსა და პრაქტიკულ ფორმებს.

3. ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსა და ენერგეტიკული გაერთიანების მხარეებს მიეწოდებათ ინფორმაცია ამ მუხლით გათვალისწინებული თანამშრომლობის თაობაზე.

4. ამ მუხლში მოცემული მიზნების უზრუნველსაყოფად სამინისტრო ასევე თანამშრომლობს სხვა მეზობელი ქვეყნების (რომლებიც ენერგეტიკული გაერთიანების მხარეები არ არიან) კომპეტენტურ ორგანოებთან შესაბამისი შეთანხმებების საფუძველზე.

თავი XXXIII. ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოება

მუხლი 134. ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების ზომები

1. სამინისტრო ამ კანონის 132-ე მუხლის შესაბამისად ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების ნორმების შემუშავებისას და ამოქმედებისას, აგრეთვე ამ კანონის 138-ე მუხლის შესაბამისად ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის განხორციელებისას კომისიასთან და სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით იღებს ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს:

ა) საბოლოო მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის უსაფრთხო და საიმედო მიწოდების უწყვეტობა;

ბ) ელექტროენერგეტიკული საქმიანობის გამჭვირვალე და სტაბილური მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილეთა მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით და ქვეყნის მასშტაბით ჰარმონიზებული მარეგულირებელი პრაქტიკის ჩამოყალიბება;

გ) ქვეყნის მასშტაბით ერთიანი ელექტროენერგიის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება, განვითარება და ინტეგრაცია, მათ შორის, ელექტროენერგიით შიდა საბითუმო და საცალო ვაჭრობის ლიკვიდურობა, აგრეთვე ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადადინებაზე შეუზღუდავი დაშვება;

დ) ელექტროენერგიის გადამცემი ან/და გამანაწილებელი ქსელების სათანადო მდგომარეობის შესანარჩუნებლად მათი სათანადო მოვლა-პატრონობა და საჭიროების შემთხვევაში განახლება;

ე) ხარისხის სტანდარტები ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე დადგენილი ტექნიკური წესების შესაბამისად;

ვ) ბაზარზე საპროგნოზო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ელექტროენერგიის გადამცემ ან/და გამანაწილებელ ქსელებში შეუზღუდავი და დასაბუთებული ინვესტიციები, მათ შორის, კომერციული ინვესტიციები ურთიერთდამაკავშირებლების სიმძლავრის განვითარებისთვის;

ზ) განახლებადი ენერგიის წყაროების, აგრეთვე ელექტროენერგიისა და სითბოს კომბინირებული წარმოების მეშვეობით მიღებული ელექტროენერგიის ხელშეწყობა;

თ) ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილური ოპერირებისთვის გადაცემისა და წარმოების საკმარისი სარეზერვო სიმძლავრის არსებობა;

ი) ელექტროენერგიაზე მოთხოვნასა და წარმოების სიმძლავრეების ხელმისაწვდომობას შორის ბალანსი;

კ) ელექტროენერგიასთან დაკავშირებული მოთხოვნის ზრდის გრძელვადიანი ეფექტის შემცირება;

ლ) ენერგოეფექტურობისა და ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის, მოთხოვნის მართვის, განახლებადი ენერგიისა და „ჭკვიანი“ აღრიცხვის ტექნოლოგიების და ელექტროენერგიის განაწილებული წარმოების დანერგვის წახალისება, ელექტროენერგიაზე მოთხოვნის რეალურ დროში სამართავად;

მ) ენერგიის დამზოგავი ღონისძიებების ხელშეწყობა;

ნ) ელექტროენერგიის წარმოების ახალ სიმძლავრეზე დასაშვებად ელექტროენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების ხელშემშლელი ადმინისტრაციული ბარიერების აღმოფხვრა და ადმინისტრაციული პროცედურების მინიმუმამდე შემცირება;

ო) მწარმოებლებისა და მომხმარებლებისთვის წყვეტადი და სხვადასხვა ხანგრძლივობის ხელშეკრულებების დადების ხელშემშლელი ბარიერების აღმოფხვრა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის მიღებული ან დაკისრებული ყველა ზომა უნდა იყოს არადისკრიმინაციული და არ უნდა ზღუდავდეს ელექტროენერგიის ბაზარზე კონკურენციას და ფასებთან დაკავშირებულ სიგნალებს იმაზე მეტად, ვიდრე აუცილებელია. ამასთანავე, აღნიშნული ზომები არ უნდა აკისრებდეს გაუმართლებელ ტვირთს ელექტროენერგიის ბაზრის მონაწილეებს, მათ შორის, ახალ მონაწილეებსა და მცირე საბაზრო წილის მქონე საწარმოებს. ასეთი ზომების მიღება უნდა დასაბუთდეს საბოლოო მომხმარებელზე მათი ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენისა და ელექტროენერგიის ფასზე მათი შესაძლო ზემოქმედების გათვალისწინებით.

3. თუ გადამცემი სისტემის ოპერატორი ელექტროენერგიის ახალი ურთიერთდამაკავშირებლების მშენებლობას ან არსებულის მოვლა-პატრონობას განიხილავს ტრანსსასაზღვრო გადადინების სიმძლავრის გაზრდის მიზნით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზომები შეიძლება განხორციელებულ იქნეს სულ მცირე შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

ა) საქართველოსა და შესაბამისი მეზობელი ქვეყნების გეოგრაფიულ მდებარეობასთან დაკავშირებული გარემოებები;

ბ) ელექტროენერგიის ახალი ურთიერთდამაკავშირებლების მშენებლობის ხარჯსა და საბოლოო მომხმარებლის მიერ აღნიშნული ურთიერთდამაკავშირებლების შედეგად მიღებულ სარგებელს შორის გონივრული ბალანსის შენარჩუნება;

გ) ელექტროენერგიის არსებული ურთიერთდამაკავშირებლების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა.

4. თუ ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილურობისთვის, უსაფრთხოებისა და საიმედოობისთვის, მათ შორის, ელექტროენერგიის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსის უზრუნველყოფისთვის, საჭიროა ელექტროენერგიის წარმოების გარანტირებული სიმძლავრე, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია სამინისტროს მიერ შესაბამისი წინადადების წარდგენის შემთხვევაში ელექტროენერგიის ერთ ან რამდენიმე მწარმოებელს დააკისროს ვალდებულება, შეინარჩუნოს ელექტროენერგიის წარმოების გარანტირებული სიმძლავრე, რომელიც შესაძლებელია ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ელექტროენერგეტიკული სისტემის დაბალანსების მიზნით, მათ შორის, ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ავარიის ან სხვა, განსაზღვრული ტიპის საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში. აღნიშნული ვალდებულების დაკისრება უნდა მოხდეს საჯარო მომსახურების ვალდებულებისთვის ამ კანონის მე-9 მუხლით დადგენილი კრიტერიუმებისა და იმავე მუხლით გათვალისწინებულ კონსულტაციასთან დაკავშირებული
მოთხოვნების დაცვით. ელექტროენერგიის წარმოების გარანტირებული სიმძლავრის შენარჩუნების ვალდებულების დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება (მათ შორის, კონკურენციის ან/და სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელ წესებთან შესაბამისობა) დასაბუთებული უნდა იყოს. ელექტროენერგიის წარმოების გარანტირებული სიმძლავრის შენარჩუნების წესებს ადგენს საქართველოს მთავრობა. ელექტროენერგიის წარმოების გარანტირებული სიმძლავრის დისპეტჩერიზაციას ახორციელებს გადამცემი სისტემის ის ოპერატორი, რომლის ქსელთანაც ელექტროენერგიის წარმოების შესაბამისი ობიექტი ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების დაცვითაა მიერთებული. ელექტროენერგიის წარმოების გარანტირებული სიმძლავრის განაწილების შემდეგ წარმოებული ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება ამ კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით. ელექტროენერგიის წარმოების გარანტირებული სიმძლავრის საფასურს ან/და ელექტროენერგიის წარმოების გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერგიის წარმოების ტარიფს ადგენს კომისია თავის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

5. ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ტექნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნები, რომლებიც ვრცელდება ელექტროენერგეტიკულ მოწყობილობებსა და მათთან დაკავშირებულ დანადგარებზე, აგრეთვე ასეთი მოწყობილობა-დანადგარების ტექნიკური შემოწმების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ ამ კანონის 97-ე მუხლის შესაბამისად მიღებული ტექნიკური წესებით.

6. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაამტკიცოს იმ ობიექტების ნუსხა, რომლებსაც, მათი სტრატეგიული დანიშნულებიდან გამომდინარე, საგანგებო რეჟიმის დროს პრიორიტეტულად უნდა მიეწოდებოდეს ელექტროენერგია.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 135. ელექტროქსელის საოპერაციო უსაფრთხოება

1. ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საოპერაციო წესებსა და ვალდებულებებს განსაზღვრავს გადამცემი სისტემის ოპერატორი ამ კანონის, ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების ნორმების, ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების, ამ კანონის 97-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური წესებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

2. ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საოპერაციო წესები და ვალდებულებები დგინდება სისტემით მოსარგებლეებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან და შესაბამის შემთხვევაში მეზობელი ქვეყნების გადამცემი სისტემების ოპერატორებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგად. გადამცემი სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს კომისიასა და სამინისტროსთან კონსულტაციას თავის მიერ მიღებული საოპერაციო წესებისა და ვალდებულებების ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის თაობაზე.

3. გადამცემი და შესაბამის შემთხვევებში გამანაწილებელი სისტემების ოპერატორების მიერ ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საოპერაციო წესების შესრულებას, გადაცემის ან/და განაწილების ქსელებთან დაკავშირებით გაწეული მომსახურების ხარისხის მოთხოვნების დაცვას, აგრეთვე ელექტროქსელის საოპერაციო უსაფრთხოების სათანადო დონის შენარჩუნებას ზედამხედველობენ სამინისტრო და კომისია თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

4. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია ელექტროქსელის საოპერაციო უსაფრთხოების მიზნით შეინარჩუნოს ტექნიკური გამტარუნარიანობის რეზერვის შესაბამისი დონე და ითანამშრომლოს ურთიერთდაკავშირებული სისტემებისა და მეზობელი ან/და სხვა ქვეყნების სისტემების ოპერატორებთან. წინასწარ განჭვრეტადი გარემოებების ხარისხი, რომელთა არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უსაფრთხოება, განისაზღვრება ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საოპერაციო წესებითა და ვალდებულებებით ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

5. გადამცემი სისტემის ოპერატორი ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საოპერაციო მოთხოვნების დაცვით უზრუნველყოფს ურთიერთდაკავშირებული სისტემების შესაბამის ოპერატორებთან ქსელის ოპერირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულ და ეფექტიან გაცვლას.

6. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია შეასრულოს ელექტროქსელის უსაფრთხო ექსპლუატაციასთან და შესაბამის შემთხვევებში ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხთან დაკავშირებული ამოცანები, ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საოპერაციო წესებისა და ვალდებულებების შესაბამისად.

7. ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გადადინებისა და ელექტროქსელის საოპერაციო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, დაუშვებელია გადამცემი სისტემის ოპერატორის, ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორის ან/და სხვა შესაბამისი ელექტროენერგეტიკული საწარმოს მიერ ტრანსსასაზღვრო და ადგილობრივ ხელშეკრულებებს შორის დისკრიმინაცია.

მუხლი 136. საგანგებო მდგომარეობა ელექტროენერგეტიკის სექტორში

1. ელექტროენერგეტიკის სექტორში საგანგებო მდგომარეობა შეიძლება გამოცხადდეს, თუ ელექტროენერგიის წარმოება, გადაცემა, განაწილება, მიწოდება ან/და ყიდვა-გაყიდვა ფერხდება მოულოდნელი გარემოებების ან შესაბამისი ელექტროენერგეტიკული საწარმოს კონტროლის მიღმა არსებული გარემოებების გამო, რომლებითაც საფრთხე ექმნება ელექტროენერგეტიკული სისტემის ერთიან უსაფრთხოებასა და საიმედოობას ან საბოლოო მომხმარებლების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მათთვის ელექტროენერგიის მიწოდებას.

2. ელექტროენერგეტიკის სექტორში საგანგებო მდგომარეობა ცხადდება საქართველოს მთავრობის ან მის მიერ განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილებით. ელექტროენერგეტიკის სექტორში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

3. ელექტროენერგეტიკის სექტორში საგანგებო მდგომარეობის დროს განსახორციელებელ უსაფრთხოების ზომებსა და პროცედურებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა, კომისიასთან, გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორებთან, ენერგეტიკული გაერთიანების მხარეების ან/და სხვა შესაბამისი ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებთან და ოპერატორებთან კონსულტაციებითა და მჭიდრო კოორდინაციით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომები უნდა განხორციელდეს შეზღუდული დროით, ელექტროენერგიის ბაზრის ფუნქციონირებაში მინიმალური ჩარევით და იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია ადამიანების, ელექტროენერგეტიკული მოწყობილობების ან/და დანადგარების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხის აღმოსაფხვრელად.

5. ელექტროენერგეტიკის სექტორში საგანგებო მდგომარეობის დროს განხორციელებული უსაფრთხოების ზომების თაობაზე საქართველოს მთავრობა დაუყოვნებლივ აცნობებს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს და წარუდგენს ყველა საჭირო ინფორმაციას.

6. ამ მუხლის გამოყენება არ ზღუდავს „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საგანგებო მდგომარეობის მართვის ზოგადი წესების მოქმედებას იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება ელექტროენერგეტიკის სექტორში საგანგებო მდგომარეობის მართვის სპეციალური მოთხოვნების ჯეროვანი შესრულება ამ მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 137. ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვა

1. საბოლოო მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდება შესაძლოა დროებით შეწყდეს მხოლოდ საჯარო ინტერესის დაცვის აუცილებლობით გამოწვეულ შემთხვევაში, მათ შორის, ამ კანონის 136-ე მუხლის შესაბამისად, ელექტროენერგეტიკის სექტორში საგანგებო მდგომარეობით ანდა ქსელის მოვლა-პატრონობასთან ან ახალი მომხმარებლის ქსელთან მიერთებასთან დაკავშირებული ტექნიკური საჭიროებით.

2. ელექტროენერგიის მიწოდება შეიძლება შეწყდეს ან შეიზღუდოს მომხმარებლისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ელექტროენერგეტიკულ სისტემაში, ქსელთან მიერთებულ ობიექტებში განვითარებული ავარიული შემთხვევების, მათ შორის, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების, თავიდან ასაცილებლად, აღმოსაფხვრელად, ან ელექტროენერგიის დატაცების/უკანონოდ მოხმარების შემთხვევაში. ასეთ შემთხვევებში მომხმარებლებს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შეწყვეტის ან შეზღუდვის თაობაზე, ელექტროენერგიის მიწოდებაზე მათი გავლენისა და სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ.

3. მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეზღუდვა, რომელიც ელექტროენერგიის გადამცემი ან/და გამანაწილებელი ქსელების დაგეგმილი სარემონტო სამუშაოებით არის გამოწვეული, ხორციელდება მომხმარებლის წინასწარი ინფორმირებით. მომხმარებელს ასეთი შეზღუდვის შესახებ უნდა ეცნობოს ინდივიდუალურად, სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადაში.

4. გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორებმა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებათა შეზღუდვის გარეშე შესაძლოა ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტონ მომხმარებელს, რომელიც იწვევს ქსელის მუშაობის შეფერხებას ან/და ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხის გაუარესებას, თუ შესაბამისი მომხმარებელი სისტემის ოპერატორის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში არ აღმოფხვრის დარღვევას, რომელმაც შესაძლოა ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გამოიწვიოს ავარია ან იქონიოს სხვა სახის უარყოფითი გავლენა ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოებასა და საიმედოობაზე.

5. გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორებს უფლება აქვთ, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წინასწარი წერილობითი შეტყობინების შემდეგ ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტონ მომხმარებელს, რომელიც საშუალებას არ აძლევს სისტემის ოპერატორის უფლებამოსილ წარმომადგენელს, შევიდეს მის კუთვნილ ტერიტორიაზე ელექტროენერგიის აღრიცხვის მოწყობილობის დასამონტაჟებლად, შესაკეთებლად ან შესამოწმებლად.

6. ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების მეშვეობით ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის პროცედურა განისაზღვრება ელექტროენერგიის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების წესებით.

7. ამ მუხლით დადგენილი პირობები არ ზღუდავსშესაბამისი საბოლოო მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის გადაცემასთან, განაწილებასთან ან მიწოდებასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო საბოლოო მომხმარებლისთვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის უფლებას.

მუხლი 138. ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების ზედამხედველობა

1. საქართველოში ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოებას ზედამხედველობს სამინისტრო ამ კანონით მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, კომისიასთან და შესაბამის შემთხვევებში სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან და ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორთან თანამშრომლობით. ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების ზედამხედველობა ხორციელდება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) ელექტროენერგიის ბაზარზე არსებულ მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსის შენარჩუნება;

ბ) ელექტროენერგიაზე მოთხოვნის საპროგნოზო დონე და დაგეგმილი ან მშენებარე დამატებითი სიმძლავრე;

გ) ქსელის ხარისხი და მოვლა-პატრონობის დონე;

დ) პიკური მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები და ერთი ან ერთზე მეტი მიმწოდებლისთვის ელექტროენერგიის დანაკლისის აღმოფხვრა.

2. სამინისტრო ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, 31 ივლისამდე ამზადებს და აქვეყნებს ქვეყანაში ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების ერთიან ანგარიშს, რომელიც მოიცავს სამინისტროს, კომისიის და შესაბამის შემთხვევებში სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისა და გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ შეგროვებულ ინფორმაციას. ანგარიშში უნდა აისახოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებული ზედამხედველობის შედეგები და მიღებული ან მისაღები ზომები. სამინისტროს მიერ მომზადებული ანგარიში დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიში სხვა საკითხებთან ერთად უნდა ასახავდეს ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის ერთიან შესაძლებლობას, უზრუნველყოს ელექტროენერგიაზე არსებული ან საპროგნოზო მოთხოვნის დაკმაყოფილება, კერძოდ:

ა) ელექტროქსელის საოპერაციო უსაფრთხოებას;

ბ) ელექტროენერგიის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის საპროგნოზო ბალანსს მომდევნო 5 წლის პერიოდში;

გ) ანგარიშის შედგენის თარიღიდან 5-დან 15 წლამდე პერიოდში ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების პერსპექტივას;

დ) მომდევნო 5 ან 5-ზე მეტი წლის პერიოდში ურთიერთდამაკავშირებლების სიმძლავრესთან მიმართებით გადამცემი სისტემის ოპერატორის ან სხვა ისეთი პირის საინვესტიციო გეგმებს, რომლის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია.

4. ელექტროენერგიის მიწოდების უსაფრთხოების ერთიანი ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეეხება ურთიერთდამაკავშირებლებთან დაკავშირებულ საინვესტიციო გეგმებს, უნდა ითვალისწინებდეს:

ა) ამ კანონის 63-ე მუხლით გათვალისწინებულ ელექტროენერგიის გადამცემ ქსელში გადატვირთვის მართვის პრინციპებს;

ბ) ელექტროენერგიის არსებულ და პერსპექტიულ გადამცემ ხაზებს;

გ) ელექტროენერგიის წარმოების, მიწოდების, ტრანსსასაზღვრო გადადინებისა და მოხმარების, აგრეთვე ელექტროენერგიით ვაჭრობის მოსალოდნელ სცენარებს, რაც უზრუნველყოფს ენერგოეფექტურობასა და მოთხოვნის მართვასთან დაკავშირებული სათანადო ღონისძიებების განხორციელებას;

დ) რეგიონული, ეროვნული და ევროპული მასშტაბებით არსებულ მდგრადი განვითარების ამოცანებს, მათ შორის, ენერგეტიკული გაერთიანების პრიორიტეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

5. სამინისტრო ამ მუხლით გათვალისწინებული ზედამხედველობისა და ანგარიშგების ფუნქციების შესასრულებლად მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან და გადამცემი სისტემის ოპერატორთან. ამ მიზნით:

ა) სამინისტროს მის მიერ წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადაეცემა კომისიის მიერ მარეგულირებელი უფლებამოსილების განხორციელებისას მოპოვებული ყველა მონაცემი და ინფორმაცია, აგრეთვე კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ხელთ არსებული ყველა საჭირო ინფორმაცია ამ კანონის 151-ე მუხლის შესაბამისად კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის შესახებ მითითებით;

ბ) გადამცემი სისტემის ოპერატორი სამინისტროს აწვდის ინფორმაციას ურთიერთდამაკავშირებლების სიმძლავრესთან დაკავშირებით მისი ან სხვა ისეთი პირის საინვესტიციო გეგმების თაობაზე, რომლის შესახებ ინფორმაცია მისთვის ცნობილი გახდა;

გ) გადამცემი სისტემის ოპერატორი სამინისტროს აწვდის ინფორმაციას ელექტროენერგიის შიდა გადამცემი ხაზების მშენებლობასთან დაკავშირებული ისეთი

ინვესტიციების შესახებ, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ურთიერთდამაკავშირებლების სიმძლავრის ხელმისაწვდომობაზე;

დ) გადამცემი სისტემის ოპერატორი სათანადო შემთხვევაში კონსულტაციებს მართავს მეზობელი ან/და სხვა შესაბამისი ქვეყნების გადამცემი სისტემების ოპერატორებთან და სამინისტროს აწვდის ინფორმაციას განხორციელებული ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ.

6. ამ მუხლით განსაზღვრული ზედამხედველობისა და ანგარიშგების ფუნქციების შესრულებისას სამინისტრო უზრუნველყოფს კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვას ამ კანონის 151-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

თავი XXXIV. ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოება

მუხლი 139. ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების ზომები

1. სამინისტრო კომისიასთან და სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით, ამ კანონის 132-ე მუხლის შესაბამისად შეიმუშავებს ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების ნორმებს და ამ კანონის 143-ე მუხლის შესაბამისად ახორციელებს ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების ზედამხედველობას. ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების ნორმები სხვა საკითხებთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს:

ა) დაცული მომხმარებლების იდენტიფიკაციას;

ბ) ბუნებრივი გაზის საწარმოს მიერ გამოყენებულ ინსტრუმენტებსა და განხორციელებულ ღონისძიებებს დაცული მომხმარებლისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების უზრუნველსაყოფად სულ მცირე შემდეგ შემთხვევებში:

ბ.ა) 7-დღიან პიკურ პერიოდში არსებული უკიდურესი ტემპერატურის შემთხვევაში, რომელიც, სტატისტიკური ალბათობის მიხედვით, ყოველ 20 წელიწადში ერთხელ ვლინდება;

ბ.ბ) არანაკლებ 30-დღიან პერიოდში ბუნებრივ გაზზე განსაკუთრებულად მაღალი მოთხოვნის შემთხვევაში, რომელიც, სტატისტიკური ალბათობის მიხედვით, ყოველ 20 წელიწადში ერთხელ ვლინდება;

ბ.გ) ზამთრის ჩვეულებრივ პირობებში არანაკლებ 30-დღიანი პერიოდის განმავლობაში გაზის ყველაზე მსხვილი ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბუნებრივი გაზის საწარმოების იდენტიფიკაციას;

დ) ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი რისკის მატარებელი სხვადასხვა ჯგუფის იდენტიფიკაციას (რისკის შეფასებას);

ე) ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოვლენილი რისკების შემცირების ღონისძიებებს, მათ შორის, ბუნებრივი გაზის მიწოდების შეფერხების სავარაუდო სცენარების მოდელირებას, ბუნებრივ გაზზე განსაკუთრებულად დიდი მოთხოვნისას, ძირითადი ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის ან ბუნებრივი გაზის მიწოდების საშუალების/წყაროს გაუქმების შემთხვევებისთვის;

ვ) ბუნებრივი გაზის საწარმოს მიერ ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების შესახებ შემუშავებული ანგარიშის შინაარსს;

ზ) ბუნებრივი გაზის საწარმოებისთვის და სხვა შესაბამისი ორგანოებისთვის დაკისრებულ ვალდებულებებს, ბუნებრივი გაზის სისტემის უსაფრთხო ოპერირებასთან დაკავშირებული ვალდებულებების ჩათვლით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე მიღებული ყველა ზომა უნდა იყოს არადისკრიმინაციული და ბუნებრივი გაზის ბაზარზე არსებულ კონკურენციას და ფასებთან დაკავშირებულ სიგნალებს არ უნდა ზღუდავდეს იმაზე მეტად, ვიდრე აუცილებელია. ამასთანავე, აღნიშნული ზომები ბუნებრივი გაზის ბაზრის მონაწილეებს, მათ შორის, ახალ მონაწილეებსა და მცირე საბაზრო წილის მქონე საწარმოებს, არაგონივრულ ტვირთს არ უნდა აკისრებდეს. ასეთი ზომების მიღება უნდა დასაბუთდეს საბოლოო მომხმარებლებზე მათი ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენისა და ბუნებრივი გაზის ფასზე მათი შესაძლო ზემოქმედების გათვალისწინებით.

3. ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნები, რომლებიც ვრცელდება ბუნებრივი გაზის მოწყობილობებსა და მათთან დაკავშირებულ დანადგარებზე, აგრეთვე ასეთი მოწყობილობა-დანადგარების ტექნიკური შემოწმების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ ამ კანონის 97-ე მუხლის შესაბამისად მიღებული ტექნიკური წესებით.

მუხლი 140. ბუნებრივი გაზის სექტორში საგანგებო მდგომარეობის მართვის ეროვნული გეგმა

1. სამინისტრო ბუნებრივი გაზის საწარმოებთან, ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო და ინდუსტრიული მომხმარებლების ინტერესების დამცველ ორგანიზაციებთან და კომისიასთან კონსულტაციებით, ამ კანონის 139-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების შეზღუდვის გარეშე შეიმუშავებს ბუნებრივი გაზის სექტორში საგანგებო მდგომარეობის მართვის ეროვნულ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს ბუნებრივი გაზის მიწოდების შეფერხების შედეგების შერბილების ან აღმოფხვრის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

2. ბუნებრივი გაზის სექტორში საგანგებო მდგომარეობის მართვის ეროვნული გეგმა:

ა) განსაზღვრავს კრიზისული მდგომარეობის დონეებს;

ბ) განსაზღვრავს ბუნებრივი გაზის საწარმოებისა და ბუნებრივი გაზის ინდუსტრიული მომხმარებლების, მათ შორის, შესაბამისი ელექტროენერგიის მწარმოებლების, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, ბუნებრივი გაზის შეწყვეტის შედეგად მათზე განხორციელებული ზემოქმედების სხვადასხვა ხარისხის გათვალისწინებით, აგრეთვე კრიზისული მდგომარეობის თითოეულ დონეზე ზემოაღნიშნული პირების სამინისტროსთან ურთიერთობის ფორმებს;

გ) განსაზღვრავს კრიზისული მდგომარეობის თითოეული დონისათვის სამინისტროსა და იმ ორგანოების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებზედაც განხორციელდა უფლებამოსილების დელეგირება;

დ) უზრუნველყოფს, რომ ბუნებრივი გაზის საწარმოებსა და ინდუსტრიულ მომხმარებლებს კრიზისული მდგომარეობის თითოეულ დონესთან მიმართებით რეაგირების მოხდენის ჯეროვანი შესაძლებლობა ჰქონდეთ;

ე) განსაზღვრავს საჭიროების შემთხვევაში იმ ღონისძიებებსა და მოქმედებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტის შესაძლო გავლენის შერბილების მიზნით, ცენტრალური გათბობის მიზნებისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე და ბუნებრივი გაზის მეშვეობით ელექტროენერგიის წარმოებაზე;

ვ) განსაზღვრავს კრიზისული მდგომარეობის თითოეულ დონეზე განსახორციელებელ დეტალურ პროცედურასა და ღონისძიებებს, მათ შორის, ინფორმაციის გაცვლის შესაბამის სქემებს;

ზ) განსაზღვრავს კრიზისული მდგომარეობის მმართველ პირს ან პირთა ჯგუფს და მათ როლს კრიზისის მართვის პროცესში;

თ) განსაზღვრავს საბაზრო მექანიზმების როლს განსაზღვრული დონის საგანგებო მდგომარეობის მართვის პროცესში;

ი) განსაზღვრავს დაგეგმილი ან საგანგებო მდგომარეობის დროს განსახორციელებელი არასაბაზრო მექანიზმების როლსა და მათი განხორციელების პროცედურას, აგრეთვე აფასებს კრიზისის დასაძლევად მათი გამოყენების აუცილებელ მასშტაბებსა და შესაბამის ზეგავლენას. არასაბაზრო მექანიზმების გამოყენება საგანგებო მდგომარეობის სამართავად დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბაზრო მექანიზმების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზის მოხმარებლისთვის, მათ შორის, დაცული მომხმარებლებისთვის, მიწოდებას;

კ) განსაზღვრავს ენერგეტიკული გაერთიანების სხვა მხარეებთან კრიზისული მდგომარეობის თითოეულ დონესთან დაკავშირებით თანამშრომლობის მექანიზმებს;

ლ) განსაზღვრავს ბუნებრივი გაზის საწარმოს ანგარიშგების ვალდებულებას განგაშის გამოცხადებისა და საგანგებო მდგომარეობის ეტაპებზე;

მ) განსაზღვრავს საგანგებო მდგომარეობის დროს ბუნებრივი გაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი მოქმედებების ჩამონათვალს, რომელიც მოიცავს ამ მოქმედებების მონაწილე მხარეთა შორის კომერციული ხელშეკრულებების დადებას და ბუნებრივი გაზის საწარმოებისათვის კომპენსაციის გადახდას კომერციული საიდუმლოების შემცველი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვით. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა მოქმედებებმა შესაძლოა ასევე მოიცვას ტრანსსასაზღვრო შეთანხმებები ენერგეტიკული გაერთიანების მხარეებს ან/და ბუნებრივი გაზის საწარმოებს შორის.

მუხლი 141. საგანგებო მდგომარეობა ბუნებრივი გაზის სექტორში

1. ბუნებრივი გაზის სექტორში საგანგებო მდგომარეობა შეიძლება გამოცხადდეს ბუნებრივი გაზის ბაზარზე მოულოდნელი კრიზისის შემთხვევაში, თუ ბუნებრივი გაზის წარმოება, გადაცემა, განაწილება, მიწოდება ან/და ყიდვა-გაყიდვა ფერხდება მოულოდნელი გარემოებების ან შესაბამისი ბუნებრივი გაზის საწარმოს კონტროლის მიღმა არსებული გარემოებების გამო, რომლებითაც საფრთხე ექმნება ბუნებრივი გაზის სისტემის ერთიან უსაფრთხოებასა და საიმედოობას ან საბოლოო მომხმარებლების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მათთვის ბუნებრივი გაზის მიწოდებას ან/და ადამიანის, მოწყობილობა-დანადგარების ან სისტემის ერთიანობის უსაფრთხოებას.

2. ბუნებრივი გაზის სექტორში საგანგებო მდგომარეობა ცხადდება საქართველოს მთავრობის ან მის მიერ განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილებით. ბუნებრივი გაზის სექტორში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

3. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია სამინისტროს წინადადების საფუძველზე, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებაზე და ბუნებრივი გაზის სექტორში საგანგებო მდგომარეობის მართვის ეროვნული გეგმით განსაზღვრულ მოქმედებებზე დაყრდნობით მიიღოს სათანადო უსაფრთხოების ზომები საგანგებო მდგომარეობის აღმოსაფხვრელად.

4. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს, რომ:

ა) მიღებული უსაფრთხოების ზომები გაუმართლებლად არ ზღუდავდეს ბუნებრივი გაზის ნაკადებს ბუნებრივი გაზის შიდა ბაზარზე;

ბ) მიღებული უსაფრთხოების ზომები მნიშვნელოვან საფრთხეს არ უქმნიდეს გაზის მიწოდებას ენერგეტიკული გაერთიანების სხვა მხარის ტერიტორიაზე;

გ) განხორციელდეს ინფრასტრუქტურაზე ტრანსსასაზღვრო დაშვება, თუ აღნიშნული ტექნიკურად და უსაფრთხოდ შესაძლებელია, ბუნებრივი გაზის სექტორში საგანგებო მდგომარეობის მართვის ეროვნული გეგმის შესაბამისად.

5. ბუნებრივი გაზის სექტორში საგანგებო მდგომარეობის დროს ნებისმიერი უსაფრთხოების ზომის მიღება უნდა განხორციელდეს კომისიასთან, გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორებთან, ენერგეტიკული გაერთიანების ხელშემკვრელი მხარეების ან/და სხვა შესაბამისი ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებთან და ოპერატორებთან კონსულტაციებითა და მჭიდრო კოორდინაციით.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომები უნდა განხორციელდეს შეზღუდული დროით, ბუნებრივი გაზის ბაზრის ფუნქციონირებაში მინიმალური ჩარევით და იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია ადამიანების, ბუნებრივი გაზის მოწყობილობების ან/და დანადგარების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხის აღმოსაფხვრელად.

7. ბუნებრივი გაზის სექტორში საგანგებო მდგომარეობის დროს განხორციელებული უსაფრთხოების ზომების თაობაზე საქართველოს მთავრობა დაუყოვნებლივ აცნობებს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს და წარუდგენს ყველა საჭირო ინფორმაციას.

8. თუ ბუნებრივი გაზის სექტორში არსებული საგანგებო მდგომარეობის ადეკვატურად მართვა ეროვნულ დონეზე ხელმისაწვდომი ზომების გამოყენებით შეუძლებელია, საქართველოს მთავრობა მიმართავს ენერგეტიკული გაერთიანების მიწოდების უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელიც საკითხის შესწავლისა და საჭიროების შემთხვევაში საქართველოსთვის ან ენერგეტიკული გაერთიანების სხვა ხელშემკვრელი მხარისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით დაუყოვნებლივ იწვევს მიწოდების უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფის სპეციალურ სხდომას, რათა ზემოაღნიშნულმა მხარეებმა შეძლონ ბუნებრივი გაზის სექტორში არსებული საგანგებო მდგომარეობის აღმოფხვრა ეროვნულ დონეზე მიღებული ზომების კოორდინირებით.

9. ამ მუხლის გამოყენება არ ზღუდავს „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საგანგებო მდგომარეობის მართვის ზოგადი წესების მოქმედებას იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება ბუნებრივი გაზის სექტორში საგანგებო მდგომარეობის მართვის სპეციალური მოთხოვნების ჯეროვანი შესრულება ამ მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 142. ბუნებრივი გაზის მიწოდების შეზღუდვა

1. საბოლოო მომხმარებლისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდება შესაძლოა დროებით შეწყდეს მხოლოდ საჯარო ინტერესის დაცვის აუცილებლობით გამოწვეულ შემთხვევაში, მათ შორის, ამ კანონის 141-ე მუხლის შესაბამისად, ბუნებრივი გაზის სექტორში საგანგებო

მდგომარეობის არსებობით ან ქსელის მოვლა-პატრონობასთან ანდა ახალი მომხმარებლის ქსელთან მიერთებასთან დაკავშირებული ტექნიკური საჭიროებით.

2. ბუნებრივი გაზის მიწოდება შეიძლება შეწყდეს ან შეიზღუდოს მომხმარებლისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ბუნებრივი გაზის სისტემაში ავარიული შემთხვევების, მათ შორის, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების, თავიდან ასაცილებლად ან აღმოსაფხვრელად. ასეთი შემთხვევებში მომხმარებლებს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ბუნებრივი გაზის შეწყვეტის ან შეზღუდვის თაობაზე, ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე მათი გავლენისა და სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ.

3. ბუნებრივი გაზის მიწოდების შეზღუდვა, რომელიც ბუნებრივი გაზის გადამცემი ან/და გამანაწილებელი ქსელების დაგეგმილი სარემონტო სამუშაოებით არის გამოწვეული, ხორციელდება წინასწარ გამოქვეყნებული გრაფიკის შესაბამისად. მომხმარებელს ასეთი შეზღუდვის შესახებ უნდა ეცნობოს ინდივიდუალურად, სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ვადების დაცვით.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების დებულებათა შეზღუდვის გარეშე, გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორებმა შესაძლოა ბუნებრივი გაზის მიწოდება შეუწყვიტონ მომხმარებელს, რომელიც იწვევს ქსელის მუშაობის შეფერხებას ან/და ბუნებრივი გაზის მიწოდების ხარისხის გაუარესებას, თუ შესაბამისი მომხმარებელი სისტემის ოპერატორის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში არ აღმოფხვრის დარღვევას, რომელმაც შესაძლოა ბუნებრივი გაზის სისტემაში გამოიწვიოს ავარია ან იქონიოს სხვა სახის უარყოფითი გავლენა ბუნებრივი გაზის სისტემის უსაფრთხოებასა და საიმედოობაზე.

5. გადამცემი და გამანაწილებელი სისტემების ოპერატორებს უფლება აქვთ, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წინასწარი წერილობითი შეტყობინების შემდეგ ბუნებრივი გაზის მიწოდება შეუწყვიტონ მომხმარებელს, რომელიც საშუალებას არ აძლევს სისტემის ოპერატორის უფლებამოსილ წარმომადგენელს, შევიდეს მის კუთვნილ ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის აღრიცხვის მოწყობილობის დასამონტაჟებლად, შესაკეთებლად ან შესამოწმებლად.

6. ბუნებრივი გაზის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელებით ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტის პროცედურა განისაზღვრება ბუნებრივი გაზის გადამცემი და გამანაწილებელი ქსელების წესებით.

7. ამ მუხლით დადგენილი პირობები არ ზღუდავს ამ კანონის 113-ე მუხლის შესაბამისადშესაბამისი საბოლოო მომხმარებლის მიერ ბუნებრივი გაზის გადაცემასთან, განაწილებასთან ან მიწოდებასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო საბოლოო მომხმარებლისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების შეწყვეტის უფლებას.

მუხლი 143. ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების ზედამხედველობა

1. საქართველოში ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოებას ზედამხედველობს სამინისტრო, კომისიასთან და შესაბამის შემთხვევებში სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან და ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორთან თანამშრომლობით. ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების ზედამხედველობა ხორციელდება შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

ა) ამ კანონის 139-ე მუხლით გათვალისწინებული ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების სტანდარტების სათანადო შესრულება, მათ შორის, ამ მიზნით მიღებული ზომები და გამოყენებული ინსტრუმენტები;

ბ) ბუნებრივი გაზის ბაზარზე არსებულ მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ბალანსის შენარჩუნება;

გ) მესამე ქვეყნებიდან ბუნებრივი გაზის იმპორტის ახალი, გრძელვადიანი ხელშეკრულებების ფარგლები;

დ) ბუნებრივი გაზის მარაგების სათანადო ლიკვიდურობა;

ე) ბუნებრივი გაზის საცავში ბუნებრივი გაზის რესურსი და ამოღების სიმძლავრე;

ვ) საქართველოს ბუნებრივი გაზის სისტემისა და იმ მეზობელი ქვეყნების სისტემების ურთიერთდაკავშირების დონე, რომლებიც ენერგეტიკული გაერთიანების მხარეები არიან;

ზ) ბუნებრივ გაზზე მოთხოვნის საპროგნოზო დონე და ხელმისაწვდომი წყაროები, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების საპროგნოზო მდგომარეობა, მოთხოვნის, მიწოდების ავტონომიისა და მიწოდების ხელმისაწვდომი წყაროების არსებობის გათვალისწინებით;

თ) დაგეგმილი ან მშენებარე დამატებითი სიმძლავრე;

ი) ბუნებრივი გაზის სისტემის მდგომარეობა;

კ) პიკური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად განსახორციელებელი ღონიძიებები და ერთი ან ერთზე მეტი მიმწოდებლისთვის ბუნებრივი გაზის დანაკლისის აღმოფხვრა.

2. სამინისტრო ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, 31 ივლისამდე აქვეყნებს ქვეყანაში ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების ერთიან ანგარიშს, რომელიც მოიცავს სამინისტროს, კომისიის და შესაბამის შემთხვევებში სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისა და გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ შეგროვებულ ინფორმაციას. ანგარიშში უნდა აისახოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით განხორციელებული ზედამხედველობის შედეგები და მიღებული ან

მისაღები ზომები. სამინისტროს მიერ მომზადებული ანგარიში დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიში სხვა საკითხებთან ერთად უნდა ასახავდეს:

ა) ამ კანონის 141-ე მუხლის შესაბამისად მიღებული ზომების კონკურენტულ ეფექტს ბუნებრივი გაზის ბაზრის მონაწილეებზე;

ბ) ბუნებრივი გაზის საცავის სიმძლავრის დონეებს;

გ) საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების მიერ დადებული ბუნებრივი გაზის მიწოდების გრძელვადიანი (10 წელზე მეტი ვადის) ხელშეკრულებების ფარგლებს, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების დარჩენილ ვადას, კომპანიების მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად და კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვით, აგრეთვე ბუნებრივი გაზის ბაზრის ლიკვიდურობის ხარისხს;

დ) ბუნებრივი გაზის მოპოვებაში, წარმოებაში, ტრანსპორტირებასა და შენახვაში ახალი ინვესტიციების განხორციელების წამახალისებელ მარეგულირებელ ჩარჩოს.

4. სამინისტრო ამ მუხლით გათვალისწინებული ზედამხედველობისა და ანგარიშგების ფუნქციების შესრულების მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან და გადამცემი სისტემის ოპერატორთან. ამ მიზნით:

ა) სამინისტროს მის მიერ წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადაეცემა კომისიის მიერ მარეგულირებელი უფლებამოსილების განხორციელებისას მოპოვებული ყველა მონაცემი და ინფორმაცია, აგრეთვე სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ხელთ არსებული ყველა საჭირო ინფორმაცია ამ კანონის 151-ე მუხლის შესაბამისად კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვის შესახებ მითითებით;

ბ) გადამცემი სისტემის ოპერატორი სამინისტროს აწვდის ინფორმაციას ურთიერთდამაკავშირებლების სიმძლავრესთან დაკავშირებით მისი ან სხვა ისეთი პირის საინვესტიციო გეგმების თაობაზე, რომლის შესახებ ინფორმაცია მისთვის ცნობილი გახდა;

გ) გადამცემი სისტემის ოპერატორი სამინისტროს აწვდის ინფორმაციას ბუნებრივი გაზის შიდა გადამცემი მილსადენების მშენებლობასთან დაკავშირებული ისეთი ინვესტიციების შესახებ, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ურთიერთდამაკავშირებლების სიმძლავრის ხელმისაწვდომობაზე;

დ) გადამცემი სისტემის ოპერატორი სათანადო შემთხვევებში კონსულტაციებს მართავს მეზობელი ან/და სხვა შესაბამისი ქვეყნების გადამცემი სისტემების ოპერატორებთან და სამინისტროს აწვდის ინფორმაციას განხორციელებული ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამინისტროს ანგარიში წარედგინება საქართველოს მთავრობასა და ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს და ქვეყნდება სამინისტროს ვებგვერდზე.

კარი XIV. წყალმომარაგება

თავი XXXV. წყალმომარაგების ორგანიზება და რეგულირება

მუხლი 144. წყალმომარაგების საქმიანობა

წყალმომარაგების ლიცენზიატი საქმიანობას ახორციელებს წყალმომარაგების საქმიანობის ლიცენზიის საფუძველზე, ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 145. წყალმომარაგების ლიცენზიატის უფლებები და მოვალეობები

1. წყალმომარაგების ლიცენზიატს უფლება აქვს, ამ კანონით, სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებით და კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებებით განსაზღვრული წესით სრულად ისარგებლოს წყალმომარაგების საქმიანობის ლიცენზიიდან გამომდინარე მისთვის მინიჭებული უფლებებით. წყალმომარაგების ლიცენზიატი ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები და მოვალეობები.

2. წყალმომარაგების ლიცენზიატი ვალდებულია:

ა) მომსახურება განახორციელოს ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;

ბ) განახორციელოს სასმელი წყლის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია, სასმელი წყლის მიწოდება ან/და წყალარინება;

გ) სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისი ხარისხის სასმელი წყლის მიწოდება;

დ) უზრუნველყოს სასმელი წყლის ხარისხის მუდმივი კონტროლი;

ე) უზრუნველყოს წყლის ობიექტების სათანადო დაცვა და არ დაუშვას გარეშე პირების მიერ სასმელი წყლის წყალმომარაგების სისტემაზე რაიმე ზემოქმედება ან/და სასმელი წყლის დაბინძურება;

ვ) წყალარინების სისტემების მეშვეობით უზრუნველყოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების დამაბინძურებელ ნივთიერებათა დამუშავება საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად;

ზ) დაამუშაოს განსაკუთრებულ ღონისძიებათა გეგმები საგანგებო მდგომარეობისას ასამოქმედებლად, აგრეთვე აწარმოოს შესაბამისი მოლაპარაკებები და შეთანხმებები სხვა პირებთან ასეთ შემთხვევებში სასმელი წყლის მიწოდების თაობაზე;

თ) საგანგებო პერიოდებში უზრუნველყოს სასმელი წყლის გამოყოფილი ლიმიტების, დადგენილი რეჟიმების დაცვა, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტების უპირატესი მომარაგება მათ მიერ წყალმომარაგების საფასურის გადახდის პირობით;

ი) წყლის გრაფიკით მიწოდების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მიაწოდოს ინფორმაცია წყალმომარაგების გრაფიკის შესახებ;

კ) წყალმომარაგების სხვა ლიცენზიატს თავის ქსელში გაუტაროს სასმელი წყალი კომისიის მიერ დადგენილი საფასურის სანაცვლოდ;

ლ) უზრუნველყოს საზოგადოებისთვის შემდეგი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა:

ლ.ა) წყალმომარაგების დამტკიცებული ტარიფები;

ლ.ბ) წყალმომარაგების მომსახურების დამტკიცებული პირობები;

მ) შეიმუშაოს და კომისიასა და საზოგადოებას წარუდგინოს საინვესტიციო პროგრამა და მომდევნო წლის სამუშაო გეგმა, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ნ) დროულად გადაიხადოს კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასური.

3. წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ამ კანონის XXXVIII თავითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მუხლი 146. წყალმომარაგების ტარიფის დადგენის პრინციპები

1. კომისია წყალმომარაგების ტარიფს ადგენს ამ კანონით განსაზღვრული ტარიფის დადგენის პრინციპების შესაბამისად.

2. წყალმომარაგების ტარიფის დადგენისას კომისია უფლებამოსილია სასმელი წყლის მიწოდებისა და წყალარინების ტარიფები დაადგინოს ცალ-ცალკე.

კარი XV. გამჭვირვალობა და ინფორმაციის წარდგენა

თავი XXXVI. ანგარიშების განცალკევება და მათზე წვდომა

მუხლი 147. ენერგეტიკული საწარმოს ანგარიშებზე წვდომა

1. კომისიისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისათვის, თავიანთი საქმიანობებიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომია ენერგეტიკული საწარმოს ანგარიშები.

2. კომისია და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება დაიშვება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 148. წლიური ანგარიში. ანგარიშების განცალკევება

1. ენერგეტიკული საწარმო, მიუხედავად მისი მესაკუთრეობისა ან სამართლებრივი ფორმისა, ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოამზადოს, აუდიტორს დასამოწმებლად წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ფინანსური ანგარიში.

2. ენერგეტიკულმა საწარმომ, რომელსაც არ აქვს წლიური ფინანსური ანგარიშის გამოქვეყნების კანონით დადგენილი ვალდებულება, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშის ასლის შენახვა სათავო ოფისში და მოთხოვნის შემთხვევაში მისი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის მიწოდება.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორი და შესაბამის შემთხვევაში გადამცემი სისტემის მესაკუთრე დისკრიმინაციის, ჯვარედინი სუბსიდირებისა და კონკურენციის შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად ვალდებული არიან შიდა საბუღალტრო აღრიცხვისას გადაცემასთან დაკავშირებული საქმიანობისთვის იქონიონ განცალკევებული ანგარიშები. ანგარიშში აღინიშნება გადამცემი სისტემის საკუთრების შედეგად მიღებული შემოსავალი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შეუზღუდავად ყველა ენერგეტიკული საწარმო ვალდებულია ენერგეტიკული და შესაბამის შემთხვევებში არაენერგეტიკული საქმიანობისთვის იქონიოს განცალკევებული ანგარიშები. დასაშვებია აღნიშნული ანგარიშების კონსოლიდაცია.

5. ენერგეტიკული საწარმოს შიდა ანგარიშები თითოეული საქმიანობისთვის უნდა მოიცავდეს განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშს.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აუდიტორი სხვა საკითხებთან ერთად ამოწმებს დისკრიმინაციისა და ჯვარედინი სუბსიდირების დაუშვებლობის შესახებ ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების შესრულებას.

7. ამ მუხლის მოქმედება შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინებით ასევე ვრცელდება სხვა რეგულირებულ საწარმოებზე, მათ შორის, წყალმომარაგების ლიცენზიატზე.

მუხლი 149. ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი სისტემა

1. ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი სისტემა არის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა, რომელიც მოიცავს:

ა) ანგარიშთა გეგმას;

ბ) ანგარიშთა გეგმის გამოყენებისა და აღრიცხვის წარმოების ინსტრუქციებს;

გ) რეგულირების მიზნებისათვის წარსადგენი პერიოდული ანგარიშების ფორმასა და შინაარსს;

დ) ანგარიშგების პერიოდულობას;

ე) პირის მიერ ერთზე მეტი სალიცენზიო საქმიანობის ან/და სალიცენზიო საქმიანობასთან ერთად სხვა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში შემოსავლების, ხარჯების, აქტივების, ვალდებულებების, ფინანსური შედეგებისა და საკუთარი კაპიტალის ბუღალტრული აღრიცხვის განცალკევებულად წარმოების წესებს.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი სისტემის წარმოება სავალდებულოა გადაცემის ლიცენზიატისა და იმ განაწილებისა და წყალმომარაგების ლიცენზიატისთვის, რომელსაც არანაკლებ 50 000 მომხმარებელი ჰყავს.

3. (ამოღებულია - 22.12.2021, №1198).

4. ბუღალტრული აღრიცხვის ერთიან სისტემას ამტკიცებს კომისია.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

თავი XXXVII. ინფორმაციის წარდგენა და კონფიდენციალურობა

მუხლი 150. ინფორმაციის წარდგენა

1. საქართველოს მთავრობას, სამინისტროს, კომისიასა და სხვა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს, თავიანთი საქმიანობებიდან გამომდინარე, უფლება აქვთ, შესაბამისი უწყებებისგან და რეგულირებული საწარმოებისგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვონ მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მონაცემი და ინფორმაცია.

2. კომისიას უფლება აქვს, სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისგან და რეგულირებული საწარმოებისგან მოითხოვოს ამ კანონით განსაზღვრულ საქმიანობებზე ზედამხედველობის განხორციელებისთვის საჭირო ნებისმიერი მონაცემი და ინფორმაცია, მათ შორის, ენერგეტიკული გაერთიანების ორგანოებისგან ან/და ენერგეტიკული გაერთიანების მხარეებისგან ან მესამე ქვეყნებისგან მიღებული მონაცემები და ინფორმაცია.

3. რეგულირებული საწარმო ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მონაცემებსა და ინფორმაციას წარადგენს საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის მიერ დამტკიცებული ინფორმაციის წარდგენის წესების, შესაბამისად.

მუხლი 151. კონფიდენციალურობის დაცვა

1. საქართველოს მთავრობა, სამინისტრო, კომისია და სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან დაიცვან შესაბამისი უწყებებისა და რეგულირებული საწარმოების მიერ წარდგენილი კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის კონფიდენციალურობა და მიღებული მონაცემები და ინფორმაცია გამოიყენონ მხოლოდ ინფორმაციის მოთხოვნაში მითითებული მიზნით. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დაიშვება კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. ამ კანონის 147-ე მუხლისა და ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით არსებული სამართლებრივი ვალდებულებების შეზღუდვის გარეშე სისტემისა და ბაზრის ოპერატორები ვალდებული არიან დაიცვან იმ კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას. სისტემისა და ბაზრის ოპერატორები აგრეთვე ვალდებული არიან არ დაუშვან მათი საქმიანობის შესახებ ისეთი ინფორმაციის დისკრიმინაციული გზით გამჟღავნება, რომელმაც შესაძლოა წარმოშვას კომერციული სარგებელი. ასეთი ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით ან თუ აღნიშნული ცალსახად აუცილებელია სამეწარმეო ოპერაციის განსახორციელებლად.

3. ინფორმაციასთან დაკავშირებული წესების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად გადამცემი სისტემის მესაკუთრემ და ინტეგრირებული საწარმოს შემადგენელმა სხვა სტრუქტურებმა არ უნდა ისარგებლონ საერთო მომსახურებით, მათ შორის, საერთო იურიდიული მომსახურებით, გარდა წმინდა ადმინისტრაციული ან საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მომსახურებისა.

4. სისტემის ოპერატორმა მესამე პირების სისტემაზე დაშვებისას ან ასეთი დაშვების მოპოვების მიზნით მოლაპარაკების წარმოებისას მიღებული, კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია არ უნდა გამოიყენოს ბოროტად, მასთან დაკავშირებული საწარმოების მიერ ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის ყიდვა-გაყიდვის მიზნით.

5. კონკურენციისა და ენერგეტიკული ბაზრების ფუნქციონირების ეფექტიანობისთვის საჭირო ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

კარი XVI. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა

თავი XXXVIII. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

მუხლი 152. რეგულირებული საწარმოს პასუხისმგებლობა

1. რეგულირებული საწარმო პასუხისმგებელია თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით საკუთარი ფუნქციებისა და ამოცანების ჯეროვნად შესრულებისათვის ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად.

2. რეგულირებულ საწარმოს ან სხვა შესაბამის პირს შესაძლოა ამ კანონით ან საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტით დადგენილი წესით დაეკისროს პასუხისმგებლობა საკუთარი მოვალეობების დარღვევისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის.

მუხლი 153. საჯარიმო სანქციები

1. კომისია უფლებამოსილია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონითა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, დადგენილი წესით დააკისროს პასუხისმგებლობა ამ კანონის ან კომისიის სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა დარღვევისათვის.

2. კომისია საქმიანობის განცალკევებასთან ან/და გადამცემი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია გადამცემი სისტემის ოპერატორი ან ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმო წერილობით გააფრთხილოს ან დააკისროს მას ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისად გადამცემი სისტემის ოპერატორის ან ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოს წინა წლის წლიური ბრუნვის 10%-ს.

2^1. ენერგეტიკული ბაზრის მონიტორინგის წესებით განსაზღვრული ბაზარზე მანიპულაციის, ბაზარზე მანიპულაციის მცდელობის ან/და შიდა ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია რეგულირებულ საწარმოს დააკისროს ჯარიმა. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული საწარმოს წინა წლის წლიური ბრუნვის 6%-ს.

3. კომისია უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის თითოეულ შემთხვევაში რეგულირებული საწარმო წერილობით გააფრთხილოს ან მას დააკისროს 5 000-დან 75 000 ლარამდე ჯარიმა, თუ რეგულირებული საწარმო:

ა) ანგარიშების განცალკევებისა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გარეშე ახორციელებს რამდენიმე ეკონომიკურ საქმიანობას, რომელთა შორის ერთი ან ერთზე მეტი ენერგეტიკული საქმიანობაა;

ბ) არ წარუდგენს მას საქმიანობის ანგარიშს;

გ) კომისიას, სისტემის ან/და ბაზრის ოპერატორს არ აწვდის მათ მიერ მოთხოვნილ მონაცემებსა და ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია მის, როგორც რეგულირებული

საწარმოს, საქმიანობასთან ან/და საჭიროა მათ მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ფუნქციების შესასრულებლად;

დ) საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით უარს აცხადებს მისი ოპერირებისადმი დაქვემდებარებულ სისტემაზე დაშვებაზე;

ე) არღვევს სალიცენზიო პირობებს;

ვ) არ ასრულებს კომისიის მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე წარდგენილ მოთხოვნებს;

ზ) არღვევს ამ კანონითა და კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს.

4. კომისია უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით დააკისროს სანქცია პირს, რომელიც ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას ლიცენზიის ან შესაბამის შემთხვევაში სერტიფიცირების თაობაზე საბოლოო დადებითი გადაწყვეტილების გარეშე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, ან თუ იგი ამ კანონის შესაბამისად არ ატყობინებს კომისიას საქმიანობის დაწყების შესახებ.

5. კომისია უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ჯარიმასთან ერთად რეგულირებული საწარმოს მიმართ გამოიყენოს ენერგეტიკული და პროფესიული საქმიანობის განხორციელების 1 წლამდე ვადით აკრძალვა.

6. კომისიის მიერ დაკისრებული ჯარიმა შესაბამის დასაბუთებასთან ერთად აღინიშნება კომისიის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით მიღებულ გადაწყვეტილებაში.

7. დარღვევის აღმოუფხვრელობის ან 1 წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია რეგულირებულ საწარმოს დააკისროს გაორმაგებული ჯარიმა.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 154. სანქციის დაკისრება

1. ამ კანონის 153-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციების დაკისრების წესს ამ მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ადგენს კომისია.

2. რეგულირებული საწარმოსთვის ან სხვა პირისთვის სანქციის დაკისრებისას კომისია ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს:

ა) მართლსაწინააღმდეგო ქცევის სიმძიმე და განგრძობადობა;

ბ) მართლსაწინააღმდეგო ქცევის შედეგად დამდგარი შედეგები;

გ) შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები.

3. რეგულირებული საწარმოს ან სხვა შესაბამისი პირის აქტიური მოქმედება, რომელიც მიმართულია სამართალდარღვევის უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე შემცირებისკენ, სამართალდარღვევის დაუყოვნებელი შეწყვეტისა და კომისიის მიერ წარმოებული გამოძიების ხელშეწყობისკენ, ჩაითვლება შემამსუბუქებელ გარემოებად.

4. რეგულირებული საწარმოს ან სხვა შესაბამისი პირის ქმედება, რომელიც მიმართულია კომისიის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიების შეფერხებისკენ ასეთი დარღვევის ან მისი შედეგების დაფარვის მიზნით, ან აღნიშნული პირების მიერ მართლსაწინააღმდეგო ქცევის გაგრძელება ან სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა ჩაითვლება დამამძიმებელ გარემოებად.

5. კომისია სანქციის დაკისრებისას, ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების გარდა, მხედველობაში იღებს სხვა შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებებსაც.

6. კომისიამ სანქციის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 6 თვის ვადაში მას შემდეგ, რაც კომისიისთვის ცნობილი გახდა სამართალდარღვევის შესახებ. ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებული დებულებები არ აღსრულდება, თუ მათი დარღვევიდან ან დარღვევის შედეგების გამჟღავნებიდან გასულია არანაკლებ 5 წელი. ერთი და იმავე სამართალდარღვევისთვის ერთი და იმავე პირის მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთი სანქცია.

7. დაკისრებული ჯარიმა გადახდილი უნდა იქნეს დაჯარიმების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში. ჯარიმა ირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

8. დამრღვევი რეგულირებული საწარმოს ან სხვა პირის მიერ სანქციის დაკისრების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით მიმართოს საქართველოს კომპეტენტურ უწყებებს.

თავი XXXIX. სადავო საკითხების განხილვა და კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

მუხლი 155. სადავო საკითხების განხილვა

1. კომისიაში წარდგენილ განცხადებას (საჩივარს) სადავო საკითხის განხილვის თაობაზე კომისია განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ამ კანონისა და კომისიის მიერ დამტკიცებული დავების განხილვის წესების შესაბამისად.

2. კომისიასადავო საკითხს განიხილავს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, ზეპირი მოსმენის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომისია საკუთარი ინიციატივით მიიღებს გადაწყვეტილებას ზეპირი მოსმენის ჩატარების თაობაზე.

3. კომისია სადავო საკითხის განხილვის უფლებამოსილების განხორციელებისას გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი განცხადების (საჩივრის), მათ შორის, სრული დოკუმენტებისა და ინფორმაციის, მიღებიდან 2 თვის ვადაში. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს 2 თვით, თუ კომისიას ინფორმაციის მოსაძიებლად დამატებითი დრო სჭირდება. კომისიის გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა.

მუხლი 156. გასაჩივრება

კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კარი XVII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

თავი XL. გარდამავალი დებულებები

მუხლი 157. ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა

1. ამ კანონის მოთხოვნები 2026 წლის 31 აგვისტომდე არ ვრცელდება სამხრეთ კავკასიის მილსადენისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის, როგორც ბუნებრივი გაზის სისტემების, ფუნქციონირებაზე, ოპერირებასა და მართვაზე.

2. საქართველოს ელექტროენერგეტიკული ან/და ბუნებრივი გაზის სისტემების ენერგეტიკული გაერთიანების მხარის შესაბამის სისტემებთან უშუალო ფიზიკურ ურთიერთდაკავშირებამდე ამ კანონის მოთხოვნები არ ვრცელდება ელექტროენერგიის ან/და ბუნებრივი გაზის ტრანსსასაზღვრო გადადინებაზე.

3. იმ ქვეყნებთან, რომლებიც ენერგეტიკული გაერთიანების მხარეები არ არიან, ელექტროენერგიით ან/და ბუნებრივი გაზით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ურთიერთობები რეგულირდება შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით და არსებული ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელთა შესასრულებლად სათანადო დათქმები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ამ კანონის საფუძველზე მიღებულ ბაზრის წესებში ან/და ქსელის წესებში. ამასთანავე, ამ შემთხვევაშიც ამ კანონის მოთხოვნები გათვალისწინებული უნდა იქნეს იმდენად, რამდენადაც ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს ენერგეტიკული გაერთიანების მხარეებს შორის ვაჭრობაზე.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული გარდამავალი დებულებები გამოიყენება, თუ ისინი არ ზღუდავს კომისიის, საქართველოს სხვა უფლებამოსილი ორგანოებისა და გადამცემი სისტემის ოპერატორის ტრანსსასაზღვრო ან/და რეგიონული თანამშრომლობის ვალდებულებას.

მუხლი 158. ელექტროენერგიის ტრანზიტი

1. საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ენერგეტიკული გაერთიანების მხარის სისტემასთან უშუალო ფიზიკურ ურთიერთდაკავშირებამდე ელექტროენერგიის ტრანზიტი რეგულირდება ამ მუხლის შესაბამისად.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ელექტროენერგიის ტრანზიტის განხორციელების მიზნით ტრანზიტის განხორციელებით დაინტერესებული პირი (ტრანზიტის დამკვეთი) ვალდებულია ელექტროენერგიის ტრანზიტის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულება გააფორმოს გადამცემი სისტემის ოპერატორთან.

3. ელექტროენერგიის ტრანზიტის განხორციელებისას მისი განხორციელებისთვის რეგულირების საფასური არ გადაიხდევინება. ელექტროენერგიის ტრანზიტის უზრუნველყოფისას ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურებაზე არ ვრცელდება კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი ტარიფები.

4. ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასური განისაზღვრება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერგიის ტრანზიტის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულებით. საქართველოს გადამცემ ქსელში ელექტროენერგიის ტრანზიტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის ელექტროენერგიის დანაკარგები შეიძლება ანაზღაურდეს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული სათანადო საკომპენსაციო თანხით ან ელექტროენერგიის (საკომპენსაციო ელექტროენერგიის) მოწოდებით, თუ ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორსა და ტრანზიტის დამკვეთს შორის შესაბამისი შეთანხმება არსებობს.

5. საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო ელექტროენერგიის რაოდენობა დაიანგარიშება ბაზრის წესებით გათვალისწინებული საანგარიშო პერიოდის (შემდგომ – საანგარიშო პერიოდი) განმავლობაში ელექტროენერგიის ტრანზიტის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი და საქართველოს ტერიტორიიდან გატანილი ელექტროენერგიის თანხვდენილი ჯამური რაოდენობების გათვალისწინებით. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგიის ტრანზიტის ტექნიკური უზრუნველყოფის ფარგლებში ცალკეული დღეების ან/და საათების განმავლობაში საქართველოში შემოტანილი და იმავე დროს საქართველოდან ტრანზიტის საბოლოო დანიშნულების ქვეყანაში გატანილი სატრანზიტო ელექტროენერგიის რაოდენობები შესაძლებელია ერთმანეთს არ შეესაბამებოდეს. საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ ელექტროენერგიის ტრანზიტად ჩაითვლება საქართველოში შემოტანილი და საქართველოდან ტრანზიტის საბოლოო დანიშნულების ქვეყანაში გატანილი სატრანზიტო ელექტროენერგიის ჯამური რაოდენობების თანაბარი ნაწილები.

6. სატრანზიტო ელექტროენერგიის რაოდენობის დაანგარიშებისას არ გაითვალისწინება ელექტროენერგიის ტრანზიტის განხორციელებისას საქართველოს გადამცემ ქსელში დანაკარგების ასანაზღაურებლად ბაზრის წესების შესაბამისად ტრანზიტის დამკვეთის

მიერ დამატებით მოწოდებული ელექტროენერგია (საკომპენსაციო ელექტროენერგია), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7. ელექტროენერგიის ტრანზიტის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე მომზადებული სატრანზიტო ელექტროენერგიის მოწოდება-მიღების თაობაზე განაცხადები ცალკეული დღეების ან/და საათების მიხედვით შესაძლებელია მოიცავდეს ელექტროენერგიის საქართველოში შემოტანისა და იმავე დროს საქართველოდან ტრანზიტის საბოლოო დანიშნულების ქვეყანაში გატანის არათანაბარ რაოდენობებს იმ პირობით, რომ საანგარიშო პერიოდის დასრულებისას ტრანზიტად ჩაითვლება ჯამურად ტრანზიტის განხორციელების ფარგლებში საქართველოში შემოტანილი და საქართველოდან გატანილი ელექტროენერგიის რაოდენობების თანაბარი ნაწილები, ამავდროულად, დაკმაყოფილდება საქართველოსა და შესაბამისი მეზობელი სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის (ურთიერთდაკავშირების) შესახებ ხელშეკრულებების, აგრეთვე გადამცემი სისტემის ოპერატორის სხვა აუცილებელი მოთხოვნები.

8. ტრანზიტის დამკვეთის მიერ ერთ საანგარიშო პერიოდში სატრანზიტო ელექტროენერგიის ორი ან ორზე მეტი ქვეყნიდან შემოტანის შემთხვევა, როდესაც ტრანზიტის საბოლოო დანიშნულების ქვეყანა ერთია, განიხილება, როგორც ერთიანი ტრანზიტი. ასეთ შემთხვევაში ტრანზიტის რაოდენობა განისაზღვრება ტრანზიტის ფარგლებში საქართველოში შემოტანილი ელექტროენერგიის რაოდენობების ჯამის გათვალისწინებით (მიუხედავად იმისა, ელექტროენერგიის ტრანზიტი განხორციელდა ერთი ქვეყნიდან თუ ორი ან ორზე მეტი ქვეყნიდან), ამ მუხლის მე-5–მე-7 და მე-9 პუნქტებში აღნიშნული პირობების შესაბამისად.

9. კონკრეტული ურთიერთდამაკავშირებლით საქართველოში მეზობელი ქვეყნიდან შემოტანილი ან/და საქართველოდან მეზობელ ქვეყანაში გატანილი ელექტროენერგიის სრულ რაოდენობაში სატრანზიტო ელექტროენერგიის რაოდენობა/წილი დგინდება ელექტროენერგიის ტრანზიტის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

9^1. ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი მომსახურების (მათ შორის, ელექტროენერგიის ტრანზიტის უზრუნველყოფის ფარგლებში) დანახარჯების ანაზღაურებას, სატრანზიტო ელექტროენერგიის რაოდენობისა და ელექტროენერგიის ტრანზიტის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული ელექტროენერგიის ტრანზიტის საფასურის გათვალისწინებით, სატარიფო მეთოდოლოგიით დადგენილი წესითა და პირობებით.

10. ელექტროენერგიის ტრანზიტის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული ამ კანონით, რეგულირდება ბაზრის ან/და ქსელის წესებით და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერგიის ტრანზიტის ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ ხელშეკრულებით.

საქართველოს 2020 წლის 14 ივლისის კანონი №6788 – ვებგვერდი, 21.07.2020 წ.
საქართველოს 2024 წლის 13 ივნისის კანონი №4277 – ვებგვერდი, 27.06.2024 წ.

მუხლი 159. გადამცემი სისტემის ოპერატორის განცალკევება

1. ამ კანონით გათვალისწინებული გადამცემი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობისა და განცალკევების მოთხოვნები სათანადოდ უნდა განხორციელდეს ამ კანონის 162-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შემდეგ:

ა) არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა – ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორებისათვის;

ბ) არაუგვიანეს 2022 წლის 1 ივლისისა – ბუნებრივი გაზის გადამცემი სისტემის ოპერატორებისთვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად ამ კანონის 162-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირების წესის დამტკიცებიდან:

ა) 2 თვის ვადაში ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა გადაცემის ლიცენზიატებთან შეთანხმებით უნდა მოამზადოს და კომისიას და სამინისტროს უნდა წარუდგინოს განცალკევების გეგმა, რომელიც მოიცავს განცალკევების შეთავაზებულ მოდელს, აგრეთვე დეტალურ ზომებს, ქმედებებს და მისი პრაქტიკაში განხორციელების ვადას;

ბ) 9 თვის ვადაში ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიატმა უნდა მოამზადოს და კომისიას და სამინისტროს წარუდგინოს განცალკევების გეგმა, რომელიც მოიცავს განცალკევების შეთავაზებულ მოდელს, აგრეთვე დეტალურ ზომებს, ქმედებებს და მისი პრაქტიკაში განხორციელების ვადას.

3. კომისია და სამინისტრო განიხილავენ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შეთავაზებულ განცალკევების გეგმას და კონსულტაციებს გადიან ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან. კომისია და სამინისტრო უფლებამოსილი არიან განცალკევების გეგმის განხილვისას შესაბამის ლიცენზიატებს მოსთხოვონ დამატებითი ინფორმაციის წარდგენა ან განცალკევების გეგმის შესწორება.

4. კომისიამ უნდა დაადასტუროს განცალკევების გეგმის შესაბამისობა გეგმის მიღებიდან 2 თვის ვადაში და ის დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს საქართველოს მთავრობას, რომელიც ამ გეგმას ამტკიცებს წარდგენიდან 2 თვის ვადაში. სამინისტრო უფლებამოსილია განსხვავებული მოსაზრება წარუდგინოს საქართველოს მთავრობას საკითხის განხილვისას.

5. საქართველოს მთავრობის მიერ განცალკევების გეგმის დამტკიცების შემდეგ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა, გადაცემის ლიცენზიატმა, ტრანსპორტირების ლიცენზიატმა ან სხვა კომპანიამ, რომელსაც, განცალკევების გეგმის მიხედვით, მიენიჭება გადამცემი სისტემის ოპერატორის სტატუსი ან განისაზღვრება, როგორც გადამცემი

სისტემის მესაკუთრე, უნდა განახორციელოს მთავრობის მიერ დამტკიცებული განცალკევების გეგმა და აცნობოს კომისიას განცალკევების გეგმის განხორციელების მდგომარეობის შესახებ კომისიის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. კომისიამ უნდა განახორციელოს გადამცემი სისტემის განცალკევების მდგომარეობის მონიტორინგი და განაგრძოს მარეგულირებელი ფუნქციების გამოყენება ამ მუხლში მითითებული ზომების სათანადოდ განუხორციელებლობის შემთხვევებში.

7. სათანადოდ განცალკევებული გადამცემი სისტემის ოპერატორი, რომელიც კომისიას სერტიფიცირებისა და ლიცენზიის მისაღებად მიმართავს, სერტიფიცირებული უნდა იქნეს ამ კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. შესატყვისი გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირებისა და შესაბამისი ლიცენზიის გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება კომისიამ უნდა მიიღოს არაუგვიანეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადებისა.

8. ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის ლიცენზიები, აგრეთვე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზია დროებით ინარჩუნებს ძალას და მათი მფლობელები ამ კანონით დადგენილი წესით განცალკევების დასრულებამდე აგრძელებენ შესაბამისად ელექტროენერგიის გადაცემა-დისპეტჩერიზაციის თუ ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების მომსახურების გაწევას ამავე კანონის 168-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებით, ხოლო მათი გაუქმების შემთხვევაში – ამ კანონის საფუძველზე მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით. ამ ლიცენზიების მოქმედება ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ახალი ლიცენზიის ამოქმედებისთანავე ავტომატურად შეწყდება.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში შესაბამისი გადამცემი სისტემის ოპერატორმა უნდა შეიმუშაოს და კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინოს გადამცემი ქსელის წესები ან მოქმედ წესებში ცვლილებები ამ კანონის მოთხოვნათა გასათვალისწინებლად.

საქართველოს 2021 წლის 5 იანვრის კანონი №82 – ვებგვერდი, 06.01.2021 წ.

საქართველოს 2021 წლის 14 დეკემბრის კანონი №1088 – ვებგვერდი, 17.12.2021 წ.

მუხლი 160. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების განცალკევება

1. ამ კანონით გათვალისწინებული გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის დამოუკიდებლობისა და განცალკევების მოთხოვნები სათანადოდ უნდა განხორციელდეს ამ კანონის 162-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბაზრის წესების დამტკიცების შემდეგ:

ა) არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა – ელექტროენერგიის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისთვის;

ბ) არაუგვიანეს 2022 წლის 1 ივლისისა – ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სისტემის ოპერატორისთვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად:

ა) ამ კანონის 162-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცებიდან 2 თვის ვადაში ელექტროენერგიის განაწილების თითოეულმა ლიცენზიატმა უნდა მოამზადოს და კომისიას უნდა წარუდგინოს განცალკევების გეგმა, დეტალური ზომებისა და ქმედებების და აღნიშნული გეგმის განხორციელების ვადის ჩათვლით;

ბ) ამ კანონის 162-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცებიდან 4 თვის ვადაში ბუნებრივი გაზის განაწილების თითოეულმა ლიცენზიატმა უნდა მოამზადოს და კომისიას უნდა წარუდგინოს განცალკევების გეგმა, დეტალური ზომებისა და ქმედებების და აღნიშნული გეგმის განხორციელების ვადის ჩათვლით.

3. კომისიამ განცალკევების გეგმა უნდა დაამტკიცოს ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიღებიდან 2 თვის ვადაში.

4. განაწილების ლიცენზიატების განცალკევების პროცედურები უნდა დასრულდეს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ვადებში.

5. კომისიამ უნდა განახორციელოს გამანაწილებელი სისტემის განცალკევების სტატუსის მონიტორინგი და განაგრძოს მარეგულირებელი ფუნქციების გამოყენება ამ მუხლში მითითებული ზომების სათანადოდ განუხორციელებლობის შემთხვევებში.

6. ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული განაწილების ლიცენზიები დროებით ინარჩუნებს ძალას და მათი მფლობელები ამ კანონით დადგენილი წესით განცალკევების დასრულებამდე აგრძელებენ მათ მომხმარებლად ამ კანონის ამოქმედებამდე თუ მის შემდეგ, გარდამავალ პერიოდში რეგისტრირებული პირებისთვის შესაბამისად ელექტროენერგიის თუ ბუნებრივი გაზის განაწილება-მიწოდება-მომარაგების მომსახურების გაწევას ამავე კანონის 168-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებით, ხოლო მათი გაუქმების შემთხვევაში – ამ კანონის საფუძველზე მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით. ამ ლიცენზიების მოქმედება ამ კანონის საფუძველზე შესაბამისი გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის ავტორიზაციისა და განაწილების ახალი ლიცენზიის ამოქმედებისთანავე ავტომატურად შეწყდება.

7. ამ მუხლის პირველი–მე-5 პუნქტები არ გამოიყენება, თუ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევებაზე ვრცელდება ამ კანონის 73-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი.

8. გამანაწილებელი სისტემის თითოეულმა ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი გამანაწილებელი ქსელების გამანაწილებელი ქსელის წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან (საოპერაციო სისტემების, აღრიცხვის კვანძების ჩათვლით) შესაბამისობა და სხვა ურთიერთდაკავშირებულ სისტემებსა და საბოლოო მომხმარებლების მოწყობილობებთან მიერთების წერტილებს შორის ურთიერთკავშირი გამანაწილებელი ქსელის წესებით დადგენილ ვადაში.

საქართველოს 2021 წლის 5 იანვრის კანონი №82 – ვებგვერდი, 06.01.2021 წ.

საქართველოს 2021 წლის 14 დეკემბრის კანონი №1088 – ვებგვერდი, 17.12.2021 წ.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 161. ავტორიზაცია

1. ნებისმიერმა საწარმომ, რომელიც ამ კანონის ამოქმედებამდე მიღებული ავტორიზაციით ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას, უნდა გააგრძელოს ასეთი საქმიანობის განხორციელება აღნიშნული ავტორიზაციით დაკისრებული პირობების საფუძველზე ახალი ავტორიზაციის ამ კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაცემამდე. ამასთანავე, ასეთი საწარმო (გარდა წარმოების ლიცენზიატისა, ამ მუხლის მე-2 პუნქტითა და ამ კანონის 159-ე და 160-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) ვალდებულია ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში მიმართოს კომისიას ამ კანონით დადგენილი წესით ავტორიზაციის მიზნით.

1^1. თუ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატი, რომელიც ამ კანონის 73-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად გათავისუფლებულია გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევებასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისგან, ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიმართავს კომისიას ავტორიზაციის მიზნით, მაგრამ ვერ დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სალიცენზიო პირობებსა და მოთხოვნებს, კომისია იღებს ზომებს ბუნებრივი გაზის მომხმარებლებისთვის სათანადო ხარისხის მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად.

1^2. ამ მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებული ზომების მიღების მიზნით კომისია უზრუნველყოფს დროებითი ღონისძიებების შემუშავებას, მათ შორის, სატარიფო მეთოდოლოგიაში სათანადო ცვლილებების შეტანას, რათა ხელი შეუწყოს შესაბამისი აქტივების ისეთი ლიცენზიატების მიერ ოპერირებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2. სისტემის კომერციული ოპერატორი, ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის მიხედვით შესაბამისი ბაზრის ოპერატორის ჩამოყალიბებამდე და შესაბამისი ლიცენზიის გაცემამდე, აგრეთვე ამ კანონის ამოქმედებამდე თუ მის შემდეგ, გარდამავალ პერიოდში ელექტროენერგიით ან ბუნებრივი გაზით ვაჭრობის მონაწილე პირები, რეგულირებული საწარმოები თავიანთ უფლება-მოვალეობებს ახორციელებენ ამ კანონის 168-ე მუხლით

გათვალისწინებული ნორმატიული აქტებით, ხოლო მათი გაუქმების შემთხვევაში – ამავე კანონის საფუძველზე მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

3. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ ავტორიზაციაზე ნებისმიერი ახალი მოთხოვნა კომისიამ უნდა განიხილოს ამ კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4. წყალმომარაგების ლიცენზიის მაძიებელი 2031 წლის 31 დეკემბრამდე სალიცენზიო განაცხადის წარდგენისას არ არის ვალდებული, კომისიას წარუდგინოს ამ კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი. კომისია ვალდებულია წყალმომარაგების ლიცენზიის მაძიებლის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილებით განსაზღვროს აღნიშნული დოკუმენტის მისთვის წარდგენის გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 3 წელზე ნაკლები.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 162. ბაზრის მოდელის კონცეფცია. საჯარო მომსახურების მიმწოდებლების ავტორიზაცია, ბაზრის წესები, მიწოდების წესები

1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს:

ა) ამ კანონის ამოქმედებიდან:

ა.ა) 3 თვის ვადაში – ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცება;

ა.ბ) 10 თვის ვადაში – ბუნებრივი გაზის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცება;

ა.გ) 12 თვის ვადაში – შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღება ან/და მოქმედ აქტებში ცვლილებების შეტანა ამ კანონის მოთხოვნათა გასათვალისწინებლად;

ბ) არაუგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა – ელექტროენერგიის სექტორში უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლის ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში სხვა საჯარო მომსახურების გამწევი საწარმოების ავტორიზაცია;

გ) არაუგვიანეს 2022 წლის 1 ივლისისა – ბუნებრივი გაზის სექტორში საჯარო მომსახურების მიმწოდებლისა და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლის ავტორიზაცია.

2. კომისიამ უზრუნველყოს:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცებიდან 4 თვის ვადაში ამ კანონისა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ბაზრის მოდელის კონცეფციის მოთხოვნების გათვალისწინებით შესაბამისი სექტორის:

ა.ა) ბაზრის წესების დამტკიცება;

ა.ბ) მიწოდების (მათ შორის, უნივერსალური მომსახურების და ბოლო ალტერნატივის მიწოდების) წესების დამტკიცება;

ა.გ) (ამოღებულია - 22.12.2021, №1198);

ბ) ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში გადამცემი სისტემის ოპერატორის სერტიფიცირების წესის დამტკიცება.

3. კომისიამ და სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყონ ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ და გარდამავალ პერიოდში მოქმედ, მათი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში სათანადო ცვლილებების შეტანა ელექტროენერგიის იმპორტის სატარიფო რეგულირების გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. საქართველოს მთავრობამ და კომისიამ 2020 წლის 31 დეკემბრამდე შეიმუშაონ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების საკითხის მოწესრიგების სამოქმედო გეგმა და წარუდგინონ საქართველოს პარლამენტს შესათანხმებლად.

საქართველოს 2021 წლის 5 იანვრის კანონი №82 – ვებგვერდი, 06.01.2021 წ.

საქართველოს 2021 წლის 14 დეკემბრის კანონი №1088 – ვებგვერდი, 17.12.2021 წ.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 163. ცალკეული წყალმომარაგების ტარიფები და მათი დარიცხვის წესი გარდამავალ პერიოდში

1. წყალმომარაგების ტარიფის დადგენისას კომისია უფლებამოსილია 2027 წლის 1 იანვრამდე არ გაითვალისწინოს ამ კანონის 146-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა და წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებების ღირებულება სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებზე განსხვავებული პროპორციით გადაანაწილოს.

2. წყალმომარაგების სისტემების სრულად მოწესრიგებამდე კომისია უფლებამოსილია გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო ან/და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის წყალმომარაგების საფასურის დარიცხვის წესი სეზონურობის გათვალისწინებით განსხვავებულად განსაზღვროს.

მუხლი 164. ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგებისა და დასუფთავების მომსახურებების ერთიანი ადმინისტრირების ინტეგრირებული და კოორდინირებული უზრუნველყოფა

1. ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგებისა და დასუფთავების მომსახურებები (შემდგომ – მომსახურება) და შესაბამისი საფასურის/მოსაკრებლის

გადახდევინება ეფუძნება ადმინისტრირების ერთიან ინტეგრირებულ და კოორდინირებულ სისტემას (შემდგომ – ადმინისტრირების ერთიანი სისტემა) კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებით.

2. კომისია გადაწყვეტილებით განსაზღვრავს ადმინისტრირების ერთიანი სისტემის გავრცელების არეალს (ტერიტორიულ ფარგლებს) და ამ სისტემით მომსახურების გამწევ პირებს. კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული მომსახურების გამწევი ერთ-ერთი პირი (შემდგომ – ადმინისტრატორი) ადმინისტრირების ერთიანი სისტემის მეშვეობით ახორციელებს მომსახურების საფასურის/მოსაკრებლის ადმინისტრირებას.

3. ადმინისტრირების ერთიანი სისტემის მეშვეობით მომსახურების ადმინისტრირება ხორციელდება ადმინისტრატორსა და მომსახურების გამწევ სხვა პირებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების გაფორმებისას მხარეები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ მინიმალური ღირებულების პრინციპით და ხელშეკრულება არადისკრიმინაციულ და სამართლიან საფუძველზე გააფორმონ. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

4. ადმინისტრატორი ადმინისტრირების ერთიანი სისტემის მეშვეობით მომსახურების გაწევისას ვალდებულია ქვითარში ასახული ერთ-ერთი საფასურის ან/და მოსაკრებლის გადაუხდელობის ან არასრული გადახდის შემთხვევაში შესაბამის მომხმარებელს შეუწყვიტოს თავისი მომსახურების გაწევა, რაც არ არის ადმინისტრატორის მიერ მომხმარებლის წინაშე სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევა. ამასთანავე, მომსახურების გამწევი პირის მიერ ადმინისტრატორისათვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ინფორმაციის წარმდგენს.

5. მომსახურების გამწევი პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული მონაცემთა ბაზების მუდმივი ჰარმონიზაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზასთან.

მუხლი 165. ანგარიშების განცალკევება

1. ამ კანონის 148-ე მუხლის მოთხოვნები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული:

ა) ელექტროენერგეტიკული საწარმოების მიერ − არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა;

ბ) ბუნებრივი გაზის ან სხვა რეგულირებული საწარმოების მიერ − არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა.

2. ამ მუხლის მოთხოვნათა შესრულებაზე ზედამხედველობას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მარეგულირებელი ღონისძიების გამოყენებას უზრუნველყოფს კომისია.

3. კომისიამ უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბუნებრივი გაზის სექტორში გადაცემისა და განაწილების ლიცენზიატებისთვის ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი სისტემის დამტკიცება 2023

წლის 31 დეკემბრამდე. წყალმომარაგების ლიცენზიატებისთვის ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი სისტემის დამტკიცება კომისიამ უზრუნველყოს 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 165[1]. მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე საბოლოო მომხმარებლის სასისტემო მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების დროებითი წესი

1. გამანაწილებელი ქსელიდან მიღებული და კომისიის მიერ განსაზღვრული პირობებით გაქვითული ელექტროენერგიის მოცულობასთან მიმართებით სასისტემო მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლდება მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე საბოლოო მომხმარებელი, რომელიც ელექტროენერგიას უნივერსალური მიმწოდებლისგან იღებს ან აკმაყოფილებს კომისიის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.

[1. 2027 წლის 1 იანვრამდე ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი/მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურით მოსარგებლე საბოლოო მომხმარებელი უფლებამოსილია 2033 წლის 1 იანვრამდე ისარგებლოს ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების მომენტისთვის მოქმედი პირობებით – წარმოებული და მოხმარებული ელექტროენერგიის გაქვითვისგან და ამის შედეგად ელექტროენერგიის სასისტემო მომსახურებისა და ელექტროენერგიის ბაზრის ოპერირების მომსახურებისგან გათავისუფლებით. ***(ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან)]***

2. თუ ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან მიერთებული მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების ჯამურმა სიმძლავრემ მიაღწია ამ კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე კომისიის მიერ დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას, კომისია უფლებამოსილია დაუშვას მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელთან მიერთება 2027 წლის 1 იანვრამდე შემდეგი პირობების დაცვის შემთხვევაში:

ა) მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მისაერთებელი სიმძლავრე არ აღემატება 100 კილოვატს;

ბ) წარმოებული ელექტროენერგიის მოხმარებულ ელექტროენერგიასთან გაქვითვის ნაცვლად მომხმარებელი ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიისთვის მიიღებს კომისიის მიერ დადგენილ ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელში მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურს, ხოლო ქსელიდან მიღებული ელექტროენერგიისთვის გადაიხდის როგორც ელექტროენერგიის მიწოდების მომსახურების საფასურს, ისე ელექტროენერგიის სასისტემო მომსახურებისა და ელექტროენერგიის ბაზრის ოპერირების მომსახურების საფასურს კომისიის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.
საქართველოს 2025 წლის 10 ივნისის კანონი №605 – ვებგვერდი, 12.06.2025 წ.

მუხლი 166. საბოლოო მომხმარებლის მიერ მიმწოდებლის არჩევა

1. (ამოღებულია - 22.12.2021, №1198).

2. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ბაზრის გახსნის ან/და შესაბამისი ბაზრის მოდელის კონცეფციის სათანადო ეტაპის განსახორციელებლად ეტაპობრივად განსაზღვროს ის სავალდებულო კრიტერიუმები და ვადები, რომელთა დაკმაყოფილების/რომლებთან შესაბამისობის შემთხვევაშიც საბოლოო მომხმარებელი მიმწოდებელს სავალდებულო წესით აირჩევს.

3. განაწილების ლიცენზიის მფლობელის მომხმარებლად (აბონენტად) რეგისტრირებული მომხმარებელი, რომელსაც განაწილების სისტემის ოპერატორის განცალკევების დასრულებისას არ ექნება მიმწოდებელთან ამ კანონით დადგენილი წესით დადებული ხელშეკრულება, ელექტროენერგიის მიწოდების მომსახურებას კომისიის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით მიიღებს უნივერსალური მიმწოდებლისგან ან ამ კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული, საჯარო მომსახურების ვალდებულების შემსრულებელი სხვა ენერგეტიკული საწარმოსგან, ხოლო ბუნებრივი გაზის მიწოდების მომსახურებას – შესაბამისი საჯარო მომსახურების მიმწოდებლისგან. ამასთანავე, ეს არ ზღუდავს აღნიშნული მომხმარებლის უფლებას, სურვილის შემთხვევაში შემდგომ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიოს მისთვის მისაღები მიმწოდებელი.

საქართველოს 2021 წლის 22 დეკემბრის კანონი №1198 – ვებგვერდი, 30.12.2021 წ.

მუხლი 167. მიწოდების უსაფრთხოება

1. ამ კანონის 138-ე მუხლით გათვალისწინებული მიწოდების უსაფრთხოების მონიტორინგის პირველი ანგარიში მომზადდეს 2021 წლის 31 მარტამდე.

2. ამ კანონის 143-ე მუხლით გათვალისწინებული მიწოდების უსაფრთხოების მონიტორინგის პირველი ანგარიში მომზადდეს 2022 წლის 31 მარტამდე.

3. საქართველოს მთავრობამ და სამინისტრომ უზრუნველყონ ამ კანონის 170-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებში შესაბამისი მიწოდების უსაფრთხოების მარეგულირებელი სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავება და დამტკიცება ან/და მოქმედ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანა ამ კანონის მოთხოვნათა გასათვალისწინებლად.

4. კომისიამ ამ კანონის გამოქვეყნებიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს ბუნებრივი გაზის ან/და ნახშირბადის მონოქსიდის დეტექტორების გამოყენების შესახებ რეკომენდაციების მომზადება და თავის ვებგვერდზე გამოქვეყნება.

მუხლი 167[1]. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიწოდებული ელექტროენერგიის რეგულირების საფასურის გადახდისა და ელექტროენერგეტიკული

სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლება

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიწოდებული ელექტროენერგიის რეგულირების საფასურის გადახდისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება არ ვრცელდება ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის მიერ წარმოებულ და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით მიწოდებულ ელექტროენერგიაზე.

საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4360 – ვებგვერდი, 11.07.2024 წ.

მუხლი 167[2]. ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების გაანგარიშების/დადგენის წესი იმ რეგულირებული ელექტროსადგურებისთვის, რომლებიც ელექტროენერგიის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიწოდებას ახორციელებენ

ელექტროენერგიის წარმოების ტარიფების გაანგარიშების/დადგენის დროს არ იქნეს გათვალისწინებული ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის მიერ წარმოებული და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობა (კვტ.სთ) სატარიფო რეგულირების პერიოდის შესაბამისი სატარიფო წლისთვის.

საქართველოს 2025 წლის 20 თებერვლის კანონი №325 – ვებგვერდი, 21.02.2025 წ.

თავი XLI. დასკვნითი დებულებები

მუხლი 168. ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოქმედება

ამ კანონის ამოქმედებამდე ამ კანონით დარეგულირებულ სექტორებში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონის (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997, გვ. 20) საფუძველზე მიღებული და მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას და მათში სათანადო ცვლილებების შეტანის უფლება აქვთ აღნიშნული ნორმატიული აქტების მიმღებ ორგანოებს ამ კანონის საფუძველზე და დადგენილი წესით ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის (აქტების) ძალაში შესვლამდე.

მუხლი 169. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონი (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997, გვ. 20).

მუხლი 170. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის XXXIII და XXXIV თავებისა და 148-ე მუხლისა (წყალმომარაგების ლიცენზიატებთან მიმართებით), ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის XXXIII თავი ამოქმედდეს 2020 წლის 30 სექტემბრიდან.

3. ამ კანონის XXXIV თავი ამოქმედდეს 2021 წლის 30 სექტემბრიდან.

4. ამ კანონის 148-ე მუხლი (წყალმომარაგების ლიცენზიატებთან მიმართებით) ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

20 დეკემბერი 2019 წ.

N5646-რს